



ISSN: 2298-0202

გრებოლ რობაკიძის
სახელგების უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

აკადემიური მაცნე
ACADEMIC DIGEST

0

2

0

2

თბილისი Tbilisi



გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
Grigol Robakidze University

აკადემიური მაცნე
AKADEMIC DIGEST
2020

თბილისი – Tbilisi

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რეგენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „აკადემიური მაცნე“ გამოდის წელიწადში ერთჯერ. ჟურნალი პოლითემატურია და მოიცავს შემდეგ დისციპლინებს: ბიზნესის ადმინისტრირება; საჯარო ადმინისტრირება; სამართალი; სოციალური მეცნიერებები; მედიცინა.

სარედაქციო საბჭო

მამუკა თავხელიძე – მთავარი რედაქტორი (საქართველო)
გიორგი ღლონტი – მთავარი რედაქტორის მოადგილე (საქართველო)
ნინო ქემერტელიძე – მთავარი რედაქტორის მოადგილე (საქართველო)
გიორგი თოდრია – აღმასრულებელი რედაქტორი (საქართველო)

| | |
|---------------------------------|--|
| მალხაზ ბაძაღვა (საქართველო) | ჰანს იორგ ალბრეხტი (გერმანია) |
| ზურაბ ძლიერიშვილი (საქართველო) | ანა მარგარიანი (სომხეთი) |
| გია დეკანოზიშვილი (საქართველო) | ჯეიმს ო. ფინკენაუერი (აშშ) |
| იაკობ ფუტყარაძე (საქართველო) | ტრევორ კარტლეჯი (დიდი ბრიტანეთი) |
| ოთარ გამყრელიძე (საქართველო) | ალექსანდრე სილაგაევი (რუსეთი) |
| დევი ხვედელიანი (საქართველო) | ელიკო წიკლაური-ლამიხი (გერმანია) |
| მანანა მოსულიშვილი (საქართველო) | კამილ სალიმოვი ნაზიმოღლუ (აზერბაიჯანი) |
| დავით მამუკაშვილი (საქართველო) | ალენა შოსტკო (უკრაინა) |
| ვალერიან ხრუსტალი (საქართველო) | ჯოვან შოპოვსკი (მაკედონია) |
| თემურ თოდრია (საქართველო) | დეჟან მაროლოვი (მაკედონია) |
| ლევან იზორია (საქართველო) | |
| ხათუნა ლორია (საქართველო) | |

The Editorial Board

Mamuka Tavkheldidze – Editor-in-chief (Georgia)
Georgi Glonti – Deputy Editor-in-chief (Georgia)
Nino Kemertelidze – Deputy Editor-in-chief (Georgia)
Giorgi Todria – Executive Editor (Georgia)

| | |
|-------------------------------|---------------------------------------|
| Malkhaz Badzagua (Georgia) | Hans Jourg Albrecht (Germany) |
| Zurab Dzliarishvili (Georgia) | Anna Margarian (Armenia) |
| Gia Dekanozishvili (Georgia) | James Finckenauer (USA) |
| Iakob Putkaradze (Georgia) | Trevor Cartledge (Great Britain) |
| Otar Gamkrelidze (Georgia) | Alexander Salagaev (Russia) |
| Devi Khvedeliani (Georgia) | Eliko Tsiklauri-Lammich (Germany) |
| Manana Mosulishvili (Georgia) | Kamil Nazim oglu Salimov (Azerbaijan) |
| David Dzamukashvili (Georgia) | Olena Shostko (Ukraine) |
| Valerian Khrustali (Georgia) | Jovan Shopovski (Macedonia) |
| Temur Todria (Georgia) | Dejan Marolov (Macedonia) |
| Levan Izoria (Georgia) | |
| Khatuna Loria (Georgia) | |

მისამართი / Address: საქართველო, თბილისი 0159, ი. ენუქიძის ქ. #3 /0159 Tbilisi, Georgia, I. Enukidze str. #3
ვებ-საიტი / Web Site: <http://gruni.edu.ge/>
ელ. ფოსტა / E-mail: g.ochigava@gruni.edu.ge; pragueinfo@yahoo.com
ტელ.: / Tel.: (+995) 555 49 01 78

მივესალმები სამეცნიერო ჟურნალის აკადემიური მაცნე 2020 წლის ნომერში გამოქვეყნებული სტატიების ავტორებს.

მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმ არჩევანისათვის, რომელსაც გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ეგიდით გამოცემულ ჟურნალთან დაკავშირებით აკეთებთ. უდავოდ მისასალმებელია, რომ ზემოაღნიშნულ ნომერში გამოქვეყნებული სტატიების ავტორთა უმრავლესობა დოქტორანტია. ამჯერად, ჩვენი მიზანი სწორედ ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალურად წარმოჩენა იყო. იმედია, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო საზოგადოებასთან საკომუნიკაციო სივრცის გაფართოებას და ახალგაზრდა მეცნიერთა ცნობადობის გაზრდას.

აქვე, რა თქმა უნდა, მადლობას ვუხდით ყველა პროფესორს - სარედაქციო საბჭოს წევრს, რეცენზენტსა თუ ავტორს, ვინც აგრძელებს აკადემიურ მაცნესთან თანამშრომლობას.

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა ჟურნალის ხარისხის, საერთაშორისო მნიშვნელობისა და სხვადასხვა სამეცნიერო - სამიეზო ბაზაში ჩვენ შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით.

გილოცავთ შობა ახალ წელს! გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმართულებით!

პატივისცემით,

მამუკა თავხელიძე

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

სარჩევი

საჯარო ადმინისტრირება

თეა სამჭკუაშვილი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, არსებული შეზღუდვებისა და გამოწვევების პირობებში 7

ლანა ყურაშვილი

ოჯახი - სკოლის დისპოზიციის განვითარება და ძალაუფლების ურთიერთგაზიარება 16

გიორგი მომცელიძე

საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის აღმოცენების პირობები და თავისებურებები 27

ბიზნესი და ეკონომიკა

ნინო საჩალელი

ღვინის ტურიზმის განვითარების მნიშვნელობა და გამოწვევები.....37

თამარ ხახიშვილი

ინვესტიციები - საქართველოს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების გზა კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად 58

ლელა შოლერ-იორდანაშვილი

დერივატივების გავლენა განვითარებული ქვეყნების ფინანსურ სტაბილურობაზე 71

ფილოლოგია

ეთერ შავრეშიანი

შექსპირის პიესა „ქარიშხალი“ აირის მერდოკის რომანში „ზღვა, ზღვა“ 82

სამართალი

ლუკა ბარამიძე

სამართლანობა და ადამიანის უფლებები 90

ლაშა კუხიანიძე

უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა შესახებ განვითარებული თეორიები გერმანულ სისხლის სამართალში 97

ჯუმბერ მაილაშვილი

უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია 117

დავით ელისაბედაშვილი

ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება მოხდეს იძულებითი გადახდევინება 126

გიორგი მირიანაშვილი, გუგა მირიანაშვილი

ორმხრივი დასჯის პრინციპის არსი და მისი მოქმედების ფარგლები ექსტრადიციის ევროპულ და კვაზი-ევროპულ სისტემებში 148

Contents

Public Administration

| | |
|--|----|
| <i>Tea Samtchkuashvili</i> Accessibility of public information in current limitations and challenges | 7 |
| <i>Lana Kurashvili</i> The Development of Family - School Disposition and Power Sharing | 16 |
| <i>Giorgi Momtselidze</i> Conditions and Peculiarities of the Emergence of Youth Policy in Georgia | 27 |

Business and Economics

| | |
|---|----|
| <i>Nino Sachaleli</i> The Importance and Challenges of Wine Tourism Development | 37 |
| <i>Tamar Khakhishvili</i> Investments as a way to maintain competitiveness and overcome the crisis in Georgia | 58 |
| <i>Lela Schöler-Iordanashvili</i> The Impact of Derivatives on the Financial Stability of Emerging Countries | 71 |

Philology

| | |
|---|----|
| <i>Eter Shavreshiani</i> Shakespeare's "The Tempest" in Iris Murdoch's novel "The Sea, The Sea" | 82 |
|---|----|

Law

| | |
|---|-----|
| <i>Luka Baramidze</i> Justice and Human Rights | 90 |
| <i>Lasha Kukhianidze</i> Theories Developed on Crimes Committed by omission in German Criminal Law | 97 |
| <i>Jumber Mailashvili</i> Qualification of Intentional Murder Committed in a State of Sudden, Strong Emotional Excitement by Exceeding the Self-defence Limits | 117 |
| <i>David Elisabedashvili</i> Property that cannot be seized | 126 |
| <i>Giorgi Mirianashvili, Guga Mirianashvili</i> The Essence of the Principle of Dual Criminality and its scope in European and Quasi-European Extradition Systems | 148 |

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, არსებული შეზღუდვებისა და გამოწვევების პირობებში

თეა სამჭკუაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
teasamchkuashvili@yahoo.com

რეზიუმე. სტატია ეძღვნება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ საკითხებს, არსებული შეზღუდვებისა თუ გამოწვევების პირობებში, რომელიც გავლენას ახდენს ეფექტიან მმართველობით პროცესზე. ინფორმაციის გაცემისა თუ მიღების დროს გვხვდება მთელი რიგი აქტუალური საკითხები, ისეთი როგორცაა: ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თაობაზე არსებული ნორმების გამოყენების არაერთგვაროვანი პრაქტიკა თუ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ვადებთან მიმართებაში არსებული სირთულეები, როგორც ინფორმაციის მიმღები პირის ისე, ინფორმაციის გამცემი დაწესებულების დონეზე და სხვ. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება აქვს თითოეულ დაწესებულებას, რომელიც საჯარო ინფორმაციის გამცემ სუბიექტს წარმოადგენს. სწორედ ამ ვალდებულების შესრულების ფარგლებში მიიღწევა ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული მართვა, რაც თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის მმართველობითი პროცესებისა და არსებული შედეგის კონტროლს. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან ერთად მნიშვნელოვანია პროფესიულ, კომერციულ, სახელმწიფო თუ პერსონალურ მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციის დაცვის საკითხი. ამდენად, წინამდებარე სტატია არის მცდელობა მოქმედი კანონმდებლობისა თუ სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე წარმოაჩინოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ინფორმაციის დაცვის ინტერესს შორის ნორმატიული ბალანსის შექმნის ძირითადი ასპექტები. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც არც თუ ისე იშვიათად გვხვდება ხსენებული ბალანსის დარღვევის ფაქტები, რომლის გავლენა სახელმწიფო მართვის განვითარებზე ეჭვს არ იწვევს და პირდაპირ კავშირშია დაწესებულებების ყოველდღიურ საქმიანობასთან. გაანალიზებულია საკითხის ირგვლივ არსებული ხარვეზები, რაც დღემდე გამოწვევად რჩება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხთან მიმართებაში და საკითხის მომწესრიგებელი ნორმების პრაქტიკაში არაერთგვაროვან გამოყენებას იწვევს. ამდენად, საკანონმდებლო რეგულაციების დონეზე არსებული საკითხებისა თუ სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროება, რომლის შედეგად, მინიმუმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი გაიზრდება.

სამიუბო სიტყვები: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მართვა, ინფორმაციის დაცვა, გამჭვირვალობა, ზედამხედველობა

1. შესავალი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ აქტუალურ ელემენტს წარმოადგენს გამჭვირვალე მმართველობითი პროცესის მიღწევის საკითხთან მიმართებაში.

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა განიხილება, როგორც სახელმწიფოს საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი,

რომლის საშუალებითაც ხდება მმართველობით პროცესში გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპის დაცვა, რაც თავის მხრივ, განაპირობებს საზოგადოების მხრიდან ნდომის მაღალ ხარისხს.

ინფორმაციის დაუბრკოლებლად მიღების შემთხვევაში საზოგადოებას უჩნდება განცდა, რომ სახელმწიფო მოქმედებს კეთილსინდისიერად და ყველა იმ პრინციპის დაცვით, რაც მიღწევადს ხდის ეფექტურ მმართველობით პროცესს. ხოლო, იმ შემთხვევაში, როდესაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ხდება ინფორმაციის გაცემის შეზღუდვა, ეს იწვევს სახელმწიფოს მიმართ საზოგადოების მხრიდან ნდობის შემცირებას (1-221 გვ.). საჯაროობის მაღალი სტანდარტი და საზოგადოების მხრიდან ნდობა ხელისუფლების მიერ შესაძლო გადაცდომების პრევენციის საშუალებასაც იძლევა. ამდენად, ინფორმაციის დაუბრკოლებლად გაცემისა და მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფომ უნდა შექმნას შესაბამისი გარანტიები, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობას.

წინამდებარე სტატიის მიზანია, განიხილოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, როგორც გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, სამართლებრივი რეგულაციებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების დონეზე არსებული სტანდარტის კონტექსტში.

სტატიაში გამოყენებულია კვლევის ზოგადმეცნიერული მეთოდები. კვლევა, ასევე ეფუძვნება ლოგიკურ და ანალიტიკურ მეთოდებს.

2. საჯარო ინფორმაცია და მისი გაცემის სუბიექტები

საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით აღიარებული ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციას ემსახურება საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ წესების დადგენა (2-152 გვ.).

საჯარო ინფორმაციის ცნების დეფინიცია მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, „საჯარო ინფორმაცია, არის ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები, ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პრაქტიკულად გამოქვეყნებული ინფორმაცია“ (5-მუხლი 2.1. „მ“). საჯარო ინფორმაციის ცნების დეფინიციით ინფორმაციის გამცემ სუბიექტთა წრეზე გავდივართ და მას წარმოადგენს საჯარო დაწესებულება, რომელშიც მოიაზრება ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში (5-მუხლი 27. „ა“). დაინტერესებულ პირს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა შეუძლია ადმინისტრაციული ორგანოდან, რომლის ცნება საკმაოდ ფართოა, თუმცა, განმარტების დონეზე სრულად ვერ ფარავს სახელმწიფო სახსრების განმკარგავ ყველა სუბიექტს, რაც ამგვარი სახსრების გამოყენებით განხორციელებულ

ქმედებათა ინფორმაციის საჯაროობას ზღუდავს. საჯარო ინფორმაციის გამცემი სუბიექტის განმარტებასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2019 წლის 12 სექტემბრის განჩინებით არ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთ-ერთი შპს-ზე საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულების სრულად გაუვრცელებლობის საკითხთან მიმართებაში. იმ ფაქტის გამო, რომ შპს დაფუძნებული იყო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ, კომპანია მოქმედებდა თვითნაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპით, არ ფინანსდებოდა სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან, ქვედა ინსტანციის სასამართლოთა განმარტებით იგი არ წარმოადგენდა არც საჯარო დაწესებულებას და არც ადმინისტრაციულ ორგანოს, რის გამოც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფერო შპს-ზე ინფორმაციის გაცემასთან მიმართებით არ ვრცელდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ შპს არ ექცეოდა იმ საჯარო დაწესებულების სიტყვასიტყვით განმარტებაში, რომელსაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს ინფორმაციის თავისუფლების რეალიზებისთვის, შპს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით საჯარო დაწესებულებად მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული დაფინანსების ნაწილში იქნა მიჩნეული. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ტენდერში გამარჯვებულ შპს-ზე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებიდან თანხის გადაცემა წარმოადგენს ამგვარი ბიუჯეტიდან დაფინანსებას, რისი გათვალისწინებითაც, შპს ამ დაფინანსების ფარგლებში საჯარო დაწესებულებად იქნა მიჩნეული. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო დაწესებულების ცნების ცენტრალურ თუ ადგილობრივ ფინანსურ მხარდაჭერასთან კავშირი განპირობებულია ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის საჯაროობისა და ჯანსაღი საზოგადოებრივი ანალიზის ხელშეწყობის უზრუნველყოფით. ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგება ემსახურება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მართებულობის საზოგადოების მხრიდან კონტროლისათვის გარკვეული პირობების შექმნას და რომ საჯაროა შპს-თან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო თუ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების გამოყენებას, აგრეთვე, ამგვარი სახსრების გამოყენებით განხორციელებულ გარკვეულ ღონისძიებებს ან პროექტს თუ მათ ფარგლებში განხორციელებულ კონკრეტულ მოქმედებებს შეეხება (8). საკითხისადმი, ამგვარი მიდგომა ამართლებს ინფორმაციის საჯაროობის მიზანს, რომელიც მეტი სიცხადისა და ინფორმაციის საჯაროობის უფლების დაუბრკოლებელი რეალიზებისთვის საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე დამატებით მოწესრიგებას. რაც ასევე, ხელს შეუწყობს საკითხისადმი ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის მნიშვნელოვანია მისი გაცემის ვადების დაცვა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლი ადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადებს, რომლის თანახმად, „მისი გაცემა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჭიროა ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და კონსულტაცია სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან, თუ მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთ-

თან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიება და დამუშავება საჭირო“ (5 - მუხლი 40.1).

ინფორმაციის გაცემისთვის დადგენილი ნორმების დარღვევა ან უგულველყოფა იწვევს არა მხოლოდ ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული პირის უფლების შელახვას, არამედ აზიანებს საჯარო დაწესებულების რეპუტაციას. არსებული საკანონმდებლო რეგულაციის ფარგლებში გვხვდება ინფორმაციის დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღეში გაცემის ვალდებულება, თუმცა პრაქტიკაში არსებობს გამოწვევები ხსენებული ვადების დაცვის საკითხთან მიმართებით. საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დაუცველობა ზოგიერთ შემთხვევაში ობიექტურ გარემოებებს ემყარება, მაგალითად: ინფორმაციის მაძიებელი პირი ითხოვს მისთვის საინტერესო სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში არსებულ 15 წლის პერიოდზე მონაცემებს, რომლის შესაბამის ფორმატში მოყვანა და მისთვის მიწოდება იმაზე მეტ დროს ითხოვს ვიდრე კანონმდებლობითაა განსაზღვრული. ასეთ შემთხვევაში, არსებული სამართლებრივი რეგულაციის ფარგლებში ინფორმაციის მაძიებელი პირი შეზღუდული არ არის განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის მოცულობით თუ რაიმე სხვა სახის მექანიზმით და განცხადების განხილვის ვადის გაგრძელების არარსებობის პირობებში, ფაქტობრივად შეუძლებელია ინფორმაციის გაცემა კანონით განსაზღვრული ვადების დარღვევის გარეშე. თუმცა, საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების ახლებურად მოწესრიგება, ნათლად გაწერილ კრიტერიუმებს უნდა ემყარებოდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინფორმაციის გაცემის უსაფუძვლო გაჭიანურება. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე პირის განცხადების განხილვის ვადის გაგრძელების შემთხვევაში დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ვალდებულება დეტალურად და არგუმენტირებულად დაასაბუთოს დამტებითი ვადის საჭიროების საკითხი, რათა არ მოხდეს ინფორმაციის გაცემის ვადის არამიზნობრივი გაგრძელება. ამასთან, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კანონი, რომლის მიღების ინიციატივა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გაჩნდა, ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საკითხის დეტალურად მოწესრიგებისა თუ ამ უფლებით დაუბრკოლებლად სარგებლობის რეალიზების თვალსაზრისით. ასევე, ახალი კანონის მიღების პირობებში შესაძლებელი იქნება არსებული ნაკლოვანებების ანალიზის საფუძველზე, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, მკაფიო სამართლებრივი სტანდარტის გაწერა, რაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ეფექტიანს გახდის, როგორც ინფორმაციის გამცემი სუბიექტის, ისე ინფორმაციის მაძიებელი პირის ინტერესების გათვალისწინებით.

ესტონეთის კანონმდებლობის თანახმად, ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებას პასუხი დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 სამუშაო დღეში უნდა გაეცეს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ განცხადება არასრულყოფილი სახით არის წარდგენილი ან მისი განხილვა განსხვავებულ დროს მოითხოვს, კანონი ითვალისწინებს განცხადების განხილვის ვადის გახანგრძლივების საშუალებას 15 სამუშაო დღემდე (3-28 გვ.). მსგავსი საკანონმდებლო რეგულაციის შემოღების ფარგლებში, ინფორმაციის დაუსაბუთებელი გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია მოხდეს ინფორმაციის კატეგორიზაცია იმგვარად, რომ ინფორმაციის მაძიებლისთვის თავიდანვე განჭვრეტადი იყოს მის მიერ

მოთხოვნილ ინფორმაციას მიიღებს დაუყოვნებლივ თუ საჭირო იქნება დამატებითი ვადები. საჯარო დაწესებულებების მიდგომა ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებით არის სხვადასხვა. ამდენად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზებისთვის მნიშვნელოვანია სამართლებრივი ნორმების დეტალური გაწერა, რომლის შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელებას იკისრებს შესაბამისი ორგანო. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის ან არასათანადო გაცემის შემთხვევების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს არსებობა, უფრო მეტად ეფექტური იქნება ვიდრე სასამართლო, რომელიც გადატვირთულობის გამო გადაწყვეტილების მიღებას დიდ დროს ანდომებს, მაშინ როდესაც ინფორმაციის მამიებელი პირისთვის საჭირო ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიღებას აქვს მნიშვნელობა.

3. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა

ინფორმაციის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული და დაცული სიკეთეა, რომელიც კონკრეტდება და განმტკიცებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია, რომ ყველას აქვს ინფორმაციის მიღების უფლება და იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად (4 - მუხლი 18). საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული წესის შესაბამისად კი საჯარო ინფორმაცია არის ღია კანონით განსაზღვრული შემთხვევების გარდა და იმ პირობებში, როდესაც ინფორმაცია დადგენილი წესის მიხედვით წარმოადგენს კომერციულ, პროფესიულ, სახელმწიფო საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს (5 - მუხლი 28). ამდენად, როგორც საქართველოს კონსტიტუციის ისე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გარანტირებულია „ყველას“ უფლება ინფორმაციის მიღებასთან მიმართებაში. შესაბამისად, სუბიექტთა წრე ვისაც ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვს მოცემულია ზოგადი ტერმინით „ყველა“ და არ კონკრეტდება რაიმე ნიშნით, რაც თანაბარ პირობებში ამყოფებს ინფორმაციის მიღების მსურველ ნებისმიერ პირს. თუმცა, საინტერესოა სად გადის ზღვარი ინფორმაციის თავისუფლებასა და ინფორმაციის დაცვის ვალდებულებებს შორის, რომელიც პერსონალური მონაცემების დაცულობასა და ინფორმაციის თავისუფლების შეპირისპირების მაგალითზე შეიძლება განვიხილოთ. საკითხი განსაკუთრებით საინტერესოა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული განმარტებიდან გამომდინარე, რომლის თანახმად, „პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, ხოლო, პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით“ (6 - მუხლი 2. „ა“). ამავე კანონით განსაზღვრულია ის კონკრეტული ჩამონათვალი რა შემთხვევაშიც დასაშვებია პერსონალურ მონაცემთა

დამუშავება. აქვე ჩნდება კითხვა, ამგვარი მოცემულობა ხომ არ განაპირობებს უპირობოდ ინფორმაციის თავისუფლების უფლების შეზღუდვას თუ კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს რომელიმე უფლების შეზღუდვის საკითხი, რა დროსაც გვიწევს არჩევანის გაკეთება ორ სამართლებრივად დაცულ სიკეთეებს შორის და ეს არცთუ ისე მარტივად გადასაწყვეტ სირთულეს წარმოადგენს. საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება N 1/4/693, 857 ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხთან დაკავშირებით. არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შინაარსი, რომელიც ღია სასამართლო სხდომის ფარგლებში მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის სახით საჯაროობას გამოირიცხავდა.

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებული საჯარო დაწესებულებებში არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა არ წარმოადგენს აბსოლიტურ უფლებას და შეიძლება გარკვეულ შეზღუდვებს დაექვემდებაროს. ხოლო, თანაზომიერების პრინციპის დაცვით შესაძლოა საჯარო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის მიღების უფლებაში ჩარევა (7.II -7. 22). საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ღირებულებათა წესრიგთან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სასარგებლოდ დადგენილი პირველადი ბალანსი თავსებადი არ არის. ასეთი რეგულაციის პირობებში რამდენადმე მცირდება მართლმსაჯულების საზოგადოებრივი კონტროლისა და, შესაბამისად, საზოგადოებრივი ნდობის ხარისხი. არაერთ შემთხვევაში, შეუძლებელია მომეტებული ინტერესის დასაბუთება პერსონალური მონაცემების გაცნობის გარეშე. თითოეულ შემთხვევაში სასამართლოს აქტში მოცემული პერსონალური მონაცემების გაცემისას ინფორმაციის ღიაობის მომეტებული ინტერესის დასაბუთების მოთხოვნა, გამორიცხავს სასამართლოს გადაწყვეტილებების შემთხვევითი პრინციპით კონტროლს, მათში შესაძლო გადაცდომების, გარკვეული მიკერძოების ტენდენციებისა თუ შერჩევითი მართლმსაჯულების ეფექტიან საზოგადოებრივ ზედამხედველობას (7.II - 65) კანონმდებელს სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის უფლებისა და პირადი ცხოვრების დაცვის არსებულზე უკეთესად დაბალანსებული სისტემის შექმნის შესაძლებლობა აქვს. სწორედ ასეთი ბალანსის პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვა დამოკიდებული უნდა იყოს მონაცემთა დაცვის სუბიექტის კონფიდენციალობის დაცვის ინტერესზე. ხოლო, ამგვარი ინტერესის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების ღიაობა ინტერესების დაბალანსების შედეგად გადაწყდება“ (7.II - 66).

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება უკავშირდება უშუალოდ ღია სასამართლო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხს, თუმცა იგივე პრობლემა შეიძლება წარმოიშვას სხვა შემთხვევაშიც, როდესაც პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით საჯარო დაწესებულებამ თანაზომიერების პრინციპის შეუფასებლად და ყოველგვარი ბალანსის დაუცველად შეიძლება შეზღუდოს ინფორმაციის გაცემა. რაც თავის მხრივ, შეუძლებელს გახდის სახელმწიფოს კონკრეტულ უწყებრივ დონეზე კონტროლის განხორციელებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო დონეზე არსებული რეგულაციების სტანდარტთან დაკავშირებით, ასევე, საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 16 იანვრის (საქმე ბს-848 (კ-18)) განჩინება, რომელიც ეხებოდა თანამდებობის პირთა მიმართ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის კანონით გათვალისწინებული დამცავი და შემაკავებელი ორდერის არსებობის შესახებ მონაცემების საჯაროობას. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ თანამდებობის პირთან დაკავშირებით პირადი სფეროს შემცველი ინფორმაციის საჯაროობა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს - უზრუნველყოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაციის ტრანსფორენტობა, გამჭვირვალობა. ასევე, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოთხოვნილი არ იყო ინფორმაცია ძალადობის შედეგად დაზარალებულის, სამართალდარღვევის ჩადენის კონკრეტული გარემოებებისა და ვითარების შესახებ. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მონაცემთა სამართლებრივ რეჟიმზე ზემოქმედებს პირის სტატუსი, კერძოდ, საჯარო თანამდებობის პირების მონაცემთა დაცვის სამართლებრივი პირობები განსხვავდება სხვა პირების სამართლებრივი დაცვის სტანდარტისგან. საჯარო პირების მიმართ კერძო ცხოვრების შესახებ ინფორმაციის დაცვასთან შედარებით ინფორმაციის თავისუფლებას პრიორიტეტული მდგომარეობა ენიჭება, ვინაიდან საჯარო საქმიანობაზე პრეტენზიის მქონე პირი იმთავითვე ერთგვარ მზადყოფნას აცხადებს მისი კერძო ცხოვრების სფეროში შესაძლო შეღწევაზე (9).

ინფორმაციის თავისუფლების საკითხი გაწერილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა (10) თუ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (19).

სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ „Magyar Helsinki v. Hungary“ საქმეზე, გამოხატვის თავისუფლებასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას შორის ბალანსის გარკვევისას დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. საკითხთან მიმართებაში საუბარია ბალანსზე, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და ინფორმაციის გაცემას შორის უნდა დადგინდეს, რა დროსაც ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ ფაქტორზე როგორცაა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. ასევე, მე-10 მუხლით განსაზღვრულ უფლებასთან მიმართებაში აღინიშნა რომ იგი არ წარმოადგენდა აბსოლიტურ უფლებას და შესაძლებელი იყო მისი შეზღუდვა საკითხის სრულყოფილი შეფასების საფუძველზე (11).

პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი აქტუალურია ყოფილ თანამდებობის პირებთან მიმართებაში არსებული ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლი ადგენს, რომ თანამდებობის პირის, აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის პერსონალური მონაცემები საჯაროა. სზაკ-ი, როგორც მმართველობის სფეროში მონაცემთა დაცვის სპეციალური კანონი, თანამდებობის პირთა მიმართ შეიცავს სპეციალურ რეგულაციას და კოდექსის თანახმად თანამდებობის პირთა მიმართ პერსონალური მონაცემის დაცვის სტანდარტი განსხვავებულია (10). აქვე მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს ყოფილ თანამდებობის პირებთან მიმართებაში ინფორმაციის საჯაროობის სტანდარტი.

4. დასკვნა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის განხილვამ, არსებული გამოწვევების ჭრილში კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა ინფორმაციის მიღების უფლების ეფექტური რეალიზებისთვის ახალი კანონის მიღებისა თუ არსებული სამართლებრივი რეგულაციების ცვლილებების საჭიროება, რომელიც მკაფიო სამართლებრივ რეგულაციებს შექმნის ინფორმაციის გაცემასა და ინფორმაციის დაცვას შორის ბალანსის განსაზღვრისთვის. სტატიაში განხილულია სწორედ რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის დაცვის შეპირისპირების საკითხი, პერსონალური მონაცემების დაცვის ზოგიერთი აქტუალური საკითხის კონტექსტში. არსებული კანონმდებლობის, სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზისა თუ ევროპულ სახელმწიფოთა პრაქტიკის საფუძველზე, ინფორმაციის თავისუფლებისა და ინფორმაციის დაცვას შორის ბალანსის დასადგენად მკაფიო სამართლებრივი სტანდარტის შექმნა უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის, როგორც დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი პრინციპის დაუბრკოლებელ ხელმისაწვდომობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ტურავა პ. 2018. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი: „იურისტების სამყარო“.
2. ტურავა პ., წიკვაძე ნ. 2010. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი.
3. ჩაბრავა ე. ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა, საქართველო, აშშ, გაერთიანებული სამეფო/შოტლანდია, ესტონეთი, შედარებითი ანალიზი. თბილისი. 2012.
4. საქართველო. პარლამენტი. 1995. კონსტიტუციური კანონი: „საქართველოს კონსტიტუცია“. 31-33, 24/08/1995. თბილისი: პარლამენტის უწყებანი N786.
5. ნორმატიული აქტი №2181. 25/06/1999. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.
6. ნორმატიული აქტი N5669-რს. 28/12/2011. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N 1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება. საქმე Nზს-1020(კ-18). 12.09.2019. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx> (04.06.2020)
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება. საქმე Nზს-848(კ-18). 16.01.2020. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx> (04.06.2020).
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება. საქმე Nზს-403-398(კ-14). 23.07.2015. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx> (04.06.2020);
11. https://idfi.ge/ge/european_court_of_human_rights_decision_on_magyar_helsinki_v_hungary;
<https://hudoc.echr.coe.int/eng-press#%20>

Accessibility of Public Information Under Conditions Of Current Limitations and Challenges

Tea Samtchkuashvili

Grigol Robakidze University, Associate professor
teasamchkuashvili@yahoo.com

Abstract. The article deals with the access to public information under conditions of current limitations and challenges that affect the governing process efficiency. Many problems arise in the process of obtaining and providing information, including a controversial practice of using the existing information accessibility regulations, the difficulties associated with the terms of its getting or giving out, etc. All the institutions associated with the provision of public information are obliged to make public information accessible. This is how a transparency- and accountability-based management and more efficient control of the management process and of its outcomes are achieved. Together with accessibility of public information, it is important that the state, commercial, professional secrets or personal data be protected. Accordingly, this article is an attempt to represent the basic aspects of making a normative balance between the information accessibility and interest of information protecting. It is especially urgent against the background of frequent violations of such balance and has a direct relation to the daily business of the mentioned institutions. The gaps around this issue are analyzed and the ways of coping with the problems associated with access to public information are outlined.

Key words: accessibility of public information, management, information protection, transparency, supervision

ოჯახი - სკოლის დისპოზიციის განვითარება და ძალაუფლების ურთიერთგაზიარება

ლანა ყურაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
lanakurashvili@yahoo.com

რეზიუმე. ბავშვის აღზრდასა და სწავლა-განათლებაში მშობლებისა და სკოლის თანამონაწილეობის განვითარების ხაზის შესწავლა არის წარმოდგენილი სტატიის მთავარი არსი. კვლევა მიზნად ისახავს, აღწეროს ისტორიულად როგორ იყო წარმოდგენილი შვილის განათლებაში მშობლების ჩართულობა და სასკოლო განათლების შემოღებასთან ერთად რა ფაქტორებმა განაპირობეს ოჯახსა და სკოლას შორის ძალაუფლების გადანაწილებასთან დაკავშირებული ცვლილებები და რა ფორმა მიიღო ოჯახი-სკოლის თანამშრომლობამ თანამედროვე პერიოდში. კვლევის პროცესში გამოყენებულია ისტორიული და აღწერითი კვლევის მეთოდები. სამაგიდე კვლევის გზით შესწავლილ იქნა მშობელთა ჩართულობაზე არსებული საკანონმდებლო ინიციატივები, საერთაშორისო დოკუმენტაცია, სტატიები, სამეცნიერო ნაშრომები, ანგარიშები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მართალია, ანტიკური პერიოდიდან მშობლები უზრუნველყოფდნენ შვილების განათლების საკითხს, თუმცა, შემდეგ რელიგიისა და სახელმწიფოს ჩართულობით ხდება მშობლის პროცესიდან გამიჯვნა. აღნიშნულ მოცემულობაზე სამეცნიერო სფეროს მხრიდან დიდ განგაშს პოლიტიკის შემქმნელებმა დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ინიციატივებით უპასუხეს და მშობლებს მიეცათ საკუთარი შვილის სწავლა-განათლების პროცესში აქტიური მონაწილეობის სივრცე. გასული პერიოდებისგან განსხვავებით, თანამედროვე პერიოდში ბავშვის სწავლა-განათლებაში მშობლების თანამონაწილეობის პრინციპი დაეფუძნა არა გარედან თავსმოხვეული მიზნების განხორციელების, არამედ თავისუფალი და დამოუკიდებელი პიროვნების ჰარმონიული აღზრდის იდეას.

საძიებო სიტყვები: განათლება, ბავშვის აღზრდა, მშობელთა ჩართულობა, ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობა, მონაწილეობითი დემოკრატია, ძალაუფლების გაზიარება

1. შესავალი

მშობელთა ჩართულობის საკითხი ბავშვის აღზრდის და სწავლა-განათლების საკითხში ოდითგანვე აქტუალური იყო საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მშობლების მხრიდან შვილების განათლებაზე ზრუნვის საკითხები წარმოდგენილია უძველეს ეგვიპტურ, რომაულ, ბერძნულ ცივილიზაციების წყაროებში. ყველა ეპოქისა და პერიოდის განმანათლებლები, მეცნიერები, ფილოსოფოსები აქტიურად განიხილავენ ბავშვის აღზრდასთან და განათლებასთან დაკავშირებულ საკუთარ თეორიებს.

ბავშვის განათლების საკითხთან დაკავშირებით დღის წესრიგში დგება ორი ძირითადი ინსტიტუციის - ოჯახისა და სკოლის დისპოზიციის საკითხი. ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო კვლევები გააქტიურდა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. მეცნიერებმა მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული

კვლევებით წარმოადგინეს სამეცნიერო მიგნებები ბავშვის სწავლა-განათლებაში მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობის, ზემოქმედი ფაქტორების და იმ სარგებლის შესახებ, რომელიც აქვს მშობელთა ჩართულობას როგორც ბავშვისთვის, ასევე ზოგადად, საზოგადოებისთვის. ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის საკითხი აქტუალობას არ კარგავს მიმდინარე პერიოდშიც. მართალია, მნიშვნელოვნად გაიზარდა საკითხის სიღრმისეული კვლევის პრაქტიკა, შემუშავდა და გაუმჯობესდა როგორც საერთაშორისო, ევროპის, ასევე ცალკეული ქვეყნების საკანონმდებლო ბაზები, პრობლემა პრობლემად რჩება და დღემდე მაღალი ინტერესის საგანს წარმოადგენს როგორც სამეცნიერო, ასევე საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელთა მხრიდან.

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს, შეისწავლოს ანტიკური პერიოდიდან დღემდე ოჯახსა და სკოლას შორის ძალაუფლების ურთიერთგაზიარების საკითხი, წარმოადგინოს თანამედროვე პერიოდის ტენდენციები როგორც სამეცნიერო სფეროს, ასევე, საკანონმდებლო და ინსტიტუციური მიმართულებით და დაადგინოს ისტორიულ ჭრილში ოჯახი-სკოლის დისპოზიციის საკითხის განვითარების თავისებურებები და მასზე მოქმედი ფაქტორები. კვლევის პროცესში გამოყენებულია ისტორიული და აღწერითი კვლევის მეთოდები. მონაცემების შეგროვების, ორგანიზების, ანალიზისა და სინთეზის გზით განხორციელდა წარსული მოვლენების ინტეგრირება, შეფასება და დასკვნების გამოტანა. სამაგიდე კვლევის გზით შესწავლილ იქნა მშობელთა ჩართულობაზე არსებული საკანონმდებლო ინიციატივები, საერთაშორისო დოკუმენტაცია, სტატიები, სამეცნიერო ნაშრომები, ანგარიშები.

ნაშრომში თავდაპირველად წარმოდგენილია ბავშვის აღზრდაში ოჯახისა და სკოლის ჩართულობაზე არსებული ისტორიული სურათი, შემდეგ წარმოდგენილია გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული თანამედროვე პერიოდის ჩათვლით სამეცნიერო კვლევების მიმოხილვა, რომელსაც მოჰყვება მიმდინარე პერიოდში საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზებისა და ინსტიტუციური ინიციატივების მიმოხილვა, ბოლოს კი დასკვნის სახით წარმოდგენილია კვლევის შედეგად მიღებული მიგნებები.

2. ოჯახი - სკოლის დისპოზიციის ისტორიული რაკურსი

ანტიკურ პერიოდში მშობლები იყვნენ შვილების მასწავლებლები, რომლებიც ტრადიციებსა და ღირებულებებს გადასცემდნენ თაობიდან თაობას. ექვს წლამდე ბავშვები დედისგან იღებდნენ განათლებას და შემდეგ ბიჭი შვილის განათლების საქმე გადაეცემოდა მამას - რაც ძირითადად გულისხმობდა მამის ქცევის იმიტირებას, ხოლო გოგონების განათლებაზე, სადაც საოჯახო საქმეების სწავლება იგულისხმება, დედები აგრძელებდნენ ზრუნვას.

მოგვიანებით ეგვიპტეში, შემდეგ საბერძნეთსა და რომში კერძო მასწავლებლებისა და სკოლების საშუალებით შეძლებული ადამიანები თავიანთ შვილებს შვიდი წლის ასაკიდან აძლევდნენ განათლებას. რომში კერძო სკოლები ჩნდება ძვ.წ. II საუკუნის შემდეგ, რომელთაც ძირითადად აარსებდნენ მშობლები ან შეძლებული პირები. აღნიშნულ პერიოდამდე რომაელები ხუთი საუკუნის განმავლობაში იბრძოდნენ გადარჩენისთვის, დამოუკიდებლობისთვის და ძალაუფლებისთვის (Smith, 1937:8-9) და სწავლა-განათლება-

ზე ზრუნვის დრო ნაკლებად ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, ბავშვების სწავლება ოჯახებში მიმდინარეობდა მშობლების მიერ. თუმცა, მოგვიანებით არსებული სიტუაცია შეიცვალა, რაზეც გავლენა იქონია გარედან შემოსულმა ტენდენციებმა ბერძნული სასკოლო განათლების სახით.

ბერძნულ საგანმანათლებლო კულტურას ახასიათებენ როგორც „პაიდეას“ ცივილიზაციას, რომელიც პიროვნების აღზრდის კონტექსტში ბერძნების მიდგომას წარმოაჩენს (გოგატიშვილი, 2018). იგი მიზნად ისახავდა მაღალი რანგის ადამიანის ჩამოყალიბებას - ადამიანის ბუნების, გემოვნების ჩამოყალიბებას, სხეულის, გონების და წარმოსახვის განვითარებას - და ეს ყველაფერი მიზანმიმართული იყო უკეთესი ათენელების შესაქმნელად. პლატონის სახელმწიფოში ჩამოყალიბებული განათლების კონცეფცია, უპირისპირდებოდა ტრადიციულ ბერძნულ განათლების სისტემას, რომელიც მიმართული იყო კონკრეტულ ინდივიდებზე და მშობლების სურვილით წყდებოდა სწავლა-განათლებასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნულ პერიოდში, შეძლებული მშობლები იხდიდნენ ფულს შვილის განათლებაში და შესაბამისად, მშობლები დიდი ძალაუფლებით იყვნენ წარმოდგენილები. პლატონი კატეგორიულად უპირისპირდებოდა ძველ საბერძნეთში მშობლებისთვის ბავშვების სწავლა-განათლების საკითხში მიცემულ თავისუფლებას. პლატონი მოუწოდებდა სახელმწიფოს, საკუთარ თავზე აეღო განათლებაზე პასუხისმგებლობა და არ დაეტოვებინა იგი კერძო პირების ინტერესის საგნად. პლატონი თვლიდა, რომ განათლება უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს უმაღლესი ფუნქცია. უფრო მეტიც, იგი მიიჩნევდა, რომ ბიჭი შვილი სახელმწიფოს საკუთრება უფრო იყო, ვიდრე მშობლის და შესაბამისად, სახელმწიფოს უნდა ეზრუნა მასზე (Bloom, 1968). კვინტილიანეც თვლიდა, რომ სახელმწიფო სკოლა იყო აუცილებელი ინსტიტუტი საგანმანათლებლო პროცესისთვის და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ოჯახში განათლება. არისტოტელეს „Scheme of Education“ მიხედვით განათლება უნდა იყოს მიმართული მხოლოდ „Best State“ შესაქმნელად და ისიც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ განათლების საკითხის მშობლებისთვის მინდობის და მშობლების სურვილის მიხედვით შვილების განათლების საკითხს (Newman, 2010).

ბავშვის აღზრდაში ანტიკური პერიოდის პრაქტიკას მოჰყვება რელიგიური მიმდინარეობების გაჩენის პერიოდი, როცა რელიგიამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა აღნიშნული საკითხის განვითარებისა და ფორმირების მიმართულებით. რელიგიასა და განათლებას შორის ოდითგანვე მჭიდრო კავშირი დამყარდა. ქრისტიანი მამები იწოდებოდნენ მასწავლებლებად/მოდერებად, ცოდნის გამავრცელებლებად, რომლებიც რელიგიური დოქტრინის ცნებებს ამკვიდრებდნენ თავიანთ მიმდევრებში. ქრისტიანული რელიგია იმთავითვე დაუკავშირდა განათლებას, სადაც მკაფიოდ განისაზღვრა კონკრეტული შეხედულებები ბავშვის აღზრდის და მისი განვითარების საკითხებზე, სადაც ოჯახს და მშობელს უმთავრესი ფუნქცია დაეკისრა. მაგალითად, ქრისტიანულ რელიგიაში ბავშვი ითვლება უფლის საჩუქრად და მასზე ზრუნვა მშობლების უპირველეს მოვალეობად. ბუდიზმში ბავშვი ითვლება ადამიანის მთავარ საგანძურად. ისლამში როგორც მამის, ასევე დედის როლი შვილის განათლების საკითხში განსაკუთრებით მაღალია. იუდაიზმის მიხედვით კი ოჯახი არის ბავშვის მორალური განვითარების ბაზა, სადაც ოჯახი

მოხსენიებულია, როგორც მთავარი საგანმანათლებლო ინსტიტუცია და სადაც მამის უმთავრესი მოვალეობა არის შვილებისთვის თორას სწავლება.

აღსანიშნავია კონფუციუსის კულტურული მემკვიდრეობის ქვეყნებში არსებული გამოცდილება, სადაც ფიქსირდება მშობელთა მაღალი ჩართულობა შვილის განათლების საკითხებში, მშობლების მაღალი პასუხისმგებლობა, სკოლის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება, მასწავლებლის მაღალი სტატუსი, შრომისუნარიანობა, სკოლასა და მშობელს შორის მჭიდრო თანამშრომლობა. კონფუციუსის მიხედვით განათლება არის სოციალური სტატუსისა და მატერიალური წარმატებისკენ მიმავალი გზა, რომელიც ეფუძნება მორალურ და იერარქიულ ჰარმონიას. აღნიშნულ კულტურაში განათლება ითვლება ოჯახის საქმედ. შვილის აკადემიური წარმატება-წარუმატებლობა კი ოჯახის მარცხად და ტრიუმფად მიიჩნევა.

მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის გამოცდილება აღნიშნული მიმართულებით, რადგან მიჩნეული იყო, რომ საბჭოთა კავშირს მაღალ დონეზე ჰქონდა განვითარებული, როგორც სასკოლო განათლების სისტემა, ასევე ბავშვების ოჯახური და სასკოლო აღზრდის საკითხები. საბჭოთა კავშირში ტრადიციულად ბავშვებს საზოგადოებისა და ოჯახის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდათ, ვინაიდან ისინი ითვლებოდნენ ოჯახის უკეთესი მომავლის იმედად და სოციალისტური მომავლის გარანტორებად. აქედან გამომდინარე, ბავშვებს ეპყრობოდნენ კარგად და ზრდიდნენ პოლიტიკურ მოტივებზე. ტრადიციული საბჭოთა პედაგოგიკა მიმართავდა ბავშვის აღზრდის იმ მეთოდს, რომელიც ამლიერებდა ტოტალიტარულ სოციალისტურ საზოგადოების ღირებულებებს. საბჭოთა კავშირი თავის მაღალ დონეზე გაკონტროლებული განათლების და სოციალიზაციის სისტემის საშუალებით ახდენდა საზოგადოების ცნობიერებაში შეჭრას და იდეოლოგიურად ინდოქტრინებული ადამიანის ჩამოყალიბებას ახალი საზოგადოების შექმნის მიზნით. შესაბამისად, სასკოლო და საოჯახო აღზრდა სრულად ექვემდებარებოდა საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიზირებულ სულისკვეთებას.

ზოგადად, ევროპაში სავალდებულო მასობრივი სასკოლო განათლების შემოღებას მოჰყვა ოჯახი-სკოლის დისპოზიციის მნიშვნელოვანი ცვლილებება. მასობრივი უფასო განათლების შემოღებით სახელმწიფო ინტერესები იკავებს უპირატეს ადგილს ბავშვების სწავლა-განათლების საკითხში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში მეფეებს სჭირდებოდათ სახელმწიფოსადმი ერთგულებისა და პატრიოტიზმის გრძნობებით გამსჭვალული ადამიანები, რომელთაც ისინი გამოიყენებდნენ საბრძოლო მოქმედებების დროს. შესაბამისად, განათლება მნიშვნელოვან იარაღად იქცა სახელმწიფოსთვის და დიდი ინტერესის საგნადაც, რომლის შედეგად, უკვე სახელმწიფომ აიღო მასზე პასუხისმგებლობა. ამერიკაშიც, თუკი XIX საუკუნის დასაწყისში სკოლები ძირითადად კონტროლდებოდა მშობლების, თემის და ეკლესიების მიერ, სავალდებულო განათლების შემოღებასთან ერთად მოხდა პასუხისმგებლობის სახელმწიფოზე გადაცემა.

ბავშვების აღზრდის საკითხის განვითარების ხაზი გვიჩვენებს, რომ ანტიკურ პერიოდში მშობლები უზრუნველყოფდნენ შვილების განათლების საკითხს, შემდეგ კერძო მასწავლებლებისა და სკოლების მონაწილეობით დაიწყო მშობლისგან საკუთარი ფუნქციების მათთვის გადაცემის პროცესი. მოგვიანებით საკუთარი მძლავრი ზემოქმედების ფორმე-

ბით შემოდის რელიგია ბავშვის აღზრდის და მშობლის როლის განსაზღვრის მიმართულებით. ხოლო სახელმწიფოების წარმომობასთან ერთად უკვე სახელმწიფო ინსტიტუტები იღებს საკუთარ თავზე ბავშვის განათლების საკითხებს და პასუხისმგებლობა მშობლისგან გადადის სახელმწიფოზე.

3. მშობელთა ჩართულობის მეცნიერული ბუნება

სახელმწიფოს გააქტიურებით და საყოველთაო საგანმანათლებლო სისტემის შემოღებით სკოლებმა მოიპოვეს უპირატესობა ბავშვების სწავლა-განათლების საკითხში. შესაბამისად, შეიცვალა ბავშვის სწავლა-განათლების საკითხში მანამდე არსებული ოჯახისა და სკოლის დისპოზიცია. არსებობს შეხედულება, რომ XX საუკუნეში მასწავლებლობის, როგორც პროფესიად ჩამოყალიბებამ გამოიწვია მშობლების მარგინალიზაცია. Adams & Christenson (1999) მიუთითებენ ამერიკის მაგალითზე, რომ მეორე მსოფლიო ომამდე სკოლა იყო საზოგადოების ბუნებრივი ნაწილი, ხოლო ომის შემდგომ სწავლების პროფესიონალიზაციამ გამოიწვია ამ ახლო კავშირის რღვევა და სკოლის და სახლის დაშორება. XX საუკუნის შუა პერიოდში მნიშვნელოვნად ნაკლები ყურადღება ეთმობოდა მშობლის როლს სასკოლო ცხოვრებაში. Dom & Verhoeven (2006) აღწერს, რომ დიდ ბრიტანეთში 1966 წელს იყო შემთხვევები, როცა სკოლის საზღვარი ცარცით იყო შემოხაზული, რომლის იქით გადასვლა მშობლებს არ შეეძლოთ. ითვლებოდა, რომ მშობლებს და მასწავლებლებს სხვადასხვა საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი (Dom & Verhoeven, 2006).

აღსანიშნავია, რომ სკოლისა და ოჯახის დისპოზიციის საკითხი მნიშვნელოვანი სამეცნიერო განხილვის საგნად 1970-იანი წლებიდან იქცა. აღნიშნული პერიოდიდან ჩნდება მშობელთა ჩართულობის ცნება და იწყება საერთაშორისო დებატები მშობელთა ჩართულობასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად (Bennett, 2015). აღნიშნულ საკითხზე სამეცნიერო კვლევების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება და (Castelli and Pepe, 2008) კვლევის შედეგად დადგენილია, რომ 1966 წელს მშობელთა ჩართულობაზე დაწერილ ყოველ სტატიაზე 2007 წელს ოცდათხუთმეტი სტატია მოდიოდა.

მშობელთა ჩართულობაზე მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ამერიკელი მკვლევარი ჯოის ეფშტენი ასახელებს იმ მიზეზებს, რამაც გამოიწვია საკითხის აქტუალობა. იგი მიუთითებს, რომ სოციალური ცვლილებებიდან გამომდინარე, სკოლების მხრიდან მეტი ანგარიშგების საკითხის დაყენებასთან, მშობლების მიერ შვილების უკეთესი განათლების მოთხოვნასთან და სასკოლო ცხოვრებაში მეტი ჩართულობის ინიციატივასთან ერთად ოჯახის-სკოლის თანამშრომლობის საკითხი ბოლო ათწლეულებში აქტიურად დადგა დღის წესრიგში (Epstein, 2010). ეფშტენი სოციალური ცვლილებების ოთხ ძირითად ტენდენციას ასახელებს: 1. უმაღლესი განათლების მქონე დედეების რაოდენობის მატება, 2. შვილებზე მზრუნველობის გაძლიერება, 3. სახელმწიფო რეგულაციების და მშობელთა ჩართულობაზე აქცენტის გაძლიერება, 4. ოჯახის სტრუქტურის ცვლილება - დედეების სამსახურებში დასაქმება და მარტოხელა მშობლების რაოდენობის მატება. ასევე, მნიშვნელოვანია ის მოცემულობა, რომ ინფორმირებულობის დონის მატების შედეგად სკოლები და მასწავლებლები აღარ არიან სწავლის და განათლების მონოპოლისტები საზოგადოებაში და არც

მშობლები ანდობენ ბრმად შვილის განათლების საკითხს კონკრეტულ ინდივიდებს თუ ინსტიტუციებს (Bennett, 2015). Lareau (1987) გამოყოფს ამერიკაში ოჯახი-სკოლის თანამშრომლობის სამ ეტაპს: პირველი, როცა ოჯახური ცხოვრება და ბავშვების განათლება იყო ერთმანეთთან მჭიდროდ გადაჯაჭვული, მეორე, როცა შემოვიდა საყოველთაო სწავლების სისტემა და მშობლები დამხმარეების როლში იყვნენ წარმოდგენილი და მესამე და თანამედროვე პერიოდი, როცა მშობლები მონაწილეობენ შვილების კოგნიტური განვითარების პროცესში სახლში და აგრეთვე სასკოლო ცხოვრებაში.

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა შესწავლილია სამეცნიერო კვლევებით და დადასტურებულია მისი დადებითი გავლენა მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე და მის წარმატებებზე. Henderson & Mapp (2002) 51 კვლევის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ არსებობს პოზიტიური და დამაჯერებელი კავშირი მშობელთა ჩართულობას და მოსწავლეთა სარგებელს შორის გაუმჯობესებული აკადემიური მოსწრების სახით. მშობელთა ჩართულობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასევე ბავშვის ემოციურ განვითარებასა და ქცევაზე, სოციალურ უნარებზე და სკოლაში დასწრებაზეც (Cai et al. 1997). მეცნიერები მშობელთა ჩართულობის სარგებელს ხედავენ არა მხოლოდ აკადემიურ მიღწევებში, არამედ, ასევე წიგნიერებასთან, მოტივაციასთან და ქცევასთან მიმართებაში. Muller (2009) აღნიშნავს, რომ მოსწავლის აკადემიური მიღწევები არ არის მშობელთა ჩართულობის ერთადერთი საზომი: „პარტნიორობას ორი მიმართულებით აქვს სარგებელი: ინდივიდის მიმართულებით მის მიერ კოგნიტური და არაკოგნიტური უნარების გამომუშავებით და ფართო საზოგადოების მიმართულებით - სოციალური კაპიტალის განვითარებით“ (Muller, 2009:16).

მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა დადასტურებულია თანამედროვე საგანმანათლებლო თეორიებით. განათლების ჰოლისტური მიდგომით განსაზღვრულია მშობელთა ჩართულობის აუცილებლობა პიროვნების ჰარმონიული განვითარებისთვის. ჰუმანისტური თეორიის, კონსტრუქტივიზმისა და პრაგმატიზმის ფილოსოფიური ხედვებითაც აღიარებულია მოსწავლის უნიკალურობა, მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების აუცილებლობა, თავისუფალი და დამოუკიდებელი პიროვნების აღზრდის მნიშვნელობა ბავშვის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. მიმდინარე ეპოქის თეორიები ორიენტირებულია არა რომელიმე სახელმწიფო წყობისა თუ მართვის სისტემის, არამედ ინდივიდის ინტერესების დაცვისკენ, მისი ჰარმონიული განვითარებისკენ.

მსოფლიოს მასშტაბით ბოლო ათწლეულების მანძილზე ჩატარებული კვლევების შედეგად დასტურდება ბავშვის აღზრდის და სწავლა-განათლების საკითხში მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა, სადაც ნათლად არის წარმოდგენილი ოჯახის ჩართულობის სარგებელი ბავშვისთვის და ზოგადად, საზოგადოებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერთა შრომები და კვლევა-ძიებები, მიმართულია პიროვნების ფორმირებაში ოჯახის და სკოლის თანამონაწილეობაზე, სადაც აქცენტი კეთდება თავისუფალ და დამოუკიდებელ პიროვნების აღზრდაზე და არა რომელიმე კერძო პირის, სახელმწიფოს თუ რელიგიურ ინტერესებზე დაქვემდებარებულ, მორჩილ ადამიანის ფორმირებაზე. სწორედ აღნიშნული ფაქტორით გამოირჩევა ბავშვის აღზრდაში მშობლის ჩართულობის თანამედროვე ხედვა გასული საუკუნეების მიდგომებისგან.

4. საკანონმდებლო ბაზა და ინსტიტუციური მოწყობა

სამეცნიერო წრეებში მშობელთა ჩართულობის ირგვლივ საერთაშორისო მასშტაბით არსებული ინტერესის ზრდამ საფუძველი ჩაუყარა სკოლაში მშობლის ფუნქციების და პასუხისმგებლობების შესახებ საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი მშობელთა როლზე სკოლაში არის ამერიკის შეერთებულ შტატებში - Coleman Report 1966 და დიდ ბრიტანეთში - Plowden Report 1967. ამერიკასა და ევროპაში ქვეყნების დემოკრატიული მართვის მოდელის შემოღებასთან ერთად განხორციელდა საგანმანათლებლო სისტემის გარდაქმნა დემოკრატიული პრინციპების მიხედვით (Dewey, 1916). მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მშობელსა და სკოლას შორის ურთიერთობა ბოლო ათწლეულების მანძილზე ისევე შეიცვალა, როგორც შეიცვალა მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა (Vincent and Martin, 2002). მშობელთა ჩართულობის საკითხი მონაწილეობითი დემოკრატიის პრინციპებს დაეფუძნა. Pateman (1970) მონაწილეობით დემოკრატიას ახასიათებს, როგორც მაქსიმალური ჩართულობა, რომლის შედეგი არის არა მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილება, არამედ თითოეული ინდივიდის სოციალური და პოლიტიკური კაპიტალის განვითარება (Pateman, 1970:43). Ball (1998) განათლების რეფორმის „ახალი თეორიის“ ერთ-ერთ ელემენტად სკოლაში საზოგადოების ჩართულობას ასახელებს. განათლების სისტემის ფორმალურ სტრუქტურებში მშობელთა ჩართულობა ძირითადად 1970-იანი წლებიდან შეიმჩნევა, თუმცა გერმანიაში, საფრანგეთში, ლუქსემბურგში, ავსტრიაში, ფინეთსა და ნორვეგიაში ეს პროცესი უფრო ადრე დაიწყო (EURYDICE, 1997). წარმომადგენლობითი და მონაწილეობითი დემოკრატიის პრინციპებთან ერთად საგანმანათლებლო სისტემაში დამკვიდრდა ნეო-ლიბერალური მიდგომები, რომლითაც, საბაზრო მოთხოვნებიდან გამომდინარე, საზოგადოება სკოლის საქმიანობის მომხმარებლად განისაზღვრა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა სკოლასა და ოჯახს შორის ანგარიშვალდებულების საკითხი.

ზემოთ მოცემული დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე ინსტიტუციურ დონეზე დაიწყო რეფორმების განხორციელება. ევროპის ყველა ქვეყანაში საკანონმდებლო დონეზე გათვალისწინებულ იქნა მშობელთა წარმომადგენლობითობა მენეჯმენტსა თუ საკონსულტაციო ჯგუფებში. ასევე, ყველა ქვეყანაში წარმოდგენილია მშობელთა ასოციაციები, რომელთაც აქვთ ხმის უფლება სკოლის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში (EURYDICE, 1997). აღსანიშნავია, რომ ამერიკაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული კვლევების შედეგად აქტიურად დაისვა საკითხი მშობელთა ჩართულობის დამატებითი საქმიანობიდან სკოლის სისტემური რეფორმის უმთავრეს კომპონენტად გარდაქცევის შესახებ. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი სახელმწიფო პოლიტიკის რეფორმა უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქნა მიჩნეული. ამერიკაში სახელმწიფო პროგრამა ავალდებულებს სკოლებს ჰქონდეთ მშობელთა ჩართულობის პროგრამები, რომელშიც მშობლები წარმოდგენილი იქნებიან როგორც პარტნიორები.

1997 წელს EURYDICE-ს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში „მშობლების როლი ევროკავშირის განათლების სისტემაში“ უჩვენებს, რომ მშობლები ევროპის მასშტაბით მნიშვნელოვნად ჩართულები არიან განათლების მენეჯმენტის პროცესებში საკონსულტაციო და ზოგჯერ

გადაწყვეტილების მიღების დონეზე. 1990-იანი წლების საკანონმდებლო და საგანმანათლებლო რეფორმებმა ბევრ ქვეყანაში ახალი საფუძველი ჩაუყარა მშობელთა ჩართულობას განათლების სისტემაში. აღსანიშნავია ესპანეთში, ირლანდიაში, ისლანდიაში, შვედეთში, ავსტრიაში, შოტლანდიასა და სხვა ქვეყნებში განხორციელებული საკანონმდებლო ინიციატივები მშობლების ჩართულობის შესახებ (EURYDICE, 1997). 1996 წელს ევროპის მშობელთა ასოციაციის და ევროპის განათლების კომიტეტის სინდიკატების მიერ ხელმოწერილი კოპენჰაგენის დეკლარაციის მიხედვით მშობლებს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის თანამშრომლობა განისაზღვრა მაღალი ხარისხის განათლების აუცილებელ ფაქტორად.

ევროპაში მშობელთა უფლებებისა და პასუხისმგებლობების დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ მშობელს აქვს უფლება აღიარებულ იქნეს, როგორც შვილის უპირველეს და ყველაზე მნიშვნელოვან მასწავლებლად, რომ მას აქვს სრული ხელმისაწვდომობა ფორმალურ განათლებასთან და აქვთ ვალდებულება ითანამშრომლონ სკოლასთან. ამავდროულად, მშობლებს აქვთ უფლება, ჩაერიონ სკოლის პოლიტიკის განსაზღვრის საკითხებში და შეუძლიათ შექმნან და მართონ დემოკრატიული წარმომადგენლობითი ორგანოები საკუთარი ინტერესების დასაცავად.

სასკოლო განათლების ხარისხთან დაკავშირებით ევროსაბჭოს კომისიის 2000 წლის ანგარიშითაც აღიარებულია მშობლების უმთავრესი როლი სკოლაში ბავშვის ინტელექტუალური და ემოციური განვითარების და კეთილდღეობის უზრუნველყოფის პროცესში. დოკუმენტში გათვალისწინებულია სოციალური ცვლილებით განპირობებული გამოწვევები ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის მიმართულებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სკოლას ბავშვების და მშობლების ცხოვრებაში. სკოლა ითვლება არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ ბავშვზე მზრუნველ დაწესებულებად. ევროპის საბჭო მხარს უჭერს სკოლაში მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების მჭიდრო თანამშრომლობის გაძლიერებას აქტიური მოქალაქეების აღსაზრდელად და დემოკრატიული კულტურის განვითარების მხარდასაჭერად.

მშობელთა ჩართულობის შესახებ არსებული დოკუმენტებიდან აღსანიშნავია: ამერიკის შეერთებულ შტატებში - მიზნები 2000: ამერიკის განათლების აქტი 1994, არც ერთი ბავშვი განათლების მიღმა 2001 და ინგლისში - განათლების აქტი 1988, სკოლის სტანდარტების აქტი 1998. მშობელთა ჩართულობის საკითხის აქტუალობა წარმოდგენილია შემდეგ ევროპულ და საერთაშორისო დოკუმენტებში: ევროსაბჭოს სამუშაო დოკუმენტი XXI საუკუნის სკოლების შესახებ 2007; ევროპის მშობელთა ასოციაციის მიერ მიღებული მშობელთა უფლებებისა და პასუხისმგებლობების დოკუმენტი 2008; მშობელთა ჩართულობა PISA ქვეყნებსა და ეკონომიკაში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია 2012.

სასკოლო ცხოვრებაში ბავშვის სწავლა-განათლების და აღზრდის საკითხებში მშობელთა ჩართულობაზე ერთი მხრივ სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელთა განგაშმა და მეორე მხრივ, დემოკრატიული ღირებულებების და ნეო-ლიბერალური მიდგომის საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრებამ ხელი შეუწყო სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის შესახებ ინსტიტუციურ და საკანონმდებლო დონეზე ინიციატივების განხორციელებას.

განსაზღვრულ იქნა მშობლების ჩართულობა სკოლის საკონსულტაციო და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, რომლითაც განხორციელდა სკოლასა და ოჯახს შორის კავშირის ახლებური ფორმების შემოღება და მშობელთა როლის გაძლიერება.

5. დასკვნა

ბავშვების აღზრდის საკითხის განვითარების ხაზი გვიჩვენებს, რომ ანტიკურ პერიოდში მშობლები უზრუნველყოფდნენ შვილების განათლების საკითხს, შემდეგ კერძო მასწავლებლებისა და სკოლების მონაწილეობით დაიწყო მშობლისგან საკუთარი ფუნქციების მათთვის გადაცემის პროცესი. მოგვიანებით საკუთარი მძლავრი ზემოქმედების ფორმებით შემოვიდა რელიგია. სახელმწიფოების წარმოშობასთან ერთად უკვე სახელმწიფო ინსტიტუციებმა აიღო საკუთარ თავზე ბავშვის განათლების საკითხები.

ოჯახისა და სკოლის დისპოზიციის ერთმანეთისგან განსხვავებულ ფორმებს ვხვდებით სხვადასხვა ეპოქებში, ცივილიზაციებში, რელიგიებსა თუ სახელმწიფო მართვის პირობებში. თითოეული მიმდინარეობა, მართვის სისტემა თუ ეპოქა საკუთარ ამოცანებს უსახავდა განათლებას და აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი ექცეოდა კონკრეტული მიზნების, თვით საოჯახო მიზნების გავლენის ქვეშ. შესაბამისად, საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა ბრძოლა ბავშვების განათლებაზე ძალაუფლების მოპოვებასა და ურთიერთგაზიარებაზე.

თანამედროვე პერიოდში, ბავშვის აღზრდის და სწავლა-განათლების საკითხში მშობელთა ჩართულობის შესახებ, სამეცნიერო წრეებში არსებული ინტერესის ზრდამ საფუძველი ჩაუყარა სკოლაში მშობლის ფუნქციების და პასუხისმგებლობების შესახებ საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის საკითხი დემოკრატიულ ღირებულებებსა და ნეო-ლიბერალური მიდგომებს დაექვემდებარა. შესაბამისად, მონაწილეობითობის, წარმომადგენლობითობის, ანგარიშვალდებულების პრინციპებიდან გამომდინარე, განხორციელდა სკოლის ფორმალური სტრუქტურების გარდაქმნა და მშობელთა ჩართვა საკონსულტაციო თუ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში. თუმცა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გამოარჩევს თანამედროვე ეპოქას გასული საუკუნეებისგან, ეს არის საგანმანათლებლო თეორიების ორიენტირება, არა რომელიმე გარეშე ინტერესებსა და მიზნებზე, არამედ უშუალოდ ბავშვზე, რომლითაც აღირებულია მოსწავლის უნიკალურობა, ინდივიდუალიზმი, პირადი ინტერესები, შესაძლებლობები და ამავდროულად, პიროვნების ჰარმონიული განვითარების ჰოლისტური მიდგომები.

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადეთ, დაგვედგინა, რომ ბავშვის აღზრდაში მშობლის მონაწილეობის ხარისხი და როლი იცვლებოდა სხვადასხვა ცივილიზაციების, რელიგიების, სახელმწიფო წყობისა თუ მართვის სისტემების მიხედვით და ყველა მათგანი მიმართავდა საკუთარი, გარეშე მიზნების თავსმოხვევის პრაქტიკას. შესაბამისად, ოჯახისა და სკოლის დისპოზიციის საკითხი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა საუკუნეების მანძილზე. თუმცა, თანამედროვე პერიოდში, ბავშვის ფენომენის გაძლიერებით და მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების გაბატონებით, განხორციელდა სკოლისა და ოჯახის

ინტერესების ურთიერთგადაკვეთა და განისაზღვრა სკოლისა და ოჯახის საერთო ინტერესი თავისუფალი პიროვნების აღზრდის და ბავშვის ჰარმონიული განვითარების სახით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგატიშვილი მ. (2018). თავისუფალ ხელოვნებათა ქრისტიანული იკონოგრაფია. თანამედროვე უნივერსიტეტის მისია. ახალი საქართველოს უნივერსიტეტი, კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივი, 1:78-104.
2. Adams K. and Christenson S. (2000). Trust and the family-school relationship, Examination of parent-teacher differences in elementary and secondary grades. *Journal of School Psychology, 38(5): 477-497*. Quoted in Bennett, B. (2015). *Policies and practices of parental involvement and parent-teacher relations in Irish primary education: a critical discourse analysis*. University College Dublin. School of Education. <http://dissertations.umi.com/ucd:10042>
3. Ball S.J. (1998). Big Policies, Small World: An introduction to international perspectives in education policy. *Comparative Education, 34(2): 119-130*.
4. Bennett B. (2015). *Policies and practices of parental involvement and parent-teacher relations in Irish primary education: a critical discourse analysis*. University College Dublin. School of Education. <http://dissertations.umi.com/ucd:10042>
5. Bloom A. (1968). *The Republic of Plato*. USA, BasicBooks.
6. Cai J., Moyer JC and Wang N. (1997). Parental roles in students' learning of mathematics, Paper presented at the Annual Meeting of the American Educational Research Association (Chicago).
7. Castelli S. and Pepe A. (2008). School-parents relationships: a bibliometric study on 40 years of scientific publications. *International Journal of Parents in Education, 2 (1): 1-12*.
8. Dewey J. (1916). [2001] *Democracy and Education*. Pennsylvania State University.
9. Dom L. and Verhoeven J. (2006). Partnership and conflict between parents and schools: How are schools reacting to the new participation law in Flanders. *Journal of Education Policy, 21(5): 567-597*.
10. Epstein J.L. (2010). *School, Family, and Community Partnerships: Preparing educators and improving schools*. Westview Press, Colorado. Quoted in Government of South Australia. *Towards Best Practice in Parent Involvement in Education: A literature review*. Savelsberg University of South Australia. 2014.
11. European Commission, Directorate-General for Education and Culture. May 2000. *European Report on the Quality of School Education: Sixteen Quality Indicators*.
12. European Parents' Association (2008) *Charter of the Rights and Responsibilities of Parents in Europe*.
13. Eurydice (1997). *The Role of Parents in the Education Systems of the European Union*. Brussels: European Unit of Eurydice.
14. Government of South Australia (2014). *Towards Best Practice in Parent Involvement in Education: A literature review*. Savelsberg University of South Australia.
15. Henderson A.T. and Mapp K.L. (2002). *A New Wave of Evidence: The Impact of School, Family, and Community Connections on Student Achievement*. Austin: National Center for Family and Community Connections with Schools SEDL.
16. Lareau A. (1987). Social Class Differences in Family-School Relationships: The Importance of Cultural Capital. *Sociology of Education, 60(2): 73-85*.
17. Muller D. (2009). *Parental Engagement: Social and Economic Effects*. Australian Parents Council, Launceston, Australia.
18. National Center for Educational Statistics (1966). *Coleman Report. Equality of Educational Opportunity* (Washington).
19. Newman W.L. (2010). *The Politics of Aristotle: With an Introduction. Two Prefatory Essays and Notes*. Cambridge University Press. (Accessed via Ebook Library, 17.03.2020).

20. Organisation for Economic Co-operation and Development, Working Papers, No 73. 2012. Parental Involvement in Selected PISA Countries and Economies.
21. Pateman C. (1970). *Participation and Democratic Theory*. Cambridge, Cambridge University Press.
22. A Report of the Central Advisory Council for Education (1967) the Plowden Report (England).
23. Smith N.S. (1937). *An Examination of the Educational Theories and Practices of Quintilian for the Elementary and Secondary Schools in the Light of Modern Educational Theories*. Atlanta, Georgia.
24. Vincent C. and Martin J. (2002). *Class, Culture and Agency: Researching parental voice, Discourse: Studies in the Cultural Politics of Education*, 23(1):108-127. Quoted in Government of South Australia. *Towards Best Practice in Parent Involvement in Education: A literature review*. Savelsberg University of South Australia. 2014.

The Development of Family - School Disposition and Power Sharing

Lana Kurashvili

Grigol Robakidze University, PhD student

lanakurashvili@yahoo.com

Abstract. The article examines the formation of family-school collaboration issues in the children's upbringing and educational processes. Parents' participation in children's education and share of power between family and school is one of the most discussed themes in various stages of social development. Parent involvement has become the subject of thorough examination from the contemporary scientists and with a number of scientific works; they have proved the benefits of parent involvement on children's academic performance as well as on the whole society. The aim of the paper is to study comprehensively family-school power sharing practice from the antique era until the modern period, to highlight the leading modern trends in scientific also in legislative and institutional fields, in order to explore the core characteristics and the factors influenced on the formation of family-school disposition practices. Using the historical and descriptive research methods, there has been collected, analyzed and synthesized the information, examined the ongoing phenomena, while with a document analysis methodology, European and International legislative documents are reviewed for making the appropriate findings. The investigation has revealed that parents, being the teachers of their children in the antique period, have lost their power in different civilizations, religions, political systems and societies. Children's education issue has become one of the main tools for religions and state policies to accomplish their own goals and therefore, the mentioned institutions interfered in the natural entity of family. Moreover, they remarkably excluded parents from the educational processes. Subsequently, contemporary scientists had raised a voice against the mentioned practice and policy makers have responded with a number of legislative and institutional reforms in the field. Parents have been recognized as important stakeholders in a child education and under the democratic principles; they are represented in school management bodies. Besides, one of the most important things that distinguish the ongoing family-school disposition practice implies in the educational theories leading the contemporary educational thinking in the world. These are student-centered and holistic education principles, where it is highly recognized a student's personality, its independence, capabilities, interests, motivations and the importance of parent involvement. The mentioned tendencies of increasing the children's phenomena and developing the student-centered education system, gave rise to the development of a new form of family-school disposition based on the mutual interests regarding the harmonious development of a child's personality.

Key words: Education, parent involvement, children upbringing, family-school collaboration, participatory democracy, power sharing

საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის აღმოცენების
პირობები და თავისებურებები

გიორგი მომცელიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
g.momtselidze@gruni.edu.ge

რეზიუმე. პოლიტიკურ პროცესებში განსხვავებულ პოზიციათა დაფიქსირებამ, ახალგაზრდობის მხრიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მასშტაბების ეტაპობრივმა ზრდამ, განაპირობა ახალგაზრდული ხასიათის საზოგადოებრივი სისტემების ფორმირება, დაწყებულია რა ფორმალური და არალეგალური წრეებიდან და ჯგუფებიდან - დღევანდლობამდე, არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციების და ორგანიზაციათა გაერთიანებების ჩათვლით. ახალგაზრდული პოლიტიკა და საკუთრივ ახალგაზრდობის ქმედითუნარიანობა ყოველთვის აისახებოდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში, რაც ხშირ შემთხვევაში უკავშირდებოდა, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ასევე გლობალურ სახელმწიფოებრივ გარდაქმნებს. სახელმწიფო პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და ექცევა ახალგაზრდული საზოგადოებრივი სისტემების ფორმირებას, მათ სამართლებრივ, პოლიტიკურ და მართვის თვალსაზრისით რეგულირებას, საზოგადოების ფართო წრეებთან ახალგაზრდობის იდეურ და ფუნქციურ სისტემატიზაციას, როგორც ეროვნულ დონეებზე, ასევე საერთაშორისო ასპარეზზეც. სტატიის მიზანია გამოვავლინოთ საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის საწყისები. თუ როგორ პირობებში ვითარდებოდა იგი და როგორი იყო მისი სპეციფიკა. სტატიაში წარმოდგენილია ქართული ახალგაზრდული პოლიტიკა რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. აღნიშნული პერიოდის მკვლევართა ნაშრომების დიდი ნაწილი, გამოქვეყნებულია საბჭოეთის მმართველობის პერიოდში, მათ რომ დაეკმაყოფილებინათ ცენზურის ინტერესები, ნაკლები გულახდილობითაა გადმოცემული ის სინამდვილე, რაც არსებობდა XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში. აქედან გამომდინარე, სანდობისა და ვალიდურობის თვალსაზრისით სტატიაში განხილულია საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული მასალები, ასევე იმ პერიოდის ჟურნალ-გაზეთები. მათი ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის აღმოცენების პირობები და თავისებურებები. კონტენტ ანალიზის საშუალებით მოხდა საერთო დასკვნების გაკეთება. მასალების სიღრმისეული შესწავლიდან გამოიკვეთა, რომ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნისთვის, ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, დემოკრატიული პრინციპებისთვის, ქართველ ახალგაზრდებს უდიდესი წვლილი მიუძღვის. აღნიშნული სტატიის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მეცნიერულად დასაბუთებულია ახალგაზრდული პოლიტიკის გავლენა მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან 1918 წლამდე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.

სამიეზო სიტყვები: ახალგაზრდობა, ახალგაზრდული პოლიტიკა, ცარისტული რეჟიმი

1. შესავალი

რა გვამდევს იმის საფუძველს, რომ საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის სათავეები ვეძებოთ XIX საუკუნის 70-90 წლებში? რუსეთის მიერ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების თანდათანობით დაპყრობის პროცესში ქართველი ხალხის

ეროვნული კონსოლიდაცია თავდაპირველად ფეოდალურ ურთიერთობათა საფუძველზე მიმდინარეობდა. მაგრამ ბატონყმობის გაუქმებისა და კაპიტალისტური წყობილების გამარჯვების შემდეგ ეს პროცესი ბურჟუაზიულ ურთიერთობათა საფუძველზე წარიმართა. აღნიშნულ პერიოდში განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა ერის არსებობისათვის ისეთი აუცილებელი პირობები, როგორცაა ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ერთობა, ეროვნული თვითშეგნება.

სამწუხაროდ, იმ ხალხებისაგან განსხვავებით, რომლებიც გარკვეულ ერებად იმთავითვე დამოუკიდებელი სახელმწიფოების სახით ჩამოყალიბდნენ (ფრანგები, ინგლისელები და სხვ.), ქართველი ერის საბოლოო კონსოლიდაცია რუსეთის მრავალეროვანი იმპერიის ფარგლებში მოხდა. ამიტომ მან ვერ მიიღო ნორმალური განვითარების ისეთი აუცილებელი პირობა, როგორცაა, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო.

ეს აშკარა წინააღმდეგობა ქართველი ახალგაზრდობის მთელი შემდგომი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი იყო. აღნიშნული პერიოდი ნიშანდობლივია იმით, რომ ქართული ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ერთმანეთს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა, რამაც მას მეტი შესაძლებლობები მისცა. სოციალურ-განმათავისუფლებელ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა ასეთმა დიალექტიკამ განსაკუთრებული ძალით თავი იჩინა მაშინ, როდესაც კაპიტალისტური წყობილების გამარჯვების შედეგად რუსეთის იმპერიაში შემავალმა ხალხებმა ვერ მოახერხეს ეროვნულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება. მთელს რუსეთში ეროვნული საკითხი განსაკუთრებულ სიმწვავეს განაპირობებდა. მეფის რუსეთი გადაიქცა ნამდვილ „ხალხთა საპყრობილედ“, რომელშიც არარუს ერებს, ცნობილი ფრანგი მწერლის ანრი ბარბიუსის გამოთქმით „მხოლოდ ერთი უფლება ჰქონდათ - კვნესისა და ისიც მხოლოდ რუსულად“ (ფ. ლომაშვილი - საქართველოს ისტორია. თბ. 1992 წ. გვ. 145). ეს ყველაფერი გახდა საბაზი და საფუძველი იმისა, რომ საქართველოში იწყება მასობრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები, რომელთა ავანგარდსაც წარმოადგენდნენ ქართველი ახალგაზრდები.

2. ქართველი ახალგაზრდობა ცარისტული მმართველობის წინააღმდეგ

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან საღად მოაზროვნე ქართველ საზოგადოებაში ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის იმთავითვე ერთ-ერთი აქტიური შეურიგებელი პოზიცია დაიკავა საქართველოს ახალგაზრდობამ, რომელიც იმ პერიოდში მწვავედ განიცდიდა, როგორც რუსიფიკატორულ საგანმანათლებლო პოლიტიკის წნეხს, ასევე უმკაცრეს ეროვნულ ჩაგვრასაც. სასწავლო-აღმზრდელობითი პერსონალისა და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ორგანოების მხრიდან დაწესებული მკაცრი კონტროლის, უხეში დევნა-შევიწროებისა და უხამსი ცინიზმის მიუხედავად ახალგაზრდობა მაინც შეუპოვარი იყო.

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო XIX საუკუნის 80-90-იან წლებში აზვირთებული ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რითაც თვალნათლივ დაამტკიცა თავისი ერთგულება და თავდადება ეროვნული საქმისადმი და დიდი როლი ითამაშა ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხე-

ბის სრულყოფაში. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტისახელმწიფოებრივ-ოპოზიციური მოძრაობის მრავალწლიან ეპოპეაში (XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი და XX საუკუნის პირველი ოცწლეული) საგანგებო ადგილი უკავია თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა 1892 წლის 14 დეკემბრის გაფიცვას, რომელსაც ჰქონდა ცარიზმის საწინააღმდეგო განწყობილების მძაფრი შინაარსი და მისი გამოხატვის მასშტაბური ფორმა. თბილისელ სემინარიელთა გამოსვლა იყო არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ქართველ მოსწავლეთა მიერ ორგანიზებულად გადადგმული ერთ-ერთი პირველი საპროტესტო ნაბიჯი.

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, 30 ნოემბერს, სემინარიელებს ქალაქკარეთ გაუმართავთ საიდუმლო კრება, სადაც შეუმუშავებიათ თავიანთი აღმზრდელებისათვის გადასაცემი საკმაოდ ვრცელი პეტიცია, რომელიც გააცნეს ილია ჭავჭავაძეს, რათა მისგან მიეღოთ საჭირო ინსტრუქციები. ილიას მოუწონებია პეტიციის შინაარსი და რჩევა მიუცია, რომ გაფიცვისათვის პოლიტიკური ხასიათი მიეცათ. „მართალია აუცილებლად მსხვერპლი იქნება, მაგრამ დათმობაზე წასვლა მაინც უმიზნო იქნება“ (ი. ვართაგავა (მოგონებები. ნაწ. I. თბ. 1956 წ. გვ. 181).

საქართველოს ეგზარქოს ვლადიმერის მიერ სინოდისადმი წარდგენილ პატაკში აღნიშნულია, რომ „თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებმა 1 დეკემბერს (1893 წ.) თვითნებურად შეწყვიტეს მეცადინეობა და ყველანი სემინარიის ეზოში გავიდნენ, სადაც საერთო კრება მოაწყვეს და თავიანთი წრიდან არჩეულ ორ ყმაწვილს დაავალეს ჩემთვის კოლექტიური განცხადების წარმოდგენა. ეს განცხადება გადმომცეს, როდესაც ვესწრებოდი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სხდომას“. (ცსსა. ფ. 440. აღწ. 1. საქ. 1333. ფურც. 4.). ეს კოლექტიური განცხადება, რომელიც გაფიცულ მოსწავლეთა მიერ ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს შეიცავდა, იყო აშკარა ანტისახელმწიფოებრივი შინაარსის პეტიცია, რომლის შესავალ ნაწილშიც ვკითხულობთ: „ყოველმა სასწავლო დაწესებულებამ თავისი იდეით საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის უნდა მოამზადოს ფიზიკურად ჯანმრთელი, ზნეობრივად გაკეთილშობილებული და გონებრივად განვითარებული ადამიანები, ვინაიდან ამაშია მისი დანიშნულება, მისი არსებობის მიზანი და აზრი. ამისათვის საჭიროა: 1. ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების სისტემა, რომლის დევიზიცაა: ქრისტიანული სიყვარული და ზოგადსაკაცობრიო ჰუმანიზმი; 2. სისტემა, უფროსობა, შესაფერისი სულის ადამიანების გარეშე არარობა; ამდენად სწავლისა და განათლების სათავეში მდგომი ადამიანები, თავის მხრივ, უნდა იყვნენ განმსჭვალულნი ერთმანეთისადმი სიყვარულითა და ზოგადსაკაცობრიო ჰუმანიზმით. ამას მოითხოვს ქრისტიანობა, ამას მოითხოვს ყველაზე ჰუმანური მეცნიერება - პედაგოგიკა“. სემინარიელთა 1893 წლის 1-4 დეკემბრის გაფიცამ გარკვეული კვალი დატოვა XIX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე. იგი იყო ცარიზმის კლანჭებში მოქცეული ქვეყნის იმდროინდელი ახალი თაობის ერთ-ერთი პირველი ორგანიზებული, ღრმა ეროვნული შინაარსის საპროტესტო ნაბიჯი, რომელმაც პროგრესული ქართული საზოგადოებრიობის დიდი მხარდაჭერა და თანაგრძნობა მოჰყვა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მუდამობხეთა ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლას მხარში ედგნენ ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი,

ცნობილი აღმზრდელი და საზოგადო მოღვაწე ნ. ცხვედაძე, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თანამშრომელი ლ. ფურცელაძე. ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორი დ. ღამბაშიძე, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებლები და სხვ. (ც.ს.ს.ა. ფ. 440. აღწ. 2. საქ. 84. ფურც. 19-20).

ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველგვარ ზომებს მიმართავდნენ, რათა მიეჩქმალათ და საზოგადოების ფართო ფენებისათვის არ ეცნობებინათ მომხდარი, მათთვის არასასურველი ფაქტი, მაგრამ ამის მიუხედავად პრესის საშუალებით (გაზ. „ივერია“, „კავკაზი“, „ტფილისკი ლისტოკი“, ჟურნალი „მწყემსი“ და ა.შ.) - საზოგადოებაში გავრცელდა და დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან ეს იყო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მეტროპოლი საქართველოს ახალგაზრდობის ერთ მუშტად გაერთიანება და დიდ პოლიტიკაში თავისი სიტყვის თქმისთვის მზადება. მოსწავლეთა მოძრაობას თბილისის გარდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჰქონდა ადგილი.

საყურადღებოა იმდროინდელი ახალგაზრდობის დამოკიდებულება საკანონმდებლო რეფორმებზე, ძირითადად კი სასამართლოებზე. ეს ფაქტი მეტყველებს ახალგაზრდული მოძრაობის უფრო მეტად განვითარებასა და პოლიტიკური ხასიათის მინიჭებაზე. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სასამართლო პროცესებს რევოლუციური საქმიანობისათვის დასჯილი მოსწავლეები იყენებდნენ ტრიბუნად ძალმომრეობისა და ჩაგვრის რეჟიმის მხილებისათვის. არცთუ იშვიათად, მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის ახალგაზრდებს ასახლებდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთ, უწესებდნენ პოლიციის მეთვალყურეობას.

საქართველოს ახალგაზრდები, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დამდეგს საღად მსჯელობდნენ ადამიანის უფლებებზე, უჩვენებდნენ პოლიტიკური მოწიფულობის მაგალითს. მათ რევოლუციურ მოთხოვნებში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ცარიზმის სასამართლო სისტემის კრიტიკას, მართლმსაჯულების სიყალბის მხილებას და სასამართლოს დემოკრატიზაციის საკითხებს.

3. საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობის ორგანიზაციული ასპექტები

1904 წლისათვის ახალგაზრდული მოძრაობა იძენს ორგანიზაციულ სახეს. ყალიბდება მოსწავლე-ახალგაზრდობის ორგანიზაციები, იყენებენ ბეჭდვით ორგანოებს, ეს ფაქტი კი, თავისთავად, წინ გადადგმული ნაბიჯია ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირებაში. 1905 წლიდან ახალგაზრდულ მოძრაობაში უფრო დიდი ეტაპი იწყება. რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუცია დაიწყო უაღრესად გამწვავებული შიდაკლასობრივი შეტაკებებისა და რუსეთ-იაპონიის ომის პროცესში, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რევოლუციურმა განვითარებამ მთელი იმპერიის მასშტაბით თავის აღზევების პიკს მიაღწია - ახალგაზრდების გამოსვლები ისტორიულად კანონზომიერ, აუცილებელ მოვლენად იქცა. რევოლუციის დასაწყისს - 1905 წლის 9 იანვარს საქართველოს მთელ პროგრესულ ძალებთან ერთად, აქტიურად გამოეხმაურა ახალგაზრდობაც, რომელთა საპროტესტო გამოსვლებმაც განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ქვეყნის ძირითად სამრეწველო ცენტრებში. „დღეს ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ მოსწავლეებმა ვერ

შეიკავეს თავისი აზღვავებული გრძნობები, გადმოლახეს სასწავლებლის კედლები და ქუჩაში გამოვიდნენ. დღეისათვის არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ როგორც თბილისში ისე ქუთაისს, გორს, ბათუმსა და სხვაგანაც საშუალო სწავლების მოწაფეებმა დემონსტრაციები მოახდინეს“. (გაზ. „ივერია“ - 1905 წ. დამდეგი).

1905-1907 წლების რევოლუციის აზვირთებამ ვაჟა ფშაველა თიანეთის მაზრის გლეხთა მოძრაობის სათავეში მოაქცია. იგი იყო შთამბრუნებელი და ტონის მიმცემი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამხედრებული ფშავ-ხევსურებისა და მოსწავლეთა გაფიცვებისა. ვაჟა ფშაველა დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობას და ზრუნავდა მათ განათლებაზე. 1905 წლის მარტში მოსწავლეთა მღელვარებამ მოიცილა თბილისის ტექნიკური სასწავლებელი, სამტრედიის რკინიგზის, გუბის, ეწერას, საჭილაოს, მესტია-დატალოს ორკლასიანი სკოლები, ოზურგეთის სასულიერო და სიღნაღის საქალაქო სასწავლებლები, ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის, გურიის თითქმის ყველა სამრევლო სკოლა. 1905 წლის სექტემბრიდან, მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების დამთავრებისთანავე, საქართველოს ახალგაზრდობა კვლავ ენერგიულად ჩაება ეროვნულ-განმათავსიუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობაში, რასაც ერთგვარი ბიძგი მისცა 1905 წლის 29 აგვისტოს სისხლიანმა ტრაგედიამ - კაზაკების მიერ თბილისის თვითმმართველობის შენობაში გამართულ მუშათა კრებაზე მუშების დახვრეტამ. ცარიზმის ამ ტერორისტული აქტის საპასუხოდ დახოცილი მშრომელების ხსოვნის პატივსაცემად, 5 სექტემბერს პანაშვიდი გადაიხადეს თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის, სექტემბერს თბილისის რკინიგზის ტექნიკური, ხოლო 9 სექტემბერს - რკინიგზის სასწავლებლის აღსაზრდელებმა. 7 ოქტომბერს გაფიცული ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეები მოითხოვდნენ ამხანაგური ორგანიზაციების დაარსების უფლებას, თვითმმართველობების წრეების შექმნას, მშობლიური ენის სწავლების შემოღებას.

1905 წლის 21-22 ოქტომბერს „რუს-პატრიოტთა“ მონარქისტულ შავრაზმელმა ორგანიზაციამ თბილისში, გოლოვინის გამზირზე, მოაწყო პროვოკაციული მანიფესტაციები, რაც დამთავრდა მშვიდობიანი მოსახლეობის ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტით. მოკლულთა შორის იყო ექვსი გმინაზიელი და სამი აღმზრდელი. ცარიზმის ამ მორიგ სისხლიან ნაბიჯს საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის მძლავრი საპროტესტო აქციები მოჰყვა. მაგ: 27 ოქტომბერს გაიფიცნენ ქუთაისელი და თელაველი მოსწავლეები, 7-8 და 9 ნოემბერს სოხუმის რეალური სასწავლებლის ქალთა პროგიმნაზიის, სამრევლო და საქალაქო სკოლის, 10 ნოემბერს თბილისის პირველი გიმნაზიის, ქალთა მეოთხე გიმნაზიისა და ხონის სკოლების მოსწავლეები. ქართველ საზოგადოებრიობასთან ერთად, ისინი მკაცრად გამოხდნენ თვითმპყრობელობის რეჟიმს, გამოდიოდნენ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

1906-1908 წლებში ცარისტულმა რეჟიმმა გაამკაცრა ახალგაზრდების რეპრესიები, ამიტომ ახალგაზრდობამ შეცვალა კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა, რითაც კიდევ უფრო იხვეწებოდა ახალგაზრდული პოლიტიკის სფერო. ტაქტიკის შეცვლა იმაში გამოიხატებოდა, რომ ამკარად, ეროვნულ რევოლუციური ხასიათის გამოსვლების მაგივრად, მოსწავლეებმა იწყეს ცარიზმის საწინააღმდეგო შინაარსის არალეგალური, თუ ლეგალური ჟურნალ-გაზეთების დაარსება და მათი მემვეობით

თავიანთი პოლიტიკური შეხედულებების დაუფარავად გამოხატვა. ამგვარ გამოცემებს შორის, აღსანიშნავია 1909 წელს დაარსებული ჟურნალები: „მოსწავლის ჩანგი“, „პირველი ნაბიჯი“ და „პირველი ტალღა“.

დიდ ყურადღებას იქცევს 1909 წლის 20 დეკემბერს გაზეთ „ფონში“ ქუთაისის ქართული გიმნაზიის აღსაზრდელის კონსტანტინე გამსახურდიას მიერ „კ. აბაშისპირელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ლექსი, რომელშიც მკვეთრადაა გაშუქებული იმდროინდელი ახალგაზრდობის სულისკვეთება. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ 1910 წლის მარტში ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის უფროსკლასელებმა დაარსეს პოლიტიკური წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა დ. ყიფშიძე. წრეში შედიოდნენ: გრ. ასათიანი, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. ნადირაძე, კ. ქოჩორაშვილი, ვ. კაპანაძე და სხვები. ეს ახალგაზრდები საკმარისად გაეცნენ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების ლიტერატურას, კლასობრივი ბრძოლის თეორიის საკითხებს, თუმცა ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც ეროვნული პრობლემის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ეროვნული დისკრიმინაციისა და ქართველი ხალხის განთავისუფლების საკითხებისადმი იჩენდნენ, რამაც თავისი გავლენა იქონია წრის წევრთა მთელ შემდგომ საქმიანობასა და, განსაკუთრებით კი, მათი მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედების პროფილის განსაზღვრაზე.

1912 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩამოყალიბდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელმაც გააერთიანა მოწაფეთა 7 წრე. ამ არალეგალური ორგანიზაციის წევრებმა დაარსეს სამკითხველო, ხოლო საწევრო გადასახადების საშუალებით მოამზადეს და გამოსცეს პიქტოგრაფაზე დაბეჭდილი ჟურნალი „მოლოდაია სილას“ ორი ნომერი.

1913-16 წლებში მიმდინარეობდა მასობრივი გაფიცვები თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ხიდისთავის და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებისა თუ სოფლების სასწავლო დაწესებულებებში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდობამ, როგორც კი შეიტყო მთავრობის დამხობის შესახებ ინფორმაცია, დაიწყო ამ მოვლენის საზეიმოდ აღნიშვნა. მარტის თვეში ახალგაზრდობის მძლავრი საზეიმო დემონსტრაციები და გამოსვლები მოეწყო თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, ბათუმში, ჭიათურაში, ხონში, ხაშურში, გორში, ცხინვალში, აგრეთვე დაბა-სოფლებში: ჭოღაში, ბანძაში, ჩხარში, დიდ ჯიხაიშში, შემოქმედში, დიდ ლილოში, სამიქაოში, ხიდისთავში, კულაშში და ა.შ.

1917 წლის ოქტომბრის დამდეგს თბილისელმა მოსწავლეებმა მოითხოვეს თავიანთი წარმომადგენლობების ყოლა პედსაბჭოებში, რაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ეს თავისთავად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

რევოლუციის შემდეგ იწყება ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩამოყალიბება, განსაზღვრა მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიისა. პარტიების გვერდით დგანან ახალგაზრდული ორგანიზაციები. დამოუკიდებელ სახელმწიფოში ახალგაზრდული პოლიტიკა თავის სიტყვას ამბობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ პერიოდშივე ვხვდებით ახალგაზრდული პოლიტიკის დაპირისპირებულ ბანაკებს, რაც მკვეთრად აისახება სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე. 1918-21 წლების

ახალგაზრდულ პოლიტიკაზე ცნობები ნაკლებად ობიექტური და მწირია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითქმის არც ერთი მკვლევარი არ აქცევს ყურადღებას იმ ფაქტს, რომ თუ მე-19 საუკუნის ბოლოს ახალგაზრდული პოლიტიკა შემოიფარგლებოდა მხოლოდ მანიფესტებით, გაფიცვებით და ა.შ., 1917-18 წლებში იწყება ახალგაზრდული მოძრაობების განვითარება და მეტი პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს მას. ყველა მეცნიერი ერიდება იხმაროს ტერმინი ახალგაზრდული პოლიტიკა, არადა ეს მცნება აუცილებლად შეესატყვისება აღნიშნულ პერიოდს.

ახალგაზრდული ორგანიზაციებიდან მასალები არსებობს ისეთ ორგანიზაციებზე, რომლებიც ემსახურებოდნენ საბჭოთა იდეებს და ხელს უწყობდნენ საქართველოს ინტეგრაციას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამ ორგანიზაციებისადმი მეცნიერთა პირფერული დამოკიდებულება შეიმჩნევა, რაც ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ დასკვნები არც თუ ისე ობიექტურადაა გაკეთებული. ამ ახალგაზრდულ ორგანიზაციებზე, რომლებიც ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდნენ, ან კიდევ ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწეოდნენ, ფაქტები ან საერთოდ არ მოგვეპოვება (გამონაკლისია ჟურნალ-გაზეთები და საარქივო მასალები), ან კიდევ არაკეთილსინდისიერადაა შეფასებული.

რაც უფრო ახლოვდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე - 1918 წლის 26 მაისი, პოლიტიკურად მით უფრო იხვეწებოდა და სრულყოფილი ხდებოდა ქვეყნის ახალგაზრდული პოლიტიკა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 1918 წლის 26 იანვარს საზეიმოდ გაიხსნა ეროვნული უნივერსიტეტი, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებაში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ევროპის უნივერსიტეტებში სასწავლებლად 75 ნიჭიერი ახალგაზრდა მიავლინა. ეს თავისთავად დიდი ყურადღებაა ხელისუფლებისაგან ახალგაზრდობისადმი, მაგრამ არც ახალგაზრდობა იყო გულგრილი ქვეყანაში შექმნილი ვითარების მიმართ. ისინი მიმართავდნენ ხელისუფლებას ერთიანი ძალებით აემოქმედებინათ ქვეყანაში ნორმალური ვითარების დასამყარებელი ბერკეტები. ამის ნათელი მაგალითი გახლავთ 1918 წლის 8 თებერვალს „ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა და მსმენელთა წარმომადგენლების განცხადება საქართველოს ეროვნული საბჭოს მიმართ“, „6 თებერვალს ქართული უნივერსიტეტის საერთო აუდიტორიაში შედგა სტუდენტთა საერთო კრება ი. იმედაშვილის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაესწრო 400-მდე სტუდენტი ქალი და კაცი. კრებამ მოისმინა სტეფანე ირემაშვილის მოხსენება ქართლში მომხდარ მკვლევლობათა და საერთოდ იქ დაწყებული ანარქიის შესახებ და შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „ქართველ სტუდენტთა კრებამ მოისმინა ამხანაგ ირემაშვილის მოხსენება ქართლში მომხდარი ამბების შესახებ და დაადგინა მიექცეს ეროვნული საბჭოს ყურადღება ამ მოვლენას და თავის მხრივ, სტუდენტობა აღუთქვამს მას ამ საქმეში ყოველმხრივ დახმარებას“. ამ დადგენილების ეროვნულ საბჭოში წარსადგენად არჩეულ იქნენ: ჩ. შარაშიძე, ი. ირემაშვილი, კ. გამსახურდია, სტ. ირემაშვილი, დ. არონიშიძე“. კომისიის მინდობილობით ხელს აწერენ ოტია იმედაშვილი და დ. არონიშიძე) (ც.ს.ს.ა. ფონდი 1836. აღწ. 1. საქმე 140. გვ. 19).

საარქივო მასალებში ყურადღებას იქცევს ქართველი სტუდენტების დადგენილება, რომელიც მიღებული იქნა 1918 წლის 4 აპრილს. უკეთესად გააზრებისათვის სრულად მოვიყვანთ ამ დოკუმენტს: „ქართველ სტუდენტთა კრების დადგენილება ამიერკავკასიის მართვა-გამგეობის საქმეში ძირითადი ცვლილებების გატარების შესახებ N19 1918 წელი.

ქართული უნივერსიტეტის დარბაზში მიმდინარე წლის 4 აპრილს შემდგარ ქართველ სტუდენტთა საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება საქართველოს საერთო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და კერძოდ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გარეშე ქართველი ერისა საქართველოსთვის არავითარი სხვა რეალური ძალა არ არსებობს. დაადგინა: მოხდეს ძირითადი ცვლილება ამიერკავკასიის მართვა-გამგეობის საქმეში, აღიარებულ იქმნას სახელმწიფოებრივი უფლება ქართველი ერისა და ასეთმა სახელმწიფოებრივმა ერთეულმა შეასრულოს სახელმწიფოთა ფორმაციისათვის სავალდებულო საერთაშორისო ყველა იურიდიული წესები. ეს უფლება განახორციელოს ეროვნულმა საბჭომ, რომლის მიერ არჩეულ მთავრობას, სანამ მოწვეული იქნებოდნენ საქართველოს დამფუძნებელი კრება, მიენიჭოს დროებითი მთავრობის ფუნქციები. ასლი ამ დადგენილებისა ეცნობოს ამიერკავკასიის სეიმს, მთავრობას, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ქართულ პოლიტიკურ პარტიებს“. (ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე დ. არონიძემ, მდივანი თამარ საყვარელიძე) (ც.ს.ს.ა. ფონდი 1836. აღწ. 1. საქმე 137).

აღნიშნული დადგენილება მეტყველებს ქართველი ახალგაზრდობის პოლიტიკური აზროვნების სიმწიფეზე, მათ კარგად ჰქონდათ გააზრებული თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას და მისი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას.

დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართველი საზოგადოებისათვის, ამაზე მეტყველებს საარქივო მასალებიც: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პირველი საერთო კრება თქვენი სახით გულმხურვალედ მიესალმება 117 წლის მონობიდან განთავისუფლებულ საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებას - საქართველოს პარლამენტს და იმედს გამოთქვამს, რომ იგი შეძლებს ამ დახლართულ საერთაშორისო მდგომარეობაში ქართველი ერის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებას“. კრების თავ-რე კოქახიძე. 27. 11. 1918 წელი). (ც.ს.ს.ა. ფონდი 1836. აღწ. 1. საქ. 139. გვ. 51).

4. დასკვნა

საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობის სათავეები თავისებური სპეციფიკით გამოირჩევა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მას თავდაპირველად აკლდა ორგანიზებულობა. არ არსებობდნენ ახალგაზრდული ორგანიზაციები (მოგვიანებით იქმნება მოსწავლეთა კომიტეტები), მოძრაობის დამახასიათებელი ნიშნები იყო: აჯანყებები, გამოსვლები. გაფიცვები, მანიფესტები, რომლებიც ძირითადად ფეთქებად სახეს ატარებდა და აკლდა ორგანიზება (აჯანყების ორი სახე არსებობს: ფეთქებადი და დაგეგმილი, ამ პერიოდის აჯანყებები, ძირითადად ფეთქებადი ხასიათისა იყო). ხშირი იყო ისეთი ფაქტები ქართულ პოლიტიკურ წარსულში, სადაც ახალგაზრდობა არ ერიდებოდა ძალის გამოყენებას

მიზნის მისაღწევად. ჩემი აზრით, ეს განპირობებული იყო იმდროინდელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და არსებული წყობილების არასწორი პოლიტიკით.

ზემოთ მოყვანილი ფაქტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალგაზრდული პოლიტიკის პირველი ეტაპი მეტად მრავალფეროვანი და თავისებურებით აღსავსეა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ რევოლუციური გამოსვლები თანდათანობით იხვეწება და ღებულობს პოლიტიკურ ხასიათს რაც გამოიხატება სხვადასხვა ბეჭდვითი ორგანოების დაარსებით, ახალგაზრდობის პოზიციის დაფიქსირებით. რადგან ეს პერიოდი გახლავთ ჩანასახი ახალგაზრდული პოლიტიკისა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მმართველობა ახალგაზრდული პოლიტიკისადმი ატარებს ჩახშობის პოლიტიკას. ამგვარი პოლიტიკა მუშაობს ახალგაზრდობის წინააღმდეგ. მისი მიზანია ახალგაზრდობის პრივილეგიების შემცირება, ახალგაზრდობას მიაკუთვნებენ საზოგადოებისათვის საშიშ კატეგორიას, ამგვარი პოლიტიკა თრგუნავს ახალგაზრდის სტიმულს და მას გადააქცევს საშიშ ძალად ხელისუფლებისათვის.

ცარიზმის პოლიტიკა, რომელიც იყო გატარებული ახალგაზრდობის მიმართ იყო ნეგატიური, მგარამ ასეთმა ვითარებამ ხელი შეუწყო ახალგაზრდობის თვითშეგნების ჩამოყალიბებას და ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირებაში უდიდესი კვალი დატოვა. საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში, ცარისტულ რეჟიმთან ბრძოლის პროცესში, დემოკრატიული ღირებულებების პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენების საკითხში და საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად ფორმირების პროცესში განსაკუთრებული როლი ითამაშა ქართველმა ახალგაზრდობამ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „ივერია“, 1905 წ. იანვარი.
2. გაზეთი „ფონი“, 1909 წლის 20 დეკემბერი.
3. ვართაგავა ი. (1956 წ.) მოგონებები. ნაწილი I. თბილისი.
4. ლომაშვილი ფ. (1992 წ.) საქართველოს ისტორია. თბილისი.
5. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 440. აღწ. 1. საქ. 1333. ფურც. 4.
6. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 440. აღწ. 2. საქ. 84. ფურც. 19-20.
7. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836. აღწ. 1. საქმე 140. გვ.19.
8. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836. აღწ.1. საქმე 137.
9. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836. აღწ. 1. საქ. 139. გვ. 51.

Conditions and Peculiarities of the Emergence of Youth Policy in Georgia

Giorgi Momtselidze

Grigol Robakidze University, PhD student
g.momtselidze@gruni.edu.ge

Abstract. The emergence of different positions in the political process, the gradual increase of youth participation in socio-political life led to the formation of youth social systems, starting from informal and illegal circles and groups - to the present, including non-governmental organizations and associations. Youth policy and the effectiveness of one's own youth have always been reflected in the process of forming public opinion, which in many cases has been linked to both socio-economic and global state transformations. At different stages of state political life, special attention was paid to the formation of youth social systems, their regulation in terms of legal, political and governance, the ideological and functional systematization of youth with the public, both nationally and internationally. The aim of the article is to identify the beginnings of youth policy in Georgia. What conditions it was developing in and what its specifics were. The article presents Georgian youth policy against Russia's colonial policy. Much of the scholarly work of this period, published during the Soviet Era, to satisfy the interests of censorship, is less honestly conveyed by the reality that existed in Georgia in the late nineteenth and early twentieth centuries. Therefore, in terms of reliability and validity, the article discusses the materials preserved in the Central State Historical Archive of Georgia, as well as the magazines and newspapers of that period. Based on their analysis, the conditions and peculiarities of the emergence of Georgian youth policy are presented. Content analysis was used to draw common conclusions. An in-depth study of the materials revealed that Georgian youth have made a great contribution to the creation of an independent republic of Georgia, to democratic principles in the fight against the tsarist regime. The main challenge of this article is that the influence of youth policy on the ongoing political processes in Georgia from the 1980s to 1918 is scientifically substantiated.

Key Words: Youth, youth policy, tsarist regime

ღვინის ტურიზმის განვითარების მნიშვნელობა და გამოწვევები

ნინო საჩალელი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
sachalelinino@yahoo.com

რეზიუმე. წინამდებარე სტატიის არსს წარმოადგენს ღვინის ტურიზმის ბიზნესის განვითარება, ტურიზმის მდგრადი განვითარების ასპექტში და ამჟამინდელი გამოწვევების შესწავლა საქართველოში. სტატია ეყრდნობა ბრუვერისა და ლესჩივის 2012 წელს განხორციელებულ კვლევას და ღვინის ტურიზმის განვითარების კონცეპტუალურ მიდგომას. აქედან გამომდინარე შემუშავებული იქნა ღვინის ტურიზმის განვითარების კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც შესაძლებელია ადაპტირდეს საქართველოში არსებულ ღვინის ტურიზმისთვის შესაბამისი პოტენციალის მქონე რეგიონებში. სტატიაში მთავარი ყურადღება გამახვილებულია ღვინის ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციებსა და საქართველოს ღვინის ტურიზმის განვითარების მიმართულებით არსებულ მდგომარეობაზე. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. სტატიაში განხილულია სამეცნიერო ნაშრომები, კვლევები და სტატისტიკური მონაცემები. კვლევის შესწავლის საგანს წარმოადგენს ტურიზმის მდგრადი განვითარება, ხოლო მთავარი ამოცანაა ღვინის ტურიზმის ბიზნესის ანალიზი, საქართველოს არსებული მდგომარეობის წარმოჩენა, პრობლემების იდენტიფიცირება და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის შედეგად კი დადგინდა, რომ საქართველოს გააჩნია ღვინის ტურიზმის ბიზნესის განვითარების უდიდესი პოტენციალი, რესურსები, გარემო და ფიზიკური პირობები და მისი პოპულარიზაციისთვის ხორციელდება არაერთი აქტივობა. ღვინის ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისათვის და იგი მოიცავს რეგიონის სრულ განვითარებას, ღვინის ტურიზმის განვითარება ასევე ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას სოფლად და რეგიონში ცხოვრების დონის ამაღლებას.

სამიუბო სიტყვები: ღვინის ტურიზმი, ღვინის ბიზნესი, მდგრადი განვითარება, ტურიზმი სოფლად, ღვინის დეგუსტაცია

1. შესავალი

ღვინო და საკვები დიდი ხანია აღიარებულია ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტებად, მაგრამ მიუხედავად ამისა, როდესაც ქვეყნები ახდენენ ტურიზმის პოპულარიზაციას, ნაკლებად საუბრობენ ღვინის როლზე ტურიზმის ბიზნესის განვითარებაში, ამ მიმართულებით შეიმჩნევა აკადემიური ნაშრომების სიმცირე. სტატიის მიზანია, წარმოადგინოს ღვინის ტურიზმის აქტუალობა და მოახდინოს საქართველოში არსებული მდგომარეობას ანალიზი ტურიზმის მდგრადი განვითარების კონტექსტში. ნაშრომში განხილულია ახალი პოტენციური შესაძლებლობები და ბარიერები, რომლებიც არსებობს საქართველოს ღვინის ტურიზმში, განსაკუთრებით, ბიზნესის ხელშეწყობისა და რეგიონალური ტურიზმის განვითარების მხრივ.

2. კვლევის მეთოდი

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს. სტატიაში მოცემულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული სტატიების ანალიზი, სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შემუშავებული დოკუმენტებისა და სახელმძღვანელოების ანალიზი. კვლევა შედგებოდა სამი ფაზისაგან, რომელიც მოიცავდა: 1. მონაცემების შეგროვება, სამაგიდო კვლევა (დოკუმენტები, პუბლიკაციები, სტრატეგიები), რაოდენობრივი კვლევის დაგეგმვა; 2. რაოდენობრივი კვლევის განხორციელება, მონაცემების ანალიზი და დისკუსია: ემპირიული მონაცემების ანალიზი, კონტენტ ანალიზის კონცეფციების გამოყენება, შედეგების შეფასება და სტრუქტურირება; 3. დასკვნებისა და სტრატეგიული რეკომენდაციების ფორმულირება. კვლევის განხორციელებისას საჯარო ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისგან, ღვინის ეროვნული სააგენტოდან და სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან, რომლებიც განხილული და წარმოდგენილია ცხრილებისა და გრაფიკების სახით.

3. ღვინის ტურიზმის ბიზნესის განვითარება

ღვინის ტურიზმის ისტორია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, როდესაც ვიზიტორების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ვენახების მონახულება მოგზაურობის ნაწილად იქცა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს კი ღვინო გახდა მიმზიდველი ფაქტორი ტურისტული პაკეტების შემუშავებისას, ისეთი ქალაქებისათვის, როგორებიცაა: ტოსკანა (იტალია), ალსასი, ბორდო, ბურგუნდი, შამპანი (საფრანგეთი), რაინის ველი (გერმანია) და დურო ველი (პორტუგალია) (Trišić et al., 2019).

მეცნიერი ბიტნერი პირველი იყო, რომელმაც 1992 წელს ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაზე აღნიშნა, რომ მომსახურების ინდუსტრიაში მომხმარებლის აღქმაზე და ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს, როგორც გარემო, ასევე ფიზიკური პირობები. მას შემდეგ „servicescape“-ის მოდელი წარმატებით დაინერგა ტურიზმის სფეროში, სადაც მომსახურების სერვისი დაფუძნებულია დამოკიდებულებებზე და ქცევებზე. „სერვისსქეიფ“ მოიცავს ისეთი გარემო და ფიზიკური მახასიათებლების ერთობლიობას, როგორებიცაა: მდგომარეობა, ნიშნები, სიმბოლოები, ნიმუშები და სივრცითი ფუნქციონალურობა. „სერვისსქეიფის“ კონცეპტუალური ჩარჩო ფართოდ გამოიყენება ისეთი სამეცნიერო კვლევების განხორციელებისას, რომელიც შეისწავლის და განიხილავს მომხმარებლის ქცევას მრავალ კულტურასა და კონტექსტში. ტერმინ „სერვისსქეიფ“-ს ბიტნერი განმარტავს, როგორც „ადამიანის მიერ შექმნილ ფიზიკურ გარემოს, რომელიც უპირისპირდება ბუნებრივ ან სოციალურ გარემოებებს“ (Bruwer & Lesschaeve, 2012).


აღნიშნულმა მიდგომამ კი წარმოშვა ახალი ტერმინი „Winescape“, რომელიც პირველად პეტერსის მიერ იქნა გამოყენებული 1997 წელს და „Winescape“-ს განმარტავს, როგორც „ღვინის რეგიონის ატრიბუტიკა“, ალებაკმა და ლაკოვიდოუმ კი 2011 წელს მისი სხვა დეფინიცია წარმოადგინეს „მთლიანი რეგიონი და მისი ატრიბუტიკა“, ხოლო 2005 წელს მკვლევარმა პატრინიკინმა მისი კიდევ უფრო განვრცობილი განმარტება წარმოადგინა „სივრცითი სფერო, რომელშიც მევენახეობის ფარგლებში ინტეგრირდება მეღვინეობა და

ღვინის ტურიზმი“. ღვინის რეგიონი წარმოადგენს დანიშნულების ადგილს ღვინის ტურისტებისათვის, ხოლო „Winescape“-ს ქმნის ტურისტის რწმენის, შთაბეჭდილების და იდეების ჯაჭვს (Bruwer & Lesschaeve, 2012). ღვინის რეგიონის განვითარებაზე გავლენას ახდენს, როგორც გარემო პირობები, ასევე ჰოლისტიკური გარემო, სადაც წარმოჩინდება ტურისტის როგორც წინა გამოცდილება, ასევე მოლოდინი ღვინის რეგიონის მიმართ (იხ. სქემა 1).

სქემა 1.

მომსახურების ზომები (Servicescape) ღვინის ტურიზმის კონტექსტში

(ადაპტირებულია Bitner-დან, 1992)



წყარო: Bruwer & Lesschaeve, 2012

2012 წელს სამეცნიერო ჟურნალში „ჟურნალი მოგზაურობისა და ტურიზმის მარკეტინგის შესახებ“ (Journal of Travel & Tourism Marketing), გამოქვეყნდა ჯოან ბრუვერისა (სამხრეთ ავსტრალიის უნივერსიტეტი) და იზაბელა ლესჩევის (კანადა, ვინლენდის კვლევისა და ინოვაციების ცენტრი) სტატია „ღვინის ტურისტების მიერ რეგიონის ბრენდის იმიჯის აღქმა და წინაპირობა: ღვინის ტურიზმის ჩარჩოს კონცეპტუალიზაცია“. კვლევის განხორციელებისას კანადაში, ღვინის რეგიონში გამოიკითხა 996 რესპონდენტი. კვლევის ფარგლებში 446 რესპონდენტმა, ანუ 44,9%-მა, ღვინის რეგიონში სტუმრობის მიზეზად ღვინის ტურიზმი დაასახელა, თუმცაღა გამოიკვეთა სხვა მიზეზებიც, ესენია: რეკრეაცია, ფესტივალებზე დასწრება და სხვა. კვლევაში ასევე მოცემულია ღვინის ტურისტის მამოტივირებელი ფაქტორები, კერძოდ ესენია: ღვინის დაგემოვნება; ღვინოზე უფრო მეტი ინფორმაციის მიღება; გამოცდილების მიღება; საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების გართობა; ღვინის ყიდვა; სასიამოვნო დღის გატარება; ინფორმაციის მიღება; ღვინის ტურზე წასვლა; უნიკალური ღვინოების პოვნა; სოფლის გარემოს ნახვა; სხვა ადამიანებთან სოციალიზაცია; ღვინის სხვა პროდუქტების შეძენა; ღვინის რესტორანში ვახშმობა; მეღვინესთან შეხვედრა.


განხორციელებული კვლევის ფარგლებში, მათ ასევე წარმოდგენილი აქვთ ის ფაქტორები, რაც ახდენს ზემოქმედებას ტურისტზე, ეს ფაქტორებია:

1. ულამაზესი პეიზაჟები და ლანდშაფტები, ხედები;
2. ღვინის მამულები - სილამაზე, მაღაზიის ზომა, ხარისხი, მრავალფეროვნება, ერთმანეთთან სიახლოვე;
3. ღვინის ხარისხი, გემოვნება, მრავალფეროვნება, უნიკალურობა და ა.შ. - დადებითი შეფასებები;
4. ქალაქი / სოფლები - მშვენიერი, მომხიბლავი, ისტორიული ბაღები;
5. რეგიონის გარემო, სიმშვიდე, თავისუფლება, რომანტიულობა;
6. მეგობრული ადამიანები, სტუმართმოყვარეობა;
7. აქტივობები, მრავალფეროვანი სანახაობები, ველოსიპედი, გოლფი, შოპინგი;
8. ღვინის დაგემოვნება / ტურები - კარგად ორგანიზებული, მრავალფეროვანი, პროფესიონალი პერსონალი;
9. რეგიონის ხელმისაწვდომობა;
10. რესტორნებისა და კვების შესანიშნავი ხარისხი, გურმან ტურისტთა შეფასებები;
11. ტურისტული ინფრასტრუქტურა - კარგი საცხოვრებელი, ტურისტებზე ორიენტირებული, განაშენიანებული;
12. კლიმატი და ამინდი, სუფთა ჰაერი და სუფთა მხარე - დადებითი მითითებები;
13. ვენახები, მევენახეობა, მეურნეობის დამუშავებული სახე;
14. რეგიონის სხვა პროდუქტები - ხილი (ატამი და ა.შ.);
15. ღვინის ღონისძიებები - შოუ, ფესტივალი, თეატრი, მრავალფეროვნება;
16. ღვინის ცნობადობა - (კანადის შემთხვევაში მსოფლიოში განთქმული ბრენდები, ბრწყინვალე შეფასებებით).

სქემა 2-ზე განხილული კვლევის ავტორებს, წარმოდგენილი აქვთ მომსახურების ის მახასიათებლები, რომლებიც გავლენას ახდენს ღვინის ტურიზმის განვითარებაზე. მასში გამოირჩევა ორი მახასიათებელი, ესენია: მომსახურების მახასიათებელი და ღვინის მახასიათებელი, სადაც იკვეთება ამ ორი სერვისის ურთიერთკავშირი და მათი ერთმანეთთან მჭიდრო დამოკიდებულება, სწორედ მოცემულ მახასიათებელზე დაყრდნობით შემუშავდა ღვინის ტურიზმის განვითარების ჩარჩო საქართველოს რეგიონებისათვის.

ღვინის ტურიზმის განვითარებას ღვინის მწარმოებლებისათვის გარკვეული უპირატესობები აქვს: 1. ვიზიტორთა მოზიდვა; 2. ღვინის მომხმარებელთა/ვიზიტორთა საჭიროებების უკეთესი გაგება; 3. მაღალი მარჟით პირდაპირი გაყიდვების ხელშეწყობა; 4. ბრენდის პრომოუშენი; 5. ახალი ღვინის ბრენდების დროული და სრულყოფილი ტესტირება; 6. ღვინის მომხმარებელთა პროფილის დივერსიფიკაცია; 7. საზოგადოებასთან ურთიერთობა; 8. ჯვარედინი გაყიდვები; 9. ვიზიტორთა განათლების შესაძლებლობა; 10. ღვინის მომხმარებელთან დაახლოება (ქობლიანიძე და სხვ., 2016).

მომსახურების მახასიათებლები (servicescape) ღვინის რეგიონის სერვისების კონტექსტში



წყარო: Bruwer & Lesschaeve, 2012

4. ტერმინი „ღვინის ტურისტი“

„ღვინის ტურისტი“ შედარებით ახალი ტერმინია ქართული აკადემიური სივრცისთვის, ღვინის ტურისტი ეს არის ადამიანი, რომელსაც გააჩნია, როგორც ღვინის, ასევე ლოკაციის (ღვინის რეგიონის) საჭიროება, სადაც ღვინო იწარმოება. უფრო ფართო კონტექსტით შეიძლება ითქვას, რომ ღვინის ტურიზმი შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც ადამიანის ცხოვრების სტილთან, ასევე მოგზაურობასთან (Bruwer & Alant, 2009). ღვინის ტურისტები, როგორც წესი სტუმრობენ არაერთ ქვეყანას და გააჩნიათ გამოცდილება, თუმცაღა მათ შორის შეიძლება იყვნენ ისეთები, რომლებსაც არ გააჩნიათ გამოცდილება და პირველ შთაბეჭდილებას, სწორედ ის რეგიონი უქმნის რომელსაც ის სტუმრობს.

5. თანამედროვე მიდგომები ღვინის ტურიზმის მიმართ

მონტელას მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, სადაც ღვინის ტურიზმის შესახებ 43 აკადემიური სტატიის მიმოხილვა არის მოცემული, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ როდესაც ქვეყნები ახდენენ ღვინის ტურიზმის სტრატეგიული განვითარების გეგმის დასახვას, ღვინის მწარმოებელ ქვეყნებში ფიქრობენ არამხოლოდ სტრატეგიულ დაგეგმარებაზე, არამედ მასში ითვალისწინებენ ტურიზმის ნაკადებსა და ბუნებრივ რესურსებს, რადგან ღვინის ტურიზმზე მოთხოვნის ზრდა, თავისთავად მოითხოვს ყურადღების გამახვილებას რესურსების შენარჩუნებაზე და ექსპლუატაციაზე, რომ მიღებული იქნეს გონივრული და მიზანშეწონილი სტრატეგიული განვითარება (Montella, 2017).

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ 2018 წელს, ღვინის ტურიზმის მესამე კონფერენციაზე, რომელიც მოლდოვაში ჩატარდა, მოუწოდა ქვეყნებს, რომ ღვინის ტურიზმის განვითარება გახდეს ქვეყნის ტურიზმის განვითარებისა და სოფლის (rural) ტურიზმის განვითარების ნაწილი. დისკუსია ღვინის ტურიზმის შესახებ მიმდინარეობდა 2 დღის განმავლობაში, სადაც 30 ქვეყნის ექსპერტები იღებდნენ მონაწილეობას. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პრიორიტეტია, რომ გაღრმავდეს ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი და მოხდეს სპეციფიური სეგმენტების გადახედვა, როგორცაა ღვინის ტურიზმი. ღვინის ტურიზმი წარმოადგენს რეგიონის განვითარების ინსტრუმენტს, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ეძლევა, ჩაერთოს და სარგებელი მიიღოს ტურიზმის განვითარების ღირებულებების მთლიანი ჯაჭვისაგან. მოხსენებაში ასევე მოუწოდებენ მმართველობის მოდელის შემუშავებისაკენ, რომლებიც ტურიზმის მენეჯერებს დაეხმარება, რომ ღვინის ტურიზმი გახდეს სოფლისა და კულტურული ტურიზმის განვითარების ნაწილი.

კონფერენციის მთავარ მიგნებებს შორის იყო ყველა მონაწილის ერთიან დასკვნამდე მისვლა, რომ ღვინის ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს პარტნიორობის უნარების განვითარებას, მონაცემთა ბაზებზე კვლევების განხორციელებას და მცირე ბიზნესის და მეწარმეების მხარდაჭერას, სამუშაო ადგილების შექმნას, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას და ახალი კოლაბორაციული მოდელების შემუშავებას. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა განაცხადა „ღვინის ტურიზმის განვითარების სირთულე და დაინტერესებული მხარეების მრავალფეროვნება მოითხოვს თანამშრომლობის ინოვაციურ მოდელებს; ჩვენ უნდა დავანგრძობთ კედლები და ხელი შევუწყოთ ახალ კლასტერებს“ (Wine Tourism as an Approach to Sustainable Rural Development, 2019). კონფერენციის ფარგლებში განხორციელებული იყო რამდენიმე კვლევა, რომ განესაზღვრათ ღვინის ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნები, მომხმარებლები და ერთმანეთისთვის შეედარებინათ დესტინაციები ერთი და იგივე კრიტერიუმებით, საერთაშორისო დონეზე. კვლევის ფარგლებში ასევე წარმოჩინდა, რომ სამუშაო ადგილების შექმნის პარალელურად, ღვინის ტურიზმის განვითარება მოითხოვს ადამიანური რესურსების უნარ-ჩვევების განვითარებას, რისთვისაც აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა და მდგრადობა, ასევე გუნდურად მოთამაშე ადამიანების ჩართულობას და იმ ხელოვნების დაუფლებას, თუ როგორ უნდა გადმოსცე ღვინის ამბავი. საბოლოო ჯამში, კონფერენციაზე შემუშავებული იქნა სამოქმედო გეგმა,


რომელიც შედგება 8 კომპონენტისგან: ღვინის ტურიზმის სტრატეგია და მთავრობა; პარტნიორობა; ადგილობრივების ჩართულობა; მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და ახალი მეწარმეების ჩართულობა; ღვინის ტურიზმი სოფლის განვითარებისთვის; კვლევის ტენდენციები და მომხმარებლები; უნარ-ჩვევების განვითარება და ტურიზმის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან.

1. ღვინის ტურიზმის სტრატეგია და მთავრობა: ღვინის ტურიზმს სჭირდება, რომ მიჩნეულ იქნეს ნაციონალური ტურიზმის ნაწილად და გათვალისწინებული იქნეს სოფლის განვითარების პოლიტიკაში, რომ შეიქმნას შესაბამისი მმართველობის მოდელი.
2. პარტნიორობა და თანამშრომლობა: ღვინის ტურიზმის განვითარების კოპლექსურობა და დაინტერესებული მხარეების მრავალფეროვნება მოითხოვს თანამშრომლობის ინოვაციურ მოდელებს, საჭიროა „კედლების დანგრევა“ და ახალი კლასტერების შექმნა.
3. ადგილობრივების ჩართულობა: ღვინის ტურიზმის გაძლიერება მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით არის შესაძლებელი, იმისთვის რომ მოხდეს ტურიზმისაგან მაქსიმალური სარგებლის მიღება აუცილებელია ყველამ გაიგოს და იცოდეს ტურიზმის მნიშვნელობა.
4. მცირე ბიზნესისა და მეწარმეების მხარდაჭერა: მცირე ბიზნესსა და მეწარმეებს სჭირდებათ ადეკვატური დაფინანსება და რეგულაციები იმისათვის, რომ დამკვიდრდეს ინოვაციები და ციფრული ტრანსფორმაციები.
5. ღვინის ტურიზმის „ღვინის გაყიდვების“ მიღმა: ღვინის ტურიზმი არ არის მხოლოდ შესაძლებლობა მეღვინეებისათვის, რომ გაზარდონ თავიანთი შემოსავალი, არამედ ეს არის ხედვა სოფლისა და კულტურის ტურიზმისადმი და მოითხოვს ჰოლისტიკურ მიდგომას დანიშნულების ადგილების მართვის თვალსაზრისით.
6. იცნობდე შენს ვიზიტორს: უფრო მეტი კვლევების განხორციელება საჭირო იმისთვის რომ შევასდეს და გაგებულ იქნეს ღვინის ტურიზმის ტენდენციები და მომხმარებლები, რომ დანიშნულების ადგილებს შორის საერთაშორისო დონეზე მოხდეს ერთმანეთთან შედარება. საჭიროა კრიტერიუმების ჰარმონიზირება და მონაცემთა დამუშავების ახალი შესაძლებლობების დამკვიდრება.
7. უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები - სამუშაო ადგილების შექმნა მოითხოვს შესაბამის უნარ-ჩვევებს, რომლებიც დაკავშირებულია ახალ ტექნოლოგიებთან და მდგრადობასთან, ასევე ისეთი უნარ-ჩვევები, როგორებიცაა: გადმოცემის უნარი, გუნდურობა, თავსებადობა და სხვა.
8. ტურიზმის, სოფლის განვითარებისა და მდგრადი განვითარების მიზნები: ღვინის ტურიზმის სტრატეგიები, თავსებადი უნდა იყოს მდგრადი განვითარების 17 მიზანთან და ინდიკატორთან (Wine Tourism as an Approach to Sustainable Rural Development 2019).

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე მოძიებული იქნა სტატისტიკური მონაცემები საქართველოს პოპულარული რეგიონების შესახებ. შედეგად შემუშავდა გრაფიკი 1 და გრაფიკი 2. მოძიებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ კახეთი სხვა რეგიონებთან შედარებით გამოირჩევა ტურისტული პოტენციალით, მას დაახლოებით იმდენივე ადამიანი სტუმრობს, რამდენიც შიდა ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებს. ეს ერთი მხრივ კარგია, რადგან რეგიონების თანაბრად განვითარებაზე მიუთითებს, მაგრამ მეორე მხრივ გარკვეულწილად მიუთითებს იმაზე, რომ კახეთის რეგიონის პოტენციალი არ არის ათვისებული ჯერ კიდევ სრულად, განსაკუთრებით კი ღვინის ტურიზმის მიმართულებით. 2019 წელს კი 2018 წელთან შედარებით შეცვლილია თბილისის დატვირთვაც და თითქმის განახევრებულია მისი პროცენტული მაჩვენებელი. კერძოდ, 52,30%-დან შემცირდა 24,10%-მდე, იგივე ფაქტი ფიქსირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიმართაც, მისი მაჩვენებელი 30,40%-დან შემცირდა 13,80%-მდე, რაც მეტყველებს, რომ ტურისტებმა სხვა რეგიონებშიც გადაინაცვლეს და მათთვის საინტერესო სხვა რეგიონებიც გახდა.

გრაფიკი 1.


2018 წლის პოპულარული რეგიონები



წყარო: ავტორი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით)

გრაფიკი 2.


2019 წლის პოპულარული რეგიონები



წყარო: ავტორი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

გრაფიკი 3.

2018 წლის პოპულარული აქტივობები




წყარო: ავტორი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

გრაფიკი 3-ის მიხედვით კი ქართული სამზარეულოსა და ღვინის დაგემოვნება შემოსავლის თვალსაზრისით მეორე ადგილზეა 66,60%-ით, სხვა აქტივობებს შორის, რაც ტურისტებს შორის მის პოპულარობაზე მეტყველებს. 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა 74,80%-მდე, რაც მისი პოპულარობის ზრდაზე მეტყველებს, შესაბამისად გაიზარდა მისგან მიღებული შემოსავალიც (იხ. გრაფიკი 4) და 4 385 220 ლარიდან 5 408 635 ლარზე ავიდა. აღნიშნული შედეგი შესაძლებელია გამოწვეული იყოს იმ მარკეტინგული აქტივობებითაც, რასაც საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ახორციელებს ქართული ღვინის პოპულარიზაციისათვის.

გრაფიკი 4.

2019 წლის პოპულარული აქტივობები



წყარო: ავტორი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

6. კვლევის შედეგები

განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ღვინის ტურიზმის პოპულარიზაციისათვის სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯები ხორციელდება, კერძოდ: 2019 წელს შემუშავებული იქნა ღვინის გზის გზამკვლევი, რომელიც მიმოიხილავს ღვინის კეთების ისტორიას საქართველოში, ღვინის სასმისებს, სუფრას და ქართული ყურძნის პოპულარულ ჯიშებს. აქვე წარმოდგენილია რთველის ლექსიკონი და ინფორმაცია ღვინის მარნების შესახებ (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2019), საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციამ კი შეიმუშავა ღვინის რუკები (საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია, 2018), პუბლიკაცია შეიცავს საქართველოსა და რეგიონების ღვინის რუკებს, სადაც მონიშნულია შესაბამისი ღვინის ობიექტები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა 2018 წელს

შეიმუშავა სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს დამხმარე მასალას ტურისტული გიდებისა და ღვინის მოყვარულთათვის. წიგნი გასაგები ენით არის დაწერილი და თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი ყველა საჭირო ინფორმაცია, რაც ღვინოს შეეხება, ესენია: ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია, ღვინის დაყენების ტექნოლოგიები, ღვინის კანონმდებლობა, ადგილწარმოშობის ღვინოები, ქართული ვაზის ჯიშები, ღვინის დაგემოვნების ხელოვნება და კერძებთან მისი შეხამება. ცალკე არის წარმოდგენილი ღვინო აჭარაში – აჭარაში გავრცელებული ვაზის ჯიშებითა და ქედის მარნებით (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 2018), საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ასევე სხვადასხვა ენაზე გამოსცა ბროშურა ღვინო და საკვები, ხოლო 2017 წელს დაიწყო ტრენინგების განხორციელება ღვინის ტურიზმის გიდებისათვის, აქვე შემუშავებული იქნა საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, სადაც პუნქტ 3.7.-ში, წარმოდგენილია, შემდეგი მიზანი: „საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებზე საქართველოს წარმოჩენის გაუმჯობესება, კულტურის, ღვინის, ხელოვნების ნიმუშებისა და სხვა მიმართულებების წარდგენით“, აღნიშნულმა მიზანმა კი დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს ღვინის ტურიზმის განვითარებაზე. 2019 წლის შემოდგომას ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ დაიწყო ერთგვარი სარეკლამო კამპანია, რომელიც მიზანად ისახავს ქართული ღვინის პოპულარიზაციას და საქართველოში ჩამოსულ ტურისტებს აეროპორტში გადასცემს ღვინოს, რომელზეც საინფორმაციო სახის მესიჯებია დატანილი.

2012 წლიდან საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციამ დაიწყო პროექტი „ღვინის გზა“, რომლის ფარგლებშიც ხდება საქართველოს მასშტაბით არსებული მარნების იდენტიფიცირება, შეფასება და ფოტო ფიქსაცია, რომლის მიზანია: ღვინის ტურიზმის ობიექტების ელექტრონული ბაზისთვის ახალი ობიექტების დამატება; რეკომენდებული მარნებისთვის მიმართულების მანიშნებლები და სახელობითი დაფების დამზადება; საოჯახო მარნებისთვის ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა თემებზე, მათ შორის ქართული ღვინის ისტორია, ღვინის დაგემოვნების ხელოვნება, ფინანსები / ბუღალტერია, საბაზისო უცხო ენა; საინფორმაციო სარეკლამო მასალების დამზადება (ღვინის რუკა და გზამკვლევი), სადაც შეყვანილი იქნება ინფორმაცია რეკომენდებული მარნების შესახებ და გავრცელება უფასოდ ადმინისტრაციის ხელთარსებულ ინტერნეტ პლატფორმისა და ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების საშუალებით; მთავარ საავტომობილო გზებზე მიკრო ზონების (ადგილწარმოშობის ღვინოების) აღმნიშვნელი სტელების განთავსება; მუნიციპალიტეტების შესასვლელთან საინფორმაციო დაფების განთავსება, რომელზეც დატანილი იქნება მუნიციპალიტეტში არსებული მარნებისა და ღვინის რუკა. 2018 წლის მონაცემებით რეგისტრირებული იყო სულ 165 ბენეფიციარი (ღვინის გზა).

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდა ცხრილი 1, რომელიც ასახავს ტურიზმის მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს, ბოლო 8 წლის განმავლობაში.

ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი აქტივობები 2012-2020 წლები

| წელი | სახელმწიფო სტრუქტურა / ორგანიზაცია / კომპანია | აქტივობა/დოკუმენტი/სახელმძღვანელო |
|--------------|--|--|
| 2020 | მეიდან ჯგუფის, არაკომერციული პროექტი | ღვინის მუზეუმი |
| 2019 2020 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | ტურისტებისათვის აეროპორტში ქართული ღვინის საჩუქრად გადაცემის კამპანია |
| 2019 | ღვინის ეროვნული სააგენტო | ქართული ღვინის ფორუმი ამერიკის შეერთებულ შტატებში |
| 2019 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | ღვინის გზის გზამკვლევი (ინგლისურ ენაზე) |
| 2018 | აჭარის ავტონ. რესპ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი | ღვინის მეგზური (სახელმძღვანელო) |
| 2018 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | ღვინის ტურიზმის ელექტორნულ ბაზას 41 ახალი ობიექტი შეემატა |
| 2018 | საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია | ღვინის რუკები |
| 2017 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | პროდუქტის ბროშურა – ღვინო და საკვები (ფრანგულ ენაზე); |
| 2017 | საქართველოს მთავრობა | გამოფენა „საქართველო – მეღვინეობის აკვანი“, რომელსაც საფრანგეთის ქალაქ ბორდოს ღვინის მუზეუმმა უმასპინძლა |
| 2017 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | პროდუქტის ბროშურა – ღვინო და საკვები (ინგლისურ ენაზე) |
| 2017 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | პროდუქტის ბროშურა – ღვინო და საკვები (ჩინურ ენაზე) |
| 2017 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | პროდუქტის ბროშურა – ღვინო და საკვები (იტალიურ ენაზე) |
| 2017 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | პროდუქტის ბროშურა – ღვინო და საკვები (გერმანულ ენაზე) |
| 2017 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | პროდუქტის ბროშურა – ღვინო და საკვები (რუსულ ენაზე) |
| 2017 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | პროდუქტის ბროშურა – ღვინო და საკვები (იაპონურ ენაზე) |
| 2017 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | პროდუქტის ბროშურა – ღვინო და საკვები (პოლონურ ენაზე) |
| 2016 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | პროდუქტის ბროშურა – ღვინო და საკვები (ესპანურ ენაზე) |


გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

| | | |
|------|---|---|
| 2016 | მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია | კახეთში ღვინის ტურიზმის მსოფლიო კონფერენცია |
| 2015 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | პროდუქტის ბროშურა – ღვინო და საკვები (არაბულ ენაზე) |
| 2014 | ღვინის ეროვნული სააგენტო | ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა |
| 2014 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | პროდუქტის ბროშურა – ღვინო და საკვები (პორტუგალიურ ენაზე) |
| 2013 | იუნესკო | ქვეყრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა |
| 2012 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | პროდუქტის ბროშურა – ღვინო და საკვები (ებრაულ ენაზე) |
| 2012 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | პროექტი „ღვინის გზა“, ღვინის ტურიზმის ობიექტების ელექტრონულ ბაზა |
| 2012 | USAID პროექტი | “PROMOTIONAL PLAN FOR GEORGIA’S WINE TOURISM SECTOR “ |

*წყარო: ავტორი, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე
(შენიშვნა: ცხრილი შესაძლებელია იყოს არასრული)*

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შემდეგ პროექტ „ღვინის გზასთან“ დაკავშირებით დადგინდა, რომ 2020 წლის 27 იანვრის მდგომარეობით: „2020 წლის მარტის მდგომარეობით პროექტში ჩართულია 211 ობიექტი - საოჯახო მარანი და საწარმო, სადაც ტურისტებისათვის გარკვეული ღვინოსთან დაკავშირებული მომსახურებები არსებობს. პროექტის თანმდევი ბროშურა განთავსებულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე, თუმცა მასში ჯერ არ არის შეტანილი ინფორმაცია იმ 46 ობიექტზე, რომლის პროექტში ჩართვა 2019 წელს მოხდა. 2019 წელს პროექტში ჩართული ობიექტების მონაცემები კი რეგიონების მიხედვით ასეთია: კახეთი - 30, ქვემო ქართლი - 2, მცხეთა-მთიანეთი - 2, შიდა ქართლი - 3, იმერეთი - 6, რაჭა-ლეჩხუმი - 2, გურია - 1.

პროექტ „ღვინის გზაში“ ჩართული რეგიონები, 2019 წლის მონაცემები



წყარო: ავტორი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მიწოდებული მონაცემების საფუძველზე

2019 წლის ბოლოს, ასევე, მომზადდა პროექტი ახალი 72 ობიექტისათვის, ხოლო რეკომენდებული ობიექტებისათვის მანიშნებლების დაყენება მოხდება 2020 წლის განმავლობაში.

ლიტერატურის მიმოხილვის და განხორციელებულ კვლევაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ საქართველოში აქტიურად ხორციელდება რიგი ღონისძიებებისა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს რეგიონში ღვინის ტურიზმის განვითარებას, ხდება გარემო პირობების შექმნა, ინფრასტრუქტურის მოწყობა, ღონისძიებების ჩატარება, მაგრამ ეს ატარებს შედეგებით პერმანენტულ ხასიათს.

აღსანიშნავია, ასევე ის ფაქტი, რომ ღვინის ტურიზმის სფეროში ჯერ არ განხორციელებულა მასშტაბური ხასიათის კვლევა, რაც რეგიონის შემდგომი განვითარების კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნაში დიდ როლს შეასრულებს.

იმისთვის, რომ საქართველომ ფეხი მოიკიდოს და გახდეს კონკურენტუნარიანი ღვინის ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე, განსახორციელებელია რიგი აქტივობებისა. კერძოდ:


1. ღვინის მწარმოებელი კომპანიებისათვის ხარისხის კონტროლის მექანიზმების დამკვიდრება, როგორც ადგილობრივი ბაზრისთვის ისე საერთაშორისო ბაზრისათვის.
2. ადგილობრივ კომპანიებს შორის კონკურენტუნარიანობის ზრდა.
3. სადეგუსტაციო ცენტრებისათვის მომსახურების სტანდარტების დამკვიდრება.
4. ტურისტის დახვედრის საუკეთესო პრაქტიკის შემოღება და დამკვიდრება, რადგან პირველი შთაბეჭდილება იქმნება იქ, საიდანაც ტურისტი შემოდის საქართველოში.

ტურისტთან ურთიერთობისას უმნიშვნელოვანესია მისი მოლოდინების გამართლება და კიდევ უფრო მეტი მოლოდინების გადაჭარბება.

5. ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადება, სერვისის, გაყიდვებისა და მასპინძლობის მიმართულებით.
6. მაღალშემოსავლიანი ტურისტების მოზიდვა და უმაღლესი ხარისხის ღვინის წარმოება. განსაკუთრებულ ყურადღებას თანამედროვე მსოფლიოში ადამიანები ეკოლოგიურად სუფთა ღვინის მიმართ იჩენენ.
7. საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, თანამედროვე მეთოდების დანერგვა.
8. სხვა ქვეყნების ღვინის სტრატეგიული გეგმების განვითარების ანალიზი და ღვინის განვითარების სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის როგორც ბრენდის წარმოჩენას ღვინის მსოფლიო ტურიზმის ბაზარზე, რადგან საქართველოს გააჩნია ის ღირებულებები, რომ ტურისტები დაინტერესდნენ, ღვინით, როგორც კულტურული ფასეულობით.
9. მცირე მეწარმეების წახალისება - დღეს არსებულ ტურისტულ ბაზარს თუ გადავხედავთ ჩანს, რომ მსხვილი ღვინის კომპანიები ცდილობენ თვითონვე შეიძინონ ვენახები, განავითარონ მეურნეობა, ჰქონდეთ განთავსების საშუალება და ტურისტებს სრულად ყველა პაკეტის გათვალისწინებით შესთავაზონ მომსახურება, რაც მეორე მხრივ უარყოფითად აისახება მცირე მეწარმეებზე და უნიკალურ მარნებზე, რომელებიც შემორჩენილია საქართველოს ყველა რეგიონაში, განსაკუთრებით კი კახეთში.
10. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, როგორც მთლიანად რეგიონში, ასევე კერძო საოჯახო მარნებში. აუცილებელია მოხდეს რეგულაციების შემოღება და კონტროლი, რადგან ეს შემდგომ უარყოფითად აისახება ტურიზმის განვითარებაზე და ტურისტის შთაბეჭდილებაზე.
11. საქართველოში ღვინის ტურიზმის განსავითარებლად აუცილებელია უფრო მეტი კომუნიკაცია ტურისტებთან და მიზნობრივ ბაზრებთან, რადგან ღვინის ტურიზმით შესაძლებელია დაინტერესდეს სხვადასხვა სეგმენტი და ეს სეგმენტები სწორად უნდა იყოს განსაზღვრული.

შესწავლილი ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა ღვინის ტურიზმის ბიზნესის განვითარების დადებითი ასპექტების ამსახველი სქემის შედგენა (იხ. სქემა 3):

ღვინის ტურიზმის ბიზნესის განვითარების შედეგები




წყარო: ავტორი

განხორციელებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ღვინის ტურიზმით ინტერესდებიან:

1. ღვინის წარმოებაში ჩართული ადამიანები, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ღვინის ქვევრში დაყენების მეთოდი, რომელიც იუნესკოს მიერ არის დაცული.
2. კულტურული ტურიზმით დაინტერესებული ადამიანები.
3. საქმიანი ვიზიტით ჩამოსული ადამიანები.
4. ღვინის მოყვარულები.

სტატის ფარგლებში შემუშავდა კონცეპტუალური ჩარჩო საქართველოს რეგიონებისათვის ღვინის ტურისტის მოსაზიდად და ტურიზმის ბიზნესის მდგრადი განვითარების კონცეფციის ფარგლებში დასადგენად (იხ. სქემა 4).

ღვინის ტურიზმის განვითარების კონცეპტუალური ჩარჩო



წყარო: ავტორი (დამუშავებულ მასალებზე დაყრდნობით)

ღვინის ტურიზმში კიდევ ერთი ფაქტორი, რაც საქართველოს განსხვავებს სხვა ქვეყნებისაგან, არის ღვინის კულტურის უძველესი ისტორია და ტრადიციები, თუმცა ეს პასუხისმგებლობა საქართველოს კიდევ უფრო დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს. ცხრილში (იხ. ცხრილი 2) მოცემულია იმ ფაქტორების მცირე ჩამონათვალი, რა გამოწვევების წინაშეც დგას საქართველო, თანამდეროვე ღვინის მწარმოებელ ქვეყნებთან მიმართებაში.

ღვინის ტურიზმის განვითარების გამოწვევები


| გამოწვევა | საქართველო | სხვა თანამედროვე ქვეყნები |
|---|------------|---------------------------|
| განვითარების სტრატეგიები | არა | დიახ |
| გამართული ინფრასტრუქტურა | არა | დიახ |
| ღვინის დაყენების უძველესი საკუთარი მეთოდები | დიახ | არა |
| რეგიონის ბრენდინგი | არა | დიახ |
| ღვინის მუზეუმები | დიახ | დიახ |
| ლოიალობის პროგრამები მუდმივი სტუმრებისათვის | არა | დიახ |
| თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი შენობები, მარნები | არა | დიახ |
| კვალიფიციური ადამიანების დასაქმება | არა | დიახ |
| ხარისხის კონტროლის მექანიზმები | არა | დიახ |

წყარო: ავტორი

ღვინის ტურიზმი ეს არის კომპლექსური მოვლენა, რომელიც განვითარებაზე მოქმედებს (იხ. სქემა 5).

სქემა 5.


ღვინის ტურიზმის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: ავტორი

ღვინის ტურიზმში საქართველოს მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ჩართულია რამდენიმე მხარე, რომელებისთვისაც აუცილებელია კოორდინირებული თანამშრომლობა და ერთობლივი სტრატეგიების შემუშავება, რადგან თითოეული მათგანის განვითარება მოქმედებს სხვა ღვინის ტურიზმში ჩართული კომპანიების თუ დაინტერესებული პირების განვითარებაზეც (იხ. სქემა 6).

ღვინის ტურიზმში ჩართული პირები / ორგანიზაციები / სტრუქტურები




წყარო: ავტორი


ღვინის ტურიზმში ჩართული ყველა პირი/ორგანიზაცია/სტრუქტურა ახდენს თავისებურ გავლენას ღვინის ტურიზმის განვითარებაზე, კერძოდ ტურისტული კომპანია ყიდის მარნის, ღვინის კომპანიის მომსახურებას, ღვინის ტურისტი - არის კლიენტი, რომლის დადებითი შეფასების შემთხვევაშიც იზრდება ტურისტთა რიცხვი; ტურიზმის განვითარება შეუძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის გარეშე და ძალიან მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციები, ისეთი როგორცაა ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტი Iter Vitis, რომელშიც საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს, ღვინის ევროპულ მარშრუტში, 2017 წლიდან საპატიო ადგილი უკავია; სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დაგეგმილი სარეკლამო კამპანიები და პროექტები დადებითად აისახება ღვინის ტურიზმის განვითარებაზე და ხელს უწყობს, როგორც ქვეყნის ასევე რეგიონის და ღვინის, როგორც ცალკე პროდუქტის ცნობადობის გაზრდას; ღვინის მწარმოებელი კომპანიები, აქტიურად არიან ჩართულები უკვე ტურისტულ კომპანიებთან. სტუმრებს სთავაზობენ სასტუმროს ტიპის მომსახურებასაც და ბოლოს ადგილობრივი მარნების მფლობელები, საქართველოში ყველა ოჯახს თავისი ღვინის ისტორია აქვს და არსებობენ კიდევ ოჯახები, სადაც ინახება ღვინის დაყენების საგანძურები, რაც შესაძლებელია ტურისტს სხვა დიდმა კომპანიამ ვერ შესთავაზოს, ამიტომ აუცილებელია მათთან თანამშრომლობაც და ჩართულობაც.

კვლევის განხორციელების ფარგლებში გამოკითხული იქნა 100 ადამიანი, განხორციელებული კვლევის მიზანი იყო, თუ რამდენად ინტერესდებიან ადამიანები ქართული ღვინით. შედეგად გამოვლინდა, რომ: გამოკითხულთა 37% იყო ნამყოფი დეგუსტაციაზე თბილისში (31% ახლდა სტუმარს და 8% საკუთარი ინიციატივით იყო წასული).

დიაგრამა 1. ღვინის დეგუსტაცია



დიაგრამა 2. დეგუსტაციის რეგიონი



28%-დან 20% აღნიშნა, რომ დეგუსტაციის საშუალება მიეცათ მათ რეგიონში შაბათ-კვირას დასასვენებლად ჩასვლისას, 5% აღნიშნა რომ უბრალოდ შეიარა გზად და 3% აღნიშნა, რომ უშუალოდ მარნის მოსანახულებლად წავიდა რეგიონში.

კვლევამ გამოავლინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა, ის ადგილობრივ მოსახლეობას შორის ვერ სარგებლობს საკმარისი პოპულარობით და იზვიათად სტუმრობენ რეგიონს ღვინის ტურის ფარგლებში.

დასკვნა

საქართველოში, ამ ეტაპზე აქტიურად ხდება ღვინის ტურიზმის პოპულარიზაცია, სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებებით, ხდება გადამზადების პროგრამების შემუშავება, რაც ხელს უწყობს გიდების კვალიფიკაციის ამაღლებას, თუმცა არ არის შემუშავებული ღვინის ტურიზმის განვითარების სტრატეგია, როგორც ცალკე დოკუმენტი. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ღვინის ტურიზმის განვითარება არის გზა ღვინის ბიზნესის განვითარებისათვის, ღვინის კულტურული მარშუტების შემუშავება და პოპულარიზაცია, ასევე ხელს უწყობს ქვეყნის კულტურული ფასეულობების პოპულარიზაციას და შენარჩუნებას, რაც მდგრადი განვითარების უმთავრესი მიზანია; საჯარო კერძო პარტნიორობა, ინტერაქტიულობა და თანამშრომლობა სახელმწიფოს, ღვინის კომპანიებსა და ტურისტულ კომპანიებს შორის დიდ როლს თამაშობს ტურიზმის განვითარებაში. ღვინის ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია მეტი კონტაქტი ვიზიტორებთან, დაჯავშნის სისტემის დამკვიდრება, კვალიფიციური ადამიანების დასაქმება და რაც მთავარია გამოცდილების გაზიარება. როგორც შემუშავებულ კონცეპტუალურ ჩარჩოში ჩანს, საქართველოს რეგიონებს გააჩნიათ პოტენციალი, რომ მოხდეს ღვინის ტურიზმის განვითარება და მის განსავითარებლად აუცილებელი ქმედითი ღონისძიებებიც ხორციელდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. (2018) ღვინის მეგზური. Available at: <https://gnta.ge/ge/publication/ღვინის-მეგზური/>
2. საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია. ღვინის რუკები. Available at: <https://gnta.ge/ge/publication/ღვინის-რუკები/>
3. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2019). ღვინის გზამკვლევი

Available at: <https://gnta.ge/ge/publication/ღვინის-გზის-გზამკვლევი/>

4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025. Available at: <https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01/საქართველოს-ტურიზმის-სტრატეგია.pdf>
5. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2018). საერთაშორისო ვიზიტორების კვლევა. Available at: <https://gnta.ge/ge/სტატისტიკა/>
6. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2019). საერთაშორისო ვიზიტორების კვლევა. Available at: <https://gnta.ge/ge/სტატისტიკა/>
7. ქობლიანიძე, თ., ჯაყელი, კ., მჭედლიშვილი, ნ. (2016). ღვინო და ღვინის ტურიზმი, როგორც ტერიტორიის ბრენდინგის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. ბათუმის საზღვაო აკადემიის მე-2 საერთ. კონფერ. მასალები: "Innovation Challenges of the Maritime Industry: Maritime transport, Engineering, Technology, logistics, Tourism", ბათუმი, 5-6 სექტ. 2016.
8. ღვინის გზა. Available at: <https://gnta.ge/ge/ღვინის-გზა/>
9. ღვინის ეროვნული სააგენტო. Available at: <http://georgianwine.gov.ge/Ge/Files/Downl./5104>
10. Bruwer, J., & Alant, K. (2009). The hedonic nature of wine tourism consumption: An experiential view. *International Journal of Wine Business Research*, 21(3), 235–257.
11. Bruwer, J., & Lesschaeve, I. (2012). Wine tourists' destination region brand image perception and antecedents: Conceptualization of a winescape framework. *Journal of Travel & Tourism Marketing*, 29(7), 611-628. Available at: <https://www.researchgate.net/publication/256049344>
12. Montella, M. M. (2017). Wine tourism and sustainability: A review. *Sustainability*, 9(1), 113. Available at: <https://www.mdpi.com/2071-1050/9/1/113/pdf>
13. Trišić, I., Štetić, S., Privitera, D., & Nedelcu, A. (2019). Wine Routes in Vojvodina Province, Northern Serbia: A Tool for Sustainable Tourism Development. *Sustainability*, 12(1), 1-14. Available at: <https://www.mdpi.com/2071-1050/12/1/82/htm>
14. Wine Tourism as an Approach to Sustainable Rural Development. (2019). Available at: <https://holidayfootprint.com/holiday-footprint/wine-tourism-as-an-approach-to-sustainable-rural-development/>.

The Importance and Challenges of Wine Tourism Development

Nino Sachaleli

Grigol Robakidze University, PhD Student
sachalelinino@yahoo.com

Abstract. The development of the wine tourism business, in the aspect of sustainable tourism development and the study of its current challenges in Georgia, is the main idea of the present article. The article is based on a study by Brewer and Leschiev, which was published in 2012. Therefore, there was created a conceptual framework for the development of wine tourism, which can be adapted by any region with the appropriate potential for wine tourism in Georgia. The focus of the article is on the current trends in the development of wine tourism and the current state of development of Georgian wine tourism. The article uses both qualitative and quantitative research methods, discusses scientific papers, research, and statistics. The subject of the study is sustainable development of tourism, and the aim of the research is to analyze the wine tourism business, present the current situation in Georgia, identify problems and develop recommendations to eliminate gaps. According to the research, Georgia has a great potential for the development of wine tourism business, with its resources, environment and physical conditions. The development of wine tourism is important for the country's economy and it includes the full development of the region, also wine tourism helps to create jobs in rural areas and helps to implement high living standards in the region.

Key words: wine tourism, wine business, sustainable development, rural tourism, wine tasting

ინვესტიციები - საქართველოს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების გზა კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად

თამარ ხახიშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
takokhakhishvili@gmail.com

რეზიუმე. 2020 წელს მსოფლიო მწვავე გამოწვევის წინაშე დადგა, როდესაც COVID-19 კორონავირუსი, პანდემიად გამოცხადდა. მიმდინარე სოციალურ ფონს თან დაერთო დაწესებული შეზღუდვებით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგები. მიმდინარე ეკონომიკური ვარდნის პროცესებმა სახელმწიფოს 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის რთული პერიოდი შეახსენა. ქვეყნებისთვის ანტიკრიზისული გეგმების გადახედვა და განხორციელება დღის წესრიგში დადგა. მიმდინარე სტატია მიმოიხილავს სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურას განვითარებადი ქვეყნების ანტიკრიზისული პოლიტიკის შესახებ. პრაქტიკულ კონტექსტში, სტატია განიხილავს 2008 წლის პოსტ-კრიზისულ მოვლენებს და მისი დაძლევის გზებს. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია თეორიების, ეკონომიკური პოლიტიკის და მაკროეკონომიკურ პარადიგმებზე დაყრდნობით ეკონომიკური ზრდის მოდელის შემუშავება და რეკომენდაციების სახით, იმ მექანიზმების შეთავაზება, რაც საქართველოს გააჩნია კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად. კვლევის მეშვეობით გამოიკვეთა, იმისათვის, რომ საქართველომ შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და განაგრძოს პროდუქტიულობის ზრდა, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყანაში უცხოური ვალუტის უწყვეტი შემოდინება. ამასთან, კვლევით განისაზღვრა, რომ აღნიშნულის უზრუნველყოფა ოთხი ძირითადი საშუალებით ხდება. COVID-19-ის პირობებში, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ინიციატივები ქვეყნებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. აღნიშნული სტატიის ღირებულებაც სახელმწიფო სტრუქტურებისთვის სარეკომენდაციო ხასიათის, კვლევით დადასტურებული ინფორმაციის მიწოდებაში მდგომარეობს.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური კრიზისი, ეკონომიკური ზრდის მოდელი, კონკურენტუნარიანობა, ინვესტიციები, ექსპორტი

1. შესავალი

2019 წლის ბოლოს მსოფლიომ ახალ ვირუსთან დაკავშირებით დაიწყო საუბარი. ვირუსის პირველი შემთხვევები ჩინეთში, უხანის პროვინციაში დაფიქსირდა, რომელიც ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ ჩინეთსა და მიმდებარე ქვეყნებში. ვირუსი სახელწოდებით COVID-19 მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას არ შეხებია, იგი მალევე მთელ მსოფლიოს მოედო, შესაბამისად, 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) ახალი კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა.

Covid-19-ის ფართო გავრცელებამ მკვეთრად გაამწვავა მსოფლიოს ეკონომიკური მდგომარეობა, ქვეყნების მიერ დაწესდა შეზღუდვები, ჩაიკეტა საზღვრები, შეჩერდა ფრენები, ექსპორტი. ქვეყნების უმეტესობა საგანგებო რეჟიმში ცხოვრებაზე გადავიდა.

აღნიშნულ მდგომარეობაში, ეკონომისტები არც თუ ისე სახარბიელო სურათს პროგნოზირებენ. მსოფლიოში რთული ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნა, შექმნილ სიტუაციაში კი არც საქართველოა გამონაკლისი.

ზემოთ აღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნული სტატიის მიზანია ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ისეთი საშუალებების განხილვა, რაც საქართველოს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. არსებულ ვითარებაში, როდესაც რთულია საუბარი მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე, მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს ის მექანიზმები, რაც საქართველოს ფეხზე დადგომაში დაეხმარება. ამ მნიშვნელოვან პროცესში კი ქვეყნის შიდა ინვესტიციები განიხილება როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლო ვარიანტი, კრიზისული მდგომარეობის დაძლევისა და ეკონომიკის დასტაბილურებისათვის.

კვლევა ემყარება ეკონომიკური კრიზისის ფენომენის განხილვას. მისი მეთოდოლოგიური საფუძველია თეორიების, ეკონომიკური პოლიტიკის და მაკროეკონომიკურ პარადიგმებზე დაყრდნობით ეკონომიკური ზრდის მოდელის შემუშავება. დამუშავებულია სამეცნიერო ხასიათის წყაროები, სტატიები. გაკეთებულია სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. მაგალითისთვის კი განხილულია 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდგომი „აღორძინების“ პერიოდი.

2. ეკონომიკური კრიზისის თეორიული კონტექსტი და ეფექტი ქვეყნების ეკონომიკაზე

ზოგადად, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ნორმალური მოვლენაა და როგორც წესი, იგი ყოველ ათ წელიწადში ერთხელ იჩენს ხოლმე თავს. Eurasian Journal of Economics and Finance-ის 2018 წლის გამოცემაში, აზრა ჰადიაჰმეტოვიჩის¹ სტატიაში ვკითხულობთ, რომ ეკონომიკურ მეცნიერებებში ეკონომიკური კრიზისი დახასიათებულია როგორც პერიოდი, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს ნეგატიური ეკონომიკური განვითარების პროცესები (2018). აღნიშნულმა პროცესებმა კი შეიძლება მოიცვას როგორც ერთი ან რამდენიმე დარგი, ასევე მთელი ქვეყანა და უფრო მეტიც, მთელი მსოფლიოც კი.

კეინზის² აზრით, ეკონომიკური კრიზისი კაპიტალის ცვეთის პროცესს წარმოადგენს (1964). იგი ყოველთვის წარმოადგენდა გამოწვევას ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკისთვის. მიუხედავად კრიზისების მიზეზების და შედეგების მუდმივი კვლევისა, კრიზისი იყო და დარჩება საზოგადოებრივ ფენომენად.

მიუხედავად იმისა, რომ მისი გამომწვევი მიზეზი ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სხვადასხვაა, მას გვერდს ვერ ავუვლით ისეთ ქვეყნებში, სადაც საფინანსო სისტემა არსებობს. კრიზისის პერიოდში, ცხადია, ყველა ინვესტორი თავს იკავებს კაპიტალდაბან-

¹ აზრა ჰადიაჰმეტოვიჩი - სარაევოს უნივერსიტეტის პროფესორი, მკვლევარი, პუბლიცისტი.

² ჯონ მეინარდ კეინზი - ბრიტანელი ეკონომისტი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია თანამედროვე ეკონომიკურ თეორიასა და ქვეყნების ფისკალურ პოლიტიკაზე. საფუძველი ჩაუყარა კეინზიანობას. ფისკალური და მონეტარული მექანიზმების გამოყენებით ეხმარებოდა მთავრობებს ეკონომიკური ვარდნის, დეპრესიებისა და ბუმის უარყოფითი ეფექტების შემსუბუქებაში.

დებისგან, ბიზნესები, საინვესტიციო ფონდები მიდიან დასკვნამდე, რომ ინვესტირება უფრო მაღალრისკიანია და მოგების ნახვის შანსი მინიმალურია. აღნიშნული მოლოდინები ძალიან მალე ვრცელდება ერთი ქვეყნიდან მეორეში, რის შედეგადაც ინვესტიციები წყდება, წარმოება ჩერდება, მომსახურების ობიექტები იკეტება და შესაბამისად, იზრდება უმუშევრობაც.

თუმცა, თუ გასული წლების ეკონომიკური კრიზისების ისტორიებს გავეცნობით, დავინახავთ, რომ პოსტ-კრიზისული მდგომარეობა, როგორც წესი, საკმაოდ დინამიურია (Jiang et al., 2019: 134-167). ველინგ ჯიანგის, იგორ მარტეკის და სხვათა ავტორობით 2019 წელს გამოცემულ სტატიაში ვკითხულობთ, რომ ქვეყნები კრიზისული მდგომარეობის დასრულების შემდეგ ახალი ენერჯით იწყებენ განვითარებას, ინოვაციების დანერგვას. ამ პროცესში კი მნიშვნელოვანია, თუ რომელი ქვეყანა მოახდენს პროცესების მართვას უფრო ეფექტურად, ანუ შეინარჩუნებს კონკურენტუნარიანობას.

2010 წელს Oxfam International³-ის მიერ გამოქვეყნდა კვლევა სახელწოდებით „გლობალური ეკონომიკური კრიზისი და განვითარებადი ქვეყნები“, სადაც ავტორები დუნკან გრინი და რიჩარდ კინგი მიმოიხილავენ 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდს განვითარებად ქვეყნებში. კვლევაში აღწერილია ფინანსური ბაზრების კრიზისი, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში დაიწყო და განვითარებადი ქვეყნებიც მოიცვა. კვლევის ფარგლებში ჩატარდა არაერთი გამოკითხვა, ინტერვიუ, მონაწილეობა მიიღო 2,500 ადამიანზე მეტმა მსოფლიოს 12 ქვეყნიდან⁴.

კვლევა მიმოიხილავს იმ ძირითად მექანიზმებს, რომლითაც აღნიშნული ქვეყნები კრიზისს გაუმკლავდნენ. კვლევაში ვხვდებით ტერმინს „მედეგობა“ (Resilience), რომლითაც მოხსენიებულია საზოგადოების, ინსტიტუტების და სისტემის უნარი შეეწინააღმდეგოს და შთანთქმავს შოკები, შეინარჩუნოს ეფექტური ფუნქციონირება, სისტემის გამართული მუშაობა და ა.შ. კვლევიდან ირკვევა, რომ პოსტ-კრიზისულ პერიოდში პოლიტიკოსები მთელ რიგ ნეგატიურ მოვლენებს პროგნოზირებდნენ, რაც როგორც წესი, კრიზისების შემდეგ იჩენს ხოლმე თავს, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც ვარაუდობდნენ: მოსახლეობა სოფლებში საცხოვრებლად არ გადასულა, არ შემცირებულა ფულადი გზავნილები უცხოეთიდან, საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეინარჩუნა სამუშაო ადგილები (თუმცა შემცირებული ხელფასით, მცირე სამუშაო საათებით და გაუარესებული პირობებით), ბავშვები დაუბრუნდნენ სკოლებს და სხვ.

კვლევა ცხადყოფს, რომ მედეგობის ხარისხი და შემდგომი აღორძინების პერიოდი დამოკიდებულია იმ ანტიკრიზისულ ქმედებებზე, რაც ჯერ კიდევ კრიზისის დადგომამდე ხორციელდება (გრინი და კინგი, 2010). 2008 წლის კრიზისის შემდგომი პერიოდის შემსუბუქება გამოიწვია შემდეგმა ფაქტორებმა, რომლებიც ჯერ კიდევ კრიზისამდე

³ Oxfam International - გლობალური მოძრაობა, რომლის საქმიანობა ემსახურება მსოფლიოში უთანასწორობის შემცირებას სიღარიბის დამლევის მიზნით.

⁴ სომხეთი, ბურკინა ფასო, კამბოჯა, ეკვატორი, განა, ინდონეზია, ნიკარაგუა, ფილიპინები, ტაილანდი, ვანუატუ, ვიეტნამი, ზამბია.

ჩამოყალიბდა: (1) სოციალური კავშირები - საზოგადოების აღქმა, რომ კრიზისულ პერიოდში გაჭირვებულებს უნდა დაეხმარო, მნიშვნელოვან როლს თამაშობს რთული პერიოდის დასაძლევად. აღნიშნულ პროცესში უდიდესი როლის მატარებლები არიან საზოგადოებრივი გაერთიანებები, ეკლესია, ფონდები, ადგილობრივი ინსტიტუტები. ისინი ახდენენ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაღვივებას, მოსახლეობას უჩნდება სურვილი გაუნაწილოს საკვები, ფული და სხვ. მათ, ვინც დაკარგა სამსახური და აღარ აქვთ შემოსავლის წყარო; (2) ეკონომიკური სტრუქტურები - როდესაც ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად დაფუძნებულია ერთ ან ორ დარგზე (პროდუქტსა თუ მომსახურებაზე), რისკი, რომ კრიზისული პერიოდი უფრო მწვავე იქნება, გაცილებით დიდია. განსაკუთრებით დღევანდელ ცხოვრებაში, გლობალური ეკონომიკის პირობებში, სექტორები მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან, შესაბამისად, ერთი დარგის კრიზისი იწვევს სხვა დარგების მდგომარეობის გაუარესებასაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში; (3) სახელმწიფოს როლი - კრიზისი, როგორც წესი, უფრო მარტივად დაძლევადია, თუ სახელმწიფოს მდგრადი ფისკალური პოლიტიკა გააჩნია. მნიშვნელოვანია რეზერვების დიდი მოცულობა, ბიუჯეტის სიჭარბე, მცირე სახელმწიფო ვალი. ამ პირობებში, სახელმწიფო უკეთ უმკლავდება პოსტ-კრიზისულ მდგომარეობას. დიდ როლს თამაშობს ასევე ბიუროკრატიული პროცედურების შემცირება, რაც ამარტივებს კრიზისულ პერიოდში ფისკალური ზომების მიღებას; (4) სოციალური პოლიტიკა - ქვეყანაში უფასო ჯანდაცვის და განათლების სისტემის არსებობა მნიშვნელოვანი საჭიროებაა გაჭირვებული ადამიანებისთვის, რომლებმაც ეკონომიკური კრიზისის პერიოდში დაკარგეს შემოსავლის წყარო. ასევე აქტუალურია უმუშევრობის დაზღვევა და „მოთხოვნაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების პროგრამები“.

კვლევამ გამოავლინა ასევე ის ფაქტი, რომ განვითარებად ქვეყნებს შორის კრიზისი, პირველ რიგში, იმ სახელმწიფოებს შეეხო, რომლებმაც მეტად ინტეგრირებული ფინანსური სექტორი გააჩნიათ და რომლებმაც მჭიდრო კავშირი აქვთ გლობალურ ფინანსურ ბაზრებთან, ნიო-იორკის Wall Street-თან და სხვა. კრიზისის მეორე სამიზნე ძირითადად ვაჭრობის სექტორი იყო, რადგან მსოფლიო ბაზრებზე საქონლის წარმოება შეჩერდა. ის ადამიანები, რომლებიც ყიდდნენ პროდუქტს ქუჩებში, მხატვრები, რომლებიც სახლში ხელოვნებით იყვნენ დაკავებულები, შემოსავლის გარეშე დარჩნენ. გზავნილები სხვა, მდიდარი სახელმწიფოებიდან შემცირდა, თუმცა არც ისე დიდი ოდენობით, როგორც ეს ნავარაუდები იყო. შემცირდა ვაჭრობა და იკლო ინვესტიციებმა, რადგან ყველა არსებულ და პოტენციურ ინვესტორს ერჩივნა ინვესტიცია საკუთარ ქვეყანაში განეხორციელებინა.

Oxfam International-ის კვლევა ცხადყოფს, რომ ქვეყნების მთავრობების უმეტესობა ეკონომიკის სტიმულირებისთვის ფისკალურ პოლიტიკას იყენებენ. სტიმულირების პაკეტები მოიცავს სოციალური დაცვისთვის საჭირო დაფინანსების გაზრდას, ინვესტირებას ინფრასტრუქტურაში, ასევე შემცირებულ უნდა იქნეს გადასახადები, გაიცეს სუბსიდიები. შესაბამისად, აღნიშნული შეღავათები მიმართული იქნება როგორც ცალკეული მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ასევე ბიზნესების ინტერესებზე.

იმ სახელმწიფოებში, რომლებიც კვლევის შედეგად იქნა შესწავლილი, კრიზისმა 65 მილიარდი დოლარის ფინანსური რესურსის საჭიროება გააჩინა. მიუხედავად იმისა, რომ

განვითარებულ ქვეყნებს ჰქონდათ გაცხადებული, რომ განვითარებად სახელმწიფოებს ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენდნენ, მათ მიერ მხოლოდ 8,2 მილიარდი დოლარის გამოყოფა მოხერხდა, რაც საჭირო რესურსის მხოლოდ 13%-ს შეადგენდა.

კვლევა აჯამებს იმ გამოცდილებას, რომელიც ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ კრიზისული პერიოდების გამკლავებისთვის. პირველი, რასაც ექსპერტები გვირჩევენ არის, რომ მთავრობამ კრიზისამდე უნდა დაიწყოს გეგმის შემუშავება მსგავსი სიტუაციების გასამკლავებლად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პერიოდულად ხდებოდეს ეკონომიკური მდგომარეობის მონიტორინგი და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მუდმივი მიწოდება. მკვლევარები დ. გრინი და რ. კინგი ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მთავრობის ძალისხმევას, რომელიც, პირველ რიგში, მიმართული უნდა იყოს საზოგადოების მიზნობრივი მცირე ჯგუფების, თემების დახმარებაზე. კრიზისის პერიოდში მნიშვნელოვან მხარდაჭერად ითვლება ასევე ინფორმაციაზე წვდომის გაზრდა, კავშირების დამყარებაში დახმარება და სხვა.

დ. გრინმა და რ. კინგმა მოახდინეს ლოგიკური ჩარჩო ანალიზის შედგენა, რომლის მიხედვით გაანალიზებულია თითოეული ეკონომიკური დარგი. გლობალური ეკონომიკური კრიზისის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ცხრილი 1.

დ. გრინის და რ. კინგის მიერ შემოთავაზებული ლოგიკური ჩარჩო, ეკონომიკის დარგებზე კრიზისების გავლენის ანალიზის და რეაგირების ალტერნატივების შესახებ

| ეკონომიკური სფერო | არსებული მოვლენა | პოტენციური გავლენა | რეაგირების შესაძლო ვარიანტები |
|--|--|---|---|
| ფინანსები | კაპიტალის ვარდნა; ეკონომიკური დამოუკიდებლობის შემცირება; ბანკების შიდა პრობლემები; დევალვაცია; პირველადი დახმარების სერვისის მიწოდების შემცირება; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) შემცირება. | კრედიტების შემცირება; ინვესტიციების შემცირება; აქტივების ფასების შემცირება. | ფისკალური სტიმულები; მხარდაჭერა ბანკებს; სესხები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან; სესხების გაცემის შემცირება. |
| ეკონომიკა (დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილები) | ექსპორტზე მოთხოვნის შემცირება; მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) შემცირება; ქვეყნის შიდა მოთხოვნის და მოხმარების შემცირება. | წარმოების შემცირება; უმუშევრობის გაზრდა; ადამიანთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა; არაფორმალურ სერვისებზე მოთხოვნის შემცირება; | ფისკალური სტიმულები; შერჩეული ინდუსტრიებისათვის სუბსიდიების და სტიმულების გაცემა; დროებითი ანაზღაურებადი სამუშაო ადგილების რაოდენობის გაზრდა. |

| | | | |
|------------------------|---|---|------------------------------|
| | | არაფორმალურ ეკონომიკაში კონკურენციის გაზრდა. | |
| სოციალური სფერო | გზავნილების შემცირება; მთავრობის მიერ სოციალური ხარჯების შემცირება. | შემოსავლების შემცირება; საკვების მოხმარების შემცირება; სკოლის ხშირი გაცდენა; აქტივების გაყიდვა ან სესხების აღება. | სოციალური დაცვის პროგრამები. |

3. საქართველოს ეკონომიკის ზრდის და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითადი ფაქტორები ბოლო 10 წლის განმავლობაში

საქართველოს პოსტ-კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლაზე საუბრისას არ შეიძლება არ მიმოვიხილოთ ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მამოძრავებელი ფაქტორები ბოლო რამდენიმე წელიწადის განმავლობაში.

გასული ათწლეულის პერიოდში ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა საგარეო მოთხოვნას ემყარება (ტაბულა, 2020). საქართველო აქტიურადაა ჩართული **საერთაშორისო ვაჭრობაში**. 2014 წლიდან ეკონომიკური თანამშრომლობა გააჩნია ევროკავშირთან, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობები გააჩნია ასევე ჩინეთთან, რასაც საფუძველი 2018 წელს ჩაეყარა (Europe for Georgia, 2018). 2008 წლიდან საქართველოსა და თურქეთს შორის მოქმედებს ასევე სავაჭრო შეთანხმება, რისი მეშვეობითაც თურქეთში ექსპორტის მსურველები თავისუფლდებიან საბაჟო ტარიფებისგან (Business Media Georgia, 2020). მრავალმხრივი საერთაშორისო ვაჭრობის შეთანხმებებს შორის აღსანიშნავია საქართველოს შეთანხმებები სუამის⁵ ქვეყნებთან და დსთ⁶-სთან.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობის სალდო მკვეთრად უარყოფითია. 2019 წელს საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ 12 829,8 მილიონი დოლარი შეადგინა⁷, საიდანაც უდიდესი ნაწილი - 9 068,1 მილიონი დოლარი - საქონლის რეგისტრირებული იმპორტია (CIF). 2019 წელს ქვეყანამ ექსპორტ-იმპორტი მსოფლიოს 130-ზე მეტი ქვეყნიდან აწარმოა, მათ შორის უდიდესი ნაწილი თურქეთს, რუსეთს და ჩინეთს უკავია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

⁵ სუამი - სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს საქართველოს, უკრაინას, აზერბაიჯანს და მოლდოვას.


⁶ დსთ (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) - ალიანსი, რომელიც აერთიანებს აზერბაიჯანს, ბელარუსს, თურქმენეთს, მოლდოვას, სომხეთს, რუსეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთს, ყაზახეთს და ყირგიზეთს.

⁷ წინასწარი მონაცემები.

2020 წლის 17 მარტს, ბიზნეს მედია ჯორჯიას მიერ გამოქვეყნდა ეგნატე შამუგიას სტატია სახელწოდებით „საქართველო და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები“, რომელშიც შეფასებულია 2002 წლიდან საქართველოს მიერ განხორციელებული ექსპორტის მოცულობა ევროკავშირში, დსთ-სთან და ჩინეთთან (Business Media Georgia, 2020). სტატიაში წარმოდგენილი გრაფიკი ცხადყოფს, რომ მიუხედავად DCFTA შეთანხმებისა, 2014 წლიდან ევროკავშირში განხორციელებული ექსპორტი მკაფიოდ არ გაზრდილა, ასევე რადიკალური ზრდა 2019 წლიდან არ შეიმჩნევა არც ჩინეთის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება 2018 წლიდან მოქმედებს.

გრაფიკი 1.

საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის მოცულობა ევროკავშირში, დსთ-ს ქვეყნებში და ჩინეთში, 2002-2019 წლებში



წყარო: Business Media Georgia, 2020


საგარეო მოთხოვნაზე და საერთაშორისო ვაჭრობაზე საუბრისას ხაზი უნდა გაესვას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მნიშვნელობას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ფინანსური ინვესტიციების მნიშვნელოვანი წყაროა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც შიდა ინვესტიციებს შედარებით ნაკლები წილი უჭირავს.

უნდა აღინიშნოს, რომ საინვესტიციო თვალსაზრისით, საქართველო საკმაოდ საინტერესო ქვეყანაა. 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, FDI-ს მოცულობა საგრძნობლადაა გაზრდილი. ცხადია, 2020 წლის პანდემიით გამოწვეული კრიზისი აღნიშნულ ტრენდს მნიშვნელოვნად შეცვლის, მაგრამ ფაქტია, რომ თუ ქვეყანაში განხორციელებული FDI იზრდება, ე.ი. ზოგადად, ქვეყანას გააჩნია ის უნიკალური რესურსი და პოტენციალი, რასაც დიდი ყურადღება ექცევა ინვესტორთა მხრიდან.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემებით, ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა დაახლოებით 1 267 724 414 აშშ დოლარს აღწევს. ქვემოთ მოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში 2000-2019 წლებში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

გრაფიკი 2.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, წლების მიხედვით



აღნიშნული კვლევის პროცესში, ყურადღება აუცილებლად უნდა გამახვილდეს FDI-სთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან დეტალებზე. კერძოდ, 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, საქართველოს დაახლოებით 6 წელი დასჭირდა, რომ FDI-ს იგივე მოცულობამდე მიეღწია, რაც კრიზისამდე იყო. ქვეყანაში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მხოლოდ 2014 წელს გადააჭარბა 2008 წლის მაქსიმუმს. იმ პირობებში, რომ 2020 წლის, COVID-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, გლობალური თვალსაზრისით, შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც ანალოგიური კრიზისი მსოფლიო ქვეყნებისათვის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს დასჭირდება დაახლოებით იგივე პერიოდი (6 წელი), რათა 2019 წლის მონაცემს გაუთანაბრდეს.

მნიშვნელოვანია შევხვთ ასევე ტურიზმს, როგორც ერთ-ერთ წამყვან დარგს ქვეყნის ეკონომიკისთვის. ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით, ქვეყანას გააჩნია უნიკალური პოტენციალი, წარმოადგენდეს ერთ-ერთ მიმზიდველ რეგიონს დასვენებისათვის, სათავგადასავლო, ეკოტურიზმისა თუ MICE ტურიზმისათვის. გარდა იმისა, რომ

დასაქმების კუთხით, ტურიზმის დარგი ერთ-ერთი მოწინავეა ქვეყანაში, იგი ერთ-ერთია იმ საშუალებებს შორის, რომელსაც ქვეყანაში უცხოური ვალუტა შემოაქვს. მასასადამე, მნიშვნელოვანი წილი უკავია ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ). ქვემოთ მოცემულია ცხრილი და გრაფიკი, რომელიც გამოსახავს საქართველოს ვიზიტორთა რაოდენობას, მათი მეშვეობით მიღებულ შემოსავლებს და აღნიშნული შემოსავლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში, წლების მიხედვით.


ცხრილი 2.

საქართველოს ვიზიტორთა რაოდენობა და მათ მიერ გაწეული დანახარჯები წლების მიხედვით

| | ვიზიტორთა რაოდენობა | შემოსავლები ტურიზმიდან | ტურიზმის წილი მშპ-ში |
|------|---------------------|------------------------|----------------------|
| 2014 | 5,888,709 | 1,8 მილიარდი დოლარი | 6,3% |
| 2015 | 6,305,635 | 1,9 მილიარდი დოლარი | 6,7% |
| 2016 | 6,719,975 | 2,1 მილიარდი დოლარი | 6,7% |
| 2017 | 7,902,509 | 2,7 მილიარდი დოლარი | 6,9% |
| 2018 | 8,679,544 | 3,2 მილიარდი დოლარი | 7,6% |
| 2019 | 9,357,964 | 3,2 მილიარდი დოლარი | - |

გრაფიკი 3.

შემოსავლები ტურიზმიდან და ტურიზმის წილი მშპ-ში, 2014-2019 წლებში



ვერავინ უარყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად ასევე ფულად გზავნილებს ემყარება. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალური 1990-ში გახდა და მას შემდეგ ფულადი გზავნილები ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. საზღვარგარეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების უდიდესი წილი რუსეთზე მოდის (დაახლოებით 25%), შემდეგ მოდის თურქეთი, იტალია, საბერძნეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ისრაელი და სხვა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, 2019 წელს საქართველოში ფულადი გზავნილების სახით 1,7 მილიარდ დოლარზე მეტი შემოვიდა, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე დაახლოებით 10%-ით მეტია (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2020). ბოლო 5 წლის წლიური სტატისტიკა კი შემდეგია:

- 2015 წელი - 1,08 მილიარდი დოლარი
- 2016 წელი - 1,1 მილიარდი დოლარი
- 2017 წელი - 1,4 მილიარდი დოლარი
- 2018 წელი - 1,5 მილიარდი დოლარი
- 2019 წელი - 1,7 მილიარდი დოლარი

4. დასკვნა და რეკომენდაციები

ამრიგად, ზემოაღნიშნული ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროვნული ვალუტის სტაბილურობისთვის, ასევე იმისათვის, რათა საქართველომ შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და განაგრძოს პროდუქტიულობის ზრდა, მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყანაში უცხოური ვალუტის უწყვეტი შემოდინება. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს ვალუტის ქვეყანაში შემოდინების 4 ძირითადი საშუალება, ესენია:

- ექსპორტი
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
- ტურიზმი
- ფულადი გზავნილები.

თუმცა, იმ პირობებში, რომ მსოფლიო პანდემიით გამოწვეული რთული ეკონომიკური მდგომარეობის წინაშე აღმოჩნდა, აღნიშნული ფაქტი პირდაპირპროპორციულად იმოქმედებს ქვეყანაში შემოსულ უცხოური ვალუტის მოცულობაზეც. საგარეო მოთხოვნა ბუნებრივია, შემცირდება. უცხოელ ვიზიტორთა მიერ ქვეყანაში დახარჯული თანხები იქნება მინიმალური, ასევე გათვლას უცხოურ ინვესტიციებზეც ვერ გავაკეთებთ. შესაბამისად, ქვეყანას უნდა გააჩნდეს კრიზისული სიტუაციის მართვის ხედვა და ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რაც შეამცირებს

მოცემულ ოთხ საშუალებაზე დამოკიდებულებას და შექმნის გარკვეულ შემოსავალს მოსახლეობისთვის.

იმ პირობებში, რომ ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების ზემოთ მითითებული საშუალებები მეტნაკლებად სუსტად იქნება განვითარებული, მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს ინვესტიციები ისეთ წარმოებაში, რაც ჩანაცვლებს იმპორტირებულ საქონელს. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ შემცირდეს იმპორტი ისეთ პროდუქტებზე, რისი წარმოებაც ქვეყანაში არსებული რესურსებით სავსებით შესაძლებელია (მაგალითად, ნიორი, პომიდორი, ბულგარული წიწაკა და სხვა სასათბურე პროდუქტები). რამდენადაც, FDI-ს დიდ ოდენობას ქვეყანაში არ უნდა ველოდოთ, ყველა შესაძლო რესურსიდან (საერთაშორისო ორგანიზაციების და დონორების მიერ გამოყოფილი ფინანსებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან განსაზღვრული თანხებიდან, რომლებიც გათვალისწინებულია მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებზე) უნდა მოხდეს საჭირო რესურსების მობილიზება და იმპორტის ჩანაცვლებაზე მიმართვა. მცირე ბიზნესების განვითარების ხელშეწყობა და ისეთი მეწარმეობების განვითარება, როგორცაა მაგალითად, სასათბურე მეურნეობები, ბოსტნეულის წარმოება არ მოითხოვს წარმოების ხანგრძლივ პერიოდს, შესაბამისად, შესაძლებელია მოკლევადიან პერიოდში მსგავსი ბიზნეს საქმიანობების წამოწყება და სავაჭრო სალდოს შემცირება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც მუდმივად უნდა გვახსოვდეს არის ის, რომ საქართველოს ლიბერალური სავაჭრო ურთიერთობები გააჩნია მსოფლიოს არაერთ ქვეყანასთან. საერთაშორისო ვაჭრობის ინტენსიური ხელშეწყობით, მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ქვეყნის სტაბილური ეკონომიკის ფორმირებაში, რაც ცხადია, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში აისახება. მიუხედავად იმისა, რომ პოსტ-კრიზისულ პერიოდში მოთხოვნა მნიშვნელოვნადაა შემცირებული, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ოცდამეერთე საუკუნეში ბაზარი დინამიურია და სწრაფად ვითარდება. შესაბამისად, ქვეყანამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ის უპირატესობა, რასაც მას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) ანიჭებს.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, მეწარმეებს პროდუქციის ქვეყნის გარეთ, ექსპორტზე გატანის საშუალება აქვთ. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობები გააჩნია ასევე ჩინეთთან, რაც საქართველოს მასშტაბის ქვეყნისთვის, უზარმაზარი ბაზარია. სწორი მიზნობრივი სეგმენტის და მოთხოვნადი პროდუქციის სწორად განსაზღვრის შემთხვევაში, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის შემთხვევაში, შესაძლებელია ბაზრის უმნიშვნელო წილის, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი მოცულობის დაკავება და ექსპორტზე გატანა.

მეორე მხრივ, კრიზისული პერიოდის დასრულებისთანავე, აქცენტი უნდა გაკეთდეს შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე. საერთაშორისო ვიზიტორების პრაქტიკულად არარსებობის პირობებში, ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვანია, ხორციელდებოდეს ეკონომიკის ცირკულარულად მოძრაობა, რეგიონების და განსაკუთრებით მაღალმთიანი რაიონების განვითარებისთვის ეკოტურიზმი უნდა იქცეს დასაქმების საშუალებად.

ამრიგად, წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები შეჯამების შემდეგი სახით ფორმულირების საშუალებას გვამძლევს: მაშინ როცა საქართველოს ეკონომიკის ზრდის მოდელში ბოლო რამდენიმე წელია საგარეო მოთხოვნას განსაკუთრებული როლი უკავია, აუცილებელია, რომ პოსტ-კრიზისულ პერიოდში მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ქვეყნის შიდა რესურსი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების პირობებში, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ბიუჯეტის დიდი ნაწილი მოხმარდეს იმ პროდუქციის ქვეყნის გარეთ ექსპორტს, რისი წარმოებაც ქვეყანას ძალუძს. ამასთან, მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი იმ პროდუქციის იმპორტი, რისი წარმოებაც ქვეყანას საკუთარი რესურსით შეუძლია. ყურადღება უნდა გამახვილდეს სასათბურე მეურნეობების განვითარებასა და სოფლის პროდუქციის წარმოების წახალისებაზე. აქვე გასათვალისწინებელია ის დანაკარგი, რასაც ქვეყანა ტურისტების არარსებობის პირობებში მიიღებს. შესაბამისად, იმისათვის, რომ რეგიონებში, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში, გაგრძელდეს ფულადი რესურსის ბრუნვა, სასურველია, შიდა ტურიზმი უფრო მეტად განვითარდეს და მოსახლეობამ დასვენებისათვის განკუთვნილი თანხები ქვეყნის შიგნით დახარჯონ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2020). ფულადი გზავნილები. ხელმისაწვდომია: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=728>
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). საგარეო ვაჭრობა. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>
4. ტაბულა. (2020). რა ელის ეკონომიკას კორონავირუსის კრიზისის პირობებში და რას გეგმავს მთავრობა. ხელმისაწვდომია: <http://www.tabula.ge/ge/story/166721-ra-elis-ekonomikas-koronavirusis-krizisis-pirobebshi-da-ras-gegmavs-mtavroba>
5. შამუგია, ეგნატე. (2020). საქართველო და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები - მიმოხილვა. Business Media Georgia. ხელმისაწვდომია: <https://bm.ge/ka/article/saqartvelo-da-tavisufali-vachrobis-xelshekrulebebi-mimoxilva/51105>
6. Aigner E., Aistleitner M., Glözl F., Jakob K., (2018). The Focus of Academic Economics: Before and After the Crisis. Working Paper No. 75
7. Chen W., Mrkaic M., Nabar M. (2019). The Global Economic Recovery 10 Years After the 2008 Financial Crisis. International Monetary Fund. WP/19/83.
8. Dragoljub S. (2009). Keynes and economic crisis: some reconsiderations. Zb. rad. Ekon. fak. Rij. vol. 27. sv. 2. 293-310.
9. Europe for Georgia. (2018). ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროპაში ექსპორტს გაზრდის. ხელმისაწვდომია: <http://eugeorgia.info/ka/article/691/chinettan-tavisufali-vachrobis-shetanxmeba-evropashi-eqsports-gazrdis/>
10. Vieira F. V., (2011). The new international financial crisis: causes, consequences and perspectives. Rev. Econ. Polit. vol.31 no.2 São Paulo
11. Green D., King R. (2010). The Global Economic Crisis and Developing Countries: Impact and Response. Oxfam Policy and Practice: Agriculture, Food and Land. 10.

12. Hadziahmetovic A., Halebic J., Colakovic–Prguda N. (2018). ECONOMIC CRISIS: CHALLENGE FOR ECONOMIC THEORY AND POLICY. EURASIAN JOURNAL OF ECONOMICS AND FINANCE. 6. 48-55. 10.15604/ejef.2018.06.04.005.
13. Jiang W., Martek I., Hosseini M. Reza et al. (2019). FOREIGN INFRASTRUCTURE INVESTMENT IN DEVELOPING COUNTRIES: A DYNAMIC PANEL DATA MODEL OF POLITICAL RISK IMPACTS. Technological and Economic Development of Economy. 25. 134-167. 10.3846/tede.2019.7632.
14. OXFAM international. (2020). ხელმისაწვდომია: <https://www.oxfam.org/en>

Investments as a Way to Maintain Competitiveness and Overcome the Crisis in Georgia

Tamar Khakhishvili

Grigol Robakidze University, PhD student

takokhakhishvili@gmail.com

Abstract. The 2020 COVID-19 pandemic has challenged the world. The pandemic has caused a critical social situation accompanied by economic losses due to restrictions imposed by governments. The ongoing economic downturn reminded governments of the 2008 global financial crisis. Consequently, they faced the necessity of revising and implementing anti-crisis plans. The article reviews scientific literature on the anti-crisis policy of developing countries. From practical viewpoint, it considers the post-crisis situation of 2008 and discusses the ways of overcoming it. Its research methodology is based on theories, economic policy and macroeconomic paradigms, elaborating a model of economic growth. Herewith, as a recommendation, the article proposes mechanisms aimed at overcoming the crisis in Georgia. The study claims that in order Georgia could maintain competitiveness and continue productivity growth, a continuous inflow of foreign currency in the country should be ensured. In addition, the study proposes four ways to ensure the above-mentioned goal under conditions of COVID-19 pandemic.

Key words: economic crisis, economic growth model, competitiveness, investments, export

დერივატივების გავლენა განვითარებული ქვეყნების ფინანსურ სტაბილურობაზე

ლელა შოლერ-იორდანაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
lela.iordanashvili11@gruni.edu.ge

რეზიუმე. ფინანსური ინვესტიციების სტაბილურობა განისაზღვრება შესაძლებლობებით, წინ აღუდგეს გარეფაქტორების ზემოქმედებასა და ფინანსურ დისბალანსს ისე, რომ არ გაუარესდეს საინვესტიციო და მაკროეკონომიკური მდგომარეობა (ECB 2006). ფინანსური არასტაბილურობა მიიჩნევა, როგორც წონასწორობის დარღვევა და მცირე შოკები იწვევს რადიკალურ ცვლილებებს. არასტაბილური წონასწორობა შეიძლება განპირობებული იყოს ფინანსური დისბალანსით (ფასების არარეალური ზრდა ან განსაზღვრული სექტორისა ან რეგიონის გავლენა საბანკო სექტორზე) ან ინვესტორების მხრიდან რისკების არასათანადო შეფასებით. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური სისტემა ფუნქციონირებს გამართულად, ძლიერმა შოკმა შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური სისტემის რღვევა. 2007 წლის მეორე ნახევარსა და 2008 წლის პირველ ნახევარში მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ს უძრავი ქონების კრიზისი და კრედიტების გლობალური შეზღუდვა, აშშ-ს დოლარის გაუფასურება და ინფლაციური პროცესების გაძლიერება. ეს გლობალური მოვლენები, რა თქმა უნდა, სერიოზულ გავლენას ახდენს ფინანსურ სტაბილურობაზე. უკანასკნელ ათწლეულში აქციებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობამ, კაპიტალის ბაზრების გლობალიზაციასთან ერთად, გაზარდეს მოთხოვნა ფინანსურ ინსტრუმენტებზე რისკების დაყოფის მიზნით. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც ვიცნობთ დერივატივების სახით, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ასრულებდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ეკონომიკურ საქმიანობაში. გამომდინარე აქედან, ძალზე მნიშვნელოვანია, გავნიხილოთ ფინანსურ სტაბილურობაში დერივატივების გამოყენების მექანიზმი. ფინანსური დერივატივების ინსტრუმენტების როლის შეფასება საერთაშორისო ფინანსური სისტემის სტაბილურობაში ძალზედ მნიშვნელოვანია. კვლევის მიზანია გავანალიზოთ დერივატივების გავლენა ფინანსურ კრიზისებზე. კვლევის ფარგლებში შესწავლილია 2 განვითარებული ქვეყანა 1997-2010 წლებისათვის კვარტალურად. კვლევაში გამოყენებულია OLS რეგრესული განტოლება ემპირიული ტესტირებისათვის. მოდელი მოიცავს შემდეგ ცვლადებს: კრიზისის ინდექსი (დამოკიდებული ცვლადი), დამოუკიდებელი ცვლადებია: მიმდინარე ანგარიშისა და მშპ-ს თანაფარდობის კოეფიციენტი, კერძო სექტორზე სამინაო კრედიტების მშპ-სთან თანაფარდობის კოეფიციენტი, უცხოურ სავალუტო რეზერვებსა და ბირჟაზე სავაჭრო დერივატივების პირობით თანხებს შორის თანაფარდობის კოეფიციენტი. ემპირიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ დერივატივების გავლენა ფინანსურ სტაბილურობაზე ცალმხრივი არ არის და დამოკიდებულია ქვეყნის ფინანსური სისტემის მახასიათებლებზე. განვითარებულ ქვეყნებში, კერძოდ აშშ-სა და სინგაპურში ჩატარებულმა ემპირიულმა კვლევამ, სადაც ფინანსური სისტემა მყარია, დერივატივების გავლენა დადებითად აისახება ფინანსურ სტაბილურობაზე.

საკვანძო სიტყვები: დერივატივები, ფინანსური კრიზისი, ჰეჯირება, სავალუტო რეზერვი, ბირჟის გარეთ ვაჭრობა, ფორვარდები, ფიუჩერსები, ოფციონები

1. შესავალი

დერივატივების ბაზრის განვითარება დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა ინტერესის საგნად მკვლევარებს, პოლიტიკის შემქმნელებსა და საფინანსო სააგენტოებს შორის. იგი

უშუალოდ თამაშობს სასიცოცხლო როლს ფინანსურ სისტემაში და უდიდესი წვლილი შემოაქვს მთლიანად ეკონომიკის სხვადასხვა ასპექტში.

დერივატივები წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს ხელშეკრულებების სახით ორ მხარეს შორის მომავალში ტრანზაქციის დასადებად. ხელშეკრულების ღირებულება გამომდინარეობს ძირითადი აქტივის ფასიდან (მაგ. სააქციო კაპიტალი, ობლიგაცია ან საქონელი) ან საბაზრო ცვლადიდან (მაგ. საპროცენტო განაკვეთი, ვალუტის გაცვლის კურსი, საფონდო ინდექსი ან საკრედიტო რისკი). დერივატივის ხელშეკრულებების პირობითი ფასები დაკავშირებულია ძირითადი აქტივის ძირითად ღირებულებასთან.

დერივატივებით ვაჭრობენ ორი ტიპის ბაზარზე: ორგანიზებულ ბირჟებზე და ბირჟებს გარეთ (OTC).

დერივატივებზე დიდი გავლენა მოახდინა ფინანსურმა ბაზრებმა: გაზარდა ბაზრების ეფექტურობა უთანხმოების შემცირებით, გაზარდა ვაჭრობისა და ჰეჯირების შესაძლებლობები და შექმნა ფასების მხრივ ეფექტური ბაზარი. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ დერივატივების მქონე ბაზრები უფრო სწრაფად რეაგირებენ ახალ ინფორმაციაზე. ინფორმაცია უფრო სწრაფად ირეკლება ძირითადი ფასიანი ქაღალდების ფასებში დერივატივების არსებობის დროს - დერივატივების ბაზარსა და ძირითად ბაზარს შორის კავშირის გამო (Hyman P. Minsky, 1982), (Damodaran, A. and J. Lim. 1991).

საპროცენტო განაკვეთებისა და ვალუტის კურსების ცვალებადობის ზრდამ უკანასკნელ ათწლეულში გამოიწვია ფინანსური რენოვაცია და დერივატივების პროდუქტების განვითარება. თუმცა, ამავდროულად, აქ არის სხვა თვალსაზრისიც, რომლის თანახმად, დერივატივები წარმოადგენს ძირითად ბაზრებზე ცვალებადობის ზრდის ძირითად მიზეზს. დერივატივების შესახებ თავის ანგარიშში G-10 ცენტრალური ბანკის BIS ევროკომიტეტი აცხადებს, რომ „დერივატივები შეიძლება იყოს ვალუტის კურსისა და საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის ზრდის შედეგი, ვიდრე - მიზეზი“ (BIS, 1994).

მთლიანი ემპირიული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ დერივატივებთან დაკავშირებული საქმიანობის განვითარებამ და გავრცელებამ გამოიწვია ბაზრის უკეთ ფუნქციონირება ეფექტურობის, კაპიტალის მომატების, ჰეჯირებისა და ტრანზაქციების დაბალი ხარჯების პირობებში. ვინაიდან ფულადი პოლიტიკა მუშაობს ფინანსურ ბაზრებში, ფინანსური დერივატივების არსებობას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი ზემოქმედება ფულად პოლიტიკაზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

ის გადამწყვეტი როლი, რომელსაც თამაშობენ დერივატივების ბაზრები ფინანსურ სისტემაში, აუცილებლად საჭიროებს თეორიული და ემპირიული გამოკვლევების ჩატარებას. მიუხედავად ამისა, დებატები ეკონომიკის განვითარებაზე მათი ეფექტების შესახებ მაინც წარმოიშვა. ამის მიზეზი იყო დამხმარე მტკიცებულებების ნაკლოვანებები. როგორც ვიცით, თეორიული კვლევები მიუთითებს, რომ დერივატივების ბაზრის განვითარება მოქმედებს ეკონომიკის ზრდაზე. ზოგი თანამედროვე კვლევა გვიჩვენებს

კავშირს რისკსა და ეკონომიკის ზრდას შორის, რაც ირიბად ასახავს დერივატივების ბაზრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს (Garber, P. M. and Lall, S. 1996).

ასემოლლუ და ზილიბოტი გვთავაზობენ მოდელს, რომელშიც აგენტის არადივერსიფიცირებული რისკები ზემოქმედებას ახდენს მთლიანად ცვალებადობასა და ეკონომიკურ ზრდაზე ფინანსების რელოკაციის გზით: აგენტები ძირითადად ახორციელებენ ინვესტიციებს უფრო მაღალი ამონაგების მქონე პროექტებში, რომლებსაც აქვს უკეთესი შესაძლებლობები დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით (Acemoglu, Daron, and Fabrizio Zilibotti. 1997). **კრებსი** აცხადებს, რომ იდიოსინკრატიული რისკის შემცირება იწვევს ფიზიკურსა და ადამიანის კაპიტალის კოეფიციენტის შემცირებას, აგრეთვე საინვესტიციო ამონაგებისა და კეთილდღეობის დონის ზრდას. ზოგადად, მოწინავე ფინანსური ინსტრუმენტების არსებობა ხელს უწყობს რესურსების უკეთ განაწილებას, იქნება ეს ადამიანთა თუ ფინანსური რესურსები, უფრო შედეგიან საქმიანობებს შორის და ამით შემოაქვს საკუთარი წვლილი ეკონომიკის განვითარებაში (Kim, Dong-Hyeon, Shu-Chin Lin, and Yu-Bo Suen. 2010). **ჰაისი და სამერი** გვიჩვენებენ დერივატივების როლს ფინანსებსა და ზრდას შორის ურთიერთკავშირში სამი არხის საშუალებით: მოცულობა, ეფექტურობა და რისკი. პირველი, მოცულობის არხში დერივატივების ბაზრის განვითარება გავლენას ახდენს ფინანსურ ბაზარსა და ეკონომიკის ზრდაზე კაპიტალის აკუმულაციის ხელშეწყობითა და ზრდით (Gries, Thomas, Manfred Kraft, and Daniel Meierrieks. 2009). იგი განაპირობებს რესურსების გამოყოფას საინვესტიციო საქმიანობისთვის, რომლისთვისაც მოსალოდნელია ამონაგების უფრო მაღალი პროცენტულობა ანაბრების მობილურობის მეშვეობით. ასევე იგი ავლენს დიდი რაოდენობის რისკიან პროექტებში ინვესტიციების ჩადების ალბათობას. მეორე, ეფექტურობის არხი წარმოადგენს რამდენიმე ფუნქციის შეჯამებას, როგორებიცაა: ნაღდი სახსრების ბაზრის ეფექტური შენაცვლება, რესურსების გადაადგილება დროსა და სივრცეში, ასევე - ინფორმაციის პროვაიდერი რისკის მართვასა და ფასის სტრატეგიასთან დაკავშირებით. მაშასადამე, ასეთი აგენტებისთვის, იქნებიან ისინი ფირმები, ფინანსური ინსტიტუტები თუ მთავრობა, უფრო ხელსაყრელი იქნება დაფინანსების წყაროების მეტი კომბინაციის ქონა ნაკლებ ფასებში. მესამე, რისკის არხი, ეხება დერივატივების ბაზრის განვითარების უარყოფით ზემოქმედებას ფინანსურ ბაზარსა და ეკონომიკის ზრდაზე. მას შეუძლია გაზარდოს სპეკულაცია ძირითად აქტივებთან და ამით გახადოს ფინანსური ბაზრები უფრო ცვალებადი და დაუმატოს ეკონომიკას მეტი გაურკვევლობა. მიუხედავად ამისა, დერივატივების გამოყენება, ჰეჯირების ინსტრუმენტების სახით, შეიძლება სარგებლიანი იყოს ფირმებისა და აგენტებისთვის (Allayannis, George, and Eli Ofek. 2001), (Bartram, Söhnke M., Gregory W. Brown, and Frank R. Fehle. 2009), (Haiss, P. a. (2010), (Hersh Shefrin and Meir Statman, 2011).

სენდენიზ-იუნჩუ აღნიშნავს, რომ კარგად ფუნქციონირებადი დერივატივების ბაზარი ფირმებს შესაძლებლობას აძლევს, ეფექტურად გაანაწილონ რისკები და განახორციელონ უფრო მაღალრისკიანი პროექტები, ასე კი უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდა (Rothig, A. 2004). ამავდროულად, აგენტებს, მაგ. ინვესტორებს, მომხმარებლებსა და მწარმოებლებს, შეუძლიათ ენდონ დერივატივების ბაზარს, როგორც საინფორმაციო არხს. სწორედ იგი

ასახავს წონასწორობის ფასს. მათ შეეძლება სწორად გადაწყვეტონ, როგორ გაანაწილონ რესურსები ეფექტურობის გასაძლიერებლად და შედეგად მიიღონ ეკონომიკური ზრდა.

კვლევის მეთოდოლოგია

ემპირიული შემოწმებისათვის გამოიყენება მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს 2 განვითარებულ ქვეყანას: აშშ და სინგაპური – 1997-2010 წლების პერიოდისთვის. ამ მონაცემთა პანელის ანალიზის მეშვეობით გამოვიკვლევთ დერივატივების პოტენციურ როლს განვითარებული ბაზრის მქონე ქვეყნების 1998 და 2008 წლების გლობალურ ფინანსურ კრიზისში. ამ მხრივ, მეთოდოლოგიის სახით, მონაცემთა ბაზის ანალიზი ხორციელდება შემდეგნაირად: მონაცემთა ანალიზისათვის გამოყენებული დროითი მწკრივის რეგრესია, რომელიც შეიძლება მითითებული იყოს შემდეგი ფორმით:

$$Y_{it} = a + X_{it}B + \mu_{it}$$

სადაც *i* ნიშნავს საოჯახო მეურნეობას, ფიზიკურ პირებს, ფირმებს, ქვეყნებს და ა.შ., ხოლო *t* ნიშნავს დროს, რომლის განმავლობაშიც ხდება ცვლადებზე დაკვირვება.

მოდელის სპეციფიკაცია

ემპირიული მოდელი აიგო შემდეგი ქვეყნებისათვის: აშშ და სინგაპური. თითოეული ქვეყნისათვის დერივატივების გავლენა ფინანსურ სტაბილურობაზე შეფასდა ქვემოთ მოცემული რეგრესული განტოლების საშუალებით. ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილის სახით. ქვემოთ მოცემული რეგრესული განტოლება წარმოადგენს ემპირიულ მოდელს რომლის საშუალებით შესწავლილი იქნა დერივატივების გავლენა ფინანსურ სტაბილურობაზე (Hayali A. S., 2013).

$$CI_t = c + \beta_1 CPSGDP_t + \beta_2 CRGDP + \beta_3 CAGDP_t + \beta_4 TDFR_t + \omega_t$$

ცხრილი 1-ში მითითებულია გამოკვლევაში გამოყენებული დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების სიმბოლოები, განსაზღვრებები, ერთეულები და სკალები.

ცხრილი 1

| მოსალოდნელი გავლენა | სიმბოლო | აღწერა | ერთეული, სკალა |
|---------------------|---------|--|-----------------------------|
| + | CI | კრიზისის ინდექსი | ინდექსი |
| + | CPS | მოთხოვნა კერძო სექტორისადმი (დაუბრუნებელი სესხები) | ეროვნულ ვალუტაში მილიონებში |
| | CA | მიმდინარე საგადასახდელო ბალანსი | აშშ-ის დოლარებში |
| | CR | კრედიტი კერძო სექტორისადმი | ეროვნულ ვალუტაში მილიონებში |
| | TD | დერივატივების მთლიანი პირობითი თანხა | აშშ-ის დოლარებში |

| | | | |
|---|--------|---|-----------------------------|
| | GDP | მთლიანი შიდა პროდუქტი | ეროვნულ ვალუტაში მილიონებში |
| | FR | უცხოური რეზერვები მინუს ოქრო | აშშ-ის დოლარებში |
| + | CPSGDP | დაუბრუნებელი სესხების თანაფარდობა მშპ-სთან | კოეფიციენტი |
| - | CAGDP | მიმდინარე საგადასახდლო ბალანსის თანაფარდობა მშპ-სთან | კოეფიციენტი |
| + | CRGDP | კერძო სექტორისადმი ადგილობრივი კრედიტების თანაფარდობა მშპ-სთან | კოეფიციენტი |
| + | TDFR | დერივატივების მთლიანი პირობითი თანხის თანაფარდობა უცხოური ვალუტის რეზერვებთან | კოეფიციენტი |
| | DSR | ვალის მომსახურების კოეფიციენტი | კოეფიციენტი |

დამოკიდებული ცვლადი

CI (კრიზისის ინდექსი): რომელსაც შეიძლება ეწოდოს „ფინანსური ზეწოლის ინდექსი“ ან „კრიზისის ზეწოლის ინდექსი“, ან „სავალუტო ბირჟის ზეწოლის ინდექსი“, რაც მიუთითებს, რომ თუ იგი გაიზრდება, გაიზრდება კრიზისის ალბათობაც, კერძოდ, გაიზრდება კრიზისის ზეწოლა. გამოყენებულ ლიტერატურაში არსებული ნაშრომების მიხედვით, იგი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$CI = \% \Delta S - \alpha 1 \% \Delta R,$$

%ΔS: ვალუტის კურსის კვარტალური პროცენტულობის ცვლილება, განსაზღვრული შიდა ვალუტით, აშშ დოლარის ერთ ერთეულზე,

%ΔR: სავალუტო რეზერვის ზრდის ტემპი,

$$\alpha 1 = \sigma s / \sigma r,$$

σs: გაცვლითი კურსის პროცენტული ცვლილების ფიქსირებული სტანდარტული გადახრა,

σr: სავალუტო რეზერვის პროცენტული ცვლილების ფიქსირებული სტანდარტული გადახრა.

ნაშრომში კრიზისის ინდექსი გამოთვლილია, როგორც ორმხრივ ნომინალურ გაცვლით კურსში პროცენტის ცვლილების შეწონილი საშუალო მნიშვნელობა და პროცენტის ცვლილება სავალუტო რეზერვებში, ისეთი წონით, რომ ინდექსის ორ კომპონენტს აქვს ამონაკრების ერთნაირი ცვლადობა. მაშასადამე, ცვლილებებს ვალუტის გაცვლით კურსში აქვთ პოზიტიური ნიშნები, ხოლო ცვლილებებს სავალუტო რეზერვში აქვთ უარყოფითი ნიშნები, ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურება და სავალუტო რეზერვის შემცირება ზრდის კრიზისის ზეწოლას. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ კრიზისის ინდექსის მომატება ნიშნავს

სავალუტო კურსის პროცენტულობის ვარდნასა და სავალუტო რეზერვების შემცირებულ პროცენტულობას შორის შეწონილი სხვაობის მომატებას. აქ აწონვა შესაძლებელია რეზერვებში ცვლილების გამრავლებით $\alpha 1$ კოეფიციენტზე. ამგვარად, განსაზღვრა კრიზისისა, რომელიც გამოიყენება, როგორც აქ გამოთვლილი კრიზისის ინდექსის საფუძველი, შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც „ეპიზოდი, რომელშიც შეტევა ვალუტაზე იწვევს ვალუტის მკვეთრ შემცირებას, საერთაშორისო რეზერვების ძლიერ შემცირებას ან ამ ორივე ეფექტს“.

დამოუკიდებელი ამხსნელი ცვლადები

CPSGDP (შეუსრულებადი სესხების კოეფიციენტი მშპ-ს მიმართ): - გულისხმობს ბანკის დაუბრუნებელ სესხებს, ბანკის მიერ კერძო სექტორისადმი სესხის დაბრუნებაზე მოთხოვნებს. თუ ლიკვიდურობა მომატებულია უცხოური კაპიტალის შემოდინებით, ამ ჭარბ ლიკვიდურობას ბანკები ავრცელებენ კერძო სექტორებში საბანკო კრედიტების სახით. ამ მხრივ, ისეთ პირობებში, სადაც სესხები იზრდება, ბანკები მოქმედებენ რელაქსაციური მეთოდით, აქედან, ბანკების მოთხოვნები სესხებზე აპლიკაციების განხილვისას შედარებით მარტივდება, რაც იწვევს „ბანკის ცუდ სესხებს“ და შედეგად, შეუსრულებელ სესხებს (Akiba, H. and Jia, Y., 2007) ამ ცვლადის მაღალი კოეფიციენტი GDP-ის მიმართ მიიჩნევა ფინანსური კრიზისის ერთ-ერთ შესაძლებელ განმსაზღვრელ მიზეზად (Edison, H.J., 2000).

CAGDP (მიმდინარე ანგარიშისა და მშპ-ს თანაფარდობის კოეფიციენტი): ვინაიდან CAD-მა, რომელიც არის მიმდინარე ანგარიში უარყოფითი ნიშნით, შესაძლებელია გაზარდოს ვალუტის გაუფასურებაზე ზეწოლა, იგი წარმოადგენს ზოგად დეტერმინანტს, რომელიც გამოიყენება ემპირიულ კვლევებში. სხვა შემთხვევაა მიმდინარე ანგარიშის სიჭარბე, რომელიც მიუთითებს, რომ მიმდინარე ანგარიშს აქვს პოზიტიური ნიშანი. ამ მხრივ, მიმდინარე ანგარიშის კოეფიციენტი მშპ-ს მიმართ აქ გამოყენებულია, როგორც ფინანსური კრიზისის ერთ-ერთი შესაძლებელი მიზეზი. მოსალოდნელია, რომ ამ ცვლადს (CAGDP) აქვს ნეგატიური კავშირი კრიზისის ზეწოლის ინდექსთან (Hayali A.S., 2014).

CRGDP (კერძო სექტორზე საშინაო კრედიტების მშპ-თან თანაფარდობის კოეფიციენტი): მოცემული ცვლადი შეფასებულია, როგორც „სესხების ბუმის“ ცვლადი, რომელიც მიუთითებს, რომ მიმდინარე საბანკო სისტემას არ აქვს მყარი სტრუქტურა, რომელიც ასევე შეფასებულია, როგორც ფინანსური სისუსტის განმსაზღვრელი, იწვევს რა ნეგატიურ მოლოდინს და ინვესტორის ნდობის შემცირებას ბანკებისა და მთლიანად სისტემის მიმართ, რაც სრულდება თვითშეუსრულებადი კრიზისით, სახელდობრ, სუსტი საბანკო სისტემა ზრდის სპეკულაციური შეტევის ალბათობას (Kruger, M., Osakwe, P. and Page, J., 2000) ამ მხრივ, მოცემული ინდიკატორი, რომელიც ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს ლიტერატურაში, როგორც ფინანსური განვითარების პოზიტიური მაჩვენებელი, მიუთითებს პოტენციურ ურთიერთკავშირზე სუსტ საბანკო სისტემასა და ანგარიშის კრიზისს შორის. ამ ცვლადის მოსალოდნელი ნიშანი პოზიტიურია, მიუთითებს რა თავის პოზიტიურ კავშირზე კრიზისის ზეწოლის ინდექსთან.

TDFR (უცხოურ სავალუტო რეზერვებსა და ბირჟაზე სავაჭრო დერივატივების პირობით თანხებს შორის თანაფარდობის კოეფიციენტის მიმართ): ამ კოეფიციენტის დიდი მნიშვნელობა არის განვითარებადი ბაზრების ფინანსური კრიზისის ერთ-ერთი შესაძლებელი დეტერმინანტი. ეს ხდება სრულად ლიბერალიზებული, ცუდად სტრუქტურირებული და არასათანადოდ რეგულირებული დერივატივების ბაზრების გამო. დერივატივები შეიძლება ძალიან გახსნილი იყოს ეკონომიკურად საზიანო მიზნებისთვის. ეს მიზნები შეიძლება იყოს შემდეგი: მანიპულაცია, მაღალი სარისკო პოზიციები, წარმოდგენილი მაღალი ლევერეჯებით, არასწორი ინფორმაციით, გამჭვირვალობის შემცირებით, გონივრული რეგულაციების თავიდან აცილებით და ასე შემდეგ, რაც არის სუსტი წერტილი კრიზისისთვის. უფრო მეტიც, დერივატივების არასწორი გამოყენება, როგორცაა არალიკვიდურობის შექმნა, გადამდები არხია კრიზისისთვის და ამახინჯებს ფორმების საბალანსო ანგარიშგებას და განაპირობებს ფინანსურ სისუსტეს, რომელიც იწვევს ფინანსური სექტორის მგრძობელობას და კრიზისებს, ემუქრება რა ფინანსური ბაზრის მთლიანობასა და ეფექტურობას. ეს ყველაფერი იწვევს უარყოფით მოლოდინს და ინვესტორების ნდობის დაკარგვას მთლიანი სისტემის მიმართ, ზრდის ზეწოლას სუსტ ვალუტაზე, (Garber, P.M. and Lall, S. 1996), (Garber, P.M. 1998), (Rothig, A. 2004), (Hayali A.S., 2013).

ემპირიული შედეგები

რეგრესული განტოლების შედეგები აშშ-ისათვის
(დამოკიდებული ცვლადია სავალუტო კრიზისი)

ცხრილი 2.

| Source | SS | Df | MS | Number of obs = 44 |
|-----------------|------------|-----------|------------|------------------------|
| | | | | F(4, 39) = 27454,00 |
| Model | 283.378961 | 4,00 | 70.8447404 | Prob > F = 0.0113 |
| Residual | 736.886224 | 39,00 | 18.8945186 | R-squared = 0.2778 |
| | | | | Adj R-squared = 0.2037 |
| Total | 1020.26519 | 43,00 | 23.7270973 | Root MSE = 4,34 |
| CI | Coef. | Std. Err. | T | P>t |
| CAGDP | -1.460019 | 2.944714 | -0.50 | 0.623 |
| TDFR | 4.272674 | 1.378228 | 3,10 | 0.004 |
| CRGDP | -1.510498 | .4559265 | -3.31 | 0.002 |
| DSR | -2.842022 | 1.288604 | -2.21 | 0.033 |
| _cons | 112.8102 | 35.6376 | 3,17 | 0.003 |

მეორე ცხრილში წარმოდგენილია აშშ-ში დერივატივების გავლენა ფინანსურ სტაბილურობაზე. როგორც ცხრილიდან ჩანს დამოკიდებულ ცვლადად აღებულია

სავალუტო კრიზისი, რომელიც გამოთვლილია კვლევის მეთოდოლოგიაში მოყვანილი ფორმულით. ხოლო დამოუკიდებელი ცვლადებია დაუბრუნებელი სესხების თანაფარდობა მშპ-სთან, მიმდინარე ანგარიშის თანაფარდობა მშპ-სთან, კერძო სექტორისადმი გაცემული კრედიტების თანაფარდობა მშპ-სთან, დერივატივების თანაფარდობა მშპ-სთან. როგორც ცხრილი გვიჩვენებს, შემდეგი ცვლადები TDFR, CRGDP, DSR სტატისტიკურად არის მნიშვნელოვანი. ამ ცვლადებს შორის CRGDP, DSR უარყოფით გავლენას ახდენს აშშ-ის ფინანსურ სტაბილურობაზე, კერძოდ, სავალუტო კრიზისზე, ხოლო დერივატივების გავლენა ფინანსურ სტაბილურობაზე არის დადებითი. მოცემული ცვლადი CAGDP მიუხედავად იმისა, რომ უარყოფით გავლენას ახდენს სავალუტო კრიზისზე მისი გავლენა სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი. გარდა ამისა, დეტერმინაციის კოეფიციენტი არის R-კვადრეტი = 0,3 რაც ნიშნავს, რომ ამხსნელი ცვლადები 30 პროცენტით ხსნიან ასახსნელ ცვლადს.

ახლა განვიხილოთ სინგაპურის მაგალითი (იხ. ცხრილი 3). კერძოდ, სინგაპურის ფინანსურ სტაბილურობაზე დერივატივების გავლენა. ცხრილი 3 გვიჩვენებს, რომ სინგაპურის შემთხვევაშიც დერივატივების გავლენა ფინანსურ სტაბილურობაზე არის დადებითი და ამავე დროს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

რეგრესული განტოლების შედეგები სინგაპურისათვის

(დამოკიდებული ცვლადია სავალუტო კრიზისი)

ცხრილი 3.

| Source | SS | Df | MS | Number of obs =55 |
|-----------------|-----------|-----------|------------|------------------------|
| | | | | F(4, 50) = 6.00 |
| Model | 236.25413 | 4,00 | 59.0635325 | Prob > F =0.0005 |
| Residual | 492.53639 | 50,00 | 9.8507278 | R-squared = 0.3242 |
| | | | | Adj R-squared = 0.2701 |
| Total | 728.79052 | 54,00 | 13.4961207 | Root MSE = 3.1386 |
| CI | Coef. | Std. Err. | T | P>t |
| TDFR | .800956 | .3987811 | 2,01 | 0.050 |
| CAGDP | -.4888512 | .1224652 | -3.99 | 0.000 |
| CRGDP | .0234191 | .0399003 | 0.59 | 0.560 |
| CPSGDP | .0362271 | 1.716502 | 0.02 | 0.983 |
| _cons | -.4627479 | 7.620189 | -0.06 | 0.952 |

რაც შეეხება დანარჩენ ცვლადებს, კერძოდ **CAGDP** - უარყოფით გავლენას ახდენს ფინანსურ სტაბილურობაზე და ამავე დროს სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, ხოლო **CRGDP**-ი და **CPSGDP**-ი დადებით მიმართებაშია ფინანსურ სტაბილურობასთან, ხოლო მათი სტატისტიკური მნიშვნელობის ხარისხი დაბალია.

დასკვნა

ამგვარად, კვლევიდან ჩანს, რომ დერივატივები განსაზღვრულ როლს ასრულებენ ფინანსური ბაზრის ფუნქციონირებაში. მათი სასარგებლო როლი ვლინდება ჰეჯირებასა და რისკის მართვაში და ამით ხელს უწყობენ კაპიტალის მოდინებას ეკონომიკებში. თუმცა, ამავდროულად ისინი ქმნიან კაპიტალთან დაკავშირებული რისკის წარმოშობის შესაძლებლობას ლევერეჯისა და გონივრული რეგულაციური დამცავი საშუალებების გვერდის ავლის გამო. მათ აგრეთვე შეუძლიათ ნაკლებად სტაბილური გახადონ ფიქსირებული სავალუტო კურსების სისტემები, ხოლო შემდგომში დააჩქარონ და გააღრმავონ დევალვაციის ზემოქმედება ასეთი დევალვაციის გამოჩენის შემთხვევაში. ეს ზრდის სისტემურ რისკებს ფინანსურ ბაზარზე და ზრდის ამ უარყოფითი ეფექტის სხვა ეკონომიკებში გავრცელების ალბათობას. კრიზისის წარმოშობისას მათ შეუძლიათ გაართულონ პოსტ-კრიზისული გამოჯანსაღების პოლიტიკის განსაზღვრის პროცესი.

ჩვენი კვლევის შემთხვევაში დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კვლევაში „დერივატივების გავლენა“ შევისწავლეთ განვითარებული ქვეყნების აშშ-ს და სინგაპურის მაგალითზე. კვლევა ეფუძნებოდა ემპირიულ ტესტირებას. ემპირიულ მოდელში გამოყენებულია რამდენიმე ცვლადი. მათ შორის ძირითად ცვლადად გამოვიყენეთ დერივატივების მოცულობა, ხოლო დამოკიდებულ ცვლადად - სავალუტო კრიზის ინდექსი. ემპირიული ტესტირება განხორციელდა **OLS** რეგრესიის საშუალებით. კვლევიდან ჩანს, რომ დერივატივები დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. ეს კი განპირობებულია იმით, რომ განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს გამართული ფინანსური სისტემა, რაც ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ დერივატივების გამოყენებას შესაძლოა ეკონომიკური სარგებელის მოტანა კარგად სტრუქტურირებულ და სათანადოდ რეგულირებულ „დერივატივების ბაზრების“ არსებობისას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Acemoglu, Daron, and Fabrizio Zilibotti. (1997). Was Prometheus unbound by chance? Risk, diversification, and growth. *Journal of Political Economy* 105: 709–51.
2. Akiba, H. and Jia, Y., (2007). *Reassessment of Currency Index by Fundamentals*. *Annals of Economics and Finance*. 1, 57-85.
3. Allayannis, George, and Eli Ofek. (2001). Exchange rate exposure, hedging, and the use of foreign currency derivatives. *Journal of International Money and Finance* 20: 273–96.
4. Atilgan, Yigit, K. Ozgur Demirtas, and Koray D. Simsek. (2016). *Derivative markets in emerging economies: A survey*. *International Review of Economics and Finance* 42: 88–102. [CrossRef]
5. Bartram, Söhnke M., Gregory W. Brown, and Frank R. Fehle. (2009). International evidence on financial derivatives usage. *Financial Management* 38: 185–206.
6. Corsetti, G., Pesenti, P. and Roubini, N., (1999). *Fundamental Determinants of the Asian Crisis: The Role of Financial Fragility and External Imbalances*. NBER Tenth Annual East Asia Seminar. 11-39.
7. Damodaran, A. and J. Lim. (1991). "The Effects of Option Listing on Underlying Stock Returns Processes." *Journal of Banking and Finance*. 15:647-64.
8. Dodd R – (2002). *Derivatives, the shape of international capital flows and virtues of prudential regulation* [Journal] // United Nations University Discussion paper No. 2002/93.). 1-21.

9. Dodd, R – (2003). *Consequences of Liberalising Derivatives Markets* [Conference] // Financial Policy Forum Derivatives Study Centre. 1-24.
10. Dodd, R. – (2000). *The role of derivatives in the east asian financial crisis* [Conference] // International capital markets and the future of economic policy. 2-31.
11. Edison, H. J., (2000). *Do Indicators of Financial Crises Work? An Evaluation of An Early Warning System*. International Finance Discussion Papers. No. 675, Board of Governors of the Federal Reserve System. 1-74.
12. Garber, P. M. (1998). *Derivatives in International Capital Flow*, NBER Working Paper Series No: 6623 - p. pp.21 (2-35).
13. Garber, P. M. and Lall, S. (1996). *Derivative Products in Exchange Rate Crises*. In Glick R. (eds), *Managing Capital Flows and Exchange Rates: Lessons from the Pacific Basin* (pp. 206-231). Cambridge: Cambridge University Press.
14. Gries, Thomas, Manfred Kraft, and Daniel Meierrieks. (2009). Linkages between financial deepening, trade openness, and economic development: Causality evidence from Sub-Saharan Africa. *World Development* 37: 1849-60.
15. Haiss, P. a. (2010). The Impact of Derivatives Markets on Financial Integration, Risk, and economic Growth. *the Bundesbank / Athenian Policy Forum 10th Biennial Conference on "Regulatory Responses to the Financial Crisis"*, (pp. 2-46). Frankfurt. Retrieved from [file:///D:/user/Downloads/SSRN-id1720586%20\(2\).pdf](file:///D:/user/Downloads/SSRN-id1720586%20(2).pdf)
16. Hayali, A. S. (2013). Analyzing the role of financial derivate in the international emerging markets financial crisis in terms of the existing crisis literature: a contribution to the third generation model. *Journal of Social Science*, 19-26.
17. Hayali, A. S. (2014). A time-series cross section analysis of the role of financial derivatives in the emerging market financial crises of the 1990s. *Ataturk University Journal of Economics and Administrative Sciences*, 21-54.
18. Harms A. (2002). Trouble with Hedge Funds. *The Review of Policy Research*, pp. 156-76.
19. Hemming, R., Kell, M. and Schimmelpfennig, A. (2003). *Fiscal Vulnerability and Financial Crises in Emerging Market Economies*, IMF Occasional Paper, No. 218.
20. Hersh Shefrin and Meir Statman, "Behavioral Finance in the Financial Crisis: Market Efficiency, Minsky, and Keynes" (Santa Clara University, November 2011), 24.
21. Hyman P. Minsky, (1982) "Policy Pitfalls in a Financially Fragile Economy," in U.S. Congress, House Committee on Banking, Finance and Urban Affairs, *Employment Risks from Present Credit and Business Liquidity Conditions*, Hearings before the Subcommittee on Domestic Monetary Policy of the House Committee on Banking, Finance and Urban Affairs, 97th Cong., 2d. sess., pp. 75-76.
22. Kim, Dong-Hyeon, Shu-Chin Lin, and Yu-Bo Suen. (2010). Dynamic effects of trade openness on financial development. *Economic Modelling* 27: 254-61.
23. Kruger, M., Osakwe, P. and Page, J., (2000). *Fundamentals, Contagion and Currency Crisis: An Empirical Analysis*. *Development Policy Review*. 18, 257-274.
24. Lien, Donald, and Mei Zhang. (2008). *A survey of emerging derivatives markets*. *Emerging Markets Finance and Trade* 44: 39-69.
25. Mathieson, D. J., Roldos, J. E., Ramaswamy, R. and Ilyina, A., (2004). *Emerging Local Securities and Derivatives Markets*. *World Economic and Financial Surveys*. IMF, Washington, D. C. 1-94.
26. McClintock B. (1996). International financial instability and the financial derivatives market. *Journal of Economics Issue*. - 1996: [s.n.], 1996. - Vol. XXX. , pp. 13-33.
27. Moore, M. A. (2016). "Downsized FX markets: causes and implications", pp 35-51: *BIS Quarterly Review*, December.
28. Ross, S. (1976). "Options and Efficiency". *Quarterly Journal of Economics*, 90; 79-89. Retrieved from <https://users.business.uconn.edu/jgolec/phd/statespace.pdf>
29. Rothig, A. (2004). *Currency Futures and Currency Crises*. *Darmstadt Discussion Papers in Economics*, no.136. 1-35.
30. Vlaar, P. J. G., (2000). *Currency Crisis Models for Emerging Markets*. *Econometric Research and Special Studies Department De Nederlandsche Bank*. No. 45.

31. Bank for International Settlements <https://www.bis.org/>
32. Bank for International Settlements
<https://www.bis.org/statistics/extderiv.htm?m=6%7C32%7C616>
33. Bank for International Settlements
34. https://stats.bis.org/#ppg=DER_INTR_RATE_DER_TRNOV;pv=14~2~0,0~both.

The Impact of Derivatives on the Financial Stability of Emerging Countries

Lela Schöler-Iordanashvili

Grigol Robakidze University, PhD Student
lela.iordanashvili11@gruni.edu.ge

Abstract. Stability of financial investments is defined by abilities to contradict influence of outer factors and financial disbalance so that do not worsen investment and macroeconomic condition (ECB 2006). Financial instability is considered as violation of balance and small shocks cause radical changes. Balance of instability can be conditioned by financial disbalance (unreal increase of prices or influence of definite sector or region on banking sector) or by improper evaluation of risks from the part of investors. In case if financial system is functioning properly, strong shock can cause violation of financial system. In the second half of the 2007 and first half of the 2008 important events were developed in the world economy. Among them especially notable is crisis of real estate of USA and global limitation of credits, devaluation of USD and strengthening of inflation processes. Of course these global events seriously affect financial stability. Variation of shares and interest rates in this decade, together with globalization of equity markets, increased demand on financial instruments with the purpose of distribution of risks. Financial instruments known as derivatives from the ancient times played vividly important role in economical activity. Therefore, it is very important to examine mechanism of use of derivatives in financial stability. Evaluation of role of instruments of financial derivatives in international financial system stability is very important. Purpose of research is to analyze influence of derivatives on financial crisis. Within frameworks of research there are studied 2 developed countries for 1997-2010 years quarterly. In research OLS regressive equation is used for empiric tests. Model includes following variables: crisis index (depending variable), independent variables are: current account and GDP correlation coefficient, domestic credits on private sector and GDP correlation coefficient, correlation coefficient between foreign currency reserves and conditional amounts of exchange traded derivatives. Empirical analysis shows that influence of derivatives on financial stability is not unilateral and depends on characteristics of financial system of the country. Empiric study conducted in developed countries, particularly, in the USA and Singapore, where financial system is strong, showed that influence of derivatives is positively reflected on financial stability.

Key words: Derivatives, financial crisis, hedging, currency reserve, over-the-counter trading, forwards, futures, options

შექსპირის პიესა „ქარიშხალი“ აირის მერდოკის რომანში „ზღვა, ზღვა“

ეთერ შავრეშიანი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
shavreshianier90@gmail.com

რეზიუმე. აირის მერდოკის რომანებში დიდია გავლენა ცნობილი მწერლებისა, მაგალითად უილიამ შექსპირის. ის ფაქტი, რომ აირის მერდოკი შექსპირს აიდიანობდა მისი მრავალი რომანიდან იკვეთება. მერდოკის რომანებში, მაგალითად „შავი პრინცი“, „ზღვა, ზღვა“, „სასიამოვნო და მართალი“, გაუწაფავი მკითხველისთვისაც ადვილი მისახვედრია შექსპირის პიესებთან მსგავსება. მერდოკის ერთ-ერთი მკვლევარი, პიტერ კონრადი იხსენებს, რომ 1965 წელს, იგი თავიდან ეცნობოდა შექსპირის შემოქმედებას იმ იმედით, რომ მისი პიესების ხელახალი კითხვა დაეხმარებოდა მას ღირებული ნაწარმოების შექმნაში. მერდოკის ერთ-ერთ ფილოსოფიურ კვლევაში ვკითხულობთ: „ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით შექსპირზე, ის არ ჩანს მის რომანებში, და შესაძლოა ამ კუთხითაც ის არის იდეალური ხელოვანი“ [Murdoch, 1992:115]. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ამოცანად დავისახეთ, გაგვეანალიზებინა თუ რა როლს ასრულებს ხელოვანი ადამიანი აირის მერდოკის შემოქმედებაში და შესაბამისად რა დანიშნულება აქვს ხელოვნებას. ამის გასარკვევად შევისწავლეთ მწერლის შემოქმედების ირგვლივ არსებული კრიტიკული ლიტერატურა, კვლევები და სამეცნიერო ნაშრომები, სადაც მისი შემოქმედება სხვადასხვა კუთხით არის განხილული. სტატიის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მოცემული სტატიის კვლევის შედეგები დიდ დახმარებს გაუწევს პოსტმოდერნისტული ლიტერატურით დაინტერესებულ სპეციალისტებს, ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებს, ახალგაზრდა მკვლევრებს. გარდა ამისა, სტატიაში შესწავლილი საკითხების მრავალ-ასპექტურობიდან გამომდინარე იგი შესაძლია საფუძველი გახდეს შემდგომი გამოკვლევებისათვის.

საკვანძო სიტყვები: მერდოკი, შექსპირი, ხელოვნება, ქარიშხალი

შესავალი

რომანი „ზღვა, ზღვა“, შექსპირის ბოლო პერიოდის პიესას „ქარიშხალს“ ინტერპირებს. „შავი პრინციგან“ განსხვავებით, სადაც მერდოკი ხშირად არაპირდაპირ მინიშნებებს გვაძლევს „ჰამლეტთან“ დაკავშირებით, აქ უფრო თამამდება და უკვე ტექსტის ზედაპირზევეა შესამჩნევი პიესასთან დაკავშირებული როგორც მსგავსებები, ისე სიუჟეტის იმ კუთხით განვითარება, როგორსაც თავად ავტორი ისურვებდა. რომანის დასაწყისში, პროტაგონისტის დედის დამოკიდებულება თეატრისადმი პესიმისტურია, იგი თეატრს „ცოდვის ადგილის“¹ სახელით მოიხსენიებს. მართალია, დასაწყისში, ჩარლზი არ იზიარებს დედის მოსაზრებას, მაგრამ რომანის ბოლოს უკვე ვხვდებით, რომ ჩარლზი სადღაც დედას ეთანხმება და ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ფორმად მას მწერლობა

¹ „Theatre was an abode of sin“ [Murdoch, 2001:30]

მიაჩნია. პროტაგონისტის მთავარი გამოძახილი „ყოველთვის მქონდა საკუთარი ამბიციები, განსაკუთრებით შექსპირთან დაკავშირებით“² არის გამოძახილი თავად ავტორისა. მერდოკის მიზანი იყო, შეექმნა ისეთი რომანი, რომელიც საუკუნეებს გაუძლებდა მსგავსად შექსპირის პიესებისა. თუ რამდენად აისრულა ავტორმა ეს სურვილი, ეს მხოლოდ დროს შეუძლია გვითხრას.

ძირითადი ნაწილი

აირის მერდოკის 70-იანი წლების რამდენიმე რომანი „შავი პრინცი“, „სიტყვა ბავშვი“ და „ზღვა, ზღვა“ ერთიანდება რამდენიმე საერთო ნიშნით. პირველი, რაც მკითხველისთვისაც ადვილი მისახვედრია, ესაა პირველ პირობაში თხრობა, ამის გარდა, ამ სამივე რომანის მთხრობელი ხელოვანი ადამიანია. ამათგან „ზღვა, ზღვა“, მწერლის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ნამუშევარია და ალბათ, არცაა გასაკვირი, რომ ბუკერის პრიზის მფლობელიცაა. მერდოკის გმირები სამოც წელს გადაცილებული ან სამოც წლამდე მიღწეული მარტოხელა მამაკაცები არიან ძირითადად ხელოვნების სფეროდან. ამ რომანის მთავარი გმირი თეატრის წარმატებული რეჟისორი ჩარლზ ეროუბია, რომელიც დარჩენილი ცხოვრების გატარებას ზღვასთან ახლოს გადაწყვეტს და აპირებს მემუარების შექმნას, თუმცა რომანის დასაწყისში თავადაც ვერ არკვევს ეს რომანია, ჩანაწერი თუ დღიური. ერთი რამ კი დანამდვილებით იცის, რომ მის ცხოვრებაში რაღაცები დამთავრდა და ახლა დროა მოგონებებით გაატაროს დარჩენილი ცხოვრება სიწყნარეში, ზღვასთან ახლოს³.

რომანის დასაწყისში, „შავი პრინცის“ მსგავსად, ავტორი მიმოიხილავს იმ სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ გარემოს, სადაც ავტორი ვითარდება. ბრედლი პირსონთან ამ გმირს ის საერთო აქვს, რომ ისიც მისი მშობლებისაგან გაუცხოებულია, ხშირად ვერ ნახულობს მათთან საერთოს,⁴ თუმცა ბრედლისგან განსხვავებით, ჩარლზის ჩამოყალიბებასა და წარმატებულ ადამიანად გახდომაში საზოგადოება გაცილებით მეტ როლს თამაშობს ვიდრე ოჯახი და რომანის დასაწყისში კიდევ გვევლინება შემდგარ, წარმატებულ და დიდებით აღსავსე პირად. იგი წერს: „ვარ უცოლო, უშვილო, უდედმამიშვილო, მაგრამ ვარ ცნობილი, დიდებით მბრწყინავი“⁵. ჩარლზი არის გმირი, რომელმაც თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს ალღო აუღო და არც შემცდარა. ის კარგად ხვდება, რომ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად პატიოსნება, ნიჭიერება და მუხლჩაუხრელი შრომა არ კმარა. ეს ნაჩვენებია ჩარლზის მამისა და ბიძის მაგალითზე. მაშინ როცა ჩარლზის მამა მეტისმეტი პატიოსნებითა და სიჭკვიანით გამოირჩეოდა, ამას მისთვის დიდება არ მოუტანია, განსხვავებით მისი ბიძისაგან, რომელიც არც თუ ისე ნიჭიერი იყო, თუმცა

² „I had my ambitions, especially of course in Shakespeare“ [Murdoch, 2001:38]

³ „But now the main events of my life are over and there is to be nothing but “recollection in tranquility“ [Murdoch, 2001:1]

⁴ „Well, we all three loved and comforted each other. We were poorish and lonely and awkward together“ [Murdoch, 2001:24]

⁵ „I am wifeless, childless, brotheless, sisterless, I am well known self, made glittering and brittle by fame“ [Murdoch, 2001:3]

საკმაოდ შეძლებული და გავლენიანი. ჩარლზმა ამ ორის გამიჯვნა პატარაობიდანვე შეძლო და მიზანიც სავარაუდოდ მაშინ დაისახა. შედეგად, რომანის დასაწყისში ავტორი უკვე გვიხატავს წარმატებულ, შემდგარ და გავლენიან პროტაგონისტს, რომელსაც ფაქტობრივად გავლილი აქვს ბრედლი პირსონის ცხოვრების გზა. შესაბამისად, ჩარლზის ცხოვრება იწყება იქ, სადაც მთავრდება ბრედლის „შემდგარი“ ცხოვრება. ავტორი ამ რომანში გვაჩვენებს, რომ საყოველთაო აღიარება და ფინანსური კეთილდღეობა არ არის გარანტია ბედნიერებისა და თვითკმაყოფილებისა. ვინაიდან, რომანის ბოლოს კარგად ჩანს, რომ ჩარლზს არც ერთი მეგობარი არ ჰყავს და მარტოა.

რომანი შედგება ექვსი ძირითადი თავისაგან, რომელსაც ავტორი ისტორიას უწოდებს, ასევე რომანს წამმღვარებელი აქვს წინარე ისტორია და ბოლოს ეპილოგი „ცხოვრება გრძელდება“.

მერდოკის რომანი „შავი პრინცი“, „ჰამლეტის“ ინტერპრეტაციას გვთავაზობდა, ეს რომანი კი თავის მხრივ ინტერპირებს „ქარიშხალს“, რომელიც როგორც მერდოკმა 1969 წელს განაცხადა მისი საყვარელი პიესაა. ის ეხება შერიგებას, ღირსებასა და ღირსების ტრიუმფს⁶. რომანის პირველივე გვერდებზე ვკითხულობთ, რომ ჩარლზი აპირებს „ჯადოქრობას“⁷ მოკიდოს ხელი, რომელიც დაკავშირებულია თეატრთან და მის პირად ძალასთანაც. უკვე პირველივე გვერდებზე გვახსენდება შექსპირის ბოლო პერიოდის პიესა „ქარიშხალი“ თავისი პროსპეროთი. შექსპირის ბოლო პერიოდის შემოქმედება, რომელიც იწყება დაახლოებით 1608 წლიდან, ხასიათდება რამდენი ძირითადი მახასიათებლით, ესაა ოცნებისეული სამყაროს შექმნა, ცხოვრებისეული, რეალური დრამატიზმის ირეალური ფანტაზიური განვითარება ბედნიერი დასასრულით. სწორედ ეს მახასიათებლებია შესამჩნევი მერდოკის გმირის განვითარებისათვის. ის, რომ შექსპირის გავლენა ამ რომანში კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე „შავ პრინციში“, უდაოა, ვინაიდან თავად პროტაგონისტი ხელოვანია, თეატრთან არის დაკავშირებული. ჩარლზის დაბადების ადგილი სტრედ-ფორდ-აფონ ეივონია, ადგილი, სადაც დაიბადა შექსპირი, მთელი ცხოვრება შექსპირთან აქვს დაკავშირებული და მისი მასწავლებელი სკოლაში შექსპირზე გაგიჟებული კაცია⁸.

სახლი, სადაც ჩარლზ ეროუბი ცხოვრობს მოჯადოებულია. თავდაპირველად ჩარლზი ფიქრობს, რომ ეს სახლი წარსულის აჩრდილია, თუმცა მოგვიანებით რომანში ვხედავთ, რომ ამ სახლს აქვს უნარი მომავლის აღბეჭდვის; ზუსტად ასევეა პროსპეროს შემთხვევაში, კუნძულზე, სადაც ის მირანდასთან ერთად ცხოვრობს, მათი წარსულის თვითმხილველია, თუმცა ის ადგილი მათი მომავალი ცხოვრების მოწმეც ხდება.

ის ფაქტი, რომ მერდოკმა მთავარი გმირი ხელოვნების მრავალი დარგიდან რეჟისორის ამპლუაში მოგვივლინა შემთხვევითი არ არის, ვინაიდან ამით ავტორი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ თეატრი არის ადგილი, სადაც მართალია თამაშით, მაგრამ მაინც ხდება

⁶ „Perhaps my favourite of all plays. It is to do with reconciliation and virtue and the triumph of virtue“. [Good, Evil, and Morality, discussion between Iris Murdoch and Father Martin Jarrett-Kerr, CR: Quarterly Review of the community of the Resurrection, no.266, Michaelmas 1969, pages 17-23]

⁷ „Now, I shall abjure magic“ [Murdoch, 2001: 2]

⁸ „I was born at Stratford-upon-Avon...Of course I owe my whole life to Shakespeare... A master at school was Shakespeare-mad“ [Murdoch, 2001:27]

რეალური ცხოვრების ასახვა. სწორედ ამიტომაც, რომ შექსპირზე შეყვარებულია, შექსპირი თავის პიესებში ყველგან სიმართლეს ამბობს და ამას ისე ოსტატურად აკეთებს, რომ ნებისმიერ მწერალს სურვილი უჩნდება მიბადოს მას და ხელოვანი ადამიანის ნამდვილი, უტყუარი დანიშნულება - თქვას სიმართლე, კარგად ასახოს რომანში.

რომანში ჩარლზი წერს, რომ პრესაში მას „ტირანის“, „უხეში ადამიანისა“ და „ძალაუფლებაზე გაგიჟებული მონსტრის“ სახელით მოიხსენიებდნენ⁹. თუმცა ჩარლზი მის ამ აღწერას უარყოფს და ალბათ არც ცრუობს, ვინაიდან სიტყვა „ძალის“ აღნიშვნა უკვე მიუთითებს მის გავლენაზე მთელი სამსახიობო დასის წინაშე და ეს ასეც უნდა იყოს, თუ ხელოვნებაში ვინმეს სურს რომ იყოს წარმატებული. მისი ეს გავლენა და ძალაუფლება მხოლოდ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებით არ შემოიფარგლებოდა და მისი ეს გავლენა მის ქალებზეც ვრცელდებოდა. ამ რომანში საზოგადოების მანკიერი მხარეები განილულია თეატრთან დაკავშირებული ყველა პერსონაჟის მაგალითზე. ინტრიგების ხლართვა, ერთმანეთისათვის ცილის წამება, ცოლების წართმევა, მოჩვენებითი მეგობრობა - ესაა დამახასიათებელი ამ საზოგადოებისათვის. ერთობ მნიშვნელოვანია ჩარლზის დამოკიდებულება ქალებთან, ის მათ სერიოზულად არ აღიქვამს. ძალიან მარტივად ტოვებს მათ, როდესაც უკეთესი ალტერნატივა გამოჩნდება, ართმევს ცოლებს თავის მეგობრებს, შემდეგ უკანვე უბრუნებს. ამის კარგი მაგალითია როზინა, რომელიც პერეგრინზე ქორწინდება და ლიზი, რომელიც ჯილბერტ ოპიანს მიჰყვება ცოლად, თუმცა ჩარლზი მაინც არ ანებებს თავს. აქ ლიზი გვაგონებს არიელს, რომელიც პროსპეროს ჰყავს დაპყრობილი და არ აძლევს თავისუფლებას მთელი რომანის მანძილზე, ვინაიდან მას სჭირდება ის თავისი მიზნების ბოლომდე მისაყვანად. თავად ჩარლზი კი პროსპეროს განასახიერებს, ის იყენებს ლიზის თავისი ინტერესებიდან გამომდინარე.

„თეატრი კაცობრიობაზე თავდასხმაა ჯადოქრობით განხორციელებული. მისი მიზანია აწამოს მაყურებელი ყოველ ღამეს, გააცინოს, აატიროს, დატანჯოს და მატარებელზე დააგვიანოს კიდევ. რა თქმა უნდა, მსახიობები მაყურებელს მტრებად მიიჩნევენ და ატყუებენ, აჯადოებენ და ასულელებენ“¹⁰. სწორედ ამას აკეთებს ჩარლზი ეროუბი მთელი ცხოვრების მანძილზე. ის თავს ესხმოდა არა მარტო მაყურებელსა და თავის მსახიობებს, არამედ სრულიად სამყაროს. დაიღალა ამდენი წელი ასეთი ყოფისაგან და განმარტოება განუზრახავს, მაგრამ ცხოვრება ხომ ბუმერანგით უკან გიბრუნებს ყველაფერს და არც ჩარლზია გამონაკლისი. მან წარმატებას მხოლოდ რეჟისორის ამპლუაში მიაღწია. როგორც მსახიობი და დრამატურგი კი ვერ შედგა¹¹, ეს შეიძლება აიხსნას მისი დამოკიდებულებით, ვინაიდან თავად უყვარდა ბრძანებების გაცემა და სხვებისგან მორჩილების დანახვა. იგი თავად ამბობს „რეჟისორი თეატრში დიქტატორია“¹². თუმცა, ჩვენთვის ნათელია, რომ

⁹ „tyrant“, “tartar” and a “power-crazed monster” [Murdoch, 2001:3]

¹⁰ „The theatre is an attack on mankind carried on by magic: to victimize an audience every night, to make them laugh and cry and suffer and miss their trains. Of course actors regard audiences as enemies, to be deceived, drugged, incarcerated, stupefied” [Murdoch, 2001:33]

¹¹ „I failed as an actor, I ceased as a playwright. Only my fame as a director has covered up these facts” [Murdoch, 2001:36]

¹² „A theatre director is a dictator” [Murdoch, 2001:36]

ჩარლზს მოსწყინდა თეატრი, დაიღალა და ისეთ უკაცრიელ ადგილზე გადაწყვეტს საცხოვრებლად გადასვლას, სადაც ტურისტიც კი არ დადის. აქაც შეგვიძლია პარალელის გავლება პროსპეროსთან, თუმცა პროსპეროს შემთხვევაში ეს იძულებითია, ხოლო ჩვენი გმირი თავისი სურვილით მიდის უკაცრიელ ადგილას. აქ ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ადამიანს განმარტოება ვერ დაეხმარება ცხოვრების შეცნობაში, პირიქით მარტოობა კიდევ უფრო უორმაგებს ამ ცხოვრების წარმავლობის არსს, ისევე როგორც თეატრში ყველაფერს ვერ შენიღბავ. თეატრი არის ადგილი, სადაც მრავალგზის შეიძლება დარწმუნდეს ადამიანი ამ ცხოვრების წარმავლობაში. ჩარლზი ამ ყველაფერს წლების შემდეგ მიხვდა და აშკარაა, რომ ხელოვნების ამ „შენიღბული“ დარგიდან გადაინაცვლებს „სიმართლის“ მთქმელ დარგზე, ანუ მიმართავს მწერლობას. მერდოკი, როგორც წინა რომანების განხილვისას დავინახეთ ხელოვნების მრავალი დარგიდან მწერლობას უთანაგრძნობს, ამიტომაცაა დიდი ხელოვანის ასეთი ჭარბი რაოდენობით არსებობა შესამჩნევი მის მრავალ რომანში. ჩარლზი აშკარაა ხვდება, რომ მან უნდა ისწავლოს გახდეს კარგი, სამართლიანი, თუ სურს რომ ნამდვილი ხელოვნების ნიმუში შექმნას. ის ნაწილობა კიდევ, რომ მანამდე არ მოკიდა ხელი ამ საქმეს, თუმცა ეხლა კითხვები აწუხებს „მე ვთქვი - მემუარები. რა გამოვა ამ ნაწერებიდან? დრო ყველაფერს გვაჩვენებს“¹³. ამ ადამიანს ძალიან ბევრი რამ აქვს მოსაყოლი განსხვავებით ბრედლი პირსონისაგან, თუნდაც მისი სასიყვარულო ამბები რად ღირს? ჩარლზი მთელი რომანის მანძილზე იმეორებს, რომ მას რომანი უნდა დაეწერა ცნობილ მსახიობთან კლემენტ მეიკინთან ურთიერთობის შესახებ, თუმცა მას ეს ჩანაფიქრი სისრულეში არ მოჰყავს.

ჩარლზი, როგორც უკვე აღვნიშნე, საცხოვრებლად ირჩევს პროვინციულ ადგილს. ეს ადგილი მოწყვეტილია გარე სამყაროს, აქ ყველაფერი თითქოს გაჩერებულია. მკითხველს უჩნდება სურვილი, რომ ჩარლზს დროის შეჩერება სურს, სურს თავისი განვლილი ცხოვრების აღწერა, თავის წარსულთან მარტო დარჩენა, ფიქრი განვლილ ცხოვრებაზე და მისი ახლებური გააზრება. მსგავსად შექსპირის პიესა „ქარიშხლისა“, ეს რომანი არ არის ბუნებრივი. აქ, თითქოს ყველაფერი გამიზნულად ხდება. მისი წარსულის ამოტივტივება ამ უკაცრიელ ადგილას შემთხვევითი არაა, სწორედ აქ ხდება მისი სიყმაწვილის ამბების გახსენება. ადგილი, სადაც წესით ეს შეუძლებელი უნდა იყოს, მისი განვლილი ცხოვრების ისტორიას ფარდას ახნის. ასევეა პროსპეროსა და მირანდას შემთხვევაში, სწორედ კუნძულზე ვიგებთ ჩვენც და პიესის სხვა გმირებიც რეალურ ამბავს მათი ისტორიისა. ამ მხრივ ეს სიუჟეტური ხაზი და თვითონ დრო ზუსტად ერთნაირია როგორც შექსპირთან ისე მერდოკთან, აშკარაა მერდოკი პირდაპირ ბამავს შექსპირს და თუ „შავ პრინცში“ გადატანითი მნიშვნელობით იყო გამოყენებული ილუზიები „ჰამლეტთან“ მიმართებაში, აქ ავტორი თამამდება და პირდაპირ, ტექსტის ზედაპირზევეა ეს შესამჩნევი ზედმეტი ფიქრის გარეშე.

თავად რომანის სათაური „ზღვა, ზღვა“, პირდაპირ კავშირს ავლენს შექსპირის პიესა „ქარიშხალთან“. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ რომანში ზღვა სრულყოფილებიან წევრად არის აღქმული. ჩარლზი ზღვას მიმართავს, მას ელაპარაკება, მას უყვება თავისი

¹³ „I spoke of a memoir. Is that what this chronicle will prove to be? Time will show” [Murdoch, 2001:1]

წარსულის შესახებ. ზღვაა მისი ამჟამინდელი ცხოვრების ერთადერთი „პერსონაჟი“. „ოჰ, კურთხეული ჩრდილოეთის ზღვა, ნამდვილი ზღვა თავისი სუფთა, მოწყალე მიქცევ-მოქცევით, აყროლებულ ცხელი სუპის მსგავს ხმელთაშუა ზღვას კი არ ჰგავს!“¹⁴

ზღვა შესაძლოა გაგებულ იქნეს, როგორც ჩუმი, წყნარი „პერსონაჟი“, რომელიც აკვირდება ადამიანთა ცხოვრებას და მათი სიავ-კარგის მოწმეა. გავიხსენოთ, „ქარიშხალი“, ზღვა მოწმე ხდება ადამიანთა საქმეების, ის კარგად იმახსოვრებს როგორც მათ სიკეთეს ისე სიბოროტეს. ზღვაა მოწმე პროსპეროს გადარჩენის ამბისა, ზღვაა მოწმე პიესაში განვითარებული მთელი ამბისა. აქაც, ზღვა ხდება მოწმე ჩარლზ ეროუბის განმარტო-ებული ცხოვრებისა, შემდეგ მასთან სტუმრად მისული მთელი ამაღა ხალხისა, ზღვამ იცის სინამდვილეში ხელი ვინ კრა ჯერ ჩარლზს და შემდეგ ტიტუსს. ამ კონტექსტში ზღვა სიმბოლოა ადამიანის განმარტოებული ყოფისა.

ზღვა, მკითხველის მხრიდან შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც სულიერი სიმშვიდისა და სიდიადის ძიების სიმბოლოდ. ჩარლზი, რომელიც თავისი ცხოვრებით მუდამ მოქმედებაში, მოძრაობაში იყო, ხშირად ვერ ფიქრობდა საკუთარ შინაგან სამყაროზე. მართალია, მას დიდება და აღიარება არ აკლდა, მაგრამ ის ხომ ხალხისგან იყო აღიარებული, მას კი აშკარაა, სურვილი აქვს საკუთარი თავი თავად აღიაროს, თავად განადიდოს, სწორედ ამისკენ ისწრაფვის. როგორც პროსპერომ აღიარა საკუთარი შესაძლებლობები და სიძლიერე, სწორედ აქეთკენ მიდის ჩარლზიც. ამავედროულად ზღვა ხომ ყოვლისშემძლეა, ეს ყველასთვის ცნობილია; შესაბამისად, ზღვა, შეიძლება ჩარლზიც, სიმბოლოდაც აღვიქვათ და აქედან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მასაც აქვს პრეტენზია საკუთარ სიდიადეზე.

და ბოლოს, ზღვა, რომელიც უკიდევანო თავისუფლების სიმბოლოა, სწორედ ზღვასთან ახლოს ყოფნის დროს ახერხებს ჩარლზ ეროუბი ჭეშმარიტ თავისუფლებასთან ზიარებას.

აღსანიშნავია, რომანში როგორც ბერძნული, ისე ქრისტიანული მითის გამოყენების მაგალითები. როდესაც ვსაუბრობთ ჩარლზზე, ჰართლისა და ბენზე გვახსენდება ძველი ბერძნული მითი ორფეოსისა და ევრიდიკეს შესახებ. ამ მითის მიხედვით, ორფეოსი იყენებდა თავისი ხელოვნების ნიჭს რომ მოეხიბლა არა მარტო ღმერთები და ადამიანები, არამედ მის გარშემო მყოფი ადამიანებიც, სწორედ ასეა ჩარლზის შემთხვევაში, ოღონდ აქ ისაა განსხვავება რომ ჩარლზი ილუზიაში, ირეალობაში მყოფი ადამიანების მოხიბვლას ცდილობს და გამოსდის კიდეც, მაგრამ როგორც კი საქმე ჰართლისა და ბენზე მიდგება, ისინი სულაც არ არიან დაინტერესებულნი მისი ხელოვნებით, მათთვის ხომ თეატრი უცხოა. ჩარლზისა და ჰართლის შეხვედრა უმნიშვნელოვანესია რომანში. ავტორი აქ გვიხატავს ილუზიაში მყოფი შეყვარებული ადამიანის სახეს და ძალიან კარგად ხვდება მკითხველი, რომ არც ჩარლზია ორფეოსი, არც ჰართლი ევრიდიკე და მითუმეტეს არც ბენი სამთავიანი ძალი, რომელიც ქვესკნელის კართან დარაჯობს მას. ის მომენტი, როდესაც ჩარლზს ჰართლი ეკლესიაში მიჰყავს გვახსენებს ორფეოსის მიერ ევრიდიკეს ქვესკნელიდან წაყვანას. ამ მომენტში საერთო ისაა, რომ ორივე კარგად ხვდება, რომ

¹⁴ „Oh, blessed northern sea, a real sea with clean merciful tides, not like the stinking soupy Mediterranean!“
[Murdoch, 2001:2]

კარგავენ თავიანთ სიყვარულს. განსხვავება ამ მითსა და რომანის სიუჟეტურ ხაზს შორის ისაა, რომ ჰართლი იძულებით მიჰყვება ჩარლზს, მაშინ როცა ევრიდიკეს შემთხვევაში ეს ნებაყოფლობითია. ამ მითის შესახებ რომანში ავტორის მიერ უშუალოდ არის მინიშნება მოცემული. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ამ მითთან მსგავსებას საერთოდ არ ეთანხმება და მათი აზრით, მათი ეს „სასიყვარულო ამბავი“ აპოლოსა და დაფნეს მითის უშუალო ანალოგია, რომლის მიხედვითაც აპოლო - ჩარლზს უყვარს დაფნე - ჰართლი, მაგრამ არა - პირიქით. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩარლზის მხრიდან ეს სიყვარული ილუზიაა და ამას ძალიან გვიან ხვდება. მისი ამ ილუზიური სიყვარულის პარალელურად, შეგვიძლია პიესა „ქარიშხლიდან“ მირანდასა და ფერდინანდის სიყვარულის ამბის გახსენება, რომელიც სანიმუშაო. მერდოკი, სავარაუდოდ, სწორედ ასეთ სიყვარულს აიდიოლებს და მისი ჩანაფიქრი ის იყო, რომ ამ რომანში ეჩვენებინა ნამდვილი სიყვარული, თუმცა მან ეს ვერ მოახერხა, მაგრამ შექსპირის პიესასთან მსგავსება ამ რომანისა გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მერდოკი აიდიოლებს შექსპირისეულ სიყვარულს.

დასკვნა

სტატიის მთავარი სათქმელი იყო, მკითხველს დაენახა მერდოკისეული ხედვა შექსპირის შემოქმედებისადმი - ამ ყველა დროის უდიდესი ხელოვანისა. მერდოკი, ხელოვნების ყველა დარგს თანაუგრძნობს, თუმცა ყველასთვის ადვილი მისახვედრია, რომ მწერლობა მას ყველაზე ღირსეულ და მართალ საქმედ მიაჩნია. სწორედ მწერლობამ უნდა შეაძლებინოს მწერალს სიმართლის თქმა. რომანში „ზღვა, ზღვა“, ავტორი წერს: „ხელოვნების ყველა დარგი ამახინჯებს ცხოვრებას, არასწორად წარმოგვიდგენს მას, თეატრი კი ყველაზე მეტად, ვინაიდან შენ ნამდვილ მოლაპარაკე და მოსიარულე ადამიანებს უყურებ“¹⁵.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შექსპირი, უილიამი. პიესები. თბილისი: სახელგამი, 1948
2. Conradi, Peter: The Saint and the Artist, Harper Collins Publishers, 2001
3. Conradi, Peter: The Saint and the Artist, Palgrave Macmillan, 2nd edition, 1989
4. Murdoch, Iris: The Sea, the Sea. London: Penguin Books, 2001 [first published in Great Britain by Chatto&Windus, 1978]
5. Murdoch, Iris: Metaphysics as a Guide to Morals, Allen Lane, The Penguin Press, 1992
6. Murdoch, Iris and Father Martin Jarrett-Kerr, Good, Evil, and Morality, discussion between CR: Quarterly Review of the community of the Resurrection, no.266, Michaelmas 1969, pages 17-23.

¹⁵ „All art disfigures life, misrepresents it, theatre most of all because it seems so like, you see real walking and talking people” [Murdoch, 2001:163]

Shakespeare's "The Tempest" in Iris Murdoch's novel "The Sea, The Sea"

Eter Shavreshiani

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctor of Philology
shavreshianieter90@gmail.com

Abstract. There is a big influence of prominent writers in Iris Murdoch's novels such as William Shakespeare. The fact that Murdoch idealizes Shakespeare is emphasized from her numerous novels. In Murdoch's novels "The Black Prince", "The Sea, The Sea", "The Nice and the Good", it is very easy even to the novice to understand the similarities to the Shakespearean plays. One of the researchers of Murdoch, Peter Conradi states that in 1965 Murdoch once again read Shakespeare, hoping that it would help her to create a relevant novel. In one of the philosophical essays by Murdoch we read, "We know very little about Shakespeare, he is hidden behind his work, and perhaps in this respect is an ideal artist" [Murdoch, 1992:115]. Taking into account the research objectives, we set a task to analyze what role an artist has in Iris Murdoch's novels and accordingly what is the essence of art. To find out all this, we have studied different critical literature, scientific and monographic researches that exist around Murdoch's works and where her fiction is studied from different perspectives. The scientific and practical importance of the presented article is fact-based. The outcomes of it will help a lot to any specialist particularly interested in postmodernist literature, the students of the English language department, young scholars. Proceeding from the multispectral issues, it might become the foundation of the forthcoming researches. Indeed, the presented work will help those willing to be familiarized with Iris Murdoch's creativity in the Georgian language.

Keywords: Murdoch, Shakespeare, art, The Tempest

სამართლიანობა და ადამიანის უფლებები

ლუკა ბარამიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
baramidze.l@yahoo.com

რეზიუმე. სტატია ეხება ადამიანის უფლებებსა და სამართლიანობას შორის მიმართებას სისტემის თეორიის თვალსაზრისით. ის მიზნად ისახავს: - იმის ჩვენებას თუ რა ფუნქციას თამაშობენ ისინი საზოგადოებაში; - ადამიანის უფლებებისა და სამართლიანობის ინსტიტუციური ასპექტის ხაზგასმას; - ადამიანის უფლებებისა და სამართლიანობის სემანტიკის განხილვას მათი ინტერპრეტირების მიზნით; - ადამიანის უფლებების, როგორც ავტონომიური სისტემის განხილვას. ეს უკანასკნელი სისტემის თეორიის თვალსაზრისით ნიშნავს არა ისეთ მთელს, რომელიც ნაწილებისგან შედგება, არამედ სპეციფიკური ოპერაციების ქსელს, რომელიც თავის თავს პარადოქსების ენით გამოხატავს. სტატია ეხება მენტალურ ე.წ. გაორებებს და შესაბამისად ისეთ მენტალურ ფიგურებს როგორცაა ბინარები, დიხოტომიები. ამდენად მის მეთოდოლოგიურ საფუძვლად აღებულია პრობლემის კვლევის სისტემის თეორიული და დიალექტიკური მეთოდების ელემენტები. თანამედროვე აზროვნებაში იურიდიული პროცედურა გამოდის როგორც ადამიანის უფლებათა საფუძველი. ადამიანის უფლებების დისკურსმა შეცვალა ზნეობისა და ეთიკის დისკურსი. ადამიანის უფლებათა ინსტიტუციალიზება თანამედროვე ლეგალური სტანდარტების სახით არის პროცესი ბუნებითი სამართლიდან ბუნებითი უფლებებისკენ, აქედან კი ადამიანის უფლებებისკენ. მორალური კანონი არის რაციონალური და ბუნებითი იმ აზრით, რომ არ არის თვითნებური ან ცვალებადი. სისტემის თეორიის პოზიციიდან, მორალი უფლებებთან მიმართებით არის გარემო. უფლებები, არ არიან სოციალური პრობლემების გადაჭრის ინსტრუმენტები. ისინი პრობლემებს კი არ წყვეტენ, არამედ პირიქით ამრავლებენ. მაგრამ ამავდროულად, მოლოდინების რეგულატორის ფუნქციას ასრულებენ. წინამდებარე სტატიის ღირებულებას გარდა ზემოჩამოთვლილი აღმოჩენებისა ქმნის ის პოზიცია, რომ ლეგალურ და პოლიტიკურ სისტემებს შორის მიმართებამ მეტამორფოზა განიცადა, რამაც მათი ფუნქციური სინთეზი გამოიწვია და მსოფლიო საზოგადოების კონსტიტუციონალიზების პრობლემა წარმოშვა.

საკვანძო სიტყვები: სამართლიანობა, ადამიანის უფლებები, იურიდიული პროცედურა, ინსტიტუციონალიზება, სისტემის თეორია

შესავალი

ჩვენს ეპოქას „უფლებათა ეპოქას“ უწოდებენ. მაგრამ საქმე ის არის, რომ „ადამიანის უფლებები“ სხვადასხვანაირად განიმარტება. ზოგს მიაჩნია, რომ ადამიანის უფლებებზე ლაპარაკი სხვა არაფერია თუ არა თავისებური დისკურსი, რომელიც ძალაუფლების ლეგიტიმაციის ან დელეგიტიმაციის მიზნით გამოიყენება. მეორე მხრივ, დღევანდელ მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული ერთგვარი მტრული დამოკიდებულება ავტონომიური სუბიექტის ცნებისა და უნივერსალურობის იდეისადმი.

სისტემის თეორიის მიხედვით ამგვარი სუბიექტური უნივერსალიზმი განიხილება როგორც ერთ-ერთი პარადოქსთაგანი. მისი განმარტება მოითხოვს კოდს. მაგრამ საქმე ის

არის, რომ ამგვარი კოდები იმავე პარადოქსების ზუსტ ასლებს წარმოადგენენ, რომელთა ინტერპრეტირებისთვისაც მათ იყენებენ.

სისტემის თეორიის თვალსაზრისით აქ საქმე გაქვს რეალობისა და იდეალის დიხოტომიასთან. ისე რომ, ჩვენს წინაშე ისეთი სემანტიკა, რომელიც რეალობას „აორებს“. ასეთია სისტემა (1. 67), რომელიც თავის თავს აღწერს. მაგრამ სამართალი გვემლევა როგორც სპეციალური შემთხვევა სოციალურ სისტემათა ერთობლიობაში, რომლებიც საზოგადოებას აგებენ. ხელოვნების, ეკონომიკის, რელიგიისა თუ პოლიტიკის გვერდით ჭირს სამართლის, როგორც სოციალური სისტემის იდენტიფიცირება, ვინაიდან იგი გამსჭვალავს ყველა სფეროს, საზოგადოების ყველა სისტემას. ლუმანი ამბობს, რომ სამართალი, როგორც სოციალური სისტემა, ასრულებს საზოგადოებას თითოეული მისი ოპერაციით, რომელიც კომუნიკაციის რეპროდუცირებას ეწევა და მიჯნავს მას ყოველივე იმისგან, რაც არ არის საზოგადოება. მაგრამ იგი განასახიერებს თავის საკუთარ ავტოპოიესისს, ლეგალური სისტემის ავტოპოიესისს იმით, რომ ლეგალურ კოდირებას ახორციელებს და არა სხვა სახის კოდირებას ან სულაც კოდირების გარეშე (2. 467). აქედან გამომდინარე გასაგებია ის წინააღმდეგობა, რომელსაც სამართლის როგორც ავტოპოიეტური სისტემის თვითრეპროდუქციის ლოგიკა იწვევს.

ზოგი ფიქრობს, რომ უფლებებს უნდა ჰყავდეს თავისი მატარებელი. მაგრამ ეს უკანასკნელი სხვა არავინაა თუ არა ადამიანური სუბიექტი. მეორე მხრივ, როცა აცხადებენ ადამიანური სუბიექტი დაიშალაო, ეს იმას ნიშნავს, რომ აღარ არსებობს უფლებათა მატარებელი.

1. ადამიანის უფლებათა ინსტიტუციონალიზება

ინსტიტუტები სხვა არაფერია თუ არა ტემპორალურად, ფაქტიურად და სოციალურად გენერალიზებული ქცევის მოლოდინები, რომლებიც აყალიბებენ სოციალური სისტემის სტრუქტურას. კანონი ტემპორალური პრობლემის გადაჭრას ემსახურება. ტემპორალური პრობლემა სოციალურ სივრცეში კი მაშინ წამოიჭრება, როცა მიმდინარე კომუნიკაცია არ არის დაკმაყოფილებული და ორიენტირებულია მოლოდინებზე, რაც კანონის საზრისის დროში განვრცობას წარმოადგენს და ამდენად მოლოდინებს გამოხატავს. სამართლის ფუნქცია დაკავშირებულია მოლოდინებთან. იგულისხმება მოლოდინებზე კომუნიციის შესაძლებლობა. მაგრამ მოლოდინი გაგებულია არა როგორც ცალკეული ინდივიდის ცნობიერების მდგომარეობა, არამედ როგორც კომუნიკაციის საზრისის ტემპორალური ასპექტი. სწორედ ამდენად და მხოლოდ ამდენად ისინი შეიძლება განხილულნი იქნენ, როგორც სამართლებრივი პოზიტივიზმის შესაძლო საგნები. ამავე დროს ისინი წარმოადგენენ სოციალური წესრიგის ფუნქციის შესახებ შეკითხვის სტრუქტურულ კომპონენტებს, რაც თავის მხრივ ლეგალური პოზიტივიზმის მენტალური კონტროლის შესაძლებლობას იძლევა (6. 7-15).

2. იურიდიული პროცედურა და ადამიანის უფლებების ეთიკური ასპექტი

ადამიანის უფლებები მოკლებულია საკუთარ საფუძველს, რაც დღეს მის უპირატესობად აღიქმება. ამგვარი საფუძველი ჩაანაცვლა იურიდიულმა პროცედურამ. ადამიანის უფლებების დისკურსმა კი დღეს, როგორც ჩანს, ზნეობისა და ეთიკის დისკურსი შეცვალა. ადამიანის უფლებათა ინსტიტუციალიზება თანამედროვე ლეგალური სტანდარტების სახით იყო პროცესი ბუნებითი სამართლიდან ბუნებითი უფლებებისკენ, აქედან კი ადამიანური უფლებებისკენ.

თანამედროვე ეპოქაში სამართლიანობის ყველაზე კომპლექსური თეორია ჯონ როლსმა შექმნა თავისი „სამართლიანობის თეორიის“ სახით, სადაც სამართლიანობა გაგებულია როგორც პატიოსნება. იგი ემყარება ორ პრინციპს: ყველა ადამიანისთვის თანაბარ საწყის მდგომარეობასა და სხვების ხარჯზე სიკეთეების არმიღებას (7. 3).

დღეს ლაპარაკობენ თანამედროვე კაცობრიობის ნოსტალგიაზე დაკარგული მორალური ღირებულებებისა და მამასადამე - ბუნებითი სამართლისადმი. ძალიან ადვილად შეიძლება, რომ ამგვარი ნოსტალგია ე.წ. რომანტიკულ იდეოლოგიებში გადაიზარდოს, რაც სისტემის თეორიის პოზიციიდან სხვა არაფერია, თუ არა ტრანსფორმირებულ ღირებულებათა არასრული ინსტიტუციონალიზების ნიშანი (3. 67).

სამართლისა და სამართლიანობის მიმართების შესახებ ორი ურთიერთდაპირისპირებული თვალსაზრისი არსებობს. ერთი ამტკიცებს, რომ სამართლიანობა არ არის ლეგალური კატეგორია. უფრო მეტიც, სამართლიანობას მნიშვნელობა არ აქვს სამართლისა და ლეგალური თეორიისთვის, ვინაიდან მას სამართლისა და მორალის კატეგორიათა აღრევამდე მივყავართ. ის, რაც ზოგისთვის სამართლიანია, სხვებისთვის უსამართლობაა. ამიტომაცაა, რომ როცა საქმე მიდგება სამართლიანობაზე, შესაძლოა, ყველაზე ობიექტური გარეშე დამკვირვებელი იყოს. ეს უკანასკნელი გააცნობიერებდა, რომ სამართლიანობა თავიდანვე შეიცავს უსამართლობის ელემენტებს. ერთი მხრივ, ლაპარაკია უნივერსალური სამართლიანობის პრინციპებზე; მეორე მხრივ, სამართლიანობის ცნება ყოველთვის განიხილება სპეციფიკურ ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში. სისტემის თეორიის თვალსაზრისით კი საქმე გვაქვს დიხოტომიასთან, რომელიც უფლებას როგორც სისტემას ახასიათებს.

რეალობასა და იდეალურ უფლებებს შორის არსებობს წინააღმდეგობა. უფრო მეტიც, ერთმანეთს უპირისპირდება დემოკრატიის კონცეფცია და იდეები, როცა საქმე ეხება ადამიანის უფლებების გავრცელებასა და მათი დაცვის გაძლიერებას. ზოგი მეცნიერი ამტკიცებს, რომ დემოკრატია, როგორც სოციალური კონფლიქტების გადაჭრის მეთოდი, წინააღმდეგობაში მოდის უფლებათა თაობაზე ასეთნაირადვე გაგებულ სასამართლო გადაწყვეტილებებთან - კერძოდ, როგორც კონფლიქტების გადაჭრის მეთოდთან. მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილებები მიუთითებს იმაზე, რომ ძირითადი უფლებების მხარდამჭერი უამრავი ნორმა ერთმანეთთან კონფლიქტში იმყოფება. მაგალითად, სიტყვის თავისუფლება წინააღმდეგობაში მოდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან. ამ შემთხვევაში დაძაბულობა უფლებათა პრაქტიკულად განხორციელების შინაგანი მახასიათებელია. ზოგი მკვლევარი ასკვნის, რომ დღეს როგორც არასდროს აუცილებელია, რომ ადამიანის უფლებები მორალს ემყარებოდეს და რომ ისინი მთელი კაცობრიობის

გამაერთიანებლად გვევლინებიან. ამგვარი პოზიცია ხაზს უსვამს იმას, რომ სწორედ ადამიანის ისეთი უფლებები გვჭირდება, რომლებიც ბუნებით სამართალსა და მორალურ ღირებულებებს ეფუძნება. ისტორიულ განზომილებაში თუ გავიაზრებთ ადამიანური უფლებების თანამედროვე ლეგალური სტანდარტების სახით ინსტიტუციონალიზებამ განვლო გზა ბუნებითი სამართლიდან ბუნებით უფლებებამდე; ბუნებითი უფლებებიდან კი ადამიანის უფლებებამდე (6. 322).

უფლება შინაგანია ადამიანისთვის, კანონი კი მისი დაცვის ინსტრუმენტი და საშუალებაა. რაც შეეხება ადამიანური აქტების წესსა და ზომას, ესენი გონების უნარს წარმოადგენენ, ვინაიდან სწორედ გონება წარმართავს ადამიანის აქტივობას თავისი მიზნებისკენ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გონება, რომელიც ბრძანებებს იძლევა თითქოსდა ვალდებულების წყარო იყოს. პრაქტიკული გონების პირველი საგანი სიკეთეა. აქედან გამომდინარეობს პირველი მორალური პრინციპი: აუცილებელია სიკეთის ქმნა, ბოროტება კი თავიდან უნდა ავიშოროთ. ამრიგად, ვალდებულება გვეძლევა იმ გონებით, რომელიც უშუალოდ არის თვით ადამიანის ბუნებაში; მორალური კანონი არის რაციონალური და ბუნებითი იმ აზრით, რომ არ არის თვითნებური ან ცვალებადი.

სისტემის თეორიის პოზიციიდან, ჯერ ერთი, მორალი უფლებებთან მიმართებით სხვა არაფერია თუ არა გარემო. მეორეც, უფლებები, ერთი მხრივ, არ არის სოციალური პრობლემების გადაჭრის ინსტრუმენტი. ისინი პრობლემებს კი არ წყვეტენ, არამედ პირიქით ამრავლებენ. მაგრამ მეორე მხრივ, მოლოდინების რეგულატორის ფუნქციას ასრულებენ.

3. ადამიანის უფლებები პოსტმოდერნის ეპოქაში

რწმენის ერთიანობიდან თანამედროვე ადამიანი ჩვეულებრივი ადამიანური გონების ერთიანობაზე გადავიდა. დღევანდელი პოსტმოდერნულ ადამიანს ბუნების შიში აქვს. ბუნებითი სამართლის თეორეტიკოსებს უფლებების შესახებ თავიანთი იდეები ღმერთიდან, გონებიდან ან a priori მორალური საწყისებიდან გამოჰყავთ; პოზიტივისტები კი ამტკიცებენ, რომ უფლებების შინაარსის გამოყვანა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს კანონებიდან. „არის“-სა და „ჯერ არს“-ს შორის დიხოტომია, რომელიც გამსჭვალავს დისკურსს იურისპრუდენციის ნატურალისტურ და პოზიტივისტურ სკოლებს შორის უფლების, როგორც სისტემის კოდს განეკუთვნება. „არის“-ი ეხება ფაქტებს, რომელთა ემპირიული შემოწმება და ჭეშმარიტების ანდა მცდარობის დემონსტრირებაა შესაძლებელი. რაც შეეხება „ჯერ არსს“, იგი მორალურობას ეხება, რომლის ობიექტურდ არსებობის დასაბუთება შეუძლებელია და რომლის თაობაზეც ადამიანებს სრულიად ლეგიტიმურად აქვთ განსხვავებული შეხედულებები. ჩვენს წინაშე კიდევ ერთხელ ფაქტსა და ნორმას შორის დიხოტომიაა, რაც წამოჭრის მის მიღმა გასვლის პრობლემას.

წარმოიშვა ახალი ბუნებითი უფლებები, როგორც ძალაუფლება რაიმეს კეთებისა; თვითონის და ბუნებითი უფლებების შეუზღუდავი და განუყოფელი სუვერენიტეტი გაგებულია, როგორც ყველაფრის კეთების თავისუფლება, რაც კი ადამიანს მოესურვება. თავისუფლება კი განისაზღვრება, როგორც გარეგანი დაბრკოლების არარსებობა.

ამ მიდგომით უფლებები წარმოგვიდგება, როგორც კანონის იდენტური და მათი ლეგიტიმაციისთვის საკმარისია ის ფაქტი, რომ ისინი მიღებულია ლეგიტიმური ორგანოს მიერ. მაქსიმა, რომ რაღაც არის ნაბრძანები იმიტომ, რომ ეს რაღაც სამართლიანია შეიცვალა შემდეგი დებულებით: რაღაც არის სამართლიანი იმიტომ, რომ ნაბრძანებია. პირველი გულისხმობს, რომ ეთიკური საფუძველები, და მაშასადამე სამართლიანობა, აღემატება ბრძანების მიმღებ ავტორიტეტს; მეორე, პირიქით, ამტკიცებს, რომ კანონმდებელი, განსაზღვრავს ქვეყნის სამართლიანობა-უსამართლობას; ავტორიტეტი ქმნის კანონს და არა ჭეშმარიტება (4. 256-260).

სისტემის თეორიის თვალსაზრისით თვითონ დაყოფა განიხილება, როგორც სისტემა ე.ი. როგორც სპეციფიკური ოპერაციების ქსელი, როგორც სისტემის ოპერაციული ჩაკეტილობა. (5. 20) ამტკიცებენ, რომ ძირითადი თავისუფლებებისა და ადამიანური უფლებების წარმოშობა უკავშირდება თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურას, მის ფუნქციურ დიფერენციაციას. ადამიანის უფლებები მიჩნეულია სოციალურ ინსტიტუტად, რითაც თანამედროვე საზოგადოება მათ იცავს თვითგანადგურებადი ტენდენციებისგან. ყველა ადამიანისთვის შეუვალი და თანაბარი უფლებების მინიჭებისას საზოგადოება გარანტირებულია, რომ შენარჩუნებული იქნება დიფერენციაცია სხვადასხვა ფუნქციურ ქვესისტემას შორის; ამავე დროს შენარჩუნებული იქნება ინსტიტუციონალიზებული სპეციფიკური მექანიზმი, რომელიც ზრდის ინდივიდის სტაბილურობისა და დაცულობის დონეს.

აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ჩვენი ცნობიერების ემოციური მხარე. ნორმატიული გადაწყვეტილებითა და რაციონალურ გადაწყვეტილებასთან მისი დაპირისპირების გზით ხდება ფენომენის გაორება ე.ი. განსხვავების განსხვავება. მეორე მხრივ, ეს გულისხმობს კიდევ ერთ განსხვავებას ნორმასა და გონებას შორის და ა.შ. ამ გზით გონების ლოგიკა იცვლება „გულის ლოგიკით“, მაგრამ ლოგიკა ლოგიკადვე რჩება; ამდენად ერთხელ კიდევ საქმე გვაქვს რაციონალიზებულ გულთან.

რაციონალური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გრძნობები გადაწყვეტილების მიღების, როგორც სისტემის გარემოს განეკუთვნებიან და არა საკუთრივ სისტემას.

სისტემა აკეთებს განსხვავებას, მაგრამ ეს განსხვავება არ არის რაციონალურ ღირებულებასა და „ფენომენურ ღირებულებას“ შორის განსხვავება, რომელიც ენათესავება მენტალური მდგომარეობის ბუნებას, რაც იგულისხმება გამოთქმაში: „როგორ გამოიყურება რაღაც“. ე.წ. ფენომენი სხვა არაფერია თუ არა მენტალური სიტუაცია, რომელიც გარემოს კუთვნილებაა. მას არაფერი აქვს საერთო საკუთრივ სისტემის ოპერაციებთან ამ უკანასკნელის ოპერაციული ჩაკეტილობის გამო. „როგორ გამოიყურება“ მოქმედებს, როგორც ცალკე სისტემის ოპერატორი; საქმე ეხება „თითქოსდა“-ს სისტემას. ასეთია მოლოდინების სიმბოლურად გენერალიზებული სტრუქტურა. მაგრამ სიმბოლოთი აქ ჩანაცვლებულია უხილავი - მომავალი. სიმბოლიზება ქმნის განსაკუთრებულ სენსიტიურობასა და სტაბილურობას. არ არის გამორიცხული, რომ სიმბოლოს მიღმა იმალებოდეს კონტრრეალობა, რომელიც ჩვენს იმედგაცრუებას იწვევს.

დასკვნა

ერთი მხრივ, ჩვენს წინაშეა პოზიტივისტური მიდგომა და ემპირიზმი, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული ტექნოლოგიებსა და სოციალურ მეცნიერებებში. ახალი - პოზიტიური სამართლის საწყისის ძიებას პოზიტივიზმამდე მივყავართ. პოზიტიური სამართალი, რომელიც ექსკლუზიურად სახელმწიფოს ნებით იქმნება არის სწორედ ლეგალური მოდერნულობის არსი. ბუნებითი სამართლის ისტორიული უარყოფა ნიშნავს იმას, რომ „სამართალი არის პოზიტიური“, რომელსაც ექსკლუზიურად სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებელი და სასამართლო განსაზღვრავს. კრიტიკოსები აცხადებენ, რომ ბუნებით სამართალს შეუძლებელია ობიექტური არსებობა ჰქონდეს.

ზოგი საუბრობს ადამიანის უფლებების ახალ გლობალურ ეთოსზე. ზოგს მიაჩნია, რომ ეს ცარიელი განცხადებაა და არა ნამდვილი მიღწევა. სხვები ფიქრობენ, რომ ადამიანის უფლებების დაცვა რამდენიმე ნაბიჯს მოიცავს: უფლებების ინსტიტუციონალიზება (მათი გამოხატვა პოზიტიური ლეგალური ფორმით), ამგვარი უფლებების პროგრესული განვრცობა, როგორც ეს გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა 1948 წლის საყოველთაო დეკლარაციაში. და ბოლოს სპეციფიკური უფლებები, რომლებიც „სპეციფიკურ დაცვას“ საჭიროებენ: ქალთა უფლებები, ბავშვთა უფლებები, მოხუცთა უფლებები, უნარშეზღუდულთა უფლებები, ავადმყოფთა უფლებები და მომავალი თაობების უფლებები. სისტემის თეორიის თვალსაზრისით ყოველივე ეს უფლების, როგორც სისტემის ენის, პარადოქსულობაზე მეტყველებს.

ერთ-ერთი ამ პარადოქსთაგანია ის დიხოტომია, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვას ახასიათებს მის ნაციონალურ და გლობალურ დონეებზე. ამ მხრივ ლეგალურ და პოლიტიკურ სისტემებს შორის მიმართებამ მეტამორფოზა განიცადა, რამაც მათი ფუნქციური სინთეზი გამოიწვია. ამან წარმოშვა მსოფლიო საზოგადოების კონსტიტუციონალიზების პრობლემა. ისე რომ, რეალობის კიდევ ერთი გაორების მოწმენი ვართ. ერთი მხრივ, ნაციონალურ დონეზე ხდება ადამიანის უფლებათა კონსტიტუციონალიზება; მეორე მხრივ კი მიმდინარეობს კანონშემოქმედება გლობალურ დონეზე. ამგვარი გაორებით სისტემა თავის თავს გამოხატავს. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მიმდინარეობს ავტონომიური გონების დეცენტრალიზების პროცესი; და იხსნება ჰორიზონტი, რომელშიც შესაძლებელი გახდება უფლებისა და მოვალეობის ჰარმონიული არსებობა. სისტემის თეორიული თვალსაზრისით ადამიანის უფლებების მთავარი ფუნქციაა: არ დაანებოს სახელმწიფო-ძალაუფლებას მთელი საზოგადოების დესტრუქცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.Luhmann Niklas Law as a Social System. Oxford: Oxford University Press, 2004.
- 2.Hamilton Alexander, Madison James and Jay John, The Federalist Papers, Oxford World Classic. Ed.Lawrence Goldman Oxford University Press 2008.
- 3.Nobles Richard and Schiff David. Legal Theory Today. A sociology of Jurisprudence. Oxford. Hart Publishing. 2006.
- 4.Raz Joseph, Human Rights Without Foundations (March 2007). Oxford Legal Studies.
- 5.Rawls John Rawls, *Theory of Justice*, published in 1971 by Harvard University.

Justice and Human Rights

Luka Baramidze

Grigol Robakidze University, PhD Student

baramidze.l@yahoo.com

Abstract. This article explores the relationship between human rights and justice in terms of the systems theory. It aims to show the functions they play in society, to emphasize the institutional aspects of human rights and justice, to discuss the semantics of human rights and justice in order to interpret them, to treat human rights as an autonomous system. The latter, in terms of the systems theory, means not a whole that is made up of parts, but a network of specific operations that expresses itself in the language of paradoxes. The so-called mental doubles and therefore mental figures such as binaries, dichotomies are dealt with. Thus, the methodological basis it uses is based on the elements of theoretical and dialectical methods of problem research. In modern thinking, the legal procedure emerges as the basis of human rights. The discourse of morality and ethics has been changed by the discourse of human rights. The institutionalization of human rights in the form of modern legal standards is a process from natural law to natural rights, and hence to human rights. Moral law is rational and natural in the sense that it is not arbitrary or changeable. From a position of the systems theory, morality is an environment in relation to rights. Rights are not tools for overcoming social problems. They do not solve problems, but rather multiply them. At the same time, they perform the function of a regulator of expectations. In addition to the above findings, the value of the present article is based on the position that the relationship between legal and political systems has undergone a metamorphosis, which has caused the problem of constitutionalizing of the world society.

Key words: justice, human rights, juridical procedure, Institutionalization, system theory

უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა შესახებ განვითარებული თეორიები გერმანულ სისხლის სამართალში

ლაშა კუხიანიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
lkukhianidze@yahoo.com

რეზიუმე. აღნიშნულ სტატიაში კვლევის მიზანია იურიდიულ, ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებული იქნეს უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა შესახებ განვითარებული თეორიები გერმანულ სისხლის სამართალში. სტატიაში სწორედ უმოქმედობის პრობლემის ანალიზს შევეცდებით და მისი ზოგადი კომპლექსური ელემენტების ჩამოყალიბებას. განხილული იქნება ისეთი თეორიები, როგორცაა: პარალელურად სხვაგვარი ქმედების განხორციელება (ლუდენი), გარანტის უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულები, დანაშაულის ცნების საზღვრები, ჰელმუტ მაიერის თეორია, არსის აღწერილობითი წვდომა არტურ კაუფმანთან და კლაუს როქსინთან, ქმედება და უმოქმედობა ცნების ერთიანობაში (არმინ კაუფმანი, ჰარდვიგი, ველცელი), მაიჰოფერის სოციალური ქცევის ცნება, ე.ა. ვოლფის ინდივიდუალური მოქმედების ცნება, „წარმატების საფუძველი“, როგორც ბ. შუნემანის თეორიის ძირითადი ხაზი და ა.შ. სხვა თეორიებიც. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია მეცნიერული კვლევის ისეთი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება როგორც ემპირიულ, ასევე თეორიულ დონეზე, ესენია ზოგადი სამეცნიერო მეთოდები, კერძოდ: შედარების, ანალიზის, სინთეზის, აბსტრაგირების, კონკრეტიზაციის, ინდუქციის, დედუქციის და ანალოგიის მეთოდები. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველად ასევე გამოყენებულია ისტორიული და ლოგიკური მეთოდები. დოკუმენტური: სამეცნიერო ლიტერატურის, კანონმდებლობის, კონვენციებისა და ანალიტიკური მასალის შესწავლა. ასევე კვლევა აგებულია ნორმატიული ანალიზის წესებზე. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ფილოსოფიური შრომები, მეცნიერული კვლევები უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა საკითხებზე. პრობლემის კვლევისას გამოყენებულია ასევე: ფორმალურ-ლოგიკური, ფორმალურ-დოგმატური, ფორმალურ-იურიდიული, სოციოლოგიური, სტატისტიკური და სხვა მეთოდები. ჩვენი კვლევის ძირითად შედეგად წარმოდგენილი გვაქვს ის, რომ მასში სრულიად ორიგინალურად იქნა გააზრებული დანაშაულებრივი უმოქმედობის მოძღვრების არსი, მისი სტრუქტურა და განვითარების პროცესი. ჩვენი აზრით, ჩვენი გარკვევით შევძელით იმის დემონსტრირება, რომ უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულები გაცილებით უფრო ვრცელი და მრავალმხრივი შინაარსის მომცველი სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური მიმდინარეობაა, ვიდრე ეს გაბატონებულ დოქტრინაში დამკვიდრებული პოზიციიდან ჩანს. ნაშრომში პირველადაა გამოკვლეული უმოქმედობით ცნებაში ნებელობითი ქცევის არსი და მოქმედების არჩევანის თავისუფლება. ნებელობის თავისუფლების ასპექტი. ნაშრომში განხილულია უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა მეთოდოლოგიური ასპექტები, მისი არსი, ცნება და ნიშნები. ასევე გაშუქებულია პასიური დანაშაულებრივი ქცევა და მისი ნიშნები.

სამიუბო სიტყვები: უმოქმედობა, გარანტი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საზღვრები, სისხლის სამართალი

შესავალი

საზოგადოებრივი ურთიერთობების თანამედროვე სისტემა წარმოადგენს მართლწესრიგის განმტკიცებისა და რეგულირების რთულ მექანიზმს. თვით მართლწესრიგის განმტკიცება კი წარმოუდგენელია საზოგადოების ურთიერთკავშირის, მისი სოციალური პასუხისმგებლობისა და სამართლებრივი უფლება-მოვალეობების გარეშე. სწორედ ამ უკანასკნელთან არის დაკავშირებული პიროვნების სპეციალური სამართლებრივი სტატუსი, მისი ნორმატიული მოვალეობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის პრობლემასთან. რადგანაც სწორედ დაკისრებული სამართლებრივი მოვალეობის სათანადოდ შესრულება თამაშობს გადამწყვეტ როლს სახელმწიფო სისტემის გამართულ ფუნქციონირებაში, პასიური ქმედება კი განიხილება თავის მხრივ, როგორც პიროვნების წინააღმდეგობრივი სოციალური არსი, რომელიც არღვევს არა მარტო მართლწესრიგს, არამედ შეაქვს დისონანსი მთელ სოციალურ ორგანიზმში.

ქვეყნის დემოკრატიზაციისა და სამართლებრივი რეფორმების გატარების პროცესში, აუცილებელი ხდება სისხლის სამართალშიც ცვლილებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების გარანტიის შექმნას. კანონიერების პრინციპი მოითხოვს თითოეული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენის მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის დასაბუთება.

საკვლევი თემის მრავალასპექტიანობიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო ყველა საკითხის ამომწურავად განხილვა, მაგრამ ნაშრომში გადმოცემულია მისი ძირითადი დებულებები, რაც საშუალებას იძლევა საკითხით დაინტერესულ პირს შეუქმნას სწორი წარმოდგენა უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებზე. ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში აღნიშნული საკითხი აქტუალურია თუმცა დაუმუშავებელი და საკამათო თემაა, ამიტომაც შევეცადეთ განგვებილა აღნიშნული საკითხი სწორედ გერმანულ სისხლის სამართალში წარმოდგენილი თეორიებით.

მეცნიერებასა და კანონმდებლობაში დროთა განმავლობაში მიმდინარე პროცესები წარმოშობს ძველი დებულებების გადახედვის აუცილებლობას. სწორედ ერთ-ერთ ასეთ ნაკლებად დაუმუშავებელ თემად შეიძლება მივიჩნიოთ უმოქმედობის პრობლემა სისხლის სამართალში და კრიმინოლოგიაში, მასზე ქართულ ქართულ სამეცნიერო სივრცეში თითქმის არ შექმნილა არავითარი კვლევა, ამიტომაც ქართველ მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს ხელმძღვანელობა ამ საკითხის შესახებ საბჭოთა სამართლის მიერ დამუშავებული რამდენიმე მონოგრაფიით უწევდათ. არადა მათში გამოხატული ძირითადი დებულებები არ შეესაბამება თანამედროვეობას და გადახედვას საჭიროებს, სწორედ აღნიშნული საკითხიც განაპირობებს კვლევის აქტუალურ მხარეს.

I. პარალელურად სხვაგვარი ქმედების განხორციელება (ლუდენი)

ამ თეორიის მიხედვით ვალდებულების შეუსრულებლობა დანაშაულებრივ სიბრტყეში ვერ იქნება განხილული, როდესაც მისი თავიდან აცილების დროს „სხვაგვარ ქმედებას“ (Andershandeln) ჰქონდა ადგილი.

ლუდენის აზრით, ის რომ ვიღაცამ ბავშვის შიმშილით სიკვდილს ხელი არ შეუშალა, ან დაშავებულ ადამიანს დახმარება არ აღმოუჩინა და ამ დროს სხვა რამით იყო დაკავებული, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის მნიშვნელოვან გარემოებას არ წარმოადგენს. ლუდენს, როგორც ცნობილია სურდა, რომ აღნიშნული ერთდროული აქტივობა დანაშაულებრივი უმოქმედობის ქვაკუთხედად ექცია და დამდგარი შედეგი მიზეზად წარმოეჩინა. „როდესაც ადამიანი მოვალეობას არ ასრულებს, ის ამ დროს სხვა საქმით უნდა იყოს დაკავებული, და ეს სხვა საქმე პოზიტიურ ქმედებას უნდა წარმოადგენდეს“ (18,477).

აღნიშნულმა თეორიამ დროს ვერ გაუძლო. თავად ლუდენმა შვიდი წლის შემდეგ გამოცემულ მის წიგნში „Handbuch des teutschen gemeinen und partikularem Strafrecht“ (19,185) უკვე აღარ ისურვა დაყრდნობოდა მას და მომდევნო პერიოდში ეს თეორია სხვათა ხშირი და საფუძვლიანი კრიტიკის ობიექტი გახდა¹.

II. ქმედების ნების უკუგდება

სამართლებრივი თვალსაზრისით ქცევა დანაშაულებრივ უმოქმედობად ჩაითვლება, თუკი ის ფსიქიკური თვალსაზრისით შეზღუდულ აქტივობას მიეკუთვნება. განვითარდა თეორიები, რომლებიც აღნიშნულ „მინაგან მიზეზ-შედეგობრივ კავშირს“ უმოქმედობის გაგების გასაღებში ხედავდნენ.

ერთ-ერთი ასეთი თეორია: „ინტერფერენციის თეორია“ (Interferenz Theorien), რომლის წარმომადგენლებსაც განეკუთვნებოდნენ: ბური², ბერგერი და ჰელშნერი. აღნიშნულ თეორიაში იმთავითვე გათვალისწინებული არ იქნა, რომ ერთ ხაზზე ყოფილიყო განლაგებული სულიერი კავშირი ფიზიკურ ქმედებასთან ერთად, რომელთან კავშირიც თავისი შედეგებით სწორედ ზემოქმედებას იქონიებდა მასზე. მიუხედავად იმისა, რომ სიკეთისკენ ბიძგის მიმცემი ნებელობითი აქტივობის ჩახშობა ფიზიკურ რეალობასთან არის დაკავშირებული - ის თითქმის არასოდეს არ უნდა გაიმიჯნოს გადაწყვეტილების ამოცანიდან - უპირველეს ყოვლისა უსამართლობა იქნებოდა, რომ ჩვენ მხოლოდ აქ გავველოთ გამყოფი ხაზი. ის ვინც გადარჩენის იმპულსს ახშობს, გაცილებით ნაკლებ სასჯელს იმსახურებს, ვიდრე ის ვინც იმთავითვე გულგრილია, თუმცა მასთან გაცილებით ახლოს დგას, ვიდრე ფიზიკური ჩართულობის შედეგად შედეგის გამომწვევ პირთან.

¹ თავდაპირველად Krug Commentar (1855), Bohland, Bar Causalzusammenhang S.93, Traeger Unterlassungsdelikte S.13

² ბურიმ აღნიშნული შეხედულება პირველად განავითარა 1869 წელს „Ueber die Begehung der Verbrechen durch Unterlassung,შ 21. S.189 და ბოლოს 1899 I Willensfreiheit II Unterlassung III Causalität und Theilnahme, GS 56, S.418

ამგვარად შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ: წინამდებარე მიდგომა შემოიფარგლება ქმედების მიზეზ-შედეგობრივი კავშირით. ქმედებები, რომლებიც გულგრილობას მხოლოდ დროში შემოფარგლავს, და ნებელობითი აქტივობები, რომლებიც მართალია მიზეზ-შედეგობრივია, მაგრამ არა მხოლოდ ფიზიკური და ნებელობითი უნარით შემოიფარგლება.

III. გარანტის უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულები

აღნიშნულ ქვეთავში ჩვენ შეხება გვექნება გარანტის მოძღვრების გამოყენების სფეროსთან. გარანტის განსაზღვრა საჭირო ხდება იქ, სადაც საქმის გარემოებები ძალზედ შორს მიდის. ეს წმინდა უმოქმედობით დელიქტებში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, ხოლო შერეული უმოქმედობის დროს კი დამკვიდრებულ წესს.

კანონით განსაზღვრული საქმის გარემოებების დადგენა მხოლოდ გარეთა წრიდან არის შესაძლებელი, ხოლო შიდა წრიდან ჩვენ თავად უნდა განვსაზღვროთ ქმედების შემადგენლობა. შესაბამისად გარანტის პრობლემა შესაძლებელია დადგეს იქ, სადაც კანონი ორივე წრეს ფარავს. ეს თეორიულად ორგვარად არის შესაძლებელი. პირველ რიგში, შიდა წრე შესაძლებელია გაფართოვდეს გარეთა წრემდე. ასეთ შემთხვევებში, მიუხედავად გარანტის ვალდებულებისა, დამნაშავე იქნებოდა ყველა, რომელიც შესაძლო დადებითი შედეგის დადგომის მიზნით არ განახორციელებდა ქმედებას, თუმცა აღნიშნული მიდგომა შესაძლებელია იმთავითვე, ისევ გაქარწყლდეს. მართალია, დანაშაულებრივი უმოქმედობის ცვლად დოგმატურ ისტორიაში არ აღინიშნებოდა ხმათა სიმცირე, რომლებიც ამ გზით მთლიანი პრობლემატიკის გაქარწყლებას ცდილობდნენ, თუმცა ისინი არ იყო დამაჯერებელი და არანაირი ზემოქმედება არ მოუხდენია თუნდაც ცალკეული დანაშაულის გარემოებების ინტერპრეტაციაზე, როდესაც საქმე უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ სიკეთეს ეხება, კანონს პასუხისმგებელი პირების წრეში შემოჰყავს არა მონაწილე პირები, მაგრამ ის ამისთვის ირჩევს სპეციალურ ბრალეულ უმოქმედობის გზას (სსკ მუხლი 376) და კმაყოფილდება სასჯელით, რომელიც შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობაზე ზემოქმედებასთან მიმართებაში - ძალზე უმნიშვნელოა. აღნიშნული გარემოება კი ერთხელ და სამუდამოდ ყველა ან ცალკეული ქმედების, დანაშაულის ქმედების, დანაშაულის გარემოებების განმარტებას შეუძლებელს ხდის.

მეორე მხრივ, შესაძლებელია ასევე გარეთა წრის მოცულობა შემცირდეს შიდა წრემდე. ასეთ შემთხვევაში, მოქმედების პირობებშიც კი დანაშაულში თანამონაწილეობა გარანტიის მიცემაზე იქნებოდა დამოკიდებული, და ეს პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელმა დანაშაულის შემადგენლობაში დამნაშავეს სპეციალური წინაპირობები უნდა დაადგინოს, რაც დანაშაულის განხორციელების ორივე ტიპისათვის დანაშაულის გარემოებების შესასრულებლად იქნებოდა საჭირო, თუმცა არა საკმარისი. ამგვარი დანაშაულებისათვის შეგვეძლო გვეწოდებინა გარანტის დანაშაულები, ვინაიდან პოზიტიური ქმედების შემთხვევაშიც კი განხორციელება შემოიფარგლება მოქმედების მქონე გარანტზე.

IV. დანაშაულის ცნების საზღვრები

როქსინმა კანონიდან განსაზღვრა სპეციალური ვალდებულებისა და სპეციფიკური უმოქმედობის პრობლემატიკის კონტექსტი. აქ წარმოდგენილი მოსაზრებით ყველა ვალდებულებითი დანაშაული ამავედროულად გარანტის დანაშაულსაც წარმოადგენს.

ის, რომ კანონმდებელი თავისუფალია გადაწყვეტილების მიღებისას, თუ რამდენად შეავიწროვებს შესაბამის წრეს არავინ ხდის სადავოს, ამიტომაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოზიტიური ქმედების შედეგადაც კი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება გარკვეულ შეზღუდვებზე მიუთითებს, რომლებიც ისე შორს არ მიდის, რომ ის დაიფაროს უმოქმედობით დანაშაულის ჩამდენთა წრით. ამგვარი დანაშაულის გარემოებები იქნებოდა ვალდებულებითი დანაშაული, თუკი ის სასჯელს გაითვალისწინებდა არა ყველასათვის, არამედ სპეციალური მოვალეობით აღჭურვილ ცალკეულ პირთა წრისათვის, მაგრამ ის ვერ იქნებოდა გარანტის მიერ ჩადენილი დანაშაული, რადგანაც მხოლოდ გარანტს არ შეუძლია მისი ჩადენა, როგორც ჩანს, ამგვარი ტიპის ვალდებულებითი დანაშაული ძალზე ცოტაა, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსი მოიცავს მინიმუმ ერთ მაგალითს: სსკ-ის. 377² მუხლი „მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული იმ მოქმედების შეუსრულებლობა, რომლის შესრულება მხოლოდ მას შეუძლია“. საქმე გვაქვს ვალდებულებით დანაშაულთან. აქ ყველა პირი არ არის დამნაშავე, რომელიც მასზე დაკისრებულ მოვალეობას არ შეასრულებს, აქ დამნაშავე შეიძლება იყოს ის მოვალე, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული აქვს მოქმედების შესრულება.

არსებობს კიდევ ერთი სფერო, რომელშიც ვალდებულებითი დანაშაულის ცნება არ იფარება.

დანაშაულის შემადგენლობაში დამნაშავის განსაკუთრებული ნიშნების შეტანა არ აგვარიდებს იმ ტვირთს, რომ გამოვიკვლიოთ დანაშაულის შემადგენლობის შესაძლო განსაკუთრებული მხარეები. კანონმდებელს შეუძლია სასჯელი შეზღუდოს ქმედების ჩადენის სპეციალური სახეებით, და ეს არაფერს არ ცვლის ვალდებულებითი დანაშაულის შემადგენლობის ხასიათის თვალსაზრისით.

ამგვარად უნდა დავადგინოთ შემდეგი: არსებობს ვალდებულებითი დანაშაულები მათი ჩადენის სპეციფიკური წესით. იმ შემთხვევაში, თუკი ერთ-ერთი ეს კატეგორია სახეზე არ გვაქვს, მაშინ ეს არ იქნება გარანტის დანაშაული, ე.ი. უმოქმედობის პრობლემატიკა არ ქრება კანონის დადგენილების შედეგად, დამნაშავის შემთხვევაში შედეგის თავიდან არარიდების ყოველი შესაძლებლობა განხილული უნდა იქნეს დანაშაულის შემადგენლობაში. იმ შემთხვევაში, თუკი გარანტის შესახებ მოძღვრება მოცემულ შემთხვევაში არ დაკარგავს გამოყენების სფეროს იმ მიზეზით, რაც ვრცელდებოდა მის დარღვევასა და სამოხელეო დანაშაულის უმეტესობაზე, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის სხვა მიზეზის გამო ვერ იქნება გამოყენებული. დღეისათვის დიდი დისკუსიის საგანს წარმოადგენს იმის შესაძლებლობა, რომ უმოქმედობის დანაშაულების ჩადენაზე დანაშაულის სპეციალიზებული შემადგენლობა უნდა ვრცელდებოდეს, თუმცა ეს არ წარმოადგენს ვალდებულებითი დანაშაულით შემოფარგულ პრობლემას, ამიტომაც ყოველივე უნდა

გავიტანოთ ვალდებულებითი დანაშაულის ფარგლებიდან და მთლიანობაში უნდა განვიხილოთ, რასაც შევეცდებით შემდეგ პარაგრაფებში.

გარკვეულწილად სუბსტრაქციის პროცესში წარმოიქმნება მისი ლეგიტიმური გამოყენების სფერო. ის მოქმედებს, როდესაც გამოსაკვლევი დანაშაულის გარემოება აქტიურ ქმედებას აღწერს, თუმცა მისი განხორციელება ასევე უმოქმედობითაც არის შესაძლებელი. კანონმდებლობის მიერ არ არის შეზღუდული გარანტიით (არ წარმოადგენს გარანტიის მიერ ჩადენილ დანაშაულს), და მისი ჩადენის ტიპთან დაკავშირებით არ არსებობს რაიმე სპეციალური მოთხოვნები (ე.ი. სახეზე არ გვაქვს მოქმედებასთან დაკავშირებული დანაშაული).

ვფიქრობთ, აღწერილმა ფაქტებმა, მართალია დაამტკიცა, რომ უმოქმედობის დანაშაული გარანტიის მიცემით განისაზღვრება. თუმცა პროტესტი შესაძლებელია სხვა მხრიდან მოდიოდეს და სხვა მიმართულებას ისახავდეს მიზნად. შეიძლება დაისვას შეკითხვა, თუ რატომ არ ვრცელდება ზიანის მიმყენებელ დანაშაულებზე იგივე? მათ შემთხვევაში არ არსებობს შედეგობრივი უმოქმედობის ფენომენი და, თუკი ასეა, უმოქმედობის დანაშაულის ამსრულებლობა ამგვარი უმოქმედობის შემთხვევებით უნდა შემოიფარგლებოდეს? ჩვენ დავინახავთ, რომ აღნიშნული შეკითხვა სინამდვილეში კვლევის ძალზედ მარგინალიზებულ სფეროს შეეხება. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ამ სფეროში შესვლას არ ვაპირებთ. ამ თვალსაზრისით გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ თეორიასთან დაკავშირებულ კამათს, რომელიც ჩვენს მიერ არჩეულ ქცევასთან დაკავშირებული დანაშაულების გზას თანმიმდევრულად მიჰყვება და ამგვარად გარანტიის თეორიის სრულიად ჩამოშორებას ცდილობს.

V. ჰელმუტ მაიერის თეორია

ჰელმუტ მაიერი - რომლის თეორიასაც შევეხებით, ისე როგორც არავინ, სრულად პასუხობს ქცევასთან დაკავშირებულ დანაშაულობებს. ის მათ უწოდებს „დანაშაულებს კონკრეტულად აღწერილი საქმიანობებით“ (Verbrechen mit bestimmt beschrieben Tätigkeit) (25,153) და მათ შესახებ წერს: მათ შემთხვევაში „თითქოსდა უმოქმედობა მოქმედების აღწერით ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არის მოცემული. ამგვარად ის ქმნის გარყვნილი ქმედების მაგალითს, შესაძლებლობას..., ვინც სივრცეს... გარყვნილი ქმედებისკენ სწრაფვის განკარგულებაში აქცევს. ამას ის უბრალოდ იმით აკეთებს, რომ ხელს არ უშლის ამ სწრაფვას. ასევე უეჭველია თავად ჩადის გარყვნილებას ის, ვინც გარყვნილ ქმედებებს საკუთარ თავზე ითმენს“.

მაიერს მიაჩნია, რომ შეეძლო ამ მიგნებების განზოგადება, რადგანაც ის უშუალოდ შემდგომ წერს: „დანაშაულის სურათის შესაბამის შემთხვევაშიც კი არ წყდება შერეული უმოქმედობის პრობლემა ტელეოლოგიურად გაგებულ სასიცოცხლო ენის გამოყენების მეშვეობით, სირთულეების გარეშე“. ეს დეტალურადაა დასაბუთებული სხვა ადგილას: „ფიზიკური უმოქმედობა... სამართლებრივი თვალსაზრისით გაგებულ უნდა იქნეს, როგორც ნამდვილი ქმედება, დანაშაულის ჩადენა, თუკი ამგვარი არანამდვილი უმოქმედობა იგივე ზომით საჭიროებს მართლსაწინააღმდეგო ნებელობით ენერგიას, როგორც პოზიტიური ქმედებები. ამგვარად, ბავშვის დედა, რომელიც შვილს საკვებზე და მოვლაზე

უარის თქმით კლავს, როგორც მინიმუმ იგივე ენერგიას ხარჯავს, რასაც ის ბავშვის დახრჩობისას დახარჯავდა. წმინდა უმოქმედობა, სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, არა თუ უთანაბრდება, არამედ უფრო მეტიც, სამართლებრივი თვალსაზრისით ის ნამდვილ ქმედებას წარმოადგენს, ამიტომაც იქნა სამართლებრივ ენაში იმთავითვე შემოტანილი ამგვარი შერეული უმოქმედობები დანაშაულის შემადგენლობის აღწერისას... რამდენად ერთიანდება ამგვარი უმოქმედობები იმ წარმოსახვით სურათში, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის აღწერით გამოისახება, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ენის ბუნებრივი გამოყენება“ (25,75).

პროტესტი, რომელსაც აღნიშნულ აზრთა მსვლელობა იწვევს, გამოთქმულია მაიერის მიერ, რომ: „შესაძლებელია დედა, რომელიც საკვების არმიცემით შვილს კლავს, ან ექიმი, რომელიც ოპერაციის კეთებას წყვეტს, იმგვარად იყვნენ გამობრძმედილნი, რომ მათ ყველა ადამიანში ბუნებრივად წარმოქმნილი დახმარების ნებელობითი იმპულსის ჩახშობა არც კი სჭირდებოდათ“. მაიერის თანახმად ამგვარი დამოკიდებულება უნდა შეფასდეს, როგორც „საყოველთაო ნების წინააღმდეგ აქტიური გალაშქრება“.

VI. არსის აღწერილობითი წვდომა არტურ კაუფმანთან და კლაუს როქსინთან

(Die beschreibende Wesenserfassung)

კონტრადიქტორულ თეორიასა და განსახილველ თეორიებს შორის შუალედური პოზიცია უკავიათ არტურ კაუფმანსა და კლაუს როქსინს. ისინი თავდაპირველად იზიარებენ რადბრუხისა და მისი მიმდევრების მოსაზრებას. რაც შეეხება საწყის პუნქტს, რადბრუხის აღმოჩენა ვერ იქნება დადასტურებული - მიაჩნია როქსინს და ასევე არტურ კაუფმანიც „ლოგიკურად შეუძლებლად“ თვლის იმას, რომ ქმედება და უმოქმედობა, რომელიც უნდა ავხსნათ, როგორც A და Non-A „სიტყვის ქცევა“-ს ქვეშ გაერთიანდეს (37, 261-263). თუმცა ორივე მათგანი აქედან ასკვნის არა ცნების კავშირზე უარის თქმის აუცილებლობაზე, არამედ უფრო მეტიც, ისინი გაუვალ გზად მიიჩნევენ „განმარტებადი ცნების“ აბსტრაქციას. ამგვარად როქსინი გვასწავლის, რომ მისი განხილვის შუქზე „მოქმედების დეფინიციის აქამდე დაულალავი ძიების ფონზე მეთოდურად თეორიაშივე არ იქნა დადასტურებული“. „შესაძლებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სხვადასხვა ქცევის ტიპების გამოსახვა, რომელთაც საერთო მხოლოდ ის შეიძლება ჰქონდეთ, რომ ისინი პიროვნებას შეიძლება დაუკავშირდეს...“, ეს შესაძლებლობას მოგვცემდა, „პიროვნების ქცევის აბსტრაქტული აღნიშვნისათვის“, რასაც მხოლოდ „ნორმატიული სახელმძღვანელო პრინციპის მნიშვნელობა მიენიჭებოდა“ (25,87).

იგივე მოსაზრებებს გამოთქვამს არტ. კაუფმანიც: „იმთავითვე ეკლიან გზაზე ვიყენებთ თავს, როდესაც მოქმედების მკაცრად დეფინირებულ (იზოლირებადი ნიშნებით შემოსაზღვრულ) სახეობის ცნებას ვქმნით. განხილვას საჭიროებს მხოლოდ საგნის მოკრძალებული (აღწერილობითი) განმარტება, მოქმედების არსის ფენომენოლოგია, ე.ი. მისეული თვისებების ჩამოთვლა საბოლოო დეფინიციისაზე უარის თქმით“. ამ ფონზე დანახული უნდა იქნეს კაუფმანის „პერსონალური ქმედების ცნება: ადამიანური ქცევა წარმოადგენს ნებას დაქვემდებარებულ (აქედან გამომდინარე მოქმედი პირის კუთვნილ)

კაუზალურ შედეგებს (ფართო გაგებით), სინამდვილის პასუხისმგებლურ გონივრულ ფორმირებას“ (16,116).

ამ ფორმალური არსის აღწერის მიმართ საგნობრივი ეჭვის გამოთქმა შეცდომაში შეყვანა იქნებოდა. როგორც ჩანს, არც ერთ ავტორს არ სურს იმაზე დავა, რომ მათი შემოთავაზებები საკითხის გარკვეულ ექსტრემალურ გადაწყვეტას წარმოადგენს, რამაც მაშინვე გვერდზე უნდა გადაინაცვლოს, როგორც კი მოძიებული იქნება დეფინირებადი, მკაფიო სუბსუმციისათვის გამოსადეგი ქმედების ცნება და ჩვენ გვაქვს ამ იმედის საფუძველი, რადგან შეუსაბამო აღმოჩნდა, როგორც მინიმუმ ერთი მიმართება (A-Non-A მოსაზრება), რომელსაც ეყრდნობა ორივე თეორია. მეორე ეჭვი, რომელიც შეეხება მეთოდის ლოგიკას.

თუ გამოვალთ იქედან, რომ რადბრუხის თვალსაზრისით ქმედება და უმოქმედობა მართლაც ასეთ მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორც პოზიცია და ნეგაცია, მაშინ სრულიად უპერსპექტივო ხდება მოქმედების ზოგადი დეფინიციის ძიება. მაგრამ მეტად გონივრულია ფორმულის შედგენა, რომელიც როგორც ნორმატიული სახელმძღვანელო ხაზი, ყველა შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების სახეს შემოსაზღვრავდა? თუ უფრო ზუსტად დავაკვირდებით როქსინი და არტურ კაუფმანიც ამბობენ, რომ როგორც აქტიურ ქმედებას, ისე გარანტის უმოქმედობას ერთიანი ზოგადი დასახელება, კერძოდ კი „პირადი ქცევის“ ან „სინამდვილის პასუხისმგებლურ-გონივრული ფორმების“ სახელწოდება უნდა მივცეთ. მოცემულ შემთხვევაში ჩემთვის არ არის ცხადი აბსტრაქციის კლასამდე აყვანის აზრის ამოკითხვა, ყოველ შემთხვევაში იმგვარი გამჭოლი აზრის ამოკითხვა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამოუხსნელი კონტრადიქციის მოცვა. საკმაოდ გაუგებარია, როგორ შეუძლია არტურ კაუფმანს ლოგიკას მოკლებული უწოდოს იმას, რომ სხვა ქმედება და უმოქმედობა, რომელიც ერთიანდება - საკმაოდ ნეიტრალური - სახელწოდების „ქცევას“-ქვეშ, გაერთიანდება მისი საკუთარი „სინამდვილის ფორმირების“ ქმედების ცნებაში, რომელიც მოიცავს, როგორც „აქტიურ ქმედებას, ისე უმოქმედობას“ (16,151).

ამგვარად, თუკი გ. რადბრუხის მოსაზრებებს მართებულად მივიჩნევთ, შეუძლებელია სირთულეებს უზუსტობაში გაქცევით დავაღწიოთ თავი. აღწერილი ფორმულაც კი, თუკი ის ყველაფერს თავის თავში გააერთიანებს, რჩება ზოგად ცნებად, რომელიც შეუთავსებელ ცნებებს სინამდვილეში ვერ გააერთიანებს.

VII. ქმედება და უმოქმედობა ცნების ერთიანობაში

A. მოქმედების უნარი და მოქმედების შესაძლებლობა

(არმინ კაუფმანი, ჰარდეიგი, ველცელი)

ყოველთვის არსებობდა იმის მცდელობა, რომ ქმედებასა და უმოქმედობას შორის ერთი შეხედვით არსებული ანტინომიური დამაბულობა ამოხსნილი ყოფილიყო კანონით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობის ცნების „ქცევის“ ქვეშ. იმდენად რამდენადაც სიტყვა ცალკე აღებული და ისეთი მწირი ატრიბუტივით აღჭურვილი, როგორიცაა „ნებელობითი“, „ადამიანური“ ან „სოციალურად მნიშვნელოვანი“, ყველა მცდელობას უშედეგოს ხდის, რადგანაც ის, ვინც ასე იქცევა, სინამდვილეში ვერ აჩვენებს

საერთოს, ის მხოლოდ ამტკიცებს, რომ ის არსებობს. უფრო უტრირებულად თუ ვიტყვით: ასევე წარმატებით იქნებოდა შესაძლებელი „X“ ან „ზოგადი ცნება“ გამოგვეცხადებინა ზემდგომ საორიენტაციო პუნქტად.

ზოგიერთმა ავტორმა მხოლოდ ნომინალიზმი დაგვიტოვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს: ველცელი, ჰარდვიგი და არმინ კაუფმანი, რომლებიც მართალია ეჭიდებიან ერთიან ცნებას „ქცევა“, თუმცა ამასთან სრულიად კონკრეტულად ასახელებენ „საერთო წამქეზებლურ მომენტს“ (15, 84-95), რომელიც ქცევის ცნებას მატერიალურ სუბსტანციას ანიჭებს. ის აღებულია აქტიური ქმედების ვიწრო, საბოლოოდ ჩამოყალიბებული ცნებიდან. ველცელის თანახმად „ნების მიზანმიმართული მართვის უნარი“ არის ის, რაც საერთოა მოქმედისა და უმოქმედოსათვის (44,32). გაცილებით დაწვრილებით საუბრობს არმინ კაუფმანი. „მოქმედების უნარი არის არა მხოლოდ უმოქმედობის არსის წინაპირობა, არამედ მოქმედების აუცილებლობა“. ვინაიდან „ცემის დროს ადამიანს არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ მისთვის შესაძლებელია სხვა კონკრეტული ქმედების ჩადენა, გარდა იმისა, რომელსაც ის ასრულებს. მოქმედების უნარის მქონე ადამიანი „მოქმედებს“, რა დროსაც ის ასრულებს ან მოქმედებს იმ მოქმედებას, რომელიც მას ხელეწიფება, ან არ ასრულებს იმ ქმედებას, რომელიც მას შეეძლო“ (15,85).

იგივე აზრისაა ჰარდვიგიც: მოქმედების შესაძლებლობა მტკიცდება ამ მოქმედების განხორციელებით, ხოლო უმოქმედობაზე შეიძლება ვისაუბროთ მაშინ, როდესაც რაიმე მოქმედების შესაძლებლობა არსებობს.

აღნიშნული თეორია არაერთგზის იქნა გაკრიტიკებული. თუმცა მათ რეფერირებას ახლა არ ვაპირებთ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე ისედაც არავის აღმოუჩენია გადამწყვეტი მნიშვნელობის შეცდომა მასში. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველივე ეს პრინციპში იგივეა, რასაც რადბრუხი გაექვა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოაზროვნე სწორედ, რომ საპირისპიროს ამტკიცებდა და არა მის არარსებობას. შეგვიძლია ეს აქვე კონკრეტულად ვთქვათ. ის, ვინც ერთგვარ მოქმედების უნარზე ჩერდება, აჩვენებს როგორც მკვლელის, ისე არა-მკვლელის საერთო ნიშნებს. მას შეეძლო მოეკლა, თუმცა ვერ შეძლებდა. არა მკვლელისთვის, არამედ მისთვის, ვინც სიცოცხლის გადარჩენისათვის უმოქმედოა, ან თუკი განვიხილავთ უმოქმედობის დანაშაულის პერსპექტივიდან: იმისდა მიხედვით, თუ ორი შესაძლო პერსპექტივიდან რომელს ავირჩევთ ერთნაირი ქმედების უნარის მქონე პირთა წრეში, მაშინვე ხვდებიან პირები, რომელთა ქცევაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს დანაშაული, მაშინ როდესაც სხვები, რომელთა წრეში შეყვანაც გვინდა, გარეთ რჩებიან. ამიტომაც თეორია არ მოქმედებს შერეული უმოქმედობის დანაშაულის კონკრეტულ მაგალითზე: A ზიანს აყენებს B-ს და გარანტი G არ მოქმედებს B-ს გადასარჩენად, მიუხედავად იმისა, რომ მას ეს შეუძლია. კაუფმანს თუ დავეკითხებით, რომელიც ამტკიცებს, რომ A, რომელსაც გააჩნია გარკვეული მოქმედების უნარი, ქმედებას განახორციელებს, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ის B-ს მოგუდავს. გააჩნია თუ არა ამგვარი უნარი G-ს, არ არის დაზუსტებული. შესაძლოა, B-ს უარი ეთქვა ამ ქმედებაზე. თუმცა G-ს შესახებ დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ ის ფლობს კვლავ რეაბილიტაციის ხელოვნებას, რომელსაც A მოკლებულია.

რა თქმა უნდა საერთოს პოვნა შესაძლებელია აბსტრაქტულ ცნებაშიც. რადგანაც, თუკი A-სა და G-ს აერთიანებს ერთნაირი ქმედების ჩადენის უნარი, მაშინ მათთვის ასევე ისიც საერთოა, რომ ისინი საერთოდ, რაიმე თვალსაზრისით მოქმედების უნარის მქონენნი არიან. მაგრამ ეს არ წარმოადგენს გამოსავალს და ველცელს, ჰარდვიგსა და კაუფმანს ეს არც შეიძლება ჰქონოდათ ნაგულისხმევი. ამგვარად გაგებული ქცევის ცნება თითქმის მთლიანად დაიკარგებოდა სელექციური და შეზღუდული მოქმედების პირობებში. ბოლოს და ბოლოს ყველას შეუძლია რაიმე ქმედების ჩადენა, თუკი მას ამ დროს უბრალოდ არ სძინავს.

B. მაიჰოფერის სოციალური ქცევის ცნება

მაიჰოფერის თეორია არსებითად ვითარდება სხვა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფი მოქმედების ცნების კრიტიკული ანალიზიდან (26, 156-157). მაიჰოფერი როგორც „ბუნებრივ“ (მიზეზ-შედეგობრივ), ისე ფინალურ და მისგან წარმოშობილ მოქმედების ცნებაში აღმოაჩენს „ნატურალისტური მიდგომის ნარჩენებს“: მიზეზ-შედეგობრივი ქმედების ცნებაში „მატერიალურობისა და ნებელობის ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ნიშნებს“. ამავდროულად სინამდვილეში მატერიალურობას მოკლებულია უმოქმედობის დანაშაულები, როგორც მინიმუმ წმინდა უმოქმედობის დანაშაულები, რადგანაც ყველა ამ შემთხვევაში ცალსახად ვერ იქნება უარყოფილი მოქმედების არსებობა სისხლის სამართლის თვალსაზრისით. რჩება მხოლოდ ის გამოსავალი, რომ მატერიალურობისა და ნებელობის ელემენტები გამოვრიცხოთ მოქმედების ცნებიდან (27,160).

აზრთა ამგვარმა მსვლელობამ მაიჰოფერი თავდაპირველად მოქმედების ძალზე სუსტ დეფინიციამდე მიიყვანა: „მოქმედება სოციალური სიკეთის დარღვევისკენ მიმართული ქცევაა“. ამ შემთხვევაში გვერდს ვერ ავუვლით შეკითხვას, რომელიც დასვა ლანგ-ჰინრიხსენმა, კერძოდ „გააჩნია თუ არა ამგვარ ფერმკრთალ მოქმედების ცნებას მეცნიერული არსებობის უნარი“. შეკითხვის დამსმელი თავად სცემს პასუხს თავისსავე კითხვას, „განზოგადების გარკვეული ხარისხიდან ცნებები თავიანთ ღირებულებას კარგავენ და უერთდებიან ნომინალიზმს“ (26,159). აღნიშნული პროტესტი იმდენად გამართლებულია, რამდენადაც ახლო დაკვირვებით. ერთადერთ შედარებით უფრო კონკრეტულ ელემენტს, რომელიც შეიცავს სოციალური სიკეთეების დაზიანებისკენ მიმართვის დეფინიციას, უარყოფილი უნდა იქნეს, როგორც შეუსაბამო დეფინიცია. ასე მაგალითად, სხვისი სახლის საღებავით შეღებვა, ნივთის დაზიანების გამო დასჯადია. ეს განხილული უნდა იქნეს სისხლის სამართლის ქმედებად მაშინაც კი, როდესაც მეპატრონე თანახმაა, თუმცა მღებავის შესახებ ვერ ვიტყვით, რომ ისინი მიზნად ისახავენ სოციალური სიკეთეების დაზიანებას. ამიტომ მაიჰოფერი სწორად მოიქცა, როდესაც მისი თეორია რევიზიას დაუქვემდებარა. მისი მოქმედების ცნება ერთდროულად ფრთხილად და შინაარსიანად გამოიყურება: მოქმედება სისხლის სამართლის თვალსაზრისით არის „ობიექტურად ადამიანის მიერ განხორციელებული ქმედება, რომელიც მიმართულია სხვებისთვის ობიექტურად განჭვრეტადი შედეგების დადგომისკენ“. თუმცა ახლაც ისმება შეკითხვა, აღნიშნული ნიშნებიდან რომელი აღმოჩნდება ზედმეტი, თუკი მათ კრიტიკული თვალთ დავაკვირდებით.

პირველ რიგში, განუხორციელებადი უნდა იყოს შეზღუდვა „სხვებისათვის სოციალური შედეგების დადგომის“ ნიშნით, რომლებიც მიმართულია სხვებისათვის სოციალური შედეგების მიყენებისკენ, და მაინც, საქმე გვაქვს სისხლის სამართლებრივ ქმედებებთან. ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რა იწვევს სისხლის-სამართლებრივ შედეგებს, ასევე გააჩნია სოციალური შედეგები, ან როგორც მინიმუმ სოციალური მნიშვნელობა, თუმცა მოცემულ კონტექსტში არ თავსდება. არსებობს ასევე შესაძლებლობა, რომ სისხლისსამართლებრივი შედეგების მქონე მოქმედებები, სოციალურად სრულიად არა რელევანტურია, რადგანაც იურისტ-კრიმინალისტიკის სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია გამოიხატოს დიდაქტიკური მიზეზებიდან, როგორც დანაწევრებული და ეტაპობრივი აზროვნების პროცესი. ამიტომ უნდა იქნეს მიჩნეული სისხლის-სამართლებრივ ქმედებად ის სამართლებრივად გამართული ქმედება, რომელიც ამავდროულად დანაშაულის შემადგენლობას (ძირითად სურათს) მთლიანად ან ნაწილობრივ აკვებს, სხვა შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობის ასპექტიდან გამომდინარე შეუძლებელი იქნებოდა მასთან პირველი შეფასების დაკავშირება.

ასევე შეზღუდული მიდგომაა მაიჰოფერთან, როდესაც ის მოითხოვს, რომ ქმედება მიმართული უნდა იყოს „ობიექტურად განჭვრეტად“ თანმიმდევრობაზე. განჭვრეტადობის არარსებობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად ის ასახელებს ცრუ რწმენის ცდას (27,181). თუმცა უსარგებლო ცდიდან გადასვლის გამო, არ არის გონივრული, რომ მოცემულ შემთხვევაში მოხდეს მოქმედების ხასიათში გაერთიანება. გარდა ამისა, ეს არ არის მიზანშეწონილი იმის გამოც, რომ შეუძლებელია იმ შედეგებისაკენ სწრაფვა და იმ შედეგების მიზნად დასახვა, რომელთა განჭვრეტაც შეუძლებელია. როდესაც ცრუმორწმუნე ადამიანი თვითმფრინავის ჩამოვარდნაზე ოცნებობს და ამის შემდეგ ის თვითმფრინავში ჩაჯდება.

ერთი შემთხვევა ბუნებრივია ვერ შეცვლის იმას, რომ თვითმფრინავი სინამდვილეში ჩამოვარდა. მაიჰოფერის თანახმად პირის გათავისუფლება იმის გამო, რომ მას მოქმედება არ განუხორციელებია, წარმოადგენს სწორ გადაწყვეტილებას, რომელსაც საფუძვლად უდევს არასწორი მოსაზრება. გაცილებით მართებული იქნებოდა დასაშვები რისკის მოხმობა.

მაიჰოფერის თანახმად ყველა შემთხვევაშია შესაძლებელი ქცევა დახასიათებული იქნეს, როგორც „შედეგისკენ მიმართული“. თუმცა ამგვარი მიდგომაც წარმოადგენს ცარიელ ფორმულას (უმჯობესია მისი იმთავითვე უარყოფა), რადგანაც განსაკუთრებით შერეული უმოქმედობის დელიქტების შემთხვევაში „შედეგი“ უნდა გავიგოთ, როგორც მდგომარეობის გარეშე განგრძობადობა.

ენგიშის კვალდაკვალ მაიჰოფერს სურს მოქმედების ცნების „დამნაშავის პიროვნების სუბიექტური შეზღუდვისაგან“ გათავისუფლება. მას მიაჩნია, რომ საზღვრები ადამიანურ „ქმედებასა“ და „უმოქმედობას“ შორის სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით იმაში არ შეიძლება მდგომარეობდეს რისი განჭვრეტა და ფლობა შეუძლია კონკრეტულ ადამიანს: რათა მან შეძლოს „გაკეთება“ (ჩადენა). უფრო მეტიც, ის იმის მიხედვით უნდა განისაზღვროს „რისი განუხორციელება და რისი განუხორციელებლობა შეუძლიათ საერთოდ ადამიანებს“. გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია „ადამიანისათვის შესაძლებელის მასშტაბს“. ამის შედეგად შესაძლებელი იქნება იმის თავიდან არიდება, რომ „ნებისმიერი მოვლენის მოქმედებად ჩათვლისათვის ბრალეულობის ან ბრალის

არქონის რეალური და პერსონალური კუთვნილების მასშტაბების ყოველი გამოყენება, უპირველეს ყოვლისა კი, კონკრეტული დამნაშავეს ქმედების სუბიექტური შესაძლებლობის მოხმობა, განსაზღვრული იქნეს მისი პირადი მსოფლმხედველობითა და უნარებით“.

თუ სწორად ვამჩნევთ, მაიჰოფერს მოცემულ შემთხვევაში საკმარისად არ აქვს გაცნობიერებული. კერძოდ, მას სურს რეფლექსური მოძრაობები მოქმედების ცნებიდან ზოგადი მოსაზრებით ამოიღოს. მისი პოზიციიდან კი ამის მიღწევა შეუძლებელია. რადგანაც „ადამიანისათვის შესაძლებელია“ ხდომილებების რეფლექსური მსვლელობების ფლობა. პაციენტი, პატერალური რეფლექსის გასინჯვისთვის ექიმს ფეხს ადგამს, აფორიაქებული, რომელიც ლარნაკს ტეხავს, უმწეო მოხუცი, რომელიც ვიტრინის წინ ეცემა, ყოველი მათგანი დანაშაულის შემადგენლობის მიხედვით „მოქმედებს“, რადგან ძლიერი ნების ან უგრძნობ ან მოხერხებულ ადამიანს იმავე სიტუაციაში მისი სხეულის ფლობა შეეძლებოდა, ასევე Vis absoluta-ს, რომლის მოქმედების გამომრიცხველი მოქმედება არასოდეს ყოფილა სადავო, ასეთი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რადგანაც ძალადობის მსხვერპლის ადგილას ყოველთვის მოვიაზრებთ შედარებით ძლიერს, რომლის იძულების განმახორციელებელს თავიდან მოიშორებდა.

C. ე.ა. ვოლფის ინდივიდუალური მოქმედების ცნება

ჩვენი ინტერესი ასევე მიმართულია ე.ა. ვოლფის მოქმედების ცნებისკენ. ვინაიდან აღნიშნული ავტორი მის თეორიას იმავე მიზან მიმართულებით ავითარებს, როგორც ჩვენ. მისი ნაშრომი, რომლის სახელწოდებაცაა „მოქმედების ცნება დანაშაულის თეორიაში“, მნიშვნელოვნად ეფუძნება „ქმედებისა და უმოქმედობის მიზეზ-შედეგობრიობის“ ავტორის ნაშრომს, რომელშიც შერეული უმოქმედობის დანაშაულების შედეგის კუთვნილების პრობლემა, როგორც ასეთი, განხილულია მიზეზ-შედეგობრიობის პრობლემად.

ვოლფის მოქმედების ცნება წარმოადგენს მცდელობას, რომ გარანტის უმოქმედობა შედეგის თვალსაზრისით მიზეზს უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ, და ის აქტიურ ქმედებასთან ერთად უნდა შეუერთდეს მოქმედების საერთო ცნებას.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენ არსებითად უნდა შემოვიფარგლოთ შედეგით. „მოქმედება“, როგორც გადაწყვეტილების შედეგად განპირობებული რეალობა ვოლფის მიხედვით წარმოადგენს „ცალკეული ღია შესაძლებლობის თავისუფალ გააზრებულ გამოყენებას“. აღნიშნული ფორმულა, რომელიც იეშეკმა შინაარსობრივად დაადასტურა და მიიღო, ყოველთვის შეესაბამება აქტიურ დანაშაულს, ხოლო უმოქმედობებს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სხვისი მიმართულებით რაიმე მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა „საერთო ნორმას შეესაბამება, რომელსაც სხვაც ექვემდებარება. ასეთ შემთხვევაში შესაძლებლობა, რომელთან დაკავშირებითაც ერთი იღებს გადაწყვეტილებას, ასევე სხვათა შესაძლებლობასაც წარმოადგენს“ (46,36). დამაკავშირებელი ნორმა, საერთო მაქსიმა, რომელიც უმოქმედობაზე ზემოქმედების წინაპირობას წარმოადგენს, არ შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც რაიმე აბსტრაქტული. უფრო მეტიც, ის დამახასიათებელია ერთი ადამიანის მეორეზე დამოკიდებულებისათვის.

მოცემულ შემთხვევაში ექვევემ არ უნდა იქნეს დაყენებული მოსაზრებების ღირებულება და სისწორე, რომელიც საფუძვლად უდევს ვოლფის მოქმედების თეორიას. განსაკუთრებულად ფართოდ და ახლებური მიდგომით აღწერა ვოლფმა ერთი ადამიანის მეორეზე დამოკიდებულების მიდგომა, რომელიც ცალკეული ადამიანის სოციალურ სიახლოვეს, შერეული უმოქმედობის დანაშაულის აზრობრივ ცენტრს წარმოადგენს (45,17-23). თუმცა მოცემულ შემთხვევაში საქმე ამას არ ეხება. მოცემულ შემთხვევაში საინტერესოა განმარტებული ცნების ქმედითობა, რომელიც როგორც დანაშაულის სისტემის ძირითადი ელემენტი უმოქმედობის გამოვლინებას ახსნის და, რომელმაც შეიძლება გაამართლოს დანაშაულის შემადგენლობის შესახებ დაკითხვის პრაქტიკა.

აღნიშნული შესაძლებლობა შეთანხმებული უნდა იქნეს, ასევე ვოლფის „ინდივიდუალური“ მოქმედების ცნებასთან, კერძოდ კი ორი მიზეზის გამო: პირველ რიგში, ადგილი არა აქვს რადბრუხის „კონტრადიქტორული“ თეზისის გადალახვას, თუკი შევეცდებით მოქმედებისა და უმოქმედობის ერთი საერთო ცნების ქვეშ მოქცევას, როგორცაა „ჩარევა“ ან „სინამდვილის ფორმირება“, არაფერს ნიშნავს ის, რომ ენის შეგრძნება ამის საწინააღმდეგოდ არ მეტყველებს. რა თქმა უნდა ვიცით, რომ არსებობს სიტყვები, რომლებიც კარგად ერგება, როგორც ქმედებებს, ისე კვალიფიცირებულ უმოქმედობას, და ამას ხშირად ვიყენებთ ჩვენს სასარგებლოდ, როდესაც ნომინალურ უმოქმედობის დანაშაულის შემადგენლობას მოქმედების შემადგენლობას ვუქვემდებარებთ, როგორც „უმოქმედობაზე ზემოქმედების მოხდენას“, თუმცა მხოლოდ დასახელებები პრობლემებს ვერ გადაჭრის. ყოველივე აქედან ვერ გამოვრიცხავთ ვოლფის ჩარევის მეტაფორას. სახეზეა, რომ ძირითადი ცნებით - ლოგიკური სირთულეები, რომლებსაც ვერ მართავს უმოქმედობის დოგმატიკა.

მეორე რიგში, „ინდივიდუალური მოქმედების ცნება“, როგორც ჩანს, ზემდგომ ცნებას წარმოადგენს, როდესაც ვოლფი მას ისეთ ფუნქციას ანიჭებს, რომ უმოქმედობის შიგნით მკვეთრი გამყოფი ხაზი იქნეს გავლებული გარანტსა და არაგარანტს შორის. ასევე არა გარანტებსაც ხელეწიფებათ სხვათა ბედით მანიპულირება და შესაძლებელია ისინი მორალურად და სამართლებრივადაც კი ვალდებული იყვნენ გადაარჩინონ ადამიანები, რომლებიც მათზე არიან დამოკიდებულნი. იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ამას ნებით არ აკეთებენ, მაშინ ისინი ამგვარი გადაწყვეტილებით რეალობის ფორმირებას მოახდენენ და საფრთხის ქვეშ მყოფის მიმართ ნეგატიურ პოზიციას დაიკავებენ მათ ხელთ არსებული შესაძლებლობების თავისუფლად გამოყენების შედეგად. ის, რომ აღნიშნული ფორმულა, „საერთო მაქსიმალთან“ დაკავშირებული გარანტის მეშვეობით, მხოლოდ დაზარალებულს შეეხება, არ არის მართალი. ვოლფს გადამწყვეტი მნიშვნელობის გამყოფი ხაზის ჩვენება იმიტომ კი არ შეუძლია, რომ ის სინამდვილის ფორმირებისა და ხელთარსებული შესაძლებლობების თავისუფალი გამოყენების ცნებებში ჩადებულია და მისი მოძიება ობიექტურად შესაძლებელი არის, არამედ იმიტომ, რომ ის იცნობს გარანტის პრინციპს და ცნებებში მასზე მიუთითებს.

VIII. „წარმატების საფუძველი“, როგორც ბ. შუნემანის თეორიის ძირითადი ხაზი

ცხადია, რომ მოქმედების ცნება, რომელიც ჩვენ გარანტს არსებით ნიშნად დავურთეთ, უმოქმედობის დოქტრინის პრაქტიკული თვალსაზრისით არაფრის შემცვლელი არ არის.

უმოქმედობის დოგმატიკის ახალი და უახლესი შრომები ძირითადად უფრო და უფრო მიმართულია კარგად ცნობილი თეორიის ძირითადი საფუძვლებისკენ და რთულია გახედო იმის მტკიცება, რომ იმ ავტორებს შორის, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად არ იღებენ ამგვარ კრიტიკას, ფეხს იკიდებს მზარდი დისკომფორტი უმოქმედობის სფეროში პენალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ.

აღნიშნულ მსჯელობას მივყავართ შუნემანის თეორიასთან დაპირისპირებამდე, რომელიც მან წარმოადგინა მის ნაშრომში სათაურით „შერეული უმოქმედობის დანაშაულების საფუძვლები და საზღვრები“ და რომელიც უპირისპირდება ალბათ ყველა ანტითეზისს (38,180).

თავის მეთოდურ მიდგომაში შუნემანიც ასევე ეძებს „გათანაბრების პრობლემის“ ამოხსნის გასაღებს ზოგად და საერთო აზრის გამომხატველ ცნებაში. ის ამ გასაღებს პოულობს „წარმატების საფუძვლის ფლობით“, რომელიც, როგორც გათანაბრების სახელმძღვანელო პრინციპი, გადამწყვეტი უნდა იყოს მხოლოდ „შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის“ ტიპისათვის (38,235). მოსაზრება, რომელსაც ის აქამდე მიჰყავს, სათავეს იღებს სისხლის სამართლის კოდექსის არანამდვილი უმოქმედობის დანაშაულების არსებობიდან და იმ თეზისიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში განიხილება მხოლოდ „დანაშაულის ჩადენის ტოლფასი“ უმოქმედობები. ამგვარად, თუკი დასჯისათვის საკმარისი შეიძლება იყოს უმოქმედობის მხოლოდ ისეთი ნიშნები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მსგავსი ნიშნებით ხასიათდება, მაშინ ჩადენასა და არანამდვილ უმოქმედობას შორის მოძიებული უნდა იქნეს Tetrium Comparationis. შუნემანი ამას „დასჯადობის (წინარე სისხლისსამართლებრივ) მიზეზში“ ხედავს. შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულების შემთხვევაში ზოგადად შედეგის მიწერასთან გვექნებოდა საერთო. საერთო ნიშნები გამოვლინდება მხოლოდ მაშინ, თუკი დაისმებოდა შეკითხვა: რატომ მიეწერა დამნაშავეს რომელიმე ერთი ქმედების გამო შედეგი? ამის მიზეზი მდგომარეობს არა მხოლოდ მოქმედების საბუნებისმეტყველო მექანიკურ მიზეზ-შედეგობრიობაში, რაც უმოქმედობას არ ახასიათებს. მიზეზ-შედეგობრიობა მხოლოდ შედეგის მოქმედებისადმი მიკუთვნებას ხსნის და არა პიროვნებისადმი კუთვნილებას, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვანია (38,235-236). ასევე მითითება იმაზე, რომ ადამიანს შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი პროცესის საბოლოო მართვა, არასაკმარისი იქნებოდა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ეს შეიძლება ყოფილიყო ის, ვინც შესაძლო გადამრჩენი ქმედების ნაცვლად უმოქმედობას აჩვენებდა, და ასევე დადგინდებოდა, რომ მიზეზ-შედეგობრივი პროცესი, რომელზეც გავლენის მოხდენა შესაძლებელია, ყველა მოქმედების არგანმახორციელებელ პირს არ მიეწერება. „ამგვარად ჩვენ უნდა დავსვათ შეკითხვა, თუ რაში მდგომარეობს სხეულის მოძრაობის განსაკუთრებულობა, რომლითაც საბუთდება დამნაშავეზე მისგან გამომდინარე მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. აღნიშნული განსაკუთრებულობა წარმოადგენს პერსონალური მართვის ცენტრსა და შედეგის განმაპირობებელ სხეულის მოძრაობას შორის მიმართებას: პიროვნების მიერ სხეულის აბსოლიტურ ფლობას. მოქმედების საფუძველზე პიროვნებისათვის შედეგის მიწერა

საკუთარი სხეულის ფლობა - შუნემანს ესმის, როგორც „ზოგადი პრინციპის განსაკუთრებული ფლობა...“, რათა შედეგი მიეწეროს იმ პიროვნებას, რომელიც შედეგის ფლობას ახორციელებს³“.

შუნემანი პირველ რიგში სხეულის მოძრაობის ფლობის ანალოგიიდან იღებს იმას, რომ ახლანდელმა, უმოქმედობასთან დროში თანმხვედრმა ფლობის მიმართებამ შესაძლებელია შედეგის მიკუთვნება დაასაბუთოს - ისევე, როგორც ამას ადგილი უნდა ჰქონდეს მოქმედების დროს. როგორც ის მოგვიანებით გვიჩვენებს: არ არსებობს გარანტიის მიცემა წინარე ქმედებიდან. „უმოქმედობის ფლობა ზემოქმედების შემთხვევაში მთლიანად წარსულშია მოქცეული და აქედან გამომდინარე ჩვენი მოსაზრებების თანახმად არ მიუთითებს მომავლისკენ მიმართულ აქტუალობაზე. უმოქმედობის მომენტში მესამე პირის სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენება არაფრით არ განსხვავდება Quivis ex populo-სგან, ორივე მათგანს გააჩნია მხოლოდ ერთი შესაძლებლობა გავლენის მოხდენისა პოტენციურ ხდომილებაზე ... როდესაც მესამე პირის სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენება მოულოდნელად ბოროტი განზრახვით გამოიყენება (Dolus Malus), მაშინ განზრახვა ზემოქმედების და ნების გარეშე ვერ განხორციელდება. ზემოქმედების მოხდენას სჭირდება მატერიალური სუბსტრანტი, რომელშიც ის მოქმედებს, სამაგიეროდ მხოლოდ და მხოლოდ ცარიელი მიზეზ-შედეგობრიობა ვერ იქნება განხილვის საკითხი, თუკი ადგილი არა აქვს შეცდომებს, რომლებიც გათანაბრებული უნდა იქნეს გავლენის მოხდენაზე თავიდან აცილების (პოტენციური) შესაძლებლობით“.

შედეგის მიზეზის კონკრეტიზაციისათვის შუნემანი მიმართავს მის ორად გაყოფას. მას შესაძლებელია წარმოადგენდეს, როგორც „თავად მიზეზ-შედეგობრივი კავშირის რომელიმე ეტაპი“ (არსებითი მიზეზი) ან „მსხვერპლის განსაკუთრებული უმწეობა“. „აქედან გამომდინარე შედეგი უმოქმედოს შეიძლება მიეწეროს, მაშინ თუკი ის აქტუალურად ე.ი. მოცემულ მომენტში ფლობს ან დაზიანების შესაძლებლობას ფლობს. აღნიშნული დაყოფა ეფუძნება გარანტის საფრთხის წყაროს კონტროლის ვალდებულებისა და სამართლებრივი სიკეთის ჩვეულ გადაკვეთას, თუმცა მისი ახსნის ღირებულება სცდება ამ ფარგლებს. ასევე ამ დასკვნასაც მივყავართ რევოლუციურ დასკვნამდე: თვით უახლოესი ნათესაური ურთიერთობებიც კი არ წარმოადგენს Eo ipso სისხლისსამართლებრივ გარანტის მიმართებებს. ისინი არ განისაზღვრება სისხლისა და ქორწინების კავშირებით, რაც როგორც ასეთი, მნიშვნელოვანია ოჯახური ურთიერთობებისათვის, არამედ იგი განისაზღვრება იმით, რომ ვიღაც მსხვერპლს „კონსტიტუციონალური“ ან „ნაწილობრივი“ უმწეობის გამო ეგზისტენციალური მოცემულობების (დედა-შვილის ურთიერთობა) ან საკუთარი ჩარევის ძალით ან სხვისი ნდობის საფუძველზე (თანხმობის საფუძველზე მზრუნველობის აღება) ფაქტიურ დაცვით მფლობელობას ახორციელებს. „ბუნებრივი კავშირის საფუძველზე გარანტიის მიცემა“ ამის საპირისპიროდ ნიშნავს ინდივიდუალურ და სოციალურ მორალზე სისხლის სამართლის აუტანელ წვდომას, რაც უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის მესამე პირის სიცოცხლის საფრთხის ქვეშ ჩაგდების გზაზე უნდა დარჩეს (38,358).

³ ამასთან ის „თანასწორობას“ არ განიხილავს როგორც იდენტობას (რაც ჯერ კიდევ ონტოლოგიურად გამოირიცხება), არამედ არსებითი პუნქტების თვალსაზრისით მსგავსების თანხვედრას.

ყოველივე ამის თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის მაგალითის სახით წარმოდგენილი უნდა იქნეს, ის თუ როგორ აფასებს შუნემანი გარანტის ასპექტს „მჭიდრო ცხოვრებისეული ურთიერთობით“. მის თანახმად „ცხოვრებისეული ურთიერთობით განპირობებული გარანტის ვალდებულებები“ მდგომარეობს „მხოლოდ ყოველდღიურ ცხოვრებასთან მიმართებაში არსებულ საფრთხეებში, რომლებიც უპირველეს ყოვლისა საფრთხეს წარმოადგენენ ერთობლივი ოჯახის ფარგლებში“. ამგვარად ცნება „თანაცხოვრება“ აღნიშნავს „კონკრეტული ნდობის ძლიერ კავშირს..., რომელიც ინტეგრაციის პროცესში ყოველთვის ახლიდან თამაშდება“. გადამოწმებას საჭიროებს საკითხი „შესაძლებელია თუ არა, რომ გაგებულ იქნეს თანაცხოვრება, როგორც აღნიშნული კონკრეტული საფრთხის თავიდან არიდების გონივრულ წყაროდ, თუ ზოგადი რისკი კონკრეტულ შემთხვევაში თანაცხოვრების ფარგლებს გარეთ რეალიზდება? მორალური ვალდებულება პარტნიორს ყველანაირ ცხოვრებისეულ სიტუაციაში დახმარება გაუწიოს არ საჭიროებს მოქმედების ექვივალენტობის დასაბუთებას. საჭიროა დისპოზიციის აქტივით დასაბუთებული ძალაუფლება, რომელიც ზოგადად მხოლოდ ოჯახის ან თანაცხოვრების ფარგლებში მოიძიება (38,356). მოძღვრებას, რომელიც ამგვარ მოთხოვნებს აყალიბებს და ამდენად, როგორც ჩანს შერეული უმოქმედობის შემცირების სურვილს ოპტიმალურად შეესაბამება.

რა არის დამაჯერებელი შუნემანის კონცეფციაში? ცხადია ეს არის იდეური თეორია, რომ შესაძლებელი უნდა იყოს შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტში აქტიურ ქმედებასა და შერეულ უმოქმედობას შორის „შინაარსით სავსე საერთო ნიშნების“ მოძიება. თუ ეს ასე არ იქნება, მაშინ ორივე მათგანი ვერ მოექცევა დანაშაულის ერთი და იგივე შემადგენლობის ფარგლებში. შუნემანი იმგვარად მოქმედებს, რომ ის გარკვეულწილად აღიარებს მოქმედების პრიმატს და შემდგომ სვამს კითხვას, თუ რატომ მიეწერება სხეულის მოძრაობის დროს მისგან მომდინარე მიზეზ-შედეგობრივი პროცესი მის წამომწყებს, რათა შემდგომ ნაპოვნი კუთვნილების პრინციპი ფრთხილი განზოგადებით გარკვეულ უმოქმედობებზე იქნეს გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილ გზას უკუმიმართულებას აძლევს - მე გამოვდივარ შერეული უმოქმედობის დანაშაულის წინაპირობად მიჩნეული კუთვნილების პრინციპიდან, გარანტის პრინციპიდან და ამიტომაც შევეცადე მისი გამოყენება ქმედებებზე, რადგანაც ამგვარადაც შესაძლებელი იყოს ჭეშმარიტების პოვნა. საქმე მხოლოდ იმას ეხება, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მიკუთვნება წამომწყებ პირზე სათანადოდ იქნეს დასაბუთებული და ის გონივრული ზომიერებით იქნეს განზოგადებული, მაგრამ გააკეთა კი ეს შუნემანმა? ეს ეჭვის ქვეშ უნდა დავაყენოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ის აუცილებელ დასკვნად წარმოადგენს იმას, რაც სინამდვილეში ინტრასისტემური შეფასების შემთხვევაში მხოლოდ დეციზიონისტურ დადგენილებას წარმოადგენს. ქმედების დროს მიკუთვნების მიზეზი უნდა იყოს საკუთარი სხეულის, როგორც „შედეგის არსებითი მიზეზის“ აქტიური ფლობა. ვინაიდან აღნიშნული ფორმულა, თუკი ის გამოყენებული უნდა იქნეს შერეული უმოქმედობის დანაშაულებზე, ბუნებრივია ვერ შენარჩუნდება, მაშინვე იბადება კითხვა იმ ორიენტირების პუნქტებთან დაკავშირებით, რომლებიც შუნემანისათვის მისი ვარიაციის სისწორეს უზრუნველყოფს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ის კი არ განმარტავს, არამედ ეყრდნობა იმას, რომ მოდიფიცირებისთვის მის მიერ შერჩეული ზომა თავად არის დამაჯერებელი. ამასთან ის ამას არავითარ შემთხვევაში არ აკეთებს, რადგან, როგორ შეიძლება ერთი

მხრივ მხოლოდ აქტუალურობის ნიშნით იქნეს დადგენილი ის, რასაც ახსნა ახლავს, რომ ძველი, ძირითადად აქამდე ეჭვმუთანი მესამე პირის სიცოცხლის საფრთხის რისკის ქვეშ მოქცევის პასუხისმგებლობა მთლიანად უნდა იქნეს გაზიარებული და როგორ არის შესაძლებელი მეორე მხრივ ის, რომ მისი ადგილი ასევე შეიძლება დაიკავოს „მსხვერპლის უმწეობამ“? შუნემანს ასევე წარმატებით შეეძლო გამოეყენებინა მესამე პირის სიცოცხლის საფრთხის ქვეშ რისკის ჩაგდება, თუკი ის დაკმაყოფილებოდა ქმედების იმ მსგავსებით, რომ უმოქმედომ წარსულში არსებული აქტიური ქმედება არსებითი წარმატების მიზეზად დააყენა, რომელიც პოტენციური ფლობისათვის (არიდების შესაძლებლობისათვის) გაქარწყლდა. მისი მეთოდის ფარგლებში, ასევე შესაძლებელი იქნებოდა პირიქითაც, რომ დამცველი გარანტის მთლიანი კომპლექსი სრულად არიდებული ყოფილიყო, რადგან „მსხვერპლს თვალშისაცემი მომენტის კონტროლი“ სრულიად სხვა რამ არის, ვიდრე საკუთარი სხეულის კონტროლი ან „მიზეზ-შედეგობრივი პროცესის“ სხვა პუნქტის კონტროლი, და ამასთან არ არსებობს საკმარისი მსგავსება.

I. მოქმედების უნარი

A. დანაშაულის სისტემური ხასიათი

სადავო საკითხს წარმოადგენს ის, თუ რა დოგმატური მნიშვნელობა აქვს უმოქმედო პირის „მოქმედების უნარის“ არქონას: მაგ. შებოჭილმა შვილმა უნდა უყუროს, თუ როგორ იხრჩობა მამა. იმ დროს, როცა მოქმედების თეორია ასეთ შემთხვევაში უმოქმედობას უარყოფს, მაშასადამე მოქმედების ცნებას ვერ ხედავს, რომელიც ნაწილობრივ დანაშაულის შემადგენლობის არსებობას უარყოფს. ნაწილობრივ კი გამართლებულ მიზეზს აღიარებს ან საბოლოოდ უმოქმედოს განიხილავს, როგორც ბრალის არმქონე პირს, მაგრამ იმისათვის, რომ ეს ავხსნათ, შეიძლება მოვიხმოთ ბაუმანის რეპლიკა, რომელიც მიმართული იყო როქსინის წინააღმდეგ და რომელიც ამბობს, რომ მოქმედი თეორია თავისი პოზიციიდან თანმიმდევრულად „მოქმედების ცნებასთან უნდა მოითხოვდეს ჩადენილი დანაშაულის უმოქმედობის შესაძლებლობას“ (3,223). სინამდვილეში აქ საქმე გვაქვს ძირითად პუნქტთან. ბაუმანი არ აღიარებს, რომ მის მიერ მოყვანილი არგუმენტი თავად მის წინააღმდეგაა მიმართული. ვინაიდან მოქმედებით ჩადენილი დანაშაულისათვის ყოველთვის მოთხოვნილია „უმოქმედობის შესაძლებლობა“. ის, ვინც Vis absoluta-ში მოქმედებს, ვინც ჰიპნოზის ქვეშაა, ის არ სჩადის სისხლისსამართლებრივ ქმედებას. მცდარი ახსნა კეთდება ნებელობის არარსებობასთან დაკავშირებით, თუმცა კონსტრუქციულად მცდარ გზას სწორ შედეგამდე მიყვავართ. აღნიშნული დავა დამაჯერებლად უნდა იქნეს გადაწყვეტილი ნეგატიური მოქმედების ცნებით, ვინაიდან ნეგატიური მოქმედების ცნება არის ის, რასაც ნების მომენტის პირობებში თავიდან არიდების დაფარული მოთხოვნა სააშკარაოზე გამოაქვს, რაც უდავოდ აქტიური მოქმედების კონსტრუქციულ ელემენტს წარმოადგენს, და ის არის, რაც მოქმედების ცნებას სისტემურ კომპლექსში მართებულ ადგილს მიუჩენს. ასევე ის ეწინააღმდეგება მაიჰოფერისა და იეშეკის მიერ წარმოდგენილ შეხედულებას, რომელიც უმოქმედობის შემთხვევაში მოქმედების ხარისხს მხოლოდ მაშინ უარყოფს, როდესაც უმოქმედოს არ გააჩნია მოქმედების უნარი და „ეს უნარი ასევე არ ექნებოდა მის ადგილას მყოფ არცერთ ადამიანს“. ეს იმიტომ არ არის სწორი, რომ სხეულის

მომრავობის შესრულების დროს უდავოდ და მხოლოდ მის თავიდან არიდების ინდივიდუალურ შესაძლებლობაზე ვრჩებით. ის, ვისაც არ შეუძლია ცურვა, ის დახრჩობის საფრთხის ქვეშ მყოფი ადამიანის გადარჩენისას არ იმოქმედებს, იმიტომ, რომ სხვა ადამიანებს შეუძლიათ ცურვა.

B. მოქმედების უნარის ინტელექტუალური წინაპირობები არმინ კაუფმანის თეორიის მიხედვით

ვინაიდან უმოქმედობა, უმოქმედო პირის ქმედებას წარმოადგენს და პრინციპში ეს დადგენილიც იქნა. თუმცა როდის გვაქვს კონკრეტულად მოქმედების უნართან საქმე? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ერთი შეხედვით მარტივი არ არის. მოვიყვანოთ ორ მაგალითს, რომლებსაც იმთავითვე მეცნიერული კონტროლერის ცენტრში შევყავართ: A ღამ-ღამობით ტბის ნაპირას სეირნობს. ის ახლოს ჩაუვლის B-ს, რომელსაც დახრჩობა ემუქრება. პირველი შემთხვევა: A შენიშნავს B-ს, რადგანაც მას ცურვა არ შეუძლია, ეძებს საგანს, რომლის გადაგდებაც მას სურს B-სთვის. ერთადერთ გამოსაღებ საგანს სამაშველო რგოლი წარმოადგენს, რომელიც A-სგან რამდენიმე ნაბიჯით არის მოშორებული, მაგრამ A ვერ ამჩნევს, რადგანაც ბუჩქებშია დამალული. B დაიხრჩობა.

შესაძლებლობის აღნიშნული შეფასება ობიექტური შეფასების საფუძველზე ხდება, რაც ნიშნავს იმის დადგენას, რომ საფრთხის სიტუაციის აღმოფხვრისათვის საჭირო ქმედების განხორციელება უმოქმედო პირს ობიექტურად შეეძლო. ამის საპირისპიროდ ის ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ დაუდევრობას. არმინ კაუფმანი და მასზე დაყრდნობით ველცელიც ამ შეკითხვას უარყოფითად უპასუხებდნენ. ისინი მართებულად მიიჩნევენ მხოლოდ და მხოლოდ უმოქმედობის ვიწრო ცნებას, თუკი მოქმედების უნარი ჩათვლილი იქნება მოცემულობად, თუკი „ობიექტური შესაძლებლობისათვის“ „მოქმედების მიზნის გაცნობიერების“ სუბიექტური ელემენტები, ასევე „განხორციელების გზის ერთმნიშვნელოვნება“ იქმნება. კაუფმანი თავის თეორიას შემდეგი წინადადებებით აფასებს: საბოლოო ქმედების უნარი ცოდნის ბაზად საჭიროებს მის მართვას, მის შესაძლო მოქმედების მიმართულების (მოქმედების მიზნის, ზემოქმედების ობიექტის) აღქმას.

დასკვნა

ზემოწარმოებული კვლევის პროცესში ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალურად ვრცლად გადმოგვეცა ყველა ის ძირითადი ასპექტები, რომელიც ახასიათებს უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებს. როგორც კვლევამ გვიჩვენა, დანაშაულებრივი უმოქმედობის სოციალური არსის გენეზისი და მასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები სპეციალურ სამართლებრივ მოვალეობების შესრულებაზე, განპირობებულია უამრავი ფაქტორით, რომელთაგან მთავარს სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივი წყობის ფორმა და მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი პარადიგმების ტრანსფორმაცია წარმოადგენს. ამასთან ერთად, სოციუმს საკუთარი მობილურობა და რესურსები გააჩნია თავისი ქცევის საფუძვლების მოსამზადებლად, რამაც საბოლოო ჯამში არსებითი გავლენა უნდა მოახდინოს დანაშაულებრივი უმოქმედობის საკანონმდებლო პროცესებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Baumann J. (1961) *Strafrecht Allgemeiner Teil. 2* : Aufl Bielefeld.
2. Beling. E. (1906) *Die Lehre vom Verbrechen* : Tübingen.
3. Baumann. J. (1968) *Lehrbuch Strafrecht Allg* : Teil. Aufl.5 Bielefeld.
4. Bockelmann P (1961) *Betrug verübt durch Schweigen in*: Festschrift für Eberhard Schmidt zum 70 : Göttingen.
5. Binding K. (1919) *Die Normen und ihre Übertretung* : Leipzig.
6. Schröde H. (1972) *Strafgesetzbuch, kommentar* : 16 aufl. München.
7. Engisch K. (1944) *Der finale Handlungsbegriff In: Probleme der Strafrechtserneuerung*, Festschrift für Eduard Kohlrausch: Berlin.
8. Freund G. (2008) *Strafrecht Allgemeiner Teil: Personale Straftatlehre* : Springer-Lehrbuch.
9. Gallas W. (1968) *Beiträge zur Verbrechenslehre* : Berlin.
10. Honig R. (1930) *Kausalität und objektive Zurechnung* : Festgabe für Reinhard von Frank zum 70. Geburtstag 16. Tübingen.
11. Hafter E. (1946) *Lehrbuch des Schweizerischen Strafrechts* :2 Aufl. Bern.
12. Heinrich B (2012) *Strafrecht Allgemeiner Teil* : 3 Aufl. Stuttgart.
13. Harddwig W. (1957) *Die Zurechnung Ein Zentralproblem des Strafrechts* : Hamburg.
14. Jescheck H.H. (1969) *Lehrbuch des Strafrechts* : Berlin.
15. Kaufmann Arm. (1959) *Die Dogmatik der Unterlassungsdelikte* : Göttingen.
16. Kaufmann Arth. (1961) *Das Schuldprinzip* : Heidelberg.
17. Kaufmann Arm. (1963) *Unterlassung und Vorsatz* FS v. Weber: Göttingen.
18. Luden H. (1840) *Abhandlungen Aus Dem Gemeinen Teutschen Strafrechte*: Göttingen.
19. Luden H. (1847) *Handbuch des teutschen gemeinen und partikularem Strafrechts*: Jena .
20. Larenz K. (1992) *Methodenlehre der Rechtswissenschaft* : Berlin Heidelberg.
21. Lang-Hinrichsen D. (1954) JR. Rezension: Tübingen.
22. Larenz K. (1987) *Lehrbuch des Schuldrechts*: München.
23. Metzger E. (2014) *Strafrecht, ein Lehrbuch*: Berlin.
24. Metzger E. (1926) *Vom Sinn der strafrechtlichen Tatbestände*, in: Festschrift Träger: Berlin.
25. Mayer H. (1953) *Strafrecht*: Stuttgart.
26. Maihofer W. (1953) *Der Handlungsbegriff im Verbrechenssystem*: Tübingen.
27. Maihofer W. (1961) *Der soziale Handlungsbegriff, Eb. Schmidt-Festschrift* : Göttingen.
28. Maurach R. (1958) *Deutsches Strafrecht Allgemeiner* : Stuttgart.
29. Metzger E. (1949) *Strafrecht, ein Lehrbuch*: München-Leipzig.
30. Nowakowski F. (1955) *Das Österreichische Strafrecht in seinen Grundzigen*: Graz.
31. Niese E. (1951) *Finalität, Vorsatz und Fahrlässigkeit*: Tübingen.
32. Oehler D. (1959) *Das objektive Zweckmoment in der rechtswidrigen Handlung*: Berlin.
33. Platzgumer W. (1964) *Die Bewusstseinsform des Vorsatzes: Eine strafrechtsdogmatische Untersuchung auf psychologischer Grundlage*: Berlin/Heidelberg.
34. Roxin C. (2003) *Allgemeiner Teil, Band II: Besondere Erscheinungsformen der Straftat*: München.
35. Roxin C. (2015) *Täterschaft und Tatherrschaft*. 9. Auflage : Hamburg.
36. Rudolphi H. (1966) *Die Gleichstellungsproblematik der Unechten Unterlassungsdelikte und der Gedanke der Ingerenz*: Göttingen.

37. Roxin C. (1968) *Einige Bemerkungen zum Verhältnis von Rechtsidee und Rechtsstoff in der Systematik unseres Strafrechts*, Radbruch-Gedächtnisschrift: Göttingen.
38. Schönemann B. (1971) *Grund und Grenzen der unechten Unterlassungsdelikte*: Göttingen.
39. Scmidts Eb. (1939) *Der Arzt im Strafrecht*: Leipzig.
40. Spendel G. (1964) *Jus. Conditio sine qua non- Gedanke und Fahrlässigkeitsdelik* :Berlin.
41. Traeger L. (1913) *Das Problem der Unterlassungsdelikte im Straf- und Zivilrecht* :Marburg.
42. Welzel H. (1965) *Das Deutsche Strafrecht*:Berlin.
43. Welzel H. (1969) *Das Deutsche Strafrecht*:Berlin.
44. Wolf E.A. (1964) *Der Handlungsbegriff in der Lehre vom Verbrechen*: Heidelberg.
45. Wolf E.A. (19640) *Kausalität von Tun und Unterlassen*: Heidelberg.

Theories Developed on Crimes Committed by omission in German Criminal Law

Lasha Kukhianidze

Grigol Robakidze University, PhD Student
lkukhianidze@yahoo.com

Abstract. The purpose of this article is to study and analyze the theories developed on crimes committed by omission in German Criminal Law based on legal, philosophical and sociological literature. The article is an attempt to analyze the specific problem of omission and the formation of its common complex elements. The article reviews such theories as: executing different actions in parallel (Luden); crimes committed by omission of the guarantor; the boundaries of the concept of crime; Helmut Mayer's theory; descriptive access of essence with Arthur Kaufman and Claus Roxin; action and inaction in the unity of concept (Armin Kaufmann, Hardwig, Welzel); Mayrhofer's concept of social behavior; E.A. Wolff's concept of individual action; "the basis of success", as the main direction of B. Schunemann's theory and other theories.

Key words: omission, guarantor, boundaries of criminal liability, criminal law

**უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში და
აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი
განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია**

ჯუმბერ მაილაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
jumberlaw@yahoo.com

რეზიუმე. წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლის (აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი მკვლელობა) დისპოზიციის სისხლისსამართლებრივ ასპექტები. ნაშრომში გამოკვლეული იქნება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რომელიც ქმედების კვალიფიკაციისთვის არის მნიშვნელოვანი. სამეცნიერო ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დეტალურად იქნება განხილული აღნიშნული მუხლების დისპოზიციით გათვალისწინებული, როგორც ძირითადი, ისე დამატებითი მაკვალიფიცირებელი ნიშნები.

სამიზნო სიტყვები: განზრახ მკვლელობა, უეცარი აღელვება, სულიერი აღელვება, აუცილებელი მოგერიება, ძლიერი აღელვება, ამორალური ქცევა, ფსიქიკური ტრავმა

1. შესავალი

წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის მიზანია უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის სისხლისსამართლებრივი დახასიათება. უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა გამოწვეულია დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობის, მძიმე შეურაცხყოფის ან სხვა მძიმე ამორალური ქმედებით, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებული ფსიქიკური ტრავმით. რაც შეეხება, აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილ მკვლელობას აღნიშნული გამოკვლეული იქნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის კონტექსტში და მოტანილი იქნება პრაქტიკული მაგალითები.

ნაშრომის კვლევის საგანია სწორედ ზემოთ დასახელებულ დანაშაულთა მაკვალიფიცირებელი ნიშნები და მისი კვალიფიკაციის პრობლემები.

2. მასალები და კვლევის მეთოდოლოგიური აპარატი

ნაშრომში გაანალიზებულია სასამართლო და საგამომიებო პრაქტიკაში არსებული შემთხვევები. აგრეთვე შესწავლილია შესაბამისი იურიდიული ლიტერატურა.

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიურ აპარატს სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულია ანალიზი, სინთეზი და შედარება, განზოგადების მეთოდები.

3. ძირითადი ნაწილი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის დისპოზიცია გვთავაზობს აფექტის გამომწვევ სანიმუშო ჩამონათვალს: „განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ“. ეს დანაშაული პრივილეგირებულ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება.

კვალიფიკაციისთვის აუცილებელია დადგინდეს მკვლელობა ჩადენილია თუ არა აფექტის მდგომარეობაში. აფექტი არის უეცრად აღძრული და სწრაფწარმავალი სულიერი განცდა (ემოცია), რომელიც იწვევს შეგნებული ნებელობითი კონტროლის შემცირებას და გამოსავალს მოქმედებაში პოულობს. აფექტი შეიძლება გამოწვეულ იქნეს სხვადასხვა ფაქტორით: იგი შეიძლება განპირობებული იყოს სოციალური ურთიერთობის მართლსაწინააღმდეგო თუ ზნეობრივი ნორმების დარღვევით (მაგ., უსამართლობით, შეურაცხყოფით და სხვ.).

განასხვავებენ ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ აფექტს. პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში მყოფ ადამიანს მთლიანად ეკარგება უნარი, გააცნობიეროს მის მიერ ჩადენილი ქმედების მნიშვნელობა, გაითვალისწინოს შედეგი, რომელიც ქმედებას შეიძლება მოჰყვეს და უხელმძღვანელოს მას. ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირი განიხილება, როგორც შეურაცხადი, რომელიც კანონის თანახმად, თავის ნამოქმედარზე პასუხს არ აგებს. პათოლოგიური აფექტისაგან განსხვავებით, ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში მყოფ ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ შესუსტებული აქვს თვითკონტროლისა და ქმედების ხელმძღვანელობის უნარი, ამიტომ მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მსუბუქდება, მაგრამ არ გამოირიცხება. (6)

იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით, აუცილებელია არსებობდეს რამდენიმე ნიშანი: ა) მკვლელობა უნდა იქნეს ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში; ბ) პირის ასეთი მდგომარეობა უნდა იყოს უეცრად აღძრული; გ) ძლიერი სულიერი აღელვება გამოწვეული უნდა იყოს მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობით, მძიმე შეურაცხყოფით ან სხვა მძიმე ამორალური ქმედებით; დ) აგრეთვე აღელვება გამოწვეული უნდა იყოს არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებული ფსიქიკური ტრავმით.

სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის მეორე ნაწილი უმართლობის ხარისხის მიხედვით მსგავსია სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის (განზრახ მკვლელობა ორი ან მეტი პირისა), მაგრამ განსახილველი მუხლი გაცილებით უფრო მსუბუქად ისჯება, ვიდრე სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი. ეს განპირობებულია იმით, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის

შემთხვევაში ბრალის ხარისხი ნაკლებია. ამ დანაშაულის სუბიექტური მხარეა მხოლოდ პირდაპირი განზრახვა. განზრახვა აქ მხოლოდ პირდაპირია. აფექტური მკვლელობა არ შეიძლება იყოს ჩადენილი ევენტუალური განზრახვით (2, 51).

მართლსაწინააღმდეგო ძალადობა გულისხმობს კანონმდებლობით აკრძალული ქმედების ჩადენას ან ასეთი ქმედების ჩადენის რეალურ მუქარას. ამასთან უნდა ითქვას, რომ მართლსაწინააღმდეგობა არ გულისხმობს მარტო ვიწრო გაგებით მართლსაწინააღმდეგობას სისხლისსამართლებრივი ან კანონმდებლობის სხვა დარგის ნორმებისადმი წინააღმდეგობის სახით, არამედ ის ასევე გულისხმობს პირის მიერ ჩადენილი ქმედების (უმოქმედობის) წინააღმდეგობას საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებული კულტურული ნორმებისადმი. მართლსაწინააღმდეგობა არის შეფასებითი კატეგორია.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თუ პირმა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩაიძინა მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, მაშინ მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. რადგან სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად: „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად“. სწორედ ასეთი სახის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა შესაძლოა აღმოჩნდეს მკვლელის უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების საფუძველი, ამიტომ ასეთ ვითარებაში ხელმყოფის მკვლელობა არ უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად. მითუმეტეს, რომ კანონით დაზიანების მიყენება შეუზღუდავია ვინაიდან, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში დაზიანების არანაირ შეზღუდვაზე საუბარი არ არის. „სიტყვები „ხელმყოფის დაზიანება“ ფართო ცნებაა და მასში ყოველგვარი დაზიანება, მათ შორის სიცოცხლის მოსპობაც უნდა ვიგულისხმოთ“ (1, 222).

შეურაცხყოფა გულისხმობს არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას, რომელიც გამიზნულად აყენებს ადამიანს მძიმე ფსიქიკურ ან ფიზიკურ ტანჯვას, რითაც უხეშად შეურაცხყოფს მას სხვების წინაშე და უზიარებს საკუთარი ნების ან სინდისის საწინააღმდეგო მოქმედებისკენ.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა განზრახ მკვლელობის ჩადენაში ბრალდებულები ითხოვენ კვალიფიკაციის შეცვლას სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით და აღნიშნავენ, რომ მათ იმის გამო მოკლეს ადამიანი, რომ ის, მას ან მის ახლო ნათესავს აყენებდა შეურაცხყოფას, მაგრამ ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა ცხადყოფს, რომ ადგილი არ ჰქონია უეცარ სულიერ აღელვებას. მაგალითად, ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2004 წ. 6 ოქტომბრის განაჩენით რ. ცივაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, მკაცრი რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით. აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წ. 21 დეკემბრის განაჩენით ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2004 წ. 6 ოქტომბრის განაჩენი რ. ცივაძის მიმართ დარჩა უცვლელად. განაჩენით რ. ცივაძეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიძინა განზრახ მკვლელობა. კერძოდ, 2004 წ. 24 მაისს,

სადამოს, დაახლოებით 20 საათსა და 30 წუთზე, ქობულეთის რაიონის სოფ. ..., თავის საცხოვრებელ სახლში, რ. ცივამეს მოესმა, რომ თავისი შვილი ჯ. ცივამე და მთვრალი მეზობელი ზ. ტაკიძე ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. ამ უკანასკნელთან პირადად მასაც კონფლიქტი და უკმაყოფილება ჰქონდა, რადგანაც ეჭვობდა, რომ იმავე სოფელში არსებული მისი კუთვნილი სავაჭრო ჯიხურიდან 40 ლარი ზ. ტაკიძემ მოიპარა. განაწყენებულმა რ. ცივამემ სახლიდან გამოიტანა 12-კალიბრიანი, ორლულიანი თოფი #78587, დატენა ერთი საფანტიანი ვაზნით და საკუთარ ეზოში არსებული ბოსტნიდან, დაახლოებით 3-4 მეტრის მანძილიდან, შურისძიებით, განზრახ მოკვლის მიზნით, პირდაპირი დამიზნებით ესროლა გზაზე მდგომ ზ. ტაკიძეს, რომელსაც ტყვია მოხვდა თავში და მიყენებული დაზიანებებისგან შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

მსჯავრდებული რ. ცივამე საკასაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენის გაუქმებას და მისი ქმედების სსკ-ის 111-ე მუხლით დაკვალიფიცირებას ან საქმის გადაცემას დამატებითი გამოძიებისათვის იმ მოტივით, რომ მან ზ. ტაკიძის მკვლელობა ჩაიდინა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. გორაძე ეთანხმებოდა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და ითხოვდა მის დაკმაყოფილებას.

დაზარალებული თ. ტაკიძე მხარს არ უჭერდა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და ითხოვდა რ. ცივამის მიმართ განაჩენის უცვლელად დატოვებას. პროკურორი პ. მსხილაძე არ ეთანხმებოდა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და ითხოვდა განაჩენის უცვლელად დატოვებას.

პალატამ მოუსმინა რა პროცესის მონაწილეებს, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, ჩათვალა, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: პალატა ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივს იმის თაობაზე, რომ რ. ცივამემ ზ. ტაკიძის მკვლელობა ჩაიდინა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. განზრახ მკვლელობის უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, პირის ქმედება გამოწვეული იყოს მისი ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობით, მძიმე შეურაცხყოფით ან სხვა ამორალური ქმედებით, აგრეთვე, მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებული ფსიქიკური ტრავმით. მოცემულ საქმეზე კი დადგენილია, რომ აწ გარდაცვლილ ზ. ტაკიძესა და რ. ცივამის შვილს შორის იყო ორმხრივი ჩხუბი და ფიზიკური შეხლა-შემოხლა, ე.ი. მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ურთიერთძალადობასა და ურთიერთშეურაცხყოფას. ამასთან, როგორც ერთ-ერთი მოწმის - ჯ. ცივამის მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებით ირკვევა, ჩხუბი გამოიწვია რ. ცივამის მიერ ზ. ტაკიძისთვის ნათქვამმა სიტყვებმა: „ხომ გითხარი მოგვრიდებოდი და აქ რატომ გამოიარე“. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ რ. ცივამემ ზ. ტაკიძეს თოფი მას შემდეგ ესროლა, როცა ჩხუბი ფაქტობრივად უკვე დამთავრებული იყო. რ. ცივამემ დაახლოებით 3-4 მეტრი მანძილიდან თავის არეში დამიზნებით ესროლა ზ. ტაკიძეს, რომელიც სხვა პირებისგან მოცილებით იდგა. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ რ. ცივამის მოქმედება არ შეიძლება შეფასდეს უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების

მდგომარეობაში ჩადენილ მკვლევლობად. პალატა თვლის, რომ საქმის მასალებით რ. ცივამის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა მთლიანად დადგენილი და დადასტურებულია. ამდენად, რ. ცივამის ქმედების კვალიფიკაციის შეცვლის ან საქმის დამატებითი გამოძიებისთვის დაბრუნების საფუძველი არ არსებობს.

რაც შეეხება, აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილ მკვლევლობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა ქმედება ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ არ არის მართლსაწინააღმდეგო. ასეთ ქმედებებს კანონი დანაშაულად არ ცნობს. უკეთ რომ ვთქვათ გარეგნულად დანაშაულის მსგავსი ქმედებები შეიძლება არ წარმოადგენდეს დანაშაულს. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი განსაზღვრავს აუცილებელი მოგერიების ცნებას, რომელიც არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, ამიტომ მკვლევლობის კვალიფიკაციის შემთხვევაში უნდა დადგინდეს, ხომ არ ჰქონდა ადგილი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს. ამ გარემოებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია აუცილებელი მოგერიება.

აუცილებელი მოგერიების უფლების მინიჭება მოქალაქეებისთვის ნიშნავს მათი უფლებების დაცვის ერთ-ერთ საშუალებას და ხელს უწყობს მართლწესრიგის განმტკიცებას. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩადენილი მკვლევლობის შემთხვევაში პირი არ მიეცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში.

სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების შემთხვევაში, ესე იგი მაშინ, როცა დადგინდება, რომ მომგერიებელმა თავის დაცვა აწარმოა ისეთი მეთოდებითა და საშუალებებით, რომელთა გამოყენება არ იყო აუცილებელი მის მიმართ გამოყენებული თავდასხმის აღსაკვეთად.

მკვლევლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩადენილად ჩაითვლება მაშინ თუ:

- თავდასხმა ან თავდასხმის საფრთხე იყო რეალური და არა მოჩვენებითი, თუმცა მოჩვენებითმა მოგერიებამაც შეიძლება ზოგჯერ გამორიცხოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუ არსებული ვითარება მომგერიებელს აძლევდა საკმარის საფუძველს იმისა, რომ ევარაუდა რეალური თავდასხმის არსებობა და მას შეგნებული არ ჰქონდა ამ ვარაუდის უსაფუძვლო და მცდარობა.

თავდასხმის რეალურობასთან დაკავშირებით პროფ. მ. ტურავას მოჰყავს საინტერესო მაგალითი. იგი წერს „ა.-მ მოკლა ც., რომელსაც უნდოდა ა.-ს მხოლოდ შეშინება, თუმცა მომგერიებლის წარმოდგენით იგი რეალურ თავდასხმას ახორციელებდა (ე.წ. მოჩვენებითი მოგერიება). ასეთი შემთხვევა არ წარმოადგენს აუცილებელ მოგერიებას, ვინაიდან თავდასხმა არ იყო რეალური, ობიექტური, არამედ მხოლოდ მომგერიებლის წარმოდგენაში არსებობდა. მოჩვენებითი თავდასხმის მომგერიებელი არ დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეცდომა იყო მისატყვებელი. თუ შეცდომა მიუტყვებელია, მაშინ იგი დაისჯება მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, ხოლო თუ შეცდომა არ

დაუშვა და იცოდა, რომ ც. ხუმრობით ან შეშინების მიზნით დაესხა თავს, ა.-ს ქმედებაში იქნება განზრახი მკვლელობის ნიშნები“ (3, 94-95).

ამ საკითხზე პროფ. ზ. წულაია აღნიშნავს, რომ „მკვლელობა მოჩვენებითი მოგერიებისას განიხილება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისათვის პასუხისმგებლობის საერთო წესის მიხედვით“ (4, 98). ამ აზრს არ ეთანხმება პროფ. ო. გამყრელიძე და სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „რაც შეეხება მოჩვენებით მოგერიებას, ასეთი შემთხვევა შეცდომის პრინციპის მიხედვით უნდა გადაწყდეს. თუ მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მყოფს შეცდომა არ ეპატიება, მან პასუხი უნდა აგოს გაუფრთხილებლობისათვის“ (1, 216).

- თავდასხმის ან თავდასხმის საფრთხე უნდა იყოს საშიში მომგერიებლის ან სხვისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან სხვა სიკეთისათვის.

- თავდასხმის მოგერიებისას ზიანი უნდა მიაღწეს მხოლოდ თავდამსხმელს (ხელმყოფს). უნდა აღინიშნოს ის, რომ კანონით დაზიანების მიყენება შეუზღუდავია ვინაიდან, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში დაზიანების არანაირ შეზღუდვაზე საუბარი არ არის. ამ საკითხზე პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს რომ „სიტყვები „ხელმყოფის დაზიანება“ ფართო ცნებაა და მასში ყოველგვარი დაზიანება, მათ შორის სიცოცხლის მოსპობაც უნდა ვიგულისხმოთ“ (1, 222).

- თავდაცვა არ უნდა აღემატებოდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. კანონის, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდასხმის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან“. მაგრამ იმისათვის, რომ სწორად გადაწყდეს თავდასხმის მოგერიების შესაბამისობის საკითხი, უნდა გავითვალისწინოთ საქმის კონკრეტული გარემოებები საშიშროების ხარისხი და ხასიათი, თავდასხმისა და თავდაცვის ინტენსივობის თანაფარდობა. ბუნებრივია, რომ მომგერიებელი თავდასხმის შედეგად ხშირად სულიერი აღელვების მდგომარეობაშია და შესაძლოა ვერ განსაზღვროს თავდასხმის საშიშროების ხასიათი და შეარჩიოს თავდაცვის სრულიად შეუსაბამო საშუალება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ძალიან მძიმე შედეგი, მიუხედავად ამისა მომგერიებელმა შეიძლება პასუხი მაინც არ აგოს.

ამ საკითხზე განსხვავებული პოზიცია აქვს ზოგიერთ ქართველ მეცნიერს. მაგალითად, პროფ. ზ. წულაია აღნიშნავს, რომ თითქოს „აფექტის დროს ადგილი აქვს ძლიერ სულიერ აღელვებას, ხოლო აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობისას მომგერიებელი იმყოფება ჩვეულებრივი სულიერი აღელვების მდგომარეობაში“ (4, 101). ეს მოსაზრება საკმაოდ დასაბუთებულად უარყო პროფ. ო. გამყრელიძემ, მან აღნიშნა, რომ „ეს აზრი სრულიად მიუღებელია. როგორ შეიძლება ამ შემთხვევაში მომგერიებელი იყოს „ჩვეულებრივი სულიერი აღელვების მდგომარეობაში“, როცა მას თავდამსხმელთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვს გამართული და მისი სიცოცხლეც ბეწვზე ჰკიდია“ (1, 225). ის, რომ მომგერიებელი არ შეიძლება იმყოფებოდეს ჩვეულებრივ მდგომარეობაში ამას ამტკიცებს პროფ. მ. ტურავაც (3, 95).

აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩადენილი მკვლევარობები არც თუ უცხოა სასამართლო პრაქტიკისათვის, საიდანაც მოგიყვანთ ერთ შემთხვევას, რომელიც განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ. საქმის ვითარება განაჩენით დადგენილია და არის შემდეგი:

ამბროლაძე, რაზმაძის კუთვნილ ავტომანქანაში ჩაჯდა გოგუას შეთავაზებით. იგი მოთავსდა გოგუას უკან, სალონის მარჯვენა მხარეს, ხოლო მშვილდაძემ საჭე დაუთმო გაბრიჩიძეს და თვითონაც ავტომანქანის უკანა სავარძელში გადავიდა. გოგუას მითითებით ისინი გაემართნენ ქუთაისის ავტოქარხნის მარჯვენა დასახლებაში არსებულ სასაფლაოსაკენ. მანქანის მსვლელობის დროს გოგუამ და მშვილდაძემ ამბროლაძეს მიაყენეს, როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური შეურაცხოვა და დაემუქრენ მოკვლით. გოგუამ მანქანის გაჩერების შემდეგ თავისი სავარძლიდან ამოიღო „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, შებრუნდა ამბროლაძისაკენ და მოკვლით დაემუქრა, ამბროლაძემ სცადა გოგუასთვის პისტოლეტის წართმევა, რა დროსაც გოგუამ მოახდინა რამდენიმე გასროლა, რის შედეგადაც ტყვიები მოხვდა როგორც ამბროლაძეს, რომელმაც მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, ასევე ამბროლაძის გვერდით მჯდომ მშვილდაძეს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. დაჭრილმა ამბროლაძემ ისარგებლა გოგუას სიმთვრალით, გამწარებულმა მარჯვენა ხელით წაართვა პისტოლეტი და რამდენჯერმე ესროლა, რადგან ფიქრობდა, რომ გოგუას ჰქონდა მეორე იარაღი, რომელსაც მის წინააღმდეგ გამოიყენებდა. მიყენებული ჭრილობების შედეგად გოგუა ადგილზე გარდაიცვალა.

სასამართლო კოლეგიამ ამბროლაძის ქმედება დააკვალიფიცირა, როგორც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს ჩადენილი მკვლევარობა და განაჩენში მიუთითა, რომ ამბროლაძის მოქმედება, მის მიერ გოგუასადმი იარაღის წართმევამდე, იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, შემდეგ კი მან გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, რამდენადაც იარაღის წართმევის შემდეგ გოგუას მხრიდან ამბროლაძეზე ხელყოფა აღარ იყო რეალური და იმწუთიერი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ სავსებით საფუძვლიანად, არასწორად მიიჩნია კოლეგიის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამბროლაძის მოქმედება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის აღმოცენების შემდეგ, როცა მან იარაღი წაართვა გოგუას და მისი მიმართულებით გაისროლა აშკარად შეუსაბამო იყო მასზე განხორციელებული თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან. აღნიშნულის საფუძვლად მიაჩნია, რომ ამბროლაძის ვარაუდი გოგუას მიერ მეორე იარაღის ამოსაღებად წინ გადახრასთან და მის საწინააღმდეგოდ გამოყენებასთან დაკავშირებით, არარეალური იყო, რადგან საქმის მასალებით დადგენილია, რომ გოგუას მეორე იარაღი არ ჰქონია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი პალატა თვლის, რომ ამბროლაძის მხრიდან იარაღის წართმევით აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის შეწყვეტის პირობები ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამბროლაძეზე თავდასხმა იყო მართლსაწინააღმდეგო ხასიათის, რეალური და იმწუთიერი, ამასთან მის მიერ გოგუასათვის იარაღის წართმევის შემდეგაც მისი სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე განვლილი არ იყო და იგი რეალურად იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, ვინაიდან გოგუას მხრიდან ამბროლაძეზე მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის განხორციელება შესაძლებელია იარაღის

გარეშეც გაგრძელებულიყო, რის გამოც ამბროლაძე იძულებული იყო წართმეული იარაღი გამოეყენებინა გოგუას მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად.

ამდენად პალატას მიაჩნია, რომ იარაღის წართმევა თავდამსხმელისათვის არ უნდა შეფასდეს საფრთხის გაუვნებელყოფად, თუ კი არსებობდა იმისი რეალური ვარაუდი, რომ თავდასხმა გაგრძელდებოდა, ხოლო ამ დროს ჩადენილი მკვლელობა არ უნდა დაკვალიფიცირდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილ მკვლელობად, არამედ ის უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული აუცილებელი მოგერიების მდგომარეობად.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამბროლაძის ვარაუდი, რომ გოგუა იყო კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელი და ეს უკანასკნელი პოლიციის მიერ იძებნებოდა, რეალურია. მისთვის ცნობილი იყო ისიც, რომ გოგუა შეიარაღებული დადიოდა. გარდა ამისა, მანქანაში იმყოფებოდა მესამე პირი გაბრიჩიძე, რომელიც ახლდა გოგუას და ამბროლაძემ არ იცოდა ის შეიარაღებული იყო თუ არა.

ამდენად, როგორც ვხედავთ ამბროლაძის მოქმედება ექცევა მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში და ის არ წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ამიტომ უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება, რომლითაც უდანაშაულოდ იქნა ცნობილი ამბროლაძე, სავსებით კანონიერია.

აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადამეტებით მკვლელობას მაშინ ექნება ადგილი, როცა მკვლელი თავდამსხმელის (ხელმყოფის) მოსაგერიებლად გამოიყენებს ისეთ საშუალებებს, რომელიც მოსაგერიებლად აუცილებელი არ იყო.

4. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით აუცილებელია არსებობდეს რამდენიმე ნიშანი: ა) მკვლელობა უნდა იქნეს ჩადენილი ძლიერი სულიერი ადელვების მდგომარეობაში; ბ) პირის ასეთი მდგომარეობა უნდა იყოს უეცრად აღძრული; გ) ძლიერი სულიერი ადელვება გამოწვეული უნდა იყოს მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობით, მძიმე შეურაცხყოფით ან სხვა მძიმე ამორალური ქმედებით; დ) აგრეთვე ადელვება გამოწვეული უნდა იყოს არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებული ფსიქიკური ტრავმით.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თუ პირმა უეცარი ძლიერი სულიერი ადელვების მდგომარეობაში ჩაიძინა მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, მაშინ მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. ასეთი სახის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა შესაძლოა აღმოჩნდეს მკვლელის უეცარი, ძლიერი სულიერი ადელვების საფუძველი, ამიტომ ასეთ ვითარებაში ხელმყოფის მკვლელობა არ უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად.

რაც შეეხება, აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილ მკვლელობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა ქმედება ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით

გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ არ არის მართლსაწინააღმდეგო. ასეთ ქმედებებს კანონი დანაშაულად არ ცნობს. უკეთ რომ ვთქვათ გარეგნულად დანაშაულის მსგავსი ქმედებები შეიძლება არ წარმოადგენდეს დანაშაულს.

სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების შემთხვევაში, ესე იგი მაშინ, როცა დადგინდება, რომ მომგერიებელმა თავის დაცვა აწარმოა ისეთი მეთოდებითა და საშუალებებით, რომელთა გამოყენება არ იყო აუცილებელი მის მიმართ გამოყენებული თავდასხმის აღსაკვეთად.

ჩვენი აზრით, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მომგერიებელი არ იმყოფება მშვიდად, რადგან პირს არა აქვს პირდაპირი განზრახვა მკვლელობის მიმართ. თუ პირმა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაამეტა პირდაპირი განზრახვით, ანუ მან იცოდა რომ ხელმყოფის მოკვლა აუცილებელი არ იყო, მაგრამ სურდა მისი მოკვლა და მოკლა კიდევ ამ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით. (ეს შეიძლება იყოს სსკ-ის 108-ე, 109-ე, 111-ე და ა.შ. მუხლები).

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბილისი. 2005 წ.
2. მაყაშვილი ვ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ. დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, 1980 წ.
3. ტურავა მ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი. 2006 წ.
4. წულაია ზ. სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი 1. თბილისი. 2000 წ.
5. საქართველოს პარლამენტი. კანონი. 22/07/1999 წ. სისხლის სამართლის კოდექსი.
6. <https://www.myadvokat.ge/ka/blog/10328/ra-shemtxvevashi-chaitvleba-danashauli-afeqtshichadenilad?!> (10.07.20)

Qualification of Intentional Murder Committed in a State of Sudden, Strong Emotional Excitement by Exceeding the Self-defence Limits

Jumber Mailashvili

Grigol Robakidze University, PhD Student
jumberlaw@yahoo.com

Abstract. The paper discusses criminal aspects of the disposition of Article 111 (Intentional murder in a state of sudden, strong emotional excitement) and Article 113 (Murder by exceeding the self-defence limits) of the Criminal Code of Georgia. It examines also the common and different elements of the intentional murder committed in a state of sudden, strong emotional excitement and murder committed by exceeding the self-defence limits, which is important for the qualification of the action. Based on the analysis of the scientific literature and court practice, both the main and additional qualifying elements provided by the disposition of the mentioned articles will be discussed in detail.

Key Words: Intentional murder, sudden excitement, emotional excitement, self-defence, strong excitement, immoral conduct, psychological trauma.

**ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება მოხდეს
იძულებითი გადახდევინება
(მართლმსაჯულება)**

დავით ელისაბედაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
dato_elis@yahoo.com

რეზიუმე. დღესდღეობით აღსრულება მართლმსაჯულების პროცესის ერთ-ერთი გადამწყვეტი ელემენტია: „Ubi ius, ibi remedium“ - სადაც არსებობს უფლება, იქ უნდა არსებობდეს მისი აღსრულების მექანიზმი¹. ბოლო ათწლეულების განმავლობაში აღსრულების სფერო არსებითად გარდაიქმნა. დღეს ბევრ ადამიანს უწევს აღსრულების სფეროსთან შეხება. თანამედროვე საზოგადოებაში დავალიანებების ამოღების საჭიროებას ხშირად ვაწყდებით, მაგალითად, ასეთია: საგადასახადო დავალიანებების ამოღება, უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებული კრედიტების დაფარვა, სხვა კრედიტები და ასე შემდეგ. სირთულეები, რომლებიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში წარმოიქმნება, ხშირად, აღსრულების ეტაპზე იჩენს თავს, მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ამ პრობლემების მოწესრიგება სააღსრულებო წარმოების კანონმდებლობის ფარგლებს მიღმაა. ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც ამ კონტექსტში განხილვას საჭიროებს, მოვალისა და კრედიტორის უფლებების ბალანსის დასაცავად იმ ქონების განსაზღვრაა, რომელიც არ შეიძლება დაექვემდებაროს იძულებით აღსრულებას, ანუ რომლიდანაც არ შეიძლება მოხდეს გადახდევინება. კანონის მოქმედი რედაქცია ძალზე ზოგად დეფინიციას იძლევა იმ ქონების შესახებ, რომელიც ყადაღას არ ექვემდებარება. ნორმა იმდენად ბუნდოვანია, რომ სასამართლოსაც გაუჭირდება განმარტოს კონკრეტული ქონების შესაბამისობა კანონის ჩანაწერთან. სტატიის მიზანია გამოიკვლიოს პრობლემა კომპლექსურად, განიხილოს განვითარებულ ქვეყნებში არსებული მსგავსი რეგულაციები და შემოთავაზებულ იქნეს ბუნდოვანი ნორმის სრულყოფილი ალტერნატივა. კვლევაში გამოყენებული მეთოდები საჭიროებს თვისებრივ შესწავლას, ეს უკანასკნელი მოიცავს ნაციონალური და საერთაშორისო პრაქტიკის წესებისა და რეგულაციების შესწავლას პირველადი და მეორადი იურიდიული და ისტორიული წყაროების, მათ შორის ოფიციალური იურიდიული დოკუმენტების, სასამართლო გადაწყვეტილებების, როგორც პირველადი მასალის. ასევე მიღებული წყაროები, როგორც სხვადასხვა სტატიები, მონოგრაფიები, კომენტარები კანონებზე და რეგულაციებზე და ა.შ. კვლევაში გამოყენებული შედარებითი მეთოდი მიზნად ისახავს განსხვავებების დემონსტრირებას და აღსრულების წესებისა და პროცედურების მსგავსებას სხვადასხვა იურიდიულ სისტემაში, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენას. პრაქტიკული მაგალითები ყურადღებას ამახვილებს ხარვეზების დადგენაზე უკეთესი იურიდიული გადაწყვეტილებებისთვის. კომპლექსში მოცემული კვლევის საგნის შემოწმება საშუალებას იძლევა, გადახედოს მას სხვადასხვა კუთხით და გირჩევთ იურიდიულ რეკომენდაციებს აღსრულების ეფექტურობის ასამაღლებლად, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობის საფუძველს. მკითხველს შეუძლია სრულყოფილად წარმოიდგინოს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს იმ ქონების იდენტიფიკაციას, რაც არ შეიძლება იყოს ყადაღის საგანი. შეადაროს ამჟამად თითქმის არარსებულ რეგულაციას.

სამიუბო სიტყვები: მოვალე, ყადაღა, ქონება, აღსრულება, მართლმსაჯულება, კრედიტორი

¹ ი. უითდეჰააგი. „საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა“. 04.2013. გვ. 129.
<http://nbe.gov.ge/files/> სისტემის მიმოხილვა. ტვინინგის წიგნი. pdf

1. შესავალი

სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების განუყოფელი ნაწილია. აღსრულება გულისხმობს მართლმსაჯულების რეალურად განხორციელების უზრუნველყოფას და, ამასთანავე, წარმოადგენს დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების აღდგენის საბოლოო ეტაპს.

რეკომენდაცია Rec. 17/2003-ის მიხედვით: „აღსრულება ნიშნავს სასამართლო და სხვა არასასამართლო ინსტიტუტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მოპასუხეს ავალებს გარკვეული ზომების გატარებას, გარკვეული ქმედებებისგან თავის შეკავებას ან გადაწყვეტილების შესაბამისად დადგენილი თანხის გადახდას“².

2. ისტორიული ექსკურსი

სააღსრულებო წარმოების განვითარების ისტორიის განმავლობაში აღსრულება, საზოგადოდ, სამართლებრივი სისტემის „აქილევსის ქუსლს“ წარმოადგენს³. არასათანადო აღსრულებას სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს. უმთავრესი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნების უმეტესობაში კანონმდებლობა მოძველებულია და სათანადოდ ვერ არეგულირებს აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაზრდილ რაოდენობას. „ფეოდალური ეპოქის ქართული სამართლის შესწავლა იძლევა საფუძვლიანი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იმასთან დაკავშირებით, რომ იმ პერიოდში არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილებისა და სხვა მართლმსაჯულებითი აქტების აღსრულების ეფექტიანი მექანიზმები, რაც, რასაკვირველია, აღსრულებაში მონაწილე მხარეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებს ქმნიდა.

საქართველოს სამეფო-სამთავროებში არსებული დახვეწილი და ქმედითი სამართალწარმოების სისტემას 1801 წლიდან, რუსეთთან შეერთების შემდეგ, თანდათან ჩაენაცვლა მკვეთრად გამოხატული რეაქციული და წოდებათა უთანასწორობაზე დაფუძნებული სამართალწარმოება. შედეგად, ნაცვლად მანამდე არსებული დახვეწილი სააღსრულებო სისტემისა, მივიღეთ სრულიად არაეფექტიანი სააღსრულებო და, ზოგადად, სამართალწარმოების სისტემა. სააღსრულებო წარმოების კუთხით პროგრესულად უნდა შეფასდეს 1864 წლიდან განხორციელებული სასამართლო რეფორმა და ამ რეფორმის შედეგად საპროცესო სამართლის ცალკე დარგად გამოყოფა; თუმცა, აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად რეფორმისა, ფაქტობრივად სააღსრულებო წარმოება კვლავაც არაეფექტიანი რჩებოდა. 1918–1921 წლებში საქართველოში ფაქტობრივად არ შეცვლილა სამოქალაქო სამართალწარმოების და, შესაბამისად, სააღსრულებო წარმოების სისტემა. რაც შეეხება საბჭოთა

² Council of Europe Committee of ministers, Recommendation Rec (2003). 17 of the Committee of Ministers to member states On enforcement, 09. 09. 2003, article I, paragraph “a”.

[https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=Rec\(2003\)17&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=eff2fa&BackColorIntranet=eff2fa&BackColorLogged=c1cbe6&direct=true](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=Rec(2003)17&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=eff2fa&BackColorIntranet=eff2fa&BackColorLogged=c1cbe6&direct=true)

³ ი. უითდეკააგი. „საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა“. 04.2013. გვ. 129.

http://nbe.gov.ge/files/სისტემის_მიმოხილვა_-_ტვინინგის_წიგნი.Pdf

პერიოდს, საქართველოში სააღსრულებო წარმოება ნაკლებად ეფექტიანი იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, სამართალწარმოებისას საკანონმდებლო დონეზე უფლებბელყოფილი იყო მხარეთა საპროცესო უფლებები⁴.

მხოლოდ 1997 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ „ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ“ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შეიცვალა მდგომარეობა. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე აღსრულებაზეც ვრცელდებოდა. კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად: „წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ კონვენციის მე-6 (§1) მუხლი დეტალურად აღწერდეს დავის მხარეებისთვის არსებულ პროცედურულ გარანტიებს, კერძოდ, სამართლიანი, დროული და ეფექტური სასამართლოს უფლებას, და იმავდროულად არ ითვალისწინებდეს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას“^{5,6}. შესაბამისად, არაერთგზისაა ხაზგასმული, რომ „სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება კონვენციის მე-6 მუხლით მოაზრებული „სამართლიანი სასამართლოს“ განუყოფელი ნაწილია“⁷.

„სასამართლოს მიერ განხილულ შემდგომ საქმეებთან დაკავშირებით დადგენილი იქნა, რომ, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ხასიათისაა სააღსრულებო დოკუმენტი, იგი სავალდებულოა აღსასრულებლად“⁸.

3. ძირითადი ნაწილი

მიუხედავად იმისა, რომ მოვალე არის ის პირი, რომელმაც დაარღვია კრედიტორის უფლება და მის წინააღმდეგ არის როგორც სასამართლო გადაწყვეტილება, ისე სააღსრულებო წარმოება, მას აქვს კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სამართლებრივი საფუძველი. სააღსრულებო წარმოების ეტაპზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მოვალის უფლების დაცვა, რათა სააღსრულებო წარმოება არ გადაიქმნას მოვალის დასჯად. ევროსაბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად, აუცილებელია მოვალე უზრუნველყოფილი იყოს იმ მინიმალური ქონებით, რომელიც აუცილებელია მისი არსებობისთვის. ამ მინიმალური საარსებო მაჩვენებლის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია კრედიტორის ინტერესის გათვალისწინებაც და ეს ყოველივე იმგვარად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული, რომ არ დაირღვეს მხარეთა უფლებების ბალანსი და, რაც მთავარია, შენარჩუნებული უნდა იყოს სააღსრულებო წარმოების პრინციპი.

⁴ ზ. ჭყონია „მართლმსაჯულება და კანონი“. #2(41)'14. საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი.
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martmsajuleba-da-kanoni-2014w-n2.pdf>. გვ. 129

⁵ ჰორნსბი. საბერძნეთის წინააღმდეგ. ECtHR 1997 წლის 19 მარტი. # 107/1995/613/701

⁶ http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=705

⁷ ი. უითდეკაავი. „საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა“. 04.2013. გვ. 35
http://nbe.gov.ge/files/_სისტემის_მიმოხილვა_-_ტვინინგის_წიგნი.pdf

⁸ ი. უითდეკაავი. „საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა“. 04.2013. გვ. 129
http://nbe.gov.ge/files/_სისტემის_მიმოხილვა_-_ტვინინგის_წიგნი.pdf

ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება მოხდეს გადახდევინება, ძირითადად გაწერილია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში⁹. თუმცა, რიგ შემთხვევებში პირდაპირი ჩამონათვალი არ გხვდება და გვიწევს სხვადასხვა ნორმატულ აქტში ძებნა, რათა კონკრეტული პასუხები მივიღოთ.

4. სახელმწიფო დონის ინტერესის ქონება

კანონში ქონება ორ ნაწილად არის დაყოფილი. ერთი მხრივ, არის ჩამონათვალი იმ ქონებისა, რომელიც სახელმწიფო დონის ინტერესია და არ შეიძლება მოხდეს მისით გადახდევინების მიქცევა. აქ მთავარი პრინციპი ის არის, რომ არ შეიძლება იმ ქონების კერძო პირთა ხელში მოხვედრა, რომელმაც შესაძლებელია სამომავლოდ სახელმწიფო ინტერესის გატარებაში ხელი შეგვიშალოს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 2¹ მუხლში არის მოცემული ამ ქონების ჩამონათვალი ან იმ ნორმათა მითითება, სადაც ამ ქონების ჩამონათვალს შევხვდებით. ამ შემთხვევაში საუბარია იმ ქონებაზე, რომელიც არ ექვემდებარება პრივატიზაციას „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე; ესენია: წიაღი, წყლის რესურსები, საჰაერო სივრცე, კონტინენტური შელფი და ა.შ.¹⁰. ეს ის შემთხვევაა, როდესაც უფრო მკაფიოდ არის განსაზღვრული ქონების ჩამონათვალი და ზუსტად შეგვიძლია დავადგინოთ ის ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება მოხდეს გადახდევინება კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები უფრო ზოგადი ხასიათისაა, სადაც ნათქვამია, რომ ყადაღა არ ვრცელდება „საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით¹¹ გათვალისწინებულ ფინანსურ გირაოზე და მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილის საანგარიშსწორებო ანგარიშზე. ზემოხსენებული კანონი იძლევა უფრო მკაფიო დეფინიციას, თუ რა შეიძლება იყოს ფინანსური გირაოს საგანი და მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილის საანგარიშსწორებო ანგარიში: პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფინანსურ ინსტრუმენტებთან ან ანგარიშზე რიცხულ ფულად სახსრებთან, რომელიც, ამ კანონის შესაბამისად, გამოყენებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად; ხოლო მეორე ნაწილი შედარებით რთულად არის დეფინირებული, რადგან გვიწევს სამ ნაწილად განვმარტოთ, კერძოდ: ა. მნიშვნელოვანი სისტემა - ესაა საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს [შემდგომ - სააგენტო] მიერ რეგისტრირებული ოპერატორის სისტემა, რომელსაც ჰყავს სამი ან მეტი მონაწილე და რომელიც მიჩნეულია მნიშვნელოვან სისტემად ამ კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად; ბ. სისტემის მონაწილე შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომელსაც უშუალოდ შეუძლია სისტემაში ტრანსფერორდერის გაცემა და რომელიც მიჩნეულია სისტემის მონაწილედ

⁹ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“. საქართველოს პარლამენტი, 16.04.1999. მუხლი 45. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442>

¹⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი. 21.07.2010. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/112588>

¹¹ საქართველოს კანონი „საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო მომსახურების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი. 25.05.2012. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1673253>

სისტემის წესების შესაბამისად. სისტემის მონაწილე შეიძლება იყოს საქართველოს ეროვნული ბანკი, უცხოური ცენტრალური ბანკი, ფინანსური ინსტიტუტი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, ანგარიშსწორების აგენტი, სისტემის ოპერატორი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ან მისი სტრუქტურული ერთეული, სხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანო ან საგადახდო სისტემა; გ. ანგარიშსწორების ანგარიში - ესაა საანგარიშსწორებო აგენტის შესაბამისი უნიკალური ჩანაწერი, რომელზეც აღირიცხება ფულადი სახსრები ან ფინანსური ინსტრუმენტები და რომლის მეშვეობითაც ხდება ანგარიშსწორება.

5. კერძო საკუთრება, რომელიც არ ექვემდებარება ყადაღას

მთლიანობაში მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო დონის ინტერესის ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება მოხდეს გადახდევინება²¹ მუხლის შესაბამისად, მკაფიოა და დიდ ანალიზს არ საჭიროებს.

ფიზიკურ პირებთან მიმართებით სააღსრულებო წარმოების პროცესში განსაკუთრებით საყურადღებოა 45-ე მუხლი, რომელშიც გაწერილია ის კერძო საკუთრება, რომლიდანაც არ შეიძლება მოხდეს გადახდევინება. განვიხილოთ ეს მუხლი დეტალურად. მის პირველ პუნქტში თავმოყრილია თითქმის სრული ნუსხა იმ ქონებისა, რომლიდანაც არ შეიძლება მოხდეს გადახდევინება. ძირითადად იმ ქონებაზეა საუბარი, რომელიც პირს სჭირდება ელემენტარული ყოფითი ცხოვრებისათვის, რათა, როგორც მინიმუმ, უზრუნველყოფილი იყოს პირის თუ მის კმაყოფაზე მყოფი პირების მინიმალური საარსებო სარჩოს ქონა. ამ ქონებას განეკუთვნება ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალის პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის: მოვალის, მისი ოჯახისა და მასთან ერთად მცხოვრები პირებისათვის ოთხი კვირის საკვები, საწვავი და სანათი საშუალებები, ან მათ შესაძენად საჭირო თანხა; ასევე შინაური ცხოველი, რომლის ალტერნატივასაც იძლევა კანონი, მისი საკვები ან შესაძენად საჭირო თანხა. ამ მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადახდევინება არ შეიძლება მოხდეს მიზნობრივი დახმარებიდან. რა არის მიზნობრივი დახმარება, ამის განმარტებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონი არ იძლევა. თუმცა ამ ტერმინის დეფინიცია შეგვიძლია ვნახოთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს ბრძანებაში N 225/ნ „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“¹², რომელიც განმარტავს, რომ „მიზნობრივი სოციალური დახმარება არის ფულადი სახის გასაცემელი, რომელიც დაკავშირებულია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ლატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან, ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებასთან და/ან მის პრევენციასთან“. რაც შეეხება „ზ“ ქვეპუნქტს, აქ საუბარია სოციალურად დაუცველ იმ ფენაზე, რომელთა მაჩვენებელი ნაკლებია 57001 ქულაზე. საარსებო მინიმუმს, რომელიც

¹² საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №225/ნ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. 22.08.2006. მუხლი 3. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/66100>

აუცილებელია პირის ყოფისთვის, განსაზღვრავს სტატისტიკის დეპარტამენტი და სწორედ ამ მონაცემებს ეყრდნობა აღმასრულებელი სააღსრულებო წარმოების მსვლელობისას. 2017 წლის დეკემბრის თვის მონაცემებით საარსებო მინიმუმი შეადგენს 173,50 ლარს¹³. ეს არის ის მაჩვენებელი, რომელიც დღეის მდგომარეობით არ ექვემდებარება ყადაღას.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში სააღსრულებო სისტემა განიხილება, როგორც მართლ-მსაჯულების განუყოფელი ნაწილი და ის არის წარმოდგენილი საკმაოდ განვითარებული და დახვეწილი სახით. ევროპისა თუ აშშ/კანადის ქვეყნებში აღსრულებაუნარიანი ქონების საკითხები ქართული სამართლისგან განსხვავებულადაა მოწესრიგებული და უფრო დეტალურია. საქართველოს კანონმდებლობით, ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევენება, მართალია, ცალკე მუხლადაა მოცემული და განმარტებულია, რა შეიძლება მასში იგულისხმებოდეს, მაგრამ თუ გადავხედავთ სხვადასხვა ქვეყნის ანალოგიურ საკანონმდებლო რეგულაციას, დავინახავთ, რომ რიგ შემთხვევებში, ქართულ კანონმდებლობასთან შედარებით, უფრო მკვეთრად არის ეს იქ განსაზღვრული. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის კანონმდებლობის თანახმად, დანაზოგიდან სრული თანხა რომ არ მოექცეს აღსასრულებლად, განსაზღვრულია ის ოდენობა, რომლიდანაც არ შეიძლება მოხდეს გადახდევენება. კერძოდ, ნიუ-იორკში გარკვეული რაოდენობისა და სახეობის თანხა დაცულია ყადაღისაგან. 2008 წელს ნიუ-იორკის სახელმწიფო კანონმდებლობამ დაადგინა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კრედიტორი ახორციელებდა თანხის ამოღებას ისეთი ანგარიშებიდან, რომელიც ყადაღას და ბაჟს არ ექვემდებარება. შესაბამისად, იმისათვის, რომ შეწყვეტილიყო მსგავსი არალეგალური ყადაღის დადება, ძალაში შევიდა New York Exempt Income Protection Act (EIPA). აღნიშნული აქტის თანახმად, თუ კრედიტორის სასარგებლოდ აღმასრულებელი ეცდება, რომ მოვალეს გაუყინოს საბანკო ანგარიშები, 2100 \$-მდე თანხა დაცული იქნება ყადაღისგან [10, 1-2]. კერძოდ, თუ პირს გააჩნია დანაზოგი, მხოლოდ 2100 \$, ეს დანაზოგი არ დაექვემდებარება აღსრულებას. ამავე კანონმდებლობით, საარსებო მინიმუმს შეადგენს კვირაში 262,5 \$¹⁴, ანუ თვეში დაახლოებით 1050 \$. ამას თუ გამოვითვლით ეროვნულ ვალუტაში, მივიღებთ 2,730 ლარს, ხოლო ქართული კანონმდებლობით, სამწუხაროდ, დადგენილი საარსებო მინიმუმის ოდენობა 2017 წლის დეკემბრის თვის მონაცემებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ 173.50 ლარია. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ქვეყნის ეკონომიკური გარემო და მატერიალური მდგომარეობაც, თუმცა, ვფიქრობთ, რომ სხვაობა მაინც დიდია.

6. სოციალურად დაუცველთა ქონება

„ყადაღას არ ექვემდებარება სახელმწიფოს მიერ გაცემული მიზნობრივი დახმარება, იმ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის ქონება, გარდა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული

¹³ სტატისტიკური ინფორმაცია - საარსებო მინიმუმი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=178&lang=geo

¹⁴ FROZEN BANK ACCOUNT IN NEW YORK CITY, Law Office of Simon Goldenberg, PLLC, 3.08.2015 <http://www.goldenbergfirm.com/Debt-Relief-Blog/2015/August/Exempt-Income-Protection-Act-EIPA-.aspx>

ქონებისა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელიც საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია¹⁵. ეს ნაწილი სააღსრულებო წარმოების პროცესში ყველაზე კარგად არის მოწესრიგებული. წარმოების დაწყებისთანავე პროგრამა, რომელშიც აღმასრულებელი მუშაობს, ავტომატურ რეჟიმში ახდენს მოვალის გადამოწმებას სოც. სააგენტოში და თუ მას აღმოაჩნდება იმ ქულაზე ნაკლები, რომელიც მთავრობის დადგენილებით არის გათვალისწინებული, კეთდება შესაბამისი აღნიშვნა, რომ მოვალე არის სოციალურად დაუცველი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კონკრეტული მოვალის ქონება [საუბარია მთლიან ქონებაზე და არა რაიმე ჩამონათვალზე] ყადაღას არ ექვემდებარება და, შესაბამისად, აღმასრულებელი აღარ ახდენს ქონების მოძიებასა და მასზედ ყადაღის დადებას.

რაც შეეხება სოციალურ დახმარებას, ამ შემთხვევაში სხვა ქვეყნების კანონმდებლობასაც საკმაოდ მკაცრი მიდგომა აქვს, კერძოდ, ნიუ-იორკის შტატის კანონმდებლობით, თუ პირის შემოსავალი შედგება მხოლოდ სოციალური დახმარებისგან, მაშინ აღნიშნული თანხა მთლიანად თავისუფლდება დაყადაღებისგან. იმ შემთხვევაში კი, თუ მოვალის შემოსავალი აღემატება დაცულ მინიმუმს, მაშინ სახელფასო შემოსავლის 90%, ან სუფთა შემოსავლის თანხა, რომელიც გადასახადების გადახდის შემდეგ რჩება 75% [იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო მეტი], არ ექვემდებარება ყადაღას.

ამავე კანონმდებლობით განსაზღვრულია ყადაღისგან გათავისუფლებული თანხის სახეები, ესენია: 1. სოციალური დახმარება, 2. ერთჯერადი სარგებელი, 3. ალიმენტი, 4. სახელმწიფო დახმარების ნებისმიერი ფორმა, 5. სახელმწიფო დახმარების დროს გამომუშავებული ნებისმიერი შემოსავალი, 6. მუშაკთა დახმარება/კომპენსაცია, 7. დამატებითი დაზღვევა, 8. სახელმწიფო და კერძო პენსიების უმეტესობა, 9. საპენსიო ანგარიშები, 10. ვეტერანების დახმარება და 11. უმუშევართა დაზღვევა¹⁶.

7. საარსებო მინიმუმი

დიდ ყურადღებას ითხოვს, ერთი მხრივ, გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტური საშუალებების დაბალანსება და, მეორე მხრივ, მოვალის ინტერესების გათვალისწინება ღირსებისა და უსაფრთხოების ნაწილში. ეს ეხება გადაწყვეტილების აღსრულების ყველა ასპექტს, განსაკუთრებით იმ შემოსავლის ჩამორთმევას, რაზეც მოვალეა დამოკიდებული, კერძოდ, საკვებს, თავშესაფარს, ტანსაცმელს და სხვა საჭიროებებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის ღირებულებებს. დადგენილია, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებთა შორის უმეტესობა მარტოხელა დედები არიან¹⁷.

¹⁵ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. 16.04.1999. მუხლი 45. პუნქტი 1. ქვეპუნქტი „ზ“. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442>

¹⁶ FROZEN BANK ACCOUNT IN NEW YORK CITY, Law Office of Simon Goldenberg, PLLC, 3.08.2015 <http://www.goldenbergfirm.com/Debt-Relief-Blog/2015/August/Exempt-Income-Protection-Act-EIPA-.aspx>

¹⁷ Enforcement of Civil Judgements: Exemption of Judgement Debtors' Income, Law Reform Commission of Nova Scotia, 02.2013. <http://www.lawreform.ns.ca/Downloads/Income%20Exemption%20-%20Discussion%20Paper.pdf>

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ყადაღისაგან გათავისუფლება ეხება საარსებო მინიმუმზე ნაკლებ შემოსავალს. თუ აღმასრულებლისთვის ცნობილია მსგავსი ქონების შესახებ, მისი იდენტიფიცირებაც ცალსახად არის შესაძლებელი. მხოლოდ საარსებო მინიმუმის განსაზღვრითაც შეიძლება წარმოიშვას ხარვეზები, კერძოდ, სააღსრულებო წარმოების დაწყებისთანავე ხდება მოვალე პირის საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთის დაყადაღება. ამ შემთხვევაში ყადაღის დადება ხორციელდება სააღსრულებო წარმოებით განსაზღვრულ მოთხოვნაზე სრულად და, შესაბამისად, საარსებო მინიმუმის ცალკე გამიჯვნა ვერ ხერხდება. ამ ღონისძიების განხორციელების შემდგომ თუ მოვალეს შეეზღუდება კანონით გათვალისწინებული საარსებო მინიმუმით სარგებლობა, მხოლოდ მაშინ შეძლებს იგი მასზე წვდომას, თუ აღმასრულებელს წარუდგენს მისი შემოსავლების შესახებ ინფორმაციას, საიდანაც აღმასრულებელი შეძლებს საარსებო მინიმუმის ხელმისაწვდომობას მოვალისათვის. სხვა შემთხვევაში აღსასრულებლად მიექცევა მოვალის მთლიანი ქონება სარსებო მინიმუმის გათვალისწინების გარეშე. ასე იმიტომ ხორციელდება, რომ, დღევანდელი სისტემის შესაბამისად, აღმასრულებელი სხვაგვარად წარმართვის შესაძლებლობას მოკლებულია. თუმცა აქ მოვალესაც რჩება მისი ინტერესის დაცვის შესაძლებლობა.

საარსებო მინიმუმს განსაზღვრავს სტატისტიკის დეპარტამენტი. თუმცა აღსრულების პროცესში, კონკრეტული წარმოების ფარგლებში, შესაძლებელია მოვალე ითხოვდეს, რომ მას დარჩეს საარსებო მინიმუმი არა მხოლოდ მისთვის, არამედ მასთან მცხოვრები ოჯახის წევრებისთვისაც [მაგალითად, მეუღლე და ორი სრულწლოვანი შვილი]. კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, როგორ უნდა დადასტურდეს ამ შემთხვევაში, თუ ვინ არიან მოვალის კმაყოფაზე მყოფი პირები, ვისზეა მტკიცების ტვირთი.

პრაქტიკაში ასეა: როდესაც მოვალე ითხოვს, რომ აღსრულება არ განხორციელდეს საარსებო მინიმუმზე, რომელიც საჭიროა ოთხსულიანი ოჯახისათვის, აღმასრულებელი მას სთხოვს წარმოადგინოს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მოვალის კმაყოფაზე ოჯახის წევრების ყოფნას. მსგავსი დოკუმენტის გაცემა, ანუ ფაქტის დადგენა, შეუძლია სასამართლოს, თუმცა სამართალწარმოების ფაქტობრივი ვადა ერთ თვეს აღემატება.

ამ შემთხვევაში ვაწყდებით ხარვეზს. საარსებო მინიმუმი თავისი არსით ნიშნავს თანხის იმ ოდენობას, რომლითაც პირს შეუძლია შეიქმნას ის მინიმუმალური პირობები, რომელიც აუცილებელია ადამიანის არსებობისათვის. აქ საუბარია ფიზიკურ არსებობაზე, რადგან სხვა შემთხვევაში შესაძლებელია ფატალურად დასრულდეს მოვალის ან მის შესაძლო კმაყოფაზე მყოფი პირის არსებობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვა საარსებო მინიმუმზე მეტი შემოსავალი აღსრულებას ექვემდებარება და, თუ მოვალის კმაყოფაზე მყოფად გავითვალისწინებთ ოჯახის წევრს, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია არსებობა, ამით ზიანი მიადგება კრედიტორს. ამ შემთხვევაში უმჯობესი იქნება მეტად მოქნილი იყოს აღსრულების წარმომადგენელი.

პრაქტიკაში მსგავსი მდგომარეობის არსებობისას გამოსავალი ასეა დამკვიდრებული: აღმასრულებელი სთხოვს მოვალეს წარადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, თუ ვინ არის ჩაწერილი მასთან ერთად [ეს კონკრეტული ეპიზოდის თვისებურ განხილვას საჭიროებს, რადგან ჩაწერის ინსტიტუტი აქტიურად

აღარ მუშაობს და ის, რომ ვინმე ჩაწერილი კონკრეტულ მისამართზე, მის იქ ცხოვრებას სულაც არ ნიშნავს]. ამიტომ აღმასრულებელმა შესაძლებელია დამატებით მოულოდნელობის რეჟიმში, არასამუშაო დროს განახორციელოს ვიზიტი მოვალის მისამართზე და შეადგინოს ოქმი. ასევე გამოჰკითხოს კორპუსის თავმჯდომარე, ან/და მიმართვით დაავალდებულოს შსს-ს შესაბამისი ორგანოები, მოახდინონ მოკვლევა კონკრეტულ მისამართზე მცხოვრებ პირთა შესახებ.

ამით მხოლოდ იმას დავადგენთ, თუ ვინ ცხოვრობს მოვალესთან ერთად, თუმცა ეს ავტომატურ რეჟიმში მის კმაყოფაზე ყოფნას არ ადასტურებს. შემოსავლის მიღების ყველაზე გავრცელებული ფორმაა შრომითი ანაზღაურება. აღმასრულებელმა შეიძლება დაავალდებულოს მოვალე, წარუდგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ მასთან მცხოვრები პირები არ მუშაობენ არსებულ მომენტში და არც უმუშავიათ უკანასკნელი პერიოდის მანძილზე. მხოლოდ ამის შემდეგ არის შედარებით სრულყოფილი ინფორმაცია, ნამდვილად არიან თუ არა მოვალის კმაყოფაზე მისი ოჯახის წევრები. თუმცა ეს ინფორმაცია სრულყოფილი მაინც არ არის და შესაძლოა მოვალემ შეცდომაში შეიყვანოს აღმასრულებელი, რადგან მისი ოჯახის წევრი შეიძლება არ იყოს შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი, მაგრამ იყოს ხელშემკვრელი მხარე და გარკვეული სამუშაოს სანაცვლოდ იღებდეს შემოსავალს ნაღდი ანგარიშსწორებით.

როგორც Buckwold და Cuming აღწერენ თავიანთ დაკვირვებებში: „ყადაღისგან გათავისუფლება არა მხოლოდ მოვალისა და მისი ოჯახის წევრების საარსებო მინიმუმის შენარჩუნებას ემსახურება, არამედ მათთვის ისეთი პირობების შექმნას, რომ გახდნენ საზოგადოების ჯანმრთელი, პროდუქტიული და საზოგადოებისთვის სასარგებლო წევრები“¹⁸. შემოსავლის იმ მინიმალურმა ზღვარმა, რაც ყადაღისაგან არის გათავისუფლებული, უნდა უზრუნველყოს მოვალისთვის საკმარისი სახსრების შექმნა/შენარჩუნება, რათა ცხოვრების ნორმალური პირობები ჰქონდეს. კერძოდ, არ უნდა მოხდეს დაბალშემოსავლიანი მოვალეებისათვის საცხოვრებელი პირობების არაგონივრულად გაუარესება.

არსებობს დაბალი შემოსავლის - სიღარიბის ზღვრის 3 მთავარი საზომი, რომელიც კანადურ სტატისტიკაში გამოიყენება: 1. დაბალი შემოსავლის ზღვარი (LICO), 2. დაბალი შემოსავლების მაჩვენებელი (LIM) და 3. საბაზრო კალათის აღნიშნული სექციები განსაზღვრავენ საარსებო მინიმუმის პრაქტიკულობას, სამართლიანობასა და ეფექტურობას და არც ერთი მათგანი არ ექვემდებარება ყადაღას.

LICO წარმოადგენს შემოსავლის ზღურბლს, რომლის მონაცემები მოპოვებულია კანადის სტატისტიკის მიხედვით. აღნიშნული მიუთითებს შემოსავლის მინიმალურ ოდენობას, რომელიც პირს ან ოჯახს უნდა ჰქონდეს ცხოვრების ნორმალური პირობებისთვის¹⁹. LICO განსაზღვრავს შემოსავლის იმ ზღვარს, რომლის ქვემოთ ოჯახი თავისი შემოსავლის უდიდეს ნაწილს სურსათის, თავშესაფრისა და ტანსაცმლისთვის იყენებს.

¹⁸Tamara M. Buckwold & Ronald C.C. Cuming, Final Report: Modernization Of Saskatchewan Money Judgment Enforcement Law (Saskatoon: University of Saskatchewan, 2005) at 155

¹⁹ Dennis Raphael, Poverty and Policy in Canada: Implications for Health and Quality of Life (Toronto: Canadian Scholars Press, 2007) at 40; Low Income in Canada, supra note 8 at 87.

LIM არის შემოსავლის კიდევ ერთი ზღვარი, რომელსაც აქვეყნებს კანადის სტატისტიკის სამსახური. LIM არის საშუალო ეკონომიკური შემოსავლის ოჯახების ფიქსირებული პროცენტული ოდენობა (50%)²⁰.

MBM-ის ზღვრული ოდენობა წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვანი საქონლისა და მომსახურების „კალათის“ ღირებულებას და ის უფრო კარგად აღწერს მინიმალური საცხოვრებელი პირობებისთვის საჭირო ოდენობას, ვიდრე LICO ან LIM. ეს საქონელი და მომსახურება მოიცავს კვებას, თავშესაფარს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ტრანსპორტირებას, პირადი ჰიგიენის ნივთებს, საყოფაცხოვრებო საჭიროებებს, ავეჯს, სატელეფონო მომსახურებას, სასკოლო ნივთებს და გასართობ ღონისძიებებს. MBM-ის ღირებულება თითოეული პროვინციისა და პროვინციის თითოეული რეგიონებისათვის ცალ-ცალკე ფასდება.

The Basic Needs Poverty Line [ძირითადი საჭიროებები] განსაზღვრავს სიღარიბეს არასაკმარისობის და არა არათანაბრობის თვალსაზრისით. შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიება განსაზღვრავს ძირითად საჭიროებებს, რომელთა გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია, კერძოდ, საკვებს, თავშესაფარს, ტანსაცმელს, ჯანდაცვას, პირად ჰიგიენას, აუცილებელ ავეჯეულობას, ტრანსპორტირებას, კომუნიკაციას, სახლის დაზღვევას და სხვას. მიუხედავად იმისა, რომ მეთოდოლოგია MBM-ის ზღვრული თანხის გაანგარიშების მსგავსია, ძირითადი საჭიროებები მოიცავს ბევრად უფრო ვიწრო ზომებს, ვიდრე MBM-ის მიერ განხილული. მაგალითად, 2006 წლის The Basic Needs Poverty Line ოთხ პირიან ოჯახში იყო 22,852 \$, გადასახადების ჩათვლით. ამის საპირისპიროდ, MBM-ის მონაცემებით თანხა შეადგენდა 29,073 დოლარს, გადასახადების, სახელფასო გამოქვითვების, ბავშვის მოვლის, ბავშვისა და შვილობილის მხარდაჭერის, სამედიცინო ხარჯებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის პრემიების გარეშე. შესაბამისად, ის არ ისახავს მიზნად ცხოვრების სტანდარტის ასახვას ან სოციალურ ჩართულობას.

აშშ ფედერალური სამომხმარებლო საკრედიტო დაცვის აქტი ითვალისწინებს შემოსავლის მაქსიმალურ დონეს, რომელიც შეიძლება ხელფასის ჩამოჭრის შემთხვევაში დაყადდეს. იმ შემთხვევაში, თუ კვირაში ერთხელ ხდება თანხის ჩამოჭრა, ის არ უნდა აღემატებოდეს თანამშრომლის ერთჯერადი მოგების 25%-ს.

მინიმალური შემოსავლის დეფინიცია განსხვავდება კანადის მასშტაბით. მაგალითად, ნიუ-ბრაუნსვუიკში ხელფასი საერთოდ არ ექვემდებარება ყადაღას; ონტარიოში მინიმალური შემოსავლის ზღვრული ოდენობა არ არსებობს; ალბერტაში შემოსავლის 50% ექვემდებარება ყადაღას. მინიმალური დონე 800 \$-ს შეადგენს თვეში, გარდა ამისა, 200 \$-ს თითოეული იმ პირისთვის, ვინც მოვალის კმაყოფაზე ცხოვრობს²¹.

The Income Tax Act [შემოსავლის საგადასახადო აქტი] ითვალისწინებს, რომ კმაყოფაზე მყოფი პირი არის „პირი, რომელიც წელიწადის ნებისმიერ დროს დამოკიდებულია

²⁰ Statistics Canada, Low Income Measures (2007-2008) online: <http://www.statcan.gc.ca/pub/75f0002m/2009002/s3-eng.htm>

²¹ Enforcement of Civil Judgements: Exemption of Judgement Debtors' Income, Law Reform Commission of Nova Scotia, 02.2013, <http://www.lawreform.ns.ca/Downloads/Income%20Exemption%20-%20Discussion%20Paper.pdf>

მოვალის მხარდაჭერაზე, მოვალის ან მისი მეუღლის/პარტნიორის შვილი ან შვილი-შვილია“²².

როგორც ვნახეთ, კანადაში ჯერ კიდევ ათი წლის წინ დიდი ყურადღება ექცეოდა მოვალისთვის საარსებო მინიმუმის განსაზღვრას და ის იმდენად მოქნილი და მოცულობითია, რომ, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ფუფუნებადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

საბოლოოდ შევჯერდით, რომ გამოსავალი ისევ აღმასრულებლის გადასაწყვეტია. ამ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს, რომელი მოქმედება უფრო მეტი ზიანის მომტანი შეიძლება იყოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იქნეს გადაწყვეტილება მიღებული.

8. მოვალის არსებობისთვის გათვალისწინებული მინიმალური ქონება

ქართული კანონმდებლობის ხარვეზები

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში თითქოს კარგად არის ჩამოყალიბებული იმ ქონების ჩამონათვალი, რომელიც ყადაღას არ ექვემდებარება, თუმცა ამ ნორმათა პრაქტიკაში რეალიზაციის დროს ხშირად ვხვდებით ხარვეზებს. საუბარია იმაზე, რომ თეორიულად კი არის განსაზღვრული ქონება, მაგრამ ამა თუ იმ ნორმის პრაქტიკაში ზედმიწევნით შესრულება შეუძლებელია კონკრეტულის არარსებობის გამო. შესაბამისად, საჭიროა მეტი სიზუსტე იმისთვის, რომ სააღსრულებო წარმოების უშუალო პროცესში აღმასრულებელს არ უწევდეს გადაწყვეტილების მიღება ვარაუდის დონეზე.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ვკითხულობთ, რომ ყადაღას არ ექვემდებარება „პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალისთვის თავისი პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის“. გამომდინარე იქიდან, რომ ქონების ზუსტი დეფინიცია არა გვაქვს და განმარტება მხოლოდ ამით შემოიფარგლება, აშკარაა, რომ არ არსებობს კონკრეტული ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც დავადგენთ, თუ რა შეიძლება იყოს ეს ნივთები, ან რა რაოდენობისაა, რა ღირებულების ჩაითვლება პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთებად, რომელიც აუცილებელია მოვალის პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა თუ საოჯახო მეურნეობისთვის.

თითქმის იმავე განმარტებითაა განსაზღვრული ამავე კანონის „ე“ ქვეპუნქტით ის ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება მოხდეს გადახდევინება; კერძოდ, ყადაღას არ ექვემდებარება „პირებისათვის, რომლებიც შემოსავალს იღებენ თავიანთი ფიზიკური თუ გონებრივი შრომით ან სხვა საქმიანობით, ასეთი საქმიანობისათვის საჭირო ნივთები“. რა შეიძლება ამ კანონის მიზნებისთვის ასეთ ნივთებად მივიჩნიოთ? როგორ უნდა მოხდეს იდენტიფიკაცია, როდესაც აღმასრულებელი ახდენს მოძრავი ქონების დაყადაღებას? როგორც ვიცით, როცა აღმასრულებელი მიდის მოვალის საცხოვრებელ ადგილას, სადაც უნდა მოახდინოს მოძრავი ქონების აღწერა-დაყადაღება, იგი უფლებამოსილია დაათვალიეროს ყოველი

²² Income Tax Act, s 118(6)(a)

სათავსო. თუ აღმოჩნდა რომ მოვალე პროფესიონალი მუსიკოსია, მუშაობს ბენდში ან ამეცადინებს მოსწავლეებს, ან თუნდაც ქუჩის მუსიკოსია და უკრავს გიტარას, გამოდის, რომ გიტარა არის პირადი მოხმარების, პროფესიული საქმიანობისთვის განკუთვნილი ნივთი, ანუ არ ექვემდებარება ყადაღას. თუ ადგილზე დახვდება ძვირადღირებული გიტარა, რომლის ღირებულებაც 15 000 ლარზე მეტია, აღმასრულებელმა ამ შემთხვევაშიც არ უნდა დაუქვემდებაროს ყადაღას აღნიშნული ნივთი? ან იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის საცხოვრებელ მისამართზე დათვალიერების დროს აღმასრულებელი ნახავს რამდენიმე [მაგ. ოთხ-ხუთ] სხვადასხვა ღირებულების გიტარას, არც ერთი არ ექვემდებარება ყადაღას?

როგორ უნდა მოიქცეს აღმასრულებელი, რათა მისი ქმედება იყოს კანონიერი და სამართლიანიც, იმის გათვალისწინებით, რომ ამ რაოდენობის ინსტრუმენტების ჯამური ღირებულება შეიძლება 50 000 ლარსაც აჭარბებდეს და ერთ-ერთის რეალიზაციითაც კი იყოს შესაძლებელი სააღსრულებო წარმოებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება. ამ საკითხის განხილვისას კიდევ ერთი საინტერესო ფაქტის წინაშე ვდგებით, კერძოდ, როგორ გაარკვიოს აღმასრულებელმა, არის თუ არა ნივთი აუცილებელი პროფესიული საქმიანობისთვის, ან მნიშვნელოვანი და საჭირო ფიზიკური თუ გონებრივი შრომისთვის? არსებობს კიდევ უფრო რთული ვითარებები. მაგალითად, თუ შეგხვდება სპეციფიური პროფესიის მქონე მოვალე, როგორ უნდა მიხვდეს აღმასრულებელი მისთვის საჭირო ნივთებს? და მეორე, როგორ შეიძლება მოვალემ დაარწმუნოს აღმასრულებელი, რომ ეს ნივთი მას პროფესიული საქმიანობისთვის თუ შემოსავლის მიღებისთვის სჭირდება? მაგალითად, თუ მოვალეს ჰყავს ავტომობილი, როგორ უნდა დაამტკიცოს, რომ ამით ღებულობს შემოსავალს, თუ ის პერიოდულად იყენებს ამ ავტომობილს ტაქსად? თუ მოვალე მუშაობს და თან, ამის პარალელურად, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, პერიოდულად ავტომობილს იყენებს ტაქსად, ამ შემთხვევაშიც არ დაექვემდებარება ყადაღას ეს ავტომანქანა?

საქართველოს კანონმდებლობით, ასევე, არ ექვემდებარება ყადაღას „მოვალის, მისი ოჯახისა და მასთან ერთად მცხოვრები პირებისათვის ოთხი კვირის საკვები, საწვავი და სანათი საშუალებები, ან თუ დროის ამ მონაკვეთისათვის ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შექმნა სხვა გზით არ არის შესაძლებელი, მაშინ მათ შესაძენად საჭირო თანხა“. ეს მოცემულობაც მოკლებულია კონკრეტიზაციას. როგორ განსაზღვროს აღმასრულებელმა ეს ქონება, როდესაც ხორციელდება სააღსრულებო მოქმედება. აქაც არის სამი მიმართულების გაურკვევლობა: 1. რატომ არის ცალ-ცალკე გამოყოფილი ოჯახი და მასთან მცხოვრები პირები. მოიაზრება, რომ ოჯახის წევრი მაინც უნდა იქნეს გათვალისწინებული, მიუხედავად იმისა, ცხოვრობს თუ არა მოვალესთან? ან უნდა დაფიქსირდეს ის ფაქტი, რომ მოვალის კმაყოფიანება მისი ოჯახის წევრი? 2. ვინ შეიძლება ჩაითვალოს მოვალესთან ერთად მცხოვრებ პირად და როგორ უნდა დადგინდეს ეს ფაქტი? 3. როგორ გამოთვალოს აღმასრულებელმა, რა რაოდენობის საკვები, საწვავი თუ სანათი საშუალება დასჭირდებათ მოვალეს და მასთან მცხოვრებ პირებს ოთხი კვირის განმავლობაში, ან, მსგავსი მარაგის არქონის შემთხვევაში, რამდენს შეადგენს ამისთვის საჭირო თანხა?

ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება მოხდეს გადახდევინება, თითქოს უფრო მკვეთრადაა განსაზღვრული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, რომლის თანახმადაც ყადაღას არ ექვემდებარება „წვრილ-ფეხა საქონელი შეზღუდული რაოდენობით, ასევე ერთი მეწველი ძროხა, ან მოვალის არჩევანით - ორი ღორი, ცხვარი ან თხა, თუ ისინი აუცილებელია მოვალის, მისი ოჯახის ან მასთან ერთად მცხოვრები პირების გამოსაკვებად; ასევე სამი თვის სამყოფი პირუტყვის საკვების და ნამჯის მარაგი, ან თუ ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შეძენა ამ დროისათვის სხვა გზით არ არის უზრუნველყოფილი, მათ შესაძენად საჭირო ფულადი თანხა“²³. როგორ ჩანს, ამ პუნქტის მიზანია, იმ შემთხვევაში, თუ მოვალეს ჰყავს შინაური ცხოველები, არ მოხდეს მოვალის ქონების რეალიზაცია იმგვარად, რომ ვეღარ შეძლოს თავის რჩენა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ცხოველების კონკრეტული ჩამონათვალი მოვალეს ართმევს შესაძლებლობას საჭიროების შემთხვევაში თავად აირჩიოს, თუ რომელი მათგანი სურს, რის გამოც ღირებულების ეკვივალენტისა თუ შინაარსის შესაბამისად ცხოველების არჩევის საშუალება მას სრულად უნდა ეძლეოდეს. მაგ.: თუ მოვალეს ჰყავს რამდენიმე კამეჩი [ეს სახეობა საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში], გამოდის რომ ყადაღას ექვემდებარება სრული ოდენობა და ეს კონკრეტული პუნქტი აღმასრულებელს ვერ მისცემს შესაძლებლობას, თუნდაც ერთი ერთეული დაუტოვოს მოვალეს თავის რჩენისათვის. ეს პუნქტი ძირითადად გამოიყენება სოფლებში და ვფიქრობ, მსგავსი საკითხები მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. რაც შეეხება ვადით განსაზღვრულ რაოდენობას, ესეც პრობლემას წარმოშობს და აღმასრულებლის კეთილ ნებაზე ხდის დამოკიდებულს მოვალეს. თუ ამ პუნქტს იმგვარად შევხედავთ, რომ ეს ჩამონათვალი შეიძლება წინა პუნქტიდან შეივსოს, რომელიც საკვებზე ყადაღის დადებას გამორიცხავს, მაშინ შეიძლება რაოდენობრივ პრობლემას წავაწყდეთ.

როგორც ვხედავთ, ძირითადად ერთი ტიპის პრობლემას ვხვდებით. ასევე კიდევ ერთი პუნქტი, რომლის თანახმადაც ყადაღას არ ექვემდებარება „პირებისათვის, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევენ, სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, პირუტყვი, სასუქი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რამდენადაც ისინი საჭიროა მოვალის, მისი ოჯახის და დაქირავებული მუშების შესანახად, ან მომავალი მოსავლის აღებად იგივე ანდა მსგავსი პროდუქცია მეურნეობის შემდგომი წარმართვისათვის“. მოცემულობა აქაც ზოგადია და აღმასრულებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. თუმცა ამ შემთხვევაში შეიძლება ისიც უძლური აღმოჩნდეს და ვერ მოახდინოს ამ ქონების იდენტიფიცირება კანონის ჩანაწერთან.

9. განვითარებული ქვეყნების მაგალითები

საინტერესოა, ზემოაღნიშნული კანონმდებლობა ქართულისგან განსხვავებულ რა რეგულაციებს იცნობს იმ მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რომლიდანაც არ შეიძლება მოხდეს გადახდევინება. უპირველეს ყოვლისა, ყადაღისგან თავისუფლდება: საყოფაცხოვრებო ნივთები: ავეჯი, ტანსაცმელი, ხელსაწყოები და სხვა; სამედიცინო აღჭურვილობა,

²³ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი.

მაგალითად, სავარძელი შშმ პირისთვის; 1 ტელევიზორი; 1 რადიო; 1 კომპიუტერი და 1 მობილური; პირადი მოხმარების ნივთები, რაც გულისხმობს თუნდაც სამკაულებს, ან მხატვრობას, რომელიც არ აღემატება 1000 \$-ს; სამუშაოსთვის საჭირო და პროფესიისთვის აუცილებელი ნივთები/ხელსაწყოები; 1000 \$-ის ღირებულების პირადი საკუთრების ნივთები ან ნაღდი ფული²⁴; მნიშვნელოვანია ითქვას, რომ, ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, უფრო მეტად დაკონკრეტებულია იმ ქონების ჩამონათვალი და იდენტიფიკაცია, რომლიდანაც არ შეიძლება მოხდეს გადახდევინება. თუნდაც ის ფაქტი, რომ შშმ პირებისთვის განკუთვნილი სავარძელი არ ექვემდებარება ყადაღას, ნათელს ჰყენს კანონის მიზანს, რომ კომპეტენტური ორგანოს მიერ აღსრულებას ქვემდებარე გადაწყვეტილების შესრულება არ გადაიქცეს სასჯელად მოვალე პირისათვის. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად ნივთების ჩამონათვალისა, მათი რაოდენობაც განსაზღვრულია, განსხვავებით ქართული კანონმდებლობისაგან, სადაც, თუ კანონით გათვალისწინებულ კონკრეტულ ქონებას მივიჩნევთ ყადაღისაგან გასათავისუფლებელ ობიექტად, რაოდენობა არ არის განსაზღვრული და იმ შემთხვევაში, თუ პირისთვის პირადი მოხმარების ნივთია კომპიუტერი, ის, რაოდენობის მიუხედავად, ყადაღას არ დაექვემდებარება. რაც შეეხება პროფესიისთვის საჭირო ნივთებს, მართალია, როგორც ნიუ-იორკის, ასევე ქართული კანონმდებლობით, ისინი იმ ქონების ჩამონათვალში შედის, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება, თუმცა, ქართული რეგულაციისგან განსხვავებით, იქ არის დადგენილი ღირებულება, რასაც არ უნდა აღემატებოდეს ამ ნივთების ფასი.

აშშ-ს შტატებში განსხვავებული რეგულაციებია მსგავს საკითხებთან მიმართებაში. თუმცა ძირეული პრინციპები, უმეტესად, ერთგვაროვანია. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ნიუ-მექსიკოს შტატის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ყადაღას არ ექვემდებარება მოვალის რამდენიმე სახის ქონება, კერძოდ: 1. ქონება, რომლის ღირებულება არ აღემატება გარკვეულ თანხას; 2. ქონება, ღირებულების მიუხედავად და 3. ნებისმიერი ქონება, რომლის მიმართაც გამოიყენება ჩანაცვლების ბარათი (wildcard). პირველი ტიპის გამონაკლისები იცავს ისეთ ქონებას, რომელიც თანხის ლიმიტში ექცევა. მაგალითად, ნიუ-მექსიკოს შტატი პირს აძლევს უფლებას ჰყავდეს 4 000 დოლარის ღირებულების ავტომობილი, შესაბამისად, თანხის გადახდევინების შემთხვევაში შესაძლებელია შენარჩუნებულ იქნეს მანქანა, რომელიც ღირს 4 000 \$ ან მასზე ნაკლები. თუმცა მისი შენარჩუნება პირს შეუძლია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქონება დაწესებულ ლიმიტზე გაცილებით მეტი ღირს, მაგრამ მას არა აქვს გადახდილი აღნიშნული ავტომობილის საფასური და არც გაყიდვის შედეგად შეგროვდება გადასახდელი თანხის ოდენობა. მაგალითად, თუ პირს ჰყავს 20 000 დოლარის ავტომობილი, მაგრამ გადასახდელი აქვს 16 000 დოლარი, აღნიშნულის გაყიდვის შედეგად 16 000 \$-ის გადახდა იქნება საჭირო ავტომობილის გამყიდველისთვის, ხოლო 4 000 დარჩება პირს. შესაბამისად, მას აღარ ექნება შესაძლებლობა გადაიხადოს კრედიტორისთვის მისაცემი თანხა, რის გამოც აღნიშნული ქონება არ დაექვემდებარება ყადაღას. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუკი პირის მიერ გადახდილი თანხა აღემატება ლიმიტს,

²⁴ „WHAT IS EXEMPT FROM DEBT COLLECTION?“ Neighborhood Economic Development Advocacy Project, Inc. <http://www.neweconomyinc.org/what-is-exempt-from-debt-collection-2/>

კრედიტორს შეუძლია გაყიდოს ნივთი და დაუბრუნოს მოვალეს იმ ოდენობის თანხა, რაც კანონის მიხედვით რჩება მოვალესთან და ასევე ის თანხა, რომელიც დარჩება ბაჟისა და ხარჯების გადახდის შედეგად. 2. მეორე ტიპის გამონაკლისი აძლევს პირს შესაძლებლობას შეინარჩუნოს ქონება ღირებულების მიუხედავად [მაგალითად, მაცივარი, ქურა, საკერავი მანქანა და ხალიჩები]. 3. ზოგიერთი შტატის კანონმდებლობის თანახმად, მოვალეს შეუძლია გამოიყენოს ჩანაცვლების ბარათი განსაზღვრული თანხის ოდენობით ნებისმიერი სახის ქონებაზე, მიუხედავად იმისა, ექვემდებარება თუ არა ის ყადაღას. მაგალითად, თუკი პირს ჰყავს 3 000 \$-ის გემი/ხომალდი და ის ექვემდებარება ყადაღას, იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს 5 000 \$-ის ლიმიტის მქონე ბარათი, შესაბამისად, ექნება შესაძლებლობა ნივთი გაათავისუფლოს ყადაღისგან, ხოლო დარჩენილი 2 000 \$ შეუძლია გამოიყენოს სხვა ნივთების გაათავისუფლებისთვის. არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როცა, მაგალითად, ავტომობილის ღირებულება შეადგენს 5 000 \$-ს, მაგრამ შტატი აძლევს პირს მხოლოდ 1 500 \$-ის ღირებულების ქონების გაათავისუფლების უფლებას, აღნიშნულ შემთხვევაში ნივთი დაექვემდებარება ყადაღას. თუმცა, თუკი შტატს აქვს 5 000 \$-ის ლიმიტის ჩანაცვლების ბარათი, 1 500 \$-ს დაემატება ბარათის 3 500 \$ და ბარათზე დარჩენილი 1 500 დოლარით პირს შეეძლება სხვა ნივთები გაათავისუფლოს ყადაღისგან [7, 1-3].

შტატების უმრავლესობაში მოვალე ვერ მოითხოვს ყადაღისგან ქონების გაათავისუფლებას, თუკი ვალის აღება განპირობებული იყო საყოფაცხოვრებო აუცილებლობისათვის, მაგ., ქირავნობის ან გირავნობის შემთხვევებში, ტანსაცმლის, კომუნალურების ან საჭმლისათვის. კანონი ამბობს, რომ მოვალემ უნდა გადაიხადოს თავისი მოთხოვნილებებისთვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი აღნიშნულის გადახდა მას ძალიან უჭირს²⁵.

ინგლისის კანონმდებლობით უფრო ზოგადად არის ჩამოყალიბებული ის ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება მოხდეს გადახდევინება. თუმცა ამ შემთხვევაში აღმასრულებელი [შესაბამისი ოფიცერი] უფლებამოსილია განსაზღვროს, შესაძლებელია თუ არა კონკრეტული ქონებიდან მოხდეს გადახდევინება კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში. აღმასრულებელს [შესაბამის ოფიცერს] შეუძლია ყადაღას დაუქვემდებაროს ნებისმიერი რეალიზებადი ქონება, თუკი მას აქვს გონივრული საფუძველი ივარაუდოს, რომ: 1. წინააღმდეგ შემთხვევაში ქონება შეიძლება გახდეს გამოუსადეგარი ნებისმიერი კონფისკაციის ბრძანებისთვის, რომელიც შესაძლოა გამოტანილ იქნეს მოპასუხის მიმართ; ან - 2. წინააღმდეგ შემთხვევაში ქონების ღირებულება შესაძლებელია შემცირდეს მოპასუხის ან სხვა პირის მოქმედების შედეგად, თუმცა, 47C პარაგრაფის მიხედვით, ოფიცერს შეუძლია არ დაუქვემდებაროს ყადაღას შემდეგი ქონება: 1. ნაღდი თანხა, რაც გულისხმობს მონეტებს და ბანკნოტებს ნებისმიერ ვალუტაში. ნებისმიერი სახის ჩეკი [სამგზავრო ჩეკების ჩათვლით], უსახელო ობლიგაციები, უსახელო წილები; ან - 2. ყადაღისგან თავისუფალი ქონება, მაგალითად, ხელსაწყოები, წიგნები, სატრანსპორტო საშუალებები თუ სხვა ნივთები, რომლებიც საჭიროა პირის პირადი მოხმარებისთვის, დასაქმების, ბიზნესისა თუ ხელობის ფარგლებში. ეს, აგრეთვე, შეიცავს ისეთ ტანსაცმელს, საწოლს, ავეჯს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, სურსათ-სანოვავებს თუ სხვა ნივთებს, რაც აუცილებელია პირისა და

²⁵ Margaret Reiter, „Using Exemptions to Protect Property From Judgment Creditors“.

<http://www.nolo.com/legal-encyclopedia/using-exemptions-protect-property-from-judgment-creditors.html>

მისი ოჯახის ძირითადი და საოჯახო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად²⁶. ინგლისის კანონმდებლობაში დამატებით ვხვდებით ქონების ჩამონათვალს, რომელიც არ ექვემდებარება ყადაღას, კონკრეტულად კი: 1. განვადებით გამოტანილი ავტომობილი ან სხვა ნივთი; 2. მალფუჭებადი საკვები; 3. პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ნივთები, რომელიც არ აღემატება 200 \$-ს; 4. ნებისმიერი ქონება, რომელიც სასამართლოს მიერაა მიკუთვნებული და 5. მოვალის ტანსაცმელი და საოჯახო საქმიანობისთვის არსებითად საჭირო ავეჯი.²⁷

ზემოხსენებული ქვეყნებისაგან განსხვავებული რეგულაცია აქვს ავსტრალიას. აღმასრულებელს შეუძლია დააყადაღოს ისეთი პირადი ნივთები, როგორცაა ფული, ავეჯი, ტელევიზორი თუ რადიო, ელექტროტექნიკა, ავტომობილი, ასევე ჩეკები, თამასუქები და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ნივთები ეკუთვნოდეს მოვალეს, რადგან განვადებით აღებული ან ნაქირავები ნებისმიერი ქონება, რომელიც მოვალეს აქვს [მაგალითად, ნივთები, რომლებიც მოვალის კეთილმოწყობილი მისაღები ოთახის შემადგენელი ნაწილია, თუმცა ის სახლს ახლდა დაქირავების დროს], ან ეკუთვნის სხვა პირს, მოვალის მეუღლეს ან ნათესავს, არ შეიძლება დაყადაღდეს. მაგისტრატი მოსამართლის მიერ გამოცემული სააღსრულებო ფურცლის [ორდერის] შესრულებისას აღმასრულებელს არა აქვს უფლება ყადაღა დაადოს თუნდაც მოვალის კუთვნილ ნებისმიერ ტანსაცმელსა თუ საწოლს, თუ მას იყენებს თვითონ ან მისი ოჯახის წევრები. აღმასრულებელს, ასევე, არ შეუძლია დააყადაღოს მოვალის ინსტრუმენტები და იარაღები, რომლებიც გამოიყენება ვაჭრობის [საქმიანობის] ფარგლებში და რომლის ფასი არ აღემატება 3 000 \$-ს [მაგალითად, საკერავი მანქანა]. აღმასრულებელი ვალდებულია მოვალეს მისცეს 7 დღის ვადა ქონების დაყადაღებიდან მის გაყიდვამდე, რათა ჰქონდეს შესაძლებლობა სურვილის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს ნივთების ყადაღისგან გათავისუფლების თაობაზე. აქვეა, ასევე, დანაწესი იმის შესახებ, რომ თუკი ნივთების წამოღებით პირს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელი მინიმალური პირობები ერთმევა [უტოლდება ლატაკის მდგომარეობას], სასამართლომ შესაძლოა გასცეს ბრძანება ნივთების მოვალისთვის უკან დაბრუნების თაობაზე.²⁸

10. რეზიუმე

ქართულ კანონმდებლობაში ვხვდებით ჩანაწერს, რომ „დავა გადახდევინებისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ განიხილება სასამართლო წესით“²⁹. გამოდის, რომ, თითქოსდა, დაცულია მოვალის ინტერესი, მიუხედავად იმისა, რომ კანონის ის მუხლი, სადაც

²⁶ DRAFT CODE OF PRACTICE ISSUED UNDER SECTION 47S OF THE PROCEEDS OF CRIME ACT 2002, Search, Seizure and Detention of Property (England and Wales), 12. 2015, https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/486166/53002_CoP_Web.pdf

²⁷ MyLawyer, „Seizing property if defendant can't pay“ <https://www.mylawyer.co.uk/law-a-A76076D76971/?A76076D76971>

²⁸ Hobart Community Legal Service. 2013. „Seizure“ <http://www.hobartlegal.org.au/tasmanian-law-handbook/consumers-money-and-debts/debt/bailiff-powers/seizure>

²⁹ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. 16.04.1999. მუხლი 45. პუნქტი 1. ქვეპუნქტი „ზ“. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442>

ჩამოთვლილია ქონება, რომელიც არ ექვემდებარება ყადაღას, ბუნდოვანია. ანუ თუ დაყადაღდება ქონება, რომელსაც შესაძლოა ეს პუნქტი მოიცავდეს, მაგრამ აღმასრულებელმა ვერ შეძლო განსაზღვრა და შეიტანა ყადაღის აქტში, მოვალეს რჩება უფლება ამ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლებაზე სასამართლო წესით იდაოს და შედეგსაც მიაღწიოს. თუ გავითვალისწინებთ სასამართლო ვადებს, ამ შემთხვევაში დავრწმუნდებით, რომ გაცილებით უკეთესია ზუსტი განსაზღვრება იყოს კანონში, ვიდრე შედეგი სასამართლოს შემდგომ დადგეს, რადგან, თუ დავა იქნება, მაგალითად, საკვებ პროდუქტზე, საკმაოდ ცუდ შედეგს მივიღებთ, სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად.

უამრავი აქტი და ნორმა მიღებული/დადგენილი ორივე მხარის უფლებების დასაცავად და, როდესაც გადახდის ვადა გასულია, კონფლიქტის ეფექტური და ეთიკური გადაწყვეტა ხშირად მიიღწევა კრედიტორისა და მოვალის უფლებებს შორის ფრთხილი ბალანსის დაცვით. ეფექტური სასამართლო სისტემა არის გადამწყვეტი ბაზრის განვითარებისათვის. როგორც რიჩარდ პოზნერი ამტკიცებს, გამსესხებლებმა [და, ზოგადად, კრედიტორებმა] შესაძლოა დაუშვან გაუმართლებელი რისკი. აღსრულების სამართლებრივი სისტემა შედგება მხარეების არსებითი და პროცესუალური უფლებების დაცვის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მიზეზებისგან. მოვალის გარკვეული ქონება, ისევე როგორც გარკვეული რაოდენობის თანხის გამომუშავება, თავისუფლდება ყადაღისაგან. აღნიშნული, უმთავრესად, აიხსნება მოვალის ფუნდამენტური, კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებებით. თუმცა, რა თქმა უნდა, კონსტიტუცია ამ საკითხს დეტალურად არ აწესრიგებს. კრედიტორის უფლებების გარკვეული შეზღუდვა მნიშვნელოვანია ჰუმანურობის/ადამიანურობის შესანარჩუნებლად, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური მიზეზები, რადგან ეს აიძულებს კრედიტორს თავიდანვე აკონტროლოს, ზედამხედველობა გაუწიოს და, ამასთან, თავიდან აიცილოს ჭარბი დავალიანება.

ევროკავშირი გვამღებს ეფექტური და სამართლიანი სააღსრულებო წარმოების სარგებლიანობის საინტერესო ნიმუშს. როგორც თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის არეალი, სადაც ფუნდამენტური თავისუფლება უნდა იყოს გარანტირებული, ევროპული სააღსრულებო წარმოება შეიცავს მრავალ საჯარო, კერძო და პროცედურულ-სამართლებრივ ღონისძიებას. მაშინ, როდესაც სააღსრულებო მექანიზმი დაეხმარა ერთიანი ბაზრის თანდათანობით კონსოლიდაციას, ეროვნული სასაზღვრო რაიონები აგრძელებენ ისეთი ბარიერების წარმოქმნას, რომელსაც შეიძლება თავი შეაფაროს მოვალემ და ზოგჯერ უფლებებელყოს კრედიტორის უფლებები³⁰.

როგორც ევროსაბჭოს რეკომენდაციებშია მითითებული, ასევე პრაქტიკამაც გვაჩვენა, რომ აუცილებელია მოხდეს მოვალისათვის მინიმალური ქონების დატოვება, რათა მან შეძლოს თავის რჩენა. ეს ქონება კი აუცილებელია კანონში ზედმიწევნით იყოს გაწერილი იმგვარად, რომ აღმასრულებელს არ უწევდეს დამატებით ფიქრი. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ქონება ზუსტად იყოს გათვლილი კმაყოფისთვის, რადგან აღსრულებაში გვყავს კრედიტორიც, რომლის ინტერესების გატარებასაც ემსახურება სააღსრულებო წარმოება.

³⁰ Session 4: Constitution, Fundamental Rights and Law of Enforcement; 4.2 The conflict between The Fundamental Rights of the Creditor and the Debtor.

შესაბამისად, თუ ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება მოხდეს გადახდევინება, არ იქნება რაოდენობრივად შეზღუდული, შესაძლოა ამით მას ზიანი მიადგეს. კანონში ქონება, რომელიც ყადაღას არ ექვემდებარება, იმიტომ არის გაწერილი, რომ მოვალეს შეექმნას არსებობის მინიმალური პირობა. თუ ქონების ჩამონათვალი არ ემსახურება ამ პირობას, დაირღვევა მოვალისა და კრედიტორის უფლებათა ბალანსი. არ შეიძლება ეს რეგულაცია ისე ბუნდოვნად იყოს ჩამოყალიბებული, რომ მოვალემ აღსრულებისთვის თავის არიდების საშუალებად გამოიყენოს. თუმცა ბუნდოვანება შესაძლებელია მოვალის ინტერესის საწინააღმდეგოდაც შემობრუნდეს. კერძოდ, თუ აღმასრულებლის მიერ განსაზღვრული მოვალისა და მასთან მცხოვრები პირების ოთხი კვირის, ან/და იმ ცხოველების სამი თვის სამყოფი საკვებისა და ნამჯის მარაგი, რომელსაც მოვალე აირჩევს, არასაკმარისი იქნება, ზიანი მოვალეს მიადგება, ხოლო ზედმეტობის შემთხვევაში - კრედიტორს.

ზემოთ განხილული ხარვეზებისას მაგალითის სახით მოვიყვანეთ „გიტარა“, რომელსაც მოვალე იყენებს, როგორც პროფესიული ან ისეთი შრომითი საქმიანობისთვის, საიდანაც იღებს შემოსავალს. როგორც გავარკვეით, ეს ნივთი შესაძლებელია მიჩნეული იყოს იმ ქონებად, რომელიც არ ექვემდებარება ყადაღას, თუმცა კანონში არ არსებობს რაოდენობასთან დაკავშირებული რაიმე დათქმა. შესაბამისად, თუ კანონის მოცემულობას პირდაპირ მივიღებთ, იმ შემთხვევაში, როცა ქონება ჯდება ნორმის ჩამონათვალში, რაოდენობის მიუხედავად, ის არ ექვემდებარება ყადაღას. ანუ თუ მოვალეს ამდგვარი ნივთი 4-5 ცალი ექნება, აღმასრულებელი ვერცერთ მათგანს ვერ დაადებს ყადაღას. ამ შემთხვევაში ბალანსის შენარჩუნება შეუძლებელია, რადგან მოვალეს ეძლევა შესაძლებლობა, გაგრძელოს პროფესიული საქმიანობა თუ ფიზიკური შრომით მიიღოს შემოსავალი ამ ინსტრუმენტის შესაძლებლობით იმგვარად, რომ პარალელურ რეჟიმში მოხდეს იმავე დანიშნულების სხვა ერთეულის რეალიზაცია და ამით იმაზე მეტი სარგებლის მიღება, ვიდრე კანონით აქვს მინიჭებული.

11. დასკვნა

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, იმისათვის, რომ არ მოხდეს მოვალისა და კრედიტორის უფლებათა ბალანსის დარღვევა, საჭიროა კანონმდებლობაში მოხდეს ქონების [რომლიდანაც არ შეიძლება დაიშვას გადახდევინება] მაქსიმალურად დაწვრილებითა და კონკრეტულობით გაწერა. როგორც აღვნიშნეთ, ზემოხსენებული ფაქტებიდან გამომდინარე, დღეს ეს სხვაგვარადაა.

იმისთვის, რომ მოვალისა და კრედიტორის უფლება უფრო მეტად იყოს დაცული და აღმასრულებლის კეთილ ნებაზე დამოკიდებულებაც გამოირიცხოს [ან თუნდაც თავიდან ავარიდოთ შეცდომა], საჭიროა კანონის დახვეწა; კერძოდ, პუნქტი, სადაც არის ეს მოცემულობა, იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მაქსიმალურად შეუმცირდეს აღმასრულებელს თავსატეხი, იყოს ზედმიწევნითი და კონკრეტულად განსაზღვრული, ისე რომ ზიანის მიყენების საფრთხე მინიმუმამდე დავიყვანოთ.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლში ჩამოთვლილია მოვალე მხარის მინიმუმ ყოფით საჭიროებისთვის საჭირო ქონება. მათგან უმეტესობა თავმოყრილია პირველ პუნქტში, ხოლო ამ პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებში მსგავსი ხარვეზებია და ერთნაირ რეგულაციას საჭიროებს. ისინი მოქმედი რედაქციით შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „ა) პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალისთვის თავისი პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის“ და „ე) პირებისათვის, რომლებიც შემოსავალს იღებენ თავიანთი ფიზიკური თუ გონებრივი შრომით ან სხვა საქმიანობით, ასეთი საქმიანობისათვის საჭირო ნივთები“. იმისათვის რომ ამ პუნქტმა იმუშაოს, აუცილებელია კანონში ან, დამატებით, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განისაზღვროს იმ ნივთების ჩამონათვალი და რაოდენობა, რომლებიც შეიძლება იყოს აუცილებელი მოვალის ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის. მაგალითად, პირადი მოხმარების ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალის ცხოვრებისათვის, შეიძლება იყოს 1 მობილური ტელეფონი, 2 სკამი, 1 მაგიდა, 1 საწოლი და ა.შ. საკითხი არ შეიძლება ღიად დარჩეს და არ მოექცეს ჩარჩოში იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩამონათვალის გაკეთება შეუძლებელია, რადგან მოვალისა და კრედიტორის უფლების აღმასრულებლის კეთილ ნებაზე დამოკიდებულების შემთხვევაში მხარები ვერ შეძლებენ საკუთარი პოზიციის სამართლებრივად დაცვას. ამ პუნქტებშივეა ჩანაწერი, რომ ყადაღას არ ექვემდებარება მოვალის პროფესიული საქმიანობისთვის გამოყენებული ნივთები და იმ პირებისათვის საჭირო ნივთები, რომლებიც შემოსავალს იღებენ ფიზიკური თუ გონებრივი შრომით ან სხვა საქმიანობით. ამ შემთხვევაში შეიძლება გაგვიჭირდეს ამ საქმიანობისთვის საჭირო ნივთების ჩამონათვალის შედგენა, თუმცა, როგორც ნიუ-იორკის პრაქტიკამ გვიჩვენა, მსგავს ვითარებაში შეგვიძლია განვსაზღვროთ პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ნივთის ღირებულების ზედა ზღვარი, რომლის ქვემოთ არსებული ნივთებიც აღსრულებას არ დაექვემდებარება.

რაც შეეხება „45-ე“ მუხლის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებს, აქაც მსგავს პრობლემებს ვხვდებით და ერთგვარი რეგულაციით შეიძლება პრობლემის გადაწყვეტა. როგორც ვიცით, დღევანდელი რედაქციით ეს პუნქტები ასეა ჩამოყალიბებული: „ბ) მოვალის, მისი ოჯახისა და მასთან ერთად მცხოვრები პირებისათვის ოთხი კვირის საკვები, საწვავი და სანათი საშუალებები, ან თუ დროის ამ მონაკვეთისათვის ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შეძენა სხვა გზით არ არის შესაძლებელი, მაშინ მათ შესაძენად საჭირო თანხა; გ) წვრილფეხა საქონელი შეზღუდული რაოდენობით, ასევე ერთი მეწველი ძროხა, ან, მოვალის არჩევანით - ორი ღორი, ცხვარი ან თხა, თუ ისინი აუცილებელია მოვალის, მისი ოჯახის ან მასთან ერთად მცხოვრები პირების გამოსაკვებად; ასევე სამი თვის სამყოფი პირუტყვის საკვების და ნამჯის მარაგი, ან, თუ ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შეძენა ამ დროისათვის სხვა გზით არ არის უზრუნველყოფილი, მათ შესაძენად საჭირო ფულადი თანხა; დ) პირებისათვის, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევენ, სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, პირუტყვი, სასუქი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რამდენადაც ისინი საჭიროა მოვალის, მისი ოჯახის და დაქირავებული

მუშების შესანახად, ან მომავალი მოსავლის აღებამდე იგივე ანდა მსგავსი პროდუქცია მეურნეობის შემდგომი წარმართვისათვის“³¹.

იმისთვის, რომ მოვალის უფლების რეალიზაცია გარანტირებული იყოს, „ბ“ პუნქტი საჭიროებს დახვეწას და მეტ სიცხადეს. მაგალითად, ვინ შეიძლება იყოს მოვალის ოჯახი და მასთან ერთად მცხოვრები პირები? არც ის არის განსაზღვრული, აუცილებელია თუ არა მოვალის ოჯახის წევრი მასთან ცხოვრობდეს. ან იქნებ ცხოვრობს კიდევ, მაგრამ ოჯახის იმ წევრს უფრო მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე მოვალეს და შეუძლია საკუთარი თავის კმაყოფა. საინტერესოა, ასევე, თუ როგორ შეიძლება გამოვთვალოთ, რამდენია ოთხი კვირის სამყოფი. მართალია, ქართულ კანონმდებლობაში არის ჩანაწერი პირისთვის ერთი თვის განმავლობაში საარსებო მინიმუმის ოდენობასთან დაკავშირებით, თუმცა საკვები პროდუქციის რაოდენობის განსაზღვრაც ცოტა რთული ან, რიგ შემთხვევებში, შეუძლებელი იქნება. თუ მიდგომას არ შევცვლით, იმისათვის, რომ სამართლიანობა არ დაიკარგოს, უმჯობესია ეს პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: მოვალის ან მასთან ერთად მცხოვრები პირის, რომელიც [რომლებიც] მის კმაყოფაზეა, იმ რაოდენობაზე გამრავლებული საარსებო მინიმუმით დადგენილი თანხა [იგულისხმება, რომ, თუ მოვალის გარდა მის კმაყოფაზეა 2 ადამიანი, საარსებო მინიმუმად განსაზღვრულია თანხის სამმაგი ოდენობა] ან იმავე ღირებულების საკვები, საწვავი და სანათი საშუალებები. რაც შეეხება „გ“ ქვეპუნქტს, თუ აქაც არ შევცვლით მიდგომას, მაშინ დაუშვებელია მოვალე შევზღუდოთ კონკრეტული ოთხი სახეობის შინაური ცხოველით. იქნებ ცხოველის სხვა ჯიშში ჰყავს მოშენებული და გამოდის, რომ ძროხას დაფუტოვებთ, ხარს კი - არა? სად არის აქ ლოგიკა? რაც შეეხება ამ ცხოველებისთვის საჭირო 3 თვის საკვებს, ამ შემთხვევაშიც დროში გათვლილი რაოდენობა დიდ პრობლემას წარმოშობს სააღსრულებო წარმოების პროცესში. უნდა იყოს დადგენილი კონკრეტულად, 3 თვეში საშუალოდ რა ღირებულების ნამჭის მარაგი სჭირდება ცხოველს საკვებად. ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ „გ“ პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: მსხვილფეხა საქონელი - 1 ერთეული, წვრილფეხა საქონელი - 2 ერთეული, ფრინველი - 3 ერთეული, თუ ისინი აუცილებელია მოვალის, მისი ოჯახის ან მასთან ერთად მცხოვრები პირების გამოსაკვებად; ასევე დადგენილი ღირებულების მოვალის მიერ არჩეული პირუტყვის/ ფრინველის საკვების ან/და ნამჭის მარაგი, ან თუ ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შექმნა ამ დროისათვის სხვა გზით არ არის უზრუნველყოფილი, მათ შესაძენად საჭირო ფულადი თანხა; ამ რედაქციაში ბევრად უფრო სრულყოფილად და ნათლად არის ქონების კონკრეტიზაცია მოცემული.

12. რეკომენდაცია

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები გამუდმებით ახდენენ იმ ნორმების დახვეწას, რომლებიც მართლმსაჯულებას ეხება, მათ შორის არის სააღსრულებო წარმოების წესთან დაკავშირებული რეგულაციები. არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ამის შესახებ მრავალი რეკომენდაცია არსებობს, მოვიყვანეთ რამდენიმე ქვეყნის მაგალითიც და საბოლოოდ შევჯერდით შემდეგზე: იმისათვის რომ მაქსიმალურად იქნეს მოვალისა და კრედიტორის უფლებათა

³¹ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი.

ბალანსი და დაცვა, ზედმიწევნით უნდა განისაზღვროს ქონება, რომელიც არ დაექვემდებარება აღსრულებას. უპრიანი იქნება, თუ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 45-ე მუხლი შემდეგნაირად ჩამოყალიბდება: არ შეიძლება გადახდევინება მოხდეს, ანუ ყადაღას არ ექვემდებარება: 1. საარსებო მინიმუმის ქვემოთ არსებული მოვალის შემოსავლები, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი ადამიანია მის კმაყოფაზე [საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი ადგენს, რამდენია საარსებო მინიმუმი ერთ პირზე, ორზე, სამზე და ა.შ. რაც შეეხება იმას, თუ რა შეიძლება ვიგულისხმოდ შემოსავლებში, ესენია: ხელფასი, პენსია, მიზნობრივი დახმარება და ა.შ.]. 2. მოვალის არჩევანით ქონება 57 001 ჟულის ოდენობამდე [დღევანდელი რედაქციით, ყადაღას არ ექვემდებარება ამ ქულაზე ქვემოთ მყოფი პირების ქონება]. გამოდის რომ ეს ქონება არის ის მინიმუმი, რომელიც პირს არსებობის შენარჩუნებისათვის ჭირდება. ამიტომ შეგვიძლია დავვსესხოთ სოციალურ სააგენტოს, თუ როგორ ხდება ქონების შეფასება, აღმასრულებელიც თან იქონიებს სახელმძღვანელოს და შესაბამისად იმოქმედებს; ან განისაზღვროს საშუალოდ, მოვალეს ელემენტარული ცხოვრებისათვის რა ღირებულების პირადი მოხმარების საგნები, ინვენტარი, ტექნიკა თუ სხვა ნივთები სჭირდება, დადგინდეს ეს თანხა და მოვალეს მიეცეს უფლება, ამ ღირებულების ფარგლებში თავად აარჩიოს ქონება, რომელიც არ დაექვემდებარება ყადაღას. 3. ოდენობის მიუხედავად, სახელმწიფოს მიერ გაცემული ერთჯერადი დახმარება, რომლითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მოვალის მკურნალობა (შესაძლებელია, ნომენკლატურა მიენიჭოს და მასში გავიდეს სხვა მსგავსი დახმარებები ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ეს არის თანამედროვე სტანდარტით ჩამოყალიბებული ნორმა, რომელიც სრულიად გასაგები და განსაზღვრადია როგორც აღსრულების მხარეებისთვის, ასევე საქმის მწარმოებელი აღმასრულებლისთვის; ამით კი შესაძლებელი იქნება კრედიტორისა და მოვალის უფლებების სრულყოფილად დაცვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. უითდეჰააგი. „საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა“. 04.2013.
http://nbe.gov.ge/files/სისტემის_მიმოხილვა_-_ტვინინგის_წიგნი.pdf
2. Council of Europe Committee of ministers, Recommendation Rec(2003)17 of the Committee of Ministers to member states On enforcement, 09. 09. 2003, article I, paragraph “a”;
3. „მართლმსაჯულება და კანონი“. #2(41)'14. საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი.
4. ჰორნსბი. საბერძნეთის წინააღმდეგ. ECtHR 1997 წლის 19 მარტი. #107/1995/613/701.
5. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. 16.04.1999.
6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №225/ნ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი. 22.08.2006.
7. სტატისტიკური ინფორმაცია - საარსებო მინიმუმი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=178&lang=geo

8. FROZEN BANK ACCOUNT IN NEW YORK CITY, Law Office of Simon Goldenberg, PLLC, 3.08.2015
<http://www.goldenbergfirm.com/Debt-Relief-Blog/2015/August/Exempt-Income-Protection-Act-EIPA-.aspx>
9. Enforcement of Civil Judgements: Exemption of Judgement Debtors' Income, Law Reform Commission of Nova Scotia, 02.2013 <http://www.lawreform.ns.ca/Downloads/Income%20Exemption%20-%20Discussion%20Paper.pdf>
10. Tamara M. Buckwold & Ronald C.C. Cuming, Final Report: Modernization Of Saskatchewan Money Judgment Enforcement Law (Saskatoon: University of Saskatchewan, 2005)
11. Dennis Raphael, Poverty and Policy in Canada: Implications for Health and Quality of Life (Toronto: Canadian Scholars Press, 2007) Low Income in Canada, supra note 8;
12. <http://www.statcan.gc.ca/pub/75f0002m/2009002/s3-eng.htm>
13. <http://www.lawreform.ns.ca/Downloads/Income%20Exemption%20-%20Discussion%20Paper.pdf>
14. Income Tax Act, s 118(6)(a)
15. <http://www.neweconomynyc.org/what-is-exempt-from-debt-collection-2/>
16. <http://www.nolo.com/legal-encyclopedia/using-exemptions-protect-property-from-judgment-creditors.html>
17. https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/486166/53002_CoP_Web.pdf
18. <https://www.mylawyer.co.uk/law-a-A76076D76971/?A76076D76971>
19. <http://www.hobartlegal.org.au/tasmanian-law-handbook/consumers-money-and-debts/debt/bailiff-powers/seizure>
20. Session 4: Constitution, Fundamental Rights and Law of Enforcement; 4.2 The conflict between The Fundamental Rights of the Creditor and the Debtor.

ნორმატიული მასალა

21. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. 21.07.2010.
22. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“. 2018.

Property that cannot be seized (Justice)

David Elisabedashvili

Grigol Robakidze University, PhD Student
dato_elis@yahoo.com

Abstract. Nowadays, enforcement is one of the crucial elements of justice. *Ubi ius, ibi remedium* – meaning ‘where there is a right, there is a remedy’. In recent decades, enforcement has substantially changed. Today, many people have to deal with this sphere. Quite often, we face the need to recover debts in the modern society, such, for example, as the collection of tax arrears; the repayment of loans associated with the buying of property, other bank credits, etc. Accordingly, the difficulties that has arisen in the previous stage, is expected to occur during the enforcement. However, often such issues cannot be resolved within the framework of the enforcement law. One of the aspects that needs to be considered for protecting a balance between the debtor's and the creditor's rights, is identification of the property that cannot be enforced.

Key words: debtor, seizure, property, enforcement, law

ორმხრივი დასჯის პრინციპის არსი და მისი მოქმედების ფარგლები ექსტრადიციის ევროპულ და კვაზი-ევროპულ სისტემებში

გიორგი მირიანაშვილი¹, გუგა მირიანაშვილი²

¹ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, სამართლის დოქტორი
giorgi.mirianashvili@gruni.edu.ge

² გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, მაგისტრი
igugamiro@gmail.com

რეზიუმე. იუსტიციურ სფეროში თანამშრომლობა ევროპული კავშირის ფარგლებში წარმოადგენს თავისუფლების, მართლმსაჯულების და უსაფრთხოების სფეროს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. იუსტიციურ სფეროში სისხლის სამართლის საქმეებზე კოოპერაცია ეფუძნება ორმხრივი ნდობის პრინციპს. ამ მიმართულებით თანამშრომლობის მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევა ერთიანი ევროპული ექსტრადიციის მექანიზმის ფორმირება, რომელიც უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავს პირის გადაცემის პროცედურების გამარტივებასა და ე.წ. საერთაშორისო ექსტრადიციის სისტემის ევროპული რეჟიმით ჩანაცვლებას. 1957 წელს მიღებული ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია, სახელმწიფო სუვერენიტეტის ხელშეუვალი ცნებიდან, სამართლებრივი და პროცედურული ხასიათის სირთულეებიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს ექსტრადიციის ეფექტიანი რეჟიმის არსებობას. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციით დადგენილი მექანიზმი ევროკავშირისთვის არ არის საკმარისი. 1999 წელს ევროპული საბჭოს ტამპერეს სამიტზე წვერი ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობის მეთაურებმა მიიღეს ექსტრადიციის უნიფიცირებული სისტემის ჩამოყალიბების შესახებ გადაწყვეტილება. ამ მიზნით, 2002 წელს ევროპული კავშირის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა წევრ სახელმწიფოებს შორის დაკავების ევროპული ორდერისა და გადაცემის პროცედურების შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილება, რომელმაც შეამცირა ორმხრივი დასჯის პრინციპის მოქმედების ფარგლები. დღესდღეობით იგი არ გამოიყენება ჩარჩო-გადაწყვეტილებით განსაზღვრულ 32 დანაშაულთან მიმართებაში. სტატის მიზანია ერთი მხრივ, შეაფასოს ექსტრადიციის კვაზი-ევროპულ სივრცეში ორმხრივი დასჯის მოთხოვნის მნიშვნელობა და მეორე მხრივ, კავშირში ამ პრინციპის მოქმედების მასშტაბი შეადაროს ევროპის საბჭოს რეგიონულ სისტემაში 47 სახელმწიფოს, მათ შორის კავშირი წევრ ქვეყნებსა და მესამე სახელმწიფოებს შორის იგივე პრინციპის მოქმედების ფარგლებს. ამ მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვანია ზოგადად ორმხრივი დასჯის მოთხოვნის არსის, ბუნების გარკვევა, მისი სახეებისა და ელემენტების განხილვა. სტატის ფარგლებში კვლევა ხორციელდება შედარებით სამართლებრივი და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით. სტატიაში განვითარებულია მოსაზრება, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში პირის გადაცემის პროცესი თვისებრივად გარდაიქმნა და საფუძველი ჩაეყარა ექსტრადიციის კვაზი-ევროპულ სისტემას, ორმხრივი დასჯის მოთხოვნას რადიკალური ცვლილებები არ შეეხება. იგი შეზღუდული ფორმით, ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში არსებობის მსგავსად, აგრძელებს ევროპული კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის მოქმედებას.

საძიებო სიტყვები: ექსტრადიცია, ორმხრივი დასჯის პრინციპი, პირის გადაცემა

1. შესავალი

სახელმწიფოებს შორის სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობა დღემდე წარმოადგენს საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული სამართლის თანაფარდობის, ურთიერთდამოკიდებულების ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიურ საკითხს. ამ მიმართულებას კიდევ უფრო მწვავეს ხდის მისი პოლიტიკური განზომილება, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფოების სურვილისგან - ეროვნული სისხლის სამართლის სისტემაზე შეინარჩუნონ სრული იურისდიქცია. თუმცა, მონოპოლიის უზრუნველყოფის მიზანს უპირატესობა სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებზე ყველა შემთხვევაში არ გააჩნია. თანამედროვე სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ამ ორ დამოუკიდებელ ინტერესს შორის დადგენილია რაციონალური ბალანსი.

ექსტრადიქცია როგორც სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის ერთ-ერთი ძველი, გავრცელებული ფორმა გამოჩაჩივრის შემთხვევების გარდა დუალისტურ (პოლიტიკურ-სამართლებრივ) ხასიათს ატარებს, გამომდინარე იქიდან, რომ ექსტრადიქციის მატერიალურ-ფორმალური მხარე სამართალს, ადამიანის ძირითად უფლებებს უკავშირდება, ხოლო მისი განხორციელების პერსპექტივა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. ამ პროცესის პოლიტიკური ასპექტების სამართლებრივი განზომილებით გადაფარვის მიზნით ექსტრადიქციის პროცედურებში არსებობს პირის გადაცემის შემაფერხებელი და გამომრიცხავი გარემოებები (მაგალითად, სხვა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის მიმართ უნდობლობა, მოქალაქის გადაცემის აკრძალვა, პოლიტიკური და სამხედრო დანაშაულებისთვის ბრალდებული/ მსჯავრდებული პირების გადაცემის აკრძალვა, ორმხრივი დასჯის პრინციპი და ა.შ.), რაც საფრთხეს უქმნის მის ეფექტიანობას. ამგვარ საფუძვლებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ექსტრადიქციის თხოვნით გათვალისწინებული დანაშაულის ორმხრივი დასჯის მოთხოვნას - ექსტრადიქციის თხოვნის წარმდგენ და მიმღებ სახელმწიფოებში ქმედების დასჯადობას. ორმხრივი დასჯის მოთხოვნა წლების განმავლობაში წარმოადგენდა ექსტრადიქციის სამართლის პრინციპს. თუმცა ევროპული ინტეგრაციის განვითარების უკანასკნელ ეტაპზე, მას შემდეგ, რაც ექსტრადიქციის პროცედურები გარდაიქმნა მხოლოდ სამართლებრივ პროცესად, იგი კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში თანდათანობით კარგავს ფუნქციურ დანიშნულებას და არსებობას განაგრძობს შეზღუდული ფორმით.

წინამდებარე სტატიის მიზანია ერთი მხრივ, შეაფასოს ექსტრადიქციის კვაზი-ევროპულ სივრცეში ორმხრივი დასჯის მოთხოვნის მნიშვნელობა და მეორე მხრივ, კავშირში ამ პრინციპის მოქმედების მასშტაბი შეადაროს ევროპის საბჭოს რეგიონულ სისტემაში 47 სახელმწიფოს, მათ შორის კავშირი წევრ ქვეყნებსა და მესამე სახელმწიფოებს შორის იგივე პრინციპის მოქმედების ფარგლებს. თუმცა, ამ მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვანია ზოგადად ორმხრივი დასჯის მოთხოვნის არსის, ბუნების გარკვევა, მისი სახეებისა და ელემენტების განხილვა. ნიშანდობლივია, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე დისკუსია არ ხორციელდება, შესაბამისად, ტერმინების ქართულ ენაზე სწორად გადმოცემა სტატიისთვის წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას.

სტატია შედგება ექვსი ნაწილისგან. მეორე ნაწილში საუბარია სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესში ორმხრივი დასჯის პრინციპის არსზე, მნიშვნელობასა და სახეებზე, განხილულია მისი აბსტრაქტული და კონკრეტული ასპექტები. მესამე ნაწილი ეთმობა ორმხრივი დასჯის პრინციპის დუალისტურ განზომილებაზე მსჯელობას, კერძოდ, მასში შეფასებული ორმხრივი დასჯის მოთხოვნა წარმოადგენს ეროვნული სამართლის თუ საერთაშორისო სამართლის (საერთაშორისო სამართლის ჩვეულებას თუ საერთაშორისო სახელმწიფოებო ნორმას) ნაწილს. ამ მიმართულებით მიმოხილულია შესაბამისი ლიტერატურა. სტატიის შემდეგ ნაწილში შეფასებულია არის თუ არა ორმხრივი დასჯის მოთხოვნა ადამიანის ძირითადი უფლება - არ განხორციელდეს მისი ექსტრადიციის, როდესაც ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში ქმედება არ არის დასჯადი. მეხუთე თავი ეძღვნება ევროპულ კავშირსა და ევროპის საბჭოში ორმხრივი დასჯის პრინციპის მოქმედებას, თუმცა მსჯელობის ორიენტირი მიმართულია ექსტრადიციის კვაზი-ევროპული სისტემისკენ. დასკვნით ნაწილში ხორციელდება სტატიაში განხილული საკითხების შეჯამება და სისტემურად წარმოადგენა.

2. ორმხრივი დასჯის პრინციპის არსი

ექსტრადიციის სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის ფორმას, რომელიც გულისხმობს ერთი სახელმწიფოს მოთხოვნის საფუძველზე მეორე სახელმწიფოს მიერ პირის გადაცემას, თუ ასეთი პირი ექსტრადიციის მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოში არის ბრალდებული ან მსჯავრდებული (4, 1). გამომდინარე იქიდან, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა წარმოადგენს სახელმწიფო სუვერენიტეტის შიდა ელემენტების მნიშვნელოვან, სუბსტანციურ ნაწილს და მისი რეგულირების მონოპოლია მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია, ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობა დამოკიდებულია ექსტრადიციის მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობასთან დაკავშირებულ რეგულაციებზე, რომელიც განსაზღვრავს პირის გადაცემის როგორც მატერიალურ, ასევე ფორმალურ კრიტერიუმებს. ტრადიციულად, ექსტრადიციის მიმართულებით თანამშრომლობის ძირითადი ელემენტია ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირის ქმედების დასჯადობა, როგორც ექსტრადიციის მოთხოვნის წარმდგენ, აგრეთვე ექსტრადიციის მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოებში (19, 200-225; 8, 192-223; 17, 137).

საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების თანახმად, ექსტრადიციის განხორციელებისთვის ამგვარი წინაპირობის დაკმაყოფილება გამომდინარეობს სისხლის სამართლის ცნობილი პრინციპიდან - „არავითარი დანაშაული კანონის გარეშე“ (*nullum crimen sine lege*) (17, 137-141; 36, 51; 36, 12-13). ამ ინსტრუმენტს საერთაშორისო სამართლის აქტებსა და ლიტერატურაში ორმხრივი დასჯის მოთხოვნას უწოდებენ (12, 84-134; 20, 581-623) თუმცა, საერთაშორისო სამართალში მისი დეფინიცია არ არის განსაზღვრული. ნიშანდობლივია, რომ ორმხრივი დასჯის პრინციპი არ ვრცელდება მხოლოდ ექსტრადიციის მიმართულებით თანამშრომლობაზე, იგი გამოიყენება ზოგადად - სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის სხვა ფორმებთან მიმართებაშიც (მაგალითად, ქმედების ორმხრივი დასჯის არსებობა აუცილებელია, როდესაც

საც ხორციელდება: 1. ორმხრივი სამართლებრივი დახმარება; 2. წინასასამართლო სხდომისთვის პირის გადაცემა; 3. პირის ექსტრადიცია ან გადაცემა; 4. სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცვლა; 5. მოწმეთა გადაყვანა და დაცვა; 6. სასამართლო გადაწყვეტილების აღიარება და აღსრულება და სხვ.) (22, 110; 21). ამასთან, საერთაშორისო სამართალში ორმხრივი დასჯის მოთხოვნა არ შემოიფარგლება მხოლოდ ჩადენილი ქმედების ექსტრადიციის მოთხოვნის წარდგენ და მიმღებ სახელმწიფოებში დასჯადობით, იგი უკავშირდება სასჯელის ზომას, ქმედების ჩადენის ადგილს, ჩადენილი ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას და ა.შ. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს ორმხრივი დასჯის მოთხოვნის კატეგორიზაციას შემდეგ ტიპებად: აბსტრაქტული (in abstracto) ორმხრივი დასჯის მოთხოვნა და კონკრეტული (in concreto) ორმხრივი დასჯის მოთხოვნა (22, 108). აბსტრაქტული ორმხრივი დასჯის მოთხოვნისთვის საკმარისია ჩადენილი ქმედება იყოს ექსტრადიციის მოთხოვნის წარმდგენ და მიმღებ სახელმწიფოებში დასჯადი, მაშინ, როდესაც კონკრეტული ორმხრივი დასჯის მოთხოვნის ტესტის საფუძველზე შეფასებას ექვემდებარება ჩადენილი ქმედების არა მხოლოდ ორივე სახელმწიფოში დასჯადობა, არამედ ასეთი ქმედების ჩადენისთვის დადგენილი სასჯელის ზომაც (22, 108). იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია ზოგადი ტერმინი - ორმხრივი დასჯის მოთხოვნა, ორმხრივი დასჯის პრინციპი, შესაბამისად, წინამდებარე სტატიაშიც ეს ტერმინებია გამოყენებული.

3. ორმხრივი დასჯის პრინციპის დუალისტური განზომილება

იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს ერთიანი პოზიცია ორმხრივი დასჯის მოთხოვნის ეროვნულ ან საერთაშორისო სამართლებრივი სისტემისთვის მიკუთვნებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლის მეცნიერებს შორის განსხვავებული მიდგომებია ორმხრივი დასჯის პრინციპის საერთაშორისო სამართლის დაწერილ და დაუწერელ წყაროდ მიჩნევასთან მიმართებაშიც.

ბრიტანელი მეცნიერის *ბოოთის* აზრით, ორმხრივი დასჯის მოთხოვნა არ არის საერთაშორისო სამართლის დაწერილი თუ დაუწერელი ნორმით დადგენილი წესი თუ მხედველობაში მიღებული იქნება მასთან დაკავშირებული შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ხარჯები (20, 582). ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ *Factor v. Laubenheimer*-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ორმხრივი დასჯის მოთხოვნა წარმოადგენს ექსტრადიციის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილ ინსტრუმენტს და არა საერთაშორისო სამართლის ჩვეულებას (34, პარ. 1-9). *უილიამსი* ეთანხმება ზემოხსენებულ მოსაზრებებს და ორმხრივი დასჯის მოთხოვნას ეროვნული სამართლისა და საერთაშორისო ხელშეკრულების სინთეზში განიხილავს. იგი აცხადებს, რომ ორმხრივი დასჯის პრინციპი არ უნდა იქნეს აღქმული საერთაშორისო სამართლის ჩვეულებით ნორმად, რომელიც სახელმწიფოებს მისი გამოყენების ვალდებულებას ავტომატურად დააკისრებდა (20, 583). მისი თქმით, იგი უნდა განიხილებოდეს როგორც საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის ნორმითა და შიდასახელმწიფოებრივი აქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტი (20, 583). ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ თავდაპირველად ექსტრადიციასთან დაკავშირებით ორმხრი-

ვი დასჯის მოთხოვნა წარმოადგენდა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმას და იგი მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ევოლუციის შემდეგ იქნა აყვანილი საერთაშორისო ხელშეკრულების რანგში (12, 84-134; 22, 117).

ორმხრივი დასჯის პრინციპის წარმომავლობის შეფასებისას არასწორი იქნება მისი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმებისგან, მათ შორის, ექსტრადიციისგან იზოლირებული განხილვა. როგორც აღინიშნა, იგი გამოიყენება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში ბრალდებული ან მსჯავრდებული პირის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ საკითხზე მსჯელობისას ირელევანტურია სანქციის ზომის საკითხი. აქედან გამომდინარე, ორმხრივი დასჯის პრინციპისთვის არსებითია საერთაშორისო სამართლის ორი სუბიექტის სახელშეკრულებო ურთიერთობა (*ორმხრივი დასჯის პრინციპის საგარეო განზომილება*), რომელიც ხორციელდება ეროვნული სამართლის საფუძველზე განსაზღვრული მატერიალურ-ფორმალური კრიტერიუმების მიხედვით (*ორმხრივი დასჯის პრინციპის შიდა განზომილება*). შესაბამისად, ორმხრივი დასჯის პრინციპს გააჩნია დუალისტური ბუნება. იგი საკუთარი არსით არის როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმის შემადგენელი ელემენტი, აგრეთვე ასეთი კოოპერაციისთვის შიდასახელმწიფოებრივი სამართლით დადგენილი ზღვარი, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელია ამგვარი თანამშრომლობის განხორციელება (14, 839-901). ორმხრივი დასჯის პრინციპი წარმოებულია ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში, რომლის არსებობის მიზანი ერთი მხრივ, ექსტრადიციისთვის ეროვნული სამართლებრივი ბარიერის შექმნა, ექსტრადიციის განხორციელებისთვის თავის არიდება (11, 191) და მეორე მხრივ, სისხლის სამართლის სისტემაზე სახელმწიფო მონოპოლიის შენარჩუნებაა (22, 109; 7, 147).

4. ორმხრივი დასჯის მოთხოვნა - დანაშაულის ლეგალურობის პრინციპის ნაწილი თუ ექსტრადიციის პროცედურული ინსტრუმენტი?

ექსტრადიციის ევროპული სისტემების ფარგლებში ორმხრივი დასჯის პრინციპის განხილვამდე მნიშვნელოვანია შეფასდეს წარმოადგენს თუ არა ორმხრივი დასჯის მოთხოვნა ადამიანის ძირითად უფლებას, რომელიც მას იცავს ექსტრადიციისგან. ევროპის საბჭოს ეგიდით ან ევროპული კავშირის ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიღებულ სამართლებრივ აქტებში პირდაპირი მითითება არ ხორციელდება ორმხრივი დასჯის მოთხოვნასთან როგორც უფლებასთან ან თავისუფლებასთან მიმართებაში. თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ორმხრივი დასჯის მოთხოვნა არის სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნორმა-პრინციპის - „არავითარი დანაშაული კანონის გარეშე“ გამოხატულება, რომლის თანახმად, პირი დაცულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისაგან იმ ქმედებისთვის, რომელიც ჩადენის დროს არ წარმოადგენდა დანაშაულს (17, 137-141; 36, 12-13, 51). ევროპის სივრცეში ამ ნორმა-პრინციპის შესახებ მითითებას შეიცავს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი და ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 49-ე მუხლი, რომლებიც დაუშვებლად აცხადებენ პირის ბრალეულად მიჩნევას „რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის

გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად“ (29). აღსანიშნავია, რომ იგივე შინაარსის დებულებებს შეიცავს ევროპული კავშირის წევრი ქვეყნებისა და საქართველოს კონსტიტუციები (24, 25, 26, 27).

იურიდიულ ლიტერატურაში განვითარებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ორმხრივი დასჯის მოთხოვნას სუბსტანციური კავშირი არ გააჩნია ე.წ. დანაშაულის ლეგალურობის პრინციპთან. ამ მიმართულებით არსებობს არაერთი არგუმენტი. დანაშაულის ლეგალურობის პრინციპი თავისთავად ვრცელდება როგორც ექსტრადიციის მოთხოვნის წარმდგენ, ასევე მიმღებ სახელმწიფოებზე, თუმცა მისი მოქმედება სრულდება ამ სახელმწიფოების იურისდიქციის ფარგლებში. დანაშაულის ლეგალურობის კონცეფცია არ აერთიანებს ექსტრადიციის მოთხოვნის წარმდგენი და მიმღები ქვეყნების იურისდიქციას, იგი ამ სახელმწიფოებში, მათი სუვერენიტეტიდან გამომდინარე დამოუკიდებლად არსებობს. შესაბამისად, შემთხვევაზე, როდესაც ექსტრადიციის მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში პირის მიერ ექსტრადიციის მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოში ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული, ექსტრადიციის მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში მოქმედი დანაშაულის ლეგალურობის პრინციპი არ ვრცელდება. გარდა ამისა, არასწორი იქნება დანაშაულის ლეგალურობის პრინციპის იმგვარი ინტერპრეტაცია, რომ იგი გასცდეს სახელმწიფო იურისდიქციის ფარგლებს და მიიღოს გენერალური ხასიათი.

ამ ნორმა-პრინციპის ძირითადი არსი ერთი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში არადანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში მიცემისგან დაცვაა, მას ვერ ექნება სხვა სამართლებრივ წესრიგში მოქმედების პრეტენზია. ასევე, ექსტრადიციის მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფო პირის გადაცემას ითხოვს იმ ქმედებისთვის, რომელიც მისი კანონმდებლობით ჩადენის დროს დანაშაულად იყო აღიარებული. შესაბამისად, პირის ექსტრადიციის შემთხვევაში (თუ მისი ბრალეულობაც დამტკიცდება), მას პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ სისხლისსამართლებრივი ნორმის დარღვევისთვის, რომელიც ქმედების ჩადენისას მოქმედებდა.

მიუხედავად ზემოთ ხსენებულისა, შესაძლებელია ზოგიერთ სიტუაციაში დანაშაულის ლეგალურობის პრინციპისა და სხვა სახელმწიფოს სამართლებრივი წესრიგის ერთიან კონტექსტში განხილვა. თუმცა, ამ პრინციპს ამ შემთხვევაშიც არ ექნება კავშირი ორმხრივი დასჯის მოთხოვნასთან. მაგალითად, როდესაც ექსტრადიციის მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოში ქმედება ჩადენისას არ ითვლებოდა დანაშაულად, ექსტრადიციის მოთხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ დანაშაულის ლეგალურობის პრინციპიდან გამომდინარე უარი უნდა განაცხადოს პირის გადაცემაზე (მნიშვნელობა არ აქვს ექსტრადიციის მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში ქმედება წარმოადგენს თუ არა დანაშაულს).

ცალსახაა, რომ ორმხრივი დასჯის მოთხოვნა და დანაშაულის ლეგალურობის პრინციპი დამოუკიდებელი ინსტრუმენტებია ექსტრადიციის პროცესში. ორმხრივი დასჯის მოთხოვნა არის ექსტრადიციის პროცედურული ასპექტი, ექსტრადიციასთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის, სამართლებრივი სისტემის დამოუკიდებულების გამომხატველი ინსტრუმენტი. იგი არ წარმოადგენს გადასაცემი პირის უფლებას - მოითხოვოს ექსტრადიციის უარყოფა. მაგალითად, ექსტრადიციის სკანდინავიური

სისტემა არ იცნობს ორმხრივი დასჯის მოთხოვნის ვერიფიკაციის ცნებას (18, 41-45), რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მის პროცედურულ ხასიათზე.

5. ორმხრივი დასჯის პრინციპი ექსტრადიციის ევროპულ და კვაზი-ევროპულ სისტემაში

ევროპის სივრცეში ექსტრადიციასთან მიმართებაში არსებული რეგიონული და სუპრანაციონალური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე სახელმწიფოებს შორის განსხვავებულია ამ მიმართულებით თანამშრომლობის ხარისხი. ევროპული ექსტრადიცია გულისხმობს პირის გადაცემის პროცესს, რომელიც ხორციელდება ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებული სამართლებრივი მექანიზმების ფარგლებში, ხოლო კვაზი-ევროპულ ექსტრადიციაში მოაზრება ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობა პირის გადაცემასთან დაკავშირებით. ნიშანდობლივია, რომ ამ ორ დამოუკიდებელ სისტემას შორის არსებობს არაერთი განსხვავება, მაგ.: ექსტრადიციის ვადების, მოქალაქის გადაცემასთან, პოლიტიკურ და სამხედრო დანაშაულებთან, ექსტრადიციის ეტაპებთან მიმართებაში, გამომდინარე იქიდან, რომ კავშირის წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ არა მხოლოდ უფრო მეტი ურთიერთნდობა, აგრეთვე ლოიალური კოოპერაციის ვალდებულება (32, პარ. 191; 13, 68-74).

ამ თავის მიზანია შეაფასოს განსხვავდება თუ არა ექსტრადიციის ევროპული და კვაზი-ევროპული სისტემები ორმხრივი დასჯის მოთხოვნასთან მიმართებაში. შესაბამისად, იგი განიხილავს როგორც ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციას, ასევე ევროპული კავშირის საბჭოს მიერ მიღებულ წევრ სახელმწიფოებს შორის დაკავების ევროპული ორდერისა და გადაცემის პროცედურების შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილებას.

5.1. ორმხრივი დასჯის პრინციპი ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში

1957 წელს ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებული ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია (28), რომელიც დაახლოებით 40 წლის განმავლობაში ევროპის სივრცეში წარმოადგენს ამ სფეროში სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს, ითვალისწინებს ორმხრივი დასჯის პრინციპს და პირის გადაცემას უკავშირებს როგორც ჩადენილი ქმედების ექსტრადიციის მოთხოვნის წარმდგენ და მიმღებ სახელმწიფოებში დასჯადობას, აგრეთვე ასეთი ქმედებისთვის დადგენილი სასჯელის ზომას.

ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად, „ექსტრადიციას ექვემდებარებიან თხოვნის გამგზავნი ან მიმღები მხარის სამართლის მიხედვით თავისუფლების აღკვეთით ან დაკავების ორდერის შესაბამისად მაქსიმუმ ერთი წლით მაინც ან უფრო მკაცრი სასჯელით დასჯადი დანაშაულები. როდესაც თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი და პირს მიესჯება პატიმრობა ან მის წინააღმდეგ გაცემული იქნება დაკავების ორდერი, გამოტანილი სასჯელი უნდა ითვალისწინებდეს სულ მცირე ოთხი თვით თავისუფლების აღკვეთას“. წინამდებარე კონვენცია განასხვავებს ორმხრივი დასჯის მოთხოვ-

ნის ორ სახეს, რომელთაგან პირველი უკავშირდება ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულების განსაზღვრას (*ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულები*), ხოლო მეორე - პირის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით გათვალისწინებულ სასჯელს (*ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირები*) (37, 5).

ნიმანდობლივია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულების განსაზღვრისას კონვენცია მხედველობაში იღებს არა მხოლოდ ქმედების დასჯადობას ექსტრადიციის მოთხოვნის გამგზავნ და მიმღებ სახელმწიფოებში, აგრეთვე სასჯელის ზომას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სულ მცირე 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას.

ამასთან, თუ ექსტრადიციის თხოვნა ეხება უკვე გასამართლებულ პირს, იგი გადაცემას დაქვემდებარება მაშინ, როდესაც მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სულ მცირე 4 თვემდე ვადით. აღსანიშნავია, რომ ორმხრივი დასჯის მოთხოვნას კავშირი არ გააჩნია ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციით პირის გადაცემასთან მიმართებაში დადგენილ სხვა ბარიერებთან (ე.წ. პოლიტიკური დანაშაულები, სამხედრო დანაშაულები, ფინანსური დანაშაულები, მოქალაქეთა გადაცემა და ა.შ.). კონვენცია ამგვარ შემთხვევებში ადგენს ექსტრადიციის უარყოფის სპეციალურ წესს.

5.2. ორმხრივი დასჯის პრინციპი ექსტრადიციის კვაზი-ევროპულ სისტემაში

იუსტიციურ სფეროში თანამშრომლობა ევროპული კავშირის ფარგლებში წარმოადგენს თავისუფლების, მართლმსაჯულების და უსაფრთხოების სფეროს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. იუსტიციურ სფეროში სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობა ეფუძნება ორმხრივი ნდობის პრინციპს, რომელიც გულისხმობს კავშირის წევრი სახელმწიფოების სასამართლოების გადაწყვეტილებების, განჩინებების, ბრძანებების სხვა წევრი სახელმწიფოების მიერ აღიარებასა და წევრ სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დაახლოებას (23, 88). ამ მიმართულებით თანამშრომლობის მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევა ერთიანი კვაზი-ევროპული ექსტრადიციის მექანიზმის ფორმირება, რომელიც უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავს პირის გადაცემის პროცედურების გამარტივებასა და ევროპული ექსტრადიციის სისტემის ევროპული რეჟიმით ჩანაცვლებას (33, პარ. 36).

1957 წლის ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია, სახელმწიფო სუვერენიტეტის ხელშეუვალი ცნებიდან, სამართლებრივი (მაგ.: მოქალაქის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის აკრძალვა, ორმხრივი დასჯის პრინციპი, ე.წ. „პოლიტიკური დანაშაულები“, უნდობლობა ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის მიმართ) და პროცედურული (მაგ.: ექსტრადიციის ორეტაპიანი სისტემა, ვადა და ხარჯები) ხასიათის სირთულეებიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს ექსტრადიციის ეფექტიანი რეჟიმის არსებობას. იუსტიციურ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით ევროპული კავშირის ამბიციური მიზნებისთვის ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციით დადგენილი მექანიზმი არ არის საკმარისი.

1999 წელს ევროპული საბჭოს ტამპერეს სამიტზე წევრი ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობის მეთაურებმა მიიღეს ექსტრადიციის უნიფიცირებული სისტემის ჩამოყალიბების შესახებ გადაწყვეტილება (38). ამ მიზნით, 2002 წელს ევროპული კავშირის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა წევრ სახელმწიფოებს შორის დაკავების ევროპული ორდერისა და გადაცემის პროცედურების შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილება (30), რომელშიც ცალკეული ცვლილებები განხორციელდა 2009 წელს (31). აღსანიშნავია, რომ კვაზი-ევროპული ექსტრადიციის სისტემის დაფუძნებით პირის გადაცემის პროცესი ერთდონიანი გახდა (1, 200-207; 3, 47-60; 5; 6; 9; 16, 178-194). გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების მიერ მიიღება. პოლიტიკური უწყებები წარმოადგენენ გადაცემის თაობაზე მოთხოვნის მიმღებ სუბიექტებს, რათა უზრუნველყონ ასეთი მოთხოვნის აღსრულება (მაგ.: ირლანდიაში ასეთი ორგანოა - იუსტიციის, თანასწორობისა და სამართლის რეფორმის დეპარტამენტი).

ექსტრადიციის კვაზი-ევროპული სისტემის ფარგლებში პირის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა დაკავების ევროპული ორდერით ხორციელდება. იგი კავშირის წევრი სახელმწიფოს მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილებაა, რომელიც ადრესატ სახელმწიფოს სთხოვს პირის დაკავებასა და გადაცემას. დაკავების ორდერი გამოიცემა:

- იმ შემთხვევაში, თუ პირის წინააღმდეგ მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოში სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება;
- თავისუფლების აღკვეთის შესახებ გამოტანილი განჩინების ან თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე ბრძანების აღსრულების მიზნით.

დაკავების ევროპული ორდერის გამომცემი სუბიექტი უნდა იყოს მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო და დაკავების ევროპული ორდერის გამოცემის უფლებამოსილებას უნდა ფლობდეს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე. დაკავების ევროპული ორდერი ეგზავნება ადრესატი სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრულ იმ ორგანოს, რომელსაც ორდერის აღსრულების უფლებამოსილება აქვს მინიჭებული. დაკავების ევროპული ორდერის გამოცემა დასაშვებია:

- დანაშაულებზე, რომლებსაც ევროპული კავშირის საბჭოს 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო გადაწყვეტილება ითვალისწინებს; ან
- თუ ჩადენილი ქმედებისთვის მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფოს კანონმდებლობა სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების შეზღუდვას ან აღკვეთას სულ მცირე 12 თვის ვადით ან თუკი ამ პირის მიმართ განაჩენი უკვე გამოტანილია და მას სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ან შეზღუდვა სულ მცირე 4 თვის ვადით.

ორმხრივი დასჯის მოთხოვნასთან მიმართებაში ჩარჩო გადაწყვეტილებით განისაზღვრა ორი მიდგომა: 1. პირდაპირ მიეთითა დანაშაულები, რომლებიც ორმხრივი დასჯის მოთხოვნის ვერიფიკაციას არ საჭიროებს (35); 2. მითითებითი ნორმით ორმხრივი დასჯის მოთხოვნა გავრცელდა ყველა სხვა დანაშაულზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჩარჩო-გადაწყვეტილებით.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ჩარჩო-გადაწყვეტილება არ შეიცავს ორმხრივი დასჯის მოთხოვნის ვერიფიკაციის გარეშე ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულების შემადგენლობას, კატეგორიზაციას ან მათი ჩადენისთვის დადგენილ სასჯელებს (15, 35-36; 10, 61-75; 2, 173-191). მათი დეფინირება და სასჯელის ზომის განსაზღვრა კავშირის წევრი სახელმწიფოების შეხედულებაა. თუმცა, ასეთ დანაშაულებზე პირის გადაცემის თაობაზე დაკავების ევროპული ორდერის გამოცემა არ საჭიროებს იგივე ქმედების ექსტრადიციის მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში დასჯადობის შემოწმებას. აქედან გამომდინარე, ექსტრადიციის კვაზი-ევროპულ სისტემაში, სადაც მხოლოდ კავშირის წევრი სახელმწიფოები თანამშრომლობენ, ზემოხსენებულ 32 სახის დანაშაულზე ორმხრივი დასჯის მოთხოვნა არ ვრცელდება.

მიუხედავად ამისა, ევროპული კავშირის ფარგლებში ორმხრივი დასჯის მოთხოვნა ჩარჩო-გადაწყვეტილებით პირდაპირ განუსაზღვრელ დანაშაულებზე კვლავ მოქმედებს. ამასთან, აუცილებელია, რომ დანაშაულისთვის მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფოს კანონმდებლობა სასჯელის სახით ითვალისწინებდეს თავისუფლების შეზღუდვას ან აღკვეთას სულ მცირე 12 თვის ვადით ან პირის მიმართ ასეთი დანაშაულის ჩადენისთვის დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენით მას სასჯელის სახით შეფარდებული ჰქონდეს თავისუფლების აღკვეთა ან შეზღუდვა სულ მცირე 4 თვის ვადით.

ექსტრადიციის კვაზი-ევროპული სისტემის დაფუძნების შემდეგ ორმხრივი დასჯის მოთხოვნის მოქმედების ფარგლები ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებულ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციით დადგენილ იგივე პრინციპთან შედარებით შემცირდა. ინტეგრაციის სივრცეში ასეთი მოთხოვნის ვერიფიკაციის გარეშე ექსტრადიცია ხორციელდება ჩარჩო-გადაწყვეტილებით აღიარებულ 32 დანაშაულზე, რომლის შემადგენლობა და სასჯელის ზომა კავშირის წევრ სახელმწიფოების სამართლებრივ წესრიგში იდენტური არ არის, მაგრამ სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის მიზნებისთვის დაახლოებულია. თუმცა, დაკავების ევროპული ორდერის მექანიზმის დანერგვამ არ განაპირობა ორმხრივი დასჯის მოთხოვნის აბსოლუტური გაუქმება და ექსტრადიციის ევროპული სისტემის მსგავსად, რიგ შემთხვევებში იგი კვლავ წარმოადგენს პირის გადაცემის გამომრიცხავ საფუძველს.

6. დასკვნა

სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ევოლუციის პირობებში ზეგავლენას განიცდის სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობაც, მათ შორის ექსტრადიციის მიმართულებით. თუმცა, სისხლის სამართლის პოლიტიკა რჩება სახელმწიფო მონოპოლიის ინსტრუმენტად, სუვერენიტეტის განსაკუთრებულ ნაწილად. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ინტეგრაციის ფარგლებში 16 წელია, რაც პირის გადაცემის პროცესი თვისებრივად გარდაიქმნა, მოდიფიცირდა და საფუძველი ჩაეყარა ექსტრადიციის კვაზი-ევროპულ სისტემას, ორმხრივი დასჯის მოთხოვნას რადიკალური ცვლილებები არ შეხებია. იგი შეზღუდული ფორმით, ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში არსებობის მსგავსად, აგრძელებს ევროპული კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის მოქმედებას. გამონაკლისია

მხოლოდ ის დანაშაულები, რომლებიც პირდაპირ არის მითითებული კავშირის საბჭოს მიერ მიღებულ 2002 წლის ჩარჩო-გადაწყვეტილებაში. ორმხრივი დასჯის პრინციპი საერთაშორისო სამართალში, მათ შორის ევროპული კავშირის სამართალში, კვლავ წარმოადგენს ექსტრადიციის პროცედურულ ასპექტს და არა ადამიანის ძირითად უფლებას, რომელიც ექსტრადიციის მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოებს ანიჭებს ექსტრადიციაზე უარის თქმის შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მირიანაშვილი, გ. (2015) *ევროპული კავშირის სამართლის ცნობარი*, თბილისი, ბონა-კაუზა.
2. Alegre, S. Leaf, M. (2004) *Mutual recognition in Europe judicial cooperation - a step too far too soon? Case study: The European Arrest Warrant*, European Law Journal: Review of European Law in Context, pp. 200-217.
3. Ambos, K. (2005) *Is the development of a common substantive criminal law for Europe possible? Some preliminary reflections*, Maastricht Journal of European and Comparative Law, 12 (2), pp. 173-191.
4. Amicis, G. (2012) *Initial Views of the Court of Justice on the European Arrest Warrant: Towards a Uniform Pan-European Interpretation?* European Criminal Law review, pp. 47-60.
5. Bassiouni, M. (2007) *International Extradition: United States Law and Practice*, NY, Oxford University Press.
6. Blekxtoon, R., Ballegooij W. (2004) *Handbook on the European Arrest Warrant*, Hague, Asser Press;
7. Chaves, M. (2012) *The Evolution of European Union Criminal Law (1957-2012)*.
8. Curtin, D. M., Smits, J. M., Klip, A., Mccahery, J. A. (2006) *European Integration and Law*, Antwerp, Intersentia.
9. Eckes, C., Konstadinides, T. (2011) *Crime within the Area of Freedom Security and Justice, A European Public Order*, Cambridge, Cambridge University Press, pp. 192-223.
10. Fichera, M. (2009) *The implementation of the European Arrest Warrant in the European Union: law, policy and practice*, Hague, Intersentia.
11. Guild, E., Marin, L. (2008) *Still not resolved? Constitutional issues of the European Arrest Warrant*, Nijmegen, Wolf Legal Publishers, pp. 61-75.
12. Hafen J. O. (1992) *International Extradition: Issues Arising Under the Dual Criminality Requirement*, BYU Law Review, pp. 191.
13. Jareborg, N. (1989) *Double Criminality*, Uppsala, Lustus Forlag.
14. Klimek, L. (2015) *European Arrest Warrant*, NY, Springer, pp. 68-74.
15. Magnuson, W. (2012) *The Domestic Politics of International Extradition*, Virginia Journal of International Law, pp. 839-901.
16. Peers, S. (2004) *Mutual recognition and criminal law in the European Union: Has the Council got it wrong?* Common Market Law Review, 41, pp. 5-36.
17. Plachta, M. (2003) *European Arrest Warrant: Revolution in Extradition?* European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice, pp.178-194.
18. Shearer, I. (1971) *Extradition in International Law*, Manchester, Manchester University Press.
19. Suominen, A. (2014) *The Nordic Arrest Warrant finally in force*, European Criminal Law Review, pp. 41-45.

20. Vermeulen, G., Vander Beken, T. (1996) *Extradition in the European Union: State of the Art and Perspectives*, European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice, pp. 200-225.
21. Williams, S. A. (1991) *The Double Criminality Rule and Extradition: A Comparative Analysis*, Nora Law Review, 3, pp. 581-623.
22. Vermeulen, G., De Bondt, Damme, Y. (2010) *EU cross-border gathering and use of evidence in criminal matters. Towards mutual recognition of investigative measures and free movement of evidence?* Antwerp, Maklu.
23. Vermeulen, G., De Bondt, W., Ryckman, C. (eds.) (2012) *Rethinking international cooperation in criminal matters in the EU*, Antwerp, Maklu.

კონსტიტუციები:

24. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი, მიღებულია 1949 წლის 8 მაისს.
25. იტალიის კონსტიტუცია, მიღებულია 1947 წლის 22 დეკემბერს.
26. საფრანგეთის კონსტიტუცია, მიღებულია 1958 წლის 4 ოქტომბერს.
27. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებულია 1995 წლის 25 აგვისტოს.

საერთაშორისო ხელშეკრულება:

28. European Convention on Extradition, 1957.

ევროპული კავშირის სამართლის აქტები:

29. Charter of Fundamental Rights of the European Union, 2000.
30. Council Framework Decision of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member States (available at: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32002F0584>) (05.06.2020).
31. Council Framework Decision of 26 February 2009 amending Framework Decisions 2002/584/JHA, 2005/214/JHA, 2006/783/JHA, 2008/909/JHA and 2008/947/JHA, thereby enhancing the procedural rights of persons and fostering the application of the principle of mutual recognition to decisions rendered in the absence of the person concerned at the trial (available at: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2009.081.01.0024.01.ENG) (05.06.2020).

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

32. Opinion 2/13 pursuant to Article 218(11) TFEU — Draft international agreement — Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms — Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties, [2014].
33. Melloni v. Ministerio Fiscal, C-399/11, [2013].

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება:

34. Factor v. Laubenheimer, 290 U.S. 276 (1933).

სხვა აქტები:

35. Communication from the Commission to the Council and the European Parliament on Mutual Recognition of Final Decisions in Criminal Matters, COM (2000) 495 final of 26.07.2000.
36. European Committee on Crime Problems, Legal aspects of extradition among European states, 1970.
37. Explanatory Report on the European Convention on Extradition, 1951.
38. Presidency Conclusions at Tampere European Council 15 and 16 October 1999 (available at: http://www.europarl.europa.eu/summits/tam_en.htm#union), (05.06.2020).

The Essence of the Principle of Dual Criminality and its scope in European and Quasi-European Extradition Systems

Giorgi Mirianashvili¹, Guga Mirianashvili²

¹ Grigol Robakidze University, Doctor of Law, giorgi.mirianashvili@gruni.edu.ge

² Grigol Robakidze University, Magistre, igugamiro@gmail.com

Abstract. Cooperation in the area of justice within the frameworks of the European Union is one of the priorities of freedom, justice and security. Judicial cooperation in criminal matters is based on the principle of mutual trust. Formation of a unified quasi-European extradition mechanism is considered as the important achievement in this direction, which is primarily aiming at simplifying the extradition procedures and replacement with the quasi-European regime of the so-called European extradition system. The European Convention on Extradition adopted in 1957, based on the inherent concept of the state sovereignty, legal and procedural complications cannot provide existence of effective regime of extradition. The existing mechanism fails to meet the ambitious goals of the European Union. The authorities of the Member States decided on the establishment of a unified system for extradition at the Tampere Summit of the European Council in 1999. To this end, in 2002 the Council of the European Union adopted the framework decision concerning the European arrest warrant and extradition procedures between the Member States, which softened the double criminality requirement. Nowadays, it is not applicable about the 32 offences envisaged in the framework decision. The purpose of the present article is to evaluate importance of the principle of dual criminality on the one hand, and to compare the scope of above-mentioned principle in European Union to the 47 member states of Council of Europe, on the other hand. For the achievement of this aim, the article defines the notion, nature of the principle of dual criminality and considers its elements and types. The research in the article is carried out using comparative legal and analytical methods. The article develops the idea that although the process of surrender of a person in the EU has been qualitatively transformed and based on the quasi-European system of extradition, the demand of principle of dual criminality has not been complied with radical changes and continues to operate in a limited form in the EU.

Key words: extradition, principle of double criminality, surrender of person